05
8-979

1898

OS
ჭ-979

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან-სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 3 — 1883—1898 — 15 თებერვალი

ბაზეთის ფასი:

| „მწყემსი" | | „მწყემსი" რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 3 მან. | 12 თვით . . . . | 5 მან. |
| 6 — . . . | 2 — | 6 — . . . . | 3 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Въ Кутаисъ, въ редакцію „Мцкемси" и „Пастырь".

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ერცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვეის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## შინაარსი:

**სალიტერატურო განყოფილება:** კიდევ ჩვენ მოძმეთა და ყველა მკითხველთა საყურადღებოდ.—ახალი ამბები და შენიშვნები.— იმერეთის ეპარქის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში 17, 18, 19 და 20 ნოემბერს. — სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატების საგანგებო კრება ახალსენაკში 29, 30 და 31 იანვარ. — მეზვერე და ფარისეველი. საშინელი განსჯის დღეს (ლექსნი). — ოჯახის კერა— მამაკაცი და დედაკაცი, ჰაბუკი საქმეზე. — ძვირფასი ხატები.

**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე:** საუბარი პირველი სა...ო ზიარებაზე.

...რულებანი.

## კიდევ ჩვენ მოძმეთა და ყველა მკითხველთა საყურადღებოდ.

სარწმუნოების და კეთილ-ზნეობის დამდაბლება ხალხში, თითქმის, ყველასათვის შესამჩნევია ამ ბოლო დროს. ამ სამწუხარო მოვლენის ნიშნები არა მარტო ღრმად მოხუცებულნი, არამედ ახალ-გაზდებიცა. ფარისევლობა, თვალთ-მაქცობა და არა ქრისტია-

ნული საქციელი ღრმათ იდგამს ფესვებს ხალხში, სიტყვით ერთის თქმა, საქმით სულ სხვის ასრულება, ძველი ალთქმასებური მოყვრობა ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნა ჩვენს დროში. ზარმაცობა—ეს დედა ყოველი ბოროტებისა თან-და-თან ვრცელდება და ამას თან მოსდევს ჩვენი ხალხის გაღატაკება და დამხობა. არაფერს არ შეუძლია ხალხი იხსნას დამხობისა და ქვეყნის პირიდან აღსოცვისაგან, თუ ხალხში სარწმუნოება და კეთილ-ზნეობა დაეცა და განადგურდა. ამისათვის უბრძანებენ და ურჩევენ სამღვდელოებას, რომ მან თავის მხრით მიიღოს ყოველივე ზომა და იღონოს ხალხში სარწმუნოების და ქრისტიანული ზნეობის გავრცელება და განმტკიცება. სხვათა შორის ერთ საიმედო საშუალებად ხალხში ქრისტიანობრივი ზნეობის და რელიგიური სწავლის ასამაღლებლად სამღვდელოებას ურჩევენ საღმრთო-მოქმედების გარეშე საუბრების და საკითხავების გამართვას. დიაღ, მწყემსნი ვალდებულნი არიან ასწავლონ ხალხს საღმრთო სჯული და კეთილი ზნეობა. არავის არ შეუძლია თავი გაიმართლოს ამ მოვალეობის აუსრულებლობისათვის. დღეს, მადლობა ღმერთს, თუ ვინმეს თვითონ არ შეუძლია ამისთანა საუბრების და საკითხავების შედგენა რაიმე მიზეზთა გამო, დამზადებულები არის ყველა ენაზე და ყველას უფლება აქვს ისარგებლოს თავიანთ სამწყსოთა სასარგებლოდ და საკეთილ-დღეოდ. ამას მოითხოვს მოვალეობა ყოველი მღვდლისაგან. ვალდებულია ყოველი შეგნებული ქრისტიანი დაეხმაროს ამ საქმეში თავის მოძღვარს, რადგან ყველანი ვალდებულნი არიან ასწავლონ ღვთის სჯული და მცნება უვიცთა და ბნელსა შინა მყოფთა თავიანთ მოძმეთა. საჭიროა ამასთან, რომ მღვდლებმა და ვისაც გული შესტკივა ხალხის სარწმუნოებისა და კეთილ-ზნეობისათვის, ეცადონ და ხალხში გაავრცელონ რელიგიური და კეთილ-ზნეობის შინაარსის წიგნაკები. ამისთანა წიგნაკების გავრცელება ხალხში ერთი-ორად დაეხმარება მოძღვრისაგან დათესილი კეთილი თესლის აღორძინებას. მადლობა ღმერთს, ამისთანა წიგნაკები ბევრი მოიპოვება ჩვენშიაც. საჭიროა მხოლოდ მათი გავრცელება ხალხში.

ასე, მამანო, ძმებო და სულიერნო შვილნო! მოგვიახლოვდა სინანულის დიდ-მარხვა, მშვენიერი დრო სულიერად ამაღლებისა და ზნეობითად წარმატებისა. დღემდის თუ ვშფოთავდით და ვშრომობდით ხორცისათვის, ნივთიერი საზრდოისათვის, ეხლა ვიზრუნოთ სულისათვის და ვინანებდეთ ჩვენგან ჩადენილ ცუდ საქციელთა. მწყემსნი უჩვენებდეთ სამწყსოთა ქრისტიანულ ცხოვრების მაგალითსა და სამწყსონი აღმოუჩენდენ ძველებურ——ჩვენებურ მამობრივ და შვილობრივ სიყვარულსა. მწყემსთა და სამწყსოთა შორის ამნაირი კეთილი კავშირი იყო მიზეზი ჩვენ წინაპართა სიმტკიცისა და კეთილ-დღეობისა და ჩვენც დავემსგავსებით ჩვენ წინაპართა და მადლი ღვთისა იქნება ჩვენ შორის, თუ მწყემსნი და სამწყსონი წავბაძავთ ჩვენ ძველთა მწყემსთა და სამწყსოთა. მოგილოცავთ ყველას, მვირფასო მკითხველო, მარხვას სინანულისას და ვისურვებ, რომ კეთილად მივებებოდეთ აღდგომას სიხარულისას.

დ'კ. დ. ღამბაშიძე.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

26 იანვარს ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში იდღესასწაულეს წმ. მეფის დავით აღმაშენებელის სახელობაზე დაარსებული **ძმობის** დღეობა. ამ დღეს, წირვის შემდეგ, სასწავლებლის ერთ დიდ დარბაზში გამართული იყო ლიტერატურული დილა. პირველად სასწავლებლის ზედამხედველმა **ბ.** ალექსანდრე ან. იაროსლავმა წაიკითხა **ძმობის** ანგარიში, შემდეგ სასწავლებლის შაგირდებმა იგალობეს და იმღერეს სასულიერო საგალობლები, და წაიკითხეს სხვა-და-სხვა ლექსები.

ხსენებულ **ძმობას,** როგორც ანგარიშიდან სჩანდა, დიდი შემწეობა აღმოუჩენია სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთათვის. არც ერთ ქუთაისის სასწავლებელში არ არის იმოდენი ღარიბი მოსწავლე, რამდენიც ამ სასულიერო სასწავლებელშია და ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენმა სამღვდელოებამ და საზოგადოებამ შემწეობა აღმოუჩინოს ამ **ძმობას**.

***

წარსული წლის „მწყემსი“-ს ნომრებში ჩვენ ვბეჭდავდით საუბრებს ქრისტეს სარწმუნოებაზე 1, 2, 3, 4 და 5 №№-ში და სხვა ნომრებშიაც სხვა და სხვა საგნებზე მრავალი საუბრებია, რომელთა რიგიანად წაკითხვა ღვთის-მსახურების გარეშე დროს დიდ სარგებლობას მოუტანს ხალხს. რომელ საეკკლესიო კრებულთაც აქვსთ ეს ნომრები, იმედია, ისინი ისარგებლებენ და წაუკითხვენ სამწყსოთა, ხოლო რომელთაც არა აქვსთ ხსენებული ნომრები და ისურვებენ მათ მოპოებას, რედაქცია მზათ არის მსურველთ წარსული წლის ყველა ნომრები სლიჯრიად ფასად დაუთმოს.

## იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში 17, 18, 19 და 20 ნოემბერს.

(გაგრძელება *).

სანთლის ქარხნის წინა წლების ანგარიშების განხილვამ ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია კრებაზე. ამ ანგარიშების განხილვამ ცხადათ დაუმტკიცა სამღვდელოების დეპუტატებს, თუ როგორ ცუდათ მიდიოდა სანთლის ქარხნის საქმე ძველი გამგეობის დროს და რამდენად გაუმჯობესდა ეს საქმე, რაც იგი სამღვდელოების ხელში გადავიდა და მას თვითონ სამღვდელოების მიერ აღრჩეულნი პირნი განაგებენ. ამ საქმის შესახებ ბაასი დაბოლოვდა დეკ. დ. ღამბაშიძის შემდეგი სიტყვით:

**დეკ. დ. ღამბაშიძე.** მ. მ. დეპუტატნო! მე ვგონებ, რომ არც ერთი თქვენგანი არ დასწრებია სამღვდელოების კრებებზე როგორც ჩვენში ისე სხვა ეპარქიებში ისე, როგორც მე ვესწრები. 1868 წლიდან ჩვენი სამღვდელოების დეპუტატების ყველა კრებებს, ერთი კრების გარდა, თითქმის, დავსწრებივარ და ამიტომ ამ კრებათა ყველა მოქმედება ცხადათ მაქვს აღბეჭდილი გონებაში. არც ერთ კრებაზე არ ყოფილა წინა წლებში იმდენი ნასწავლი დეპუტატები, რამდენსაც ამ უკანასკნელ კრებაზე ვხედავთ ჩვენ. წინა დროში რომ დეპუტატებს გამჭრიახობა ვერ გამოეჩინათ მათ მიერ განსახილველ საგნების შესახებ, დიდი დასაძრახისი არ იყო, მაგრამ თქვენ რომ საჭირო გამჭრიახობა ვერ გამოიჩინოთ და შესაფერი მსჯავრი ვერ დასდვათ რამე საქმეზე, ეს სწორეთ არ მოგეტევებათ. თითოეული თქვენგანი არის წარმომადგენელი ათი კრე-

*) იხ. „მწყემსი“ № 2, 1898 წ.

ბულისა და თქვენი მარწმუნებლების ინტერესი რომ რიგიანად ვერ დაიცვათ, საუკუნოდ დაჰკარგავთ თქვენ მათ რწმენას. მე არაფერს არ მოგახსენებთ მის შესახებ, თუ რა გაუმჯობესობა დაეტყო სანთლის წარმოების საქმეს იმ დღიდგან, რაც ეს საქმე ჩვენ დაგვავალა სამღვდელოებამ. რომ სანთლის საქმე ჩვენი გამგეობის დროს უფრო რიგიანად და უმჯობესად მიდის, ეს თვითონ კრების თავმჯდომარემ აშკარად დაამტკიცა, რისთვისაც დიდ მადლობას ვსწირავ მას. დღეს თქვენზეა დამოკიდებული საქმის გადაწყვეტა. ზოგიერთებს სურთ, როგორც თქვენც შენიშნავდით აქ, რომ სამღვდელოებას ჩამოერთვას სანთლის წარმოების საქმე, რომ ისევ „ძველებურად, ჩვენებურად», განაგებდენ ამ საქმეს. ყურადღება მიაქციეთ მას, რომ სანთლის შემოსავალს აქვს განსაკუთრებული დანიშნულება. ამ შემოსავლით უდგია სული სასულიერო სასწავლებლებს და ამიტომ მუდამ სახეში უნდა ვიქონიოთ ეს დანიშნულება. ჩვენი ინტერესი ძლიერ დაკავშირებულია სანთლის ქარხნის წარმოებასთან. ამისათვის თქვენის მხრით საჭიროა, რომ რიგიანად მოფიქრებული მსჯავრი და გარდაწყვეტილება დასდოთ ამ საქმის შესახებ».

კრებამ ერთ ხმად დაადგინა: «წესდება სანთლის ქარხნის წარმოების და გამგეობის შესახებ, შედგენილი დეკ. დ. ღამბაშიძის მიერ იქნეს მიღებული. სანთლის ქარხნის მმართვა-გამგეობა დეკ. დ. ღამბაშიძის თავ-მჯდომარეობით მიენდოს კამიტეტს, რომლის წევრებათ დაინიშნონ მღვდლები იოსებ ჭერაქაძე და სპ. ლეკვეიშვილი.

ამ კითხვის გადაწყვეტის შემდეგ კრების თავმჯდომარემ წაიკითხა თხოვნა სანთლის ქარხნის ძველი გამგეობის სარევიზიო კამიტეტის წევრთა: კათედრის დეკანოზის მ. გაბრიელ ცაგარეიშვილის, ქალაქის ეკკლესიების ბლაღოჩინის მ. ნესტორ ყუბანეიშვილის და ბლაღოჩინის მ. ნესტორ შვანგირაძისა, რომელნიც საჩუქარს ითხოვდენ თავიანთი შრომისათვის.

თავმჯდომარე. ვის ნებავს ამ კითხვის შესახებ ლაპარაკი? როგორ ინებებთ, მივსცეთ მთხოვნელთ საჩუქარი, თუ არა?

დეკ. დ. ღამბაშიძე. ძლიერ მაკვირვებს ასეთი თხოვნა რაიცა შეეხება საჩუქრის გაცემას, ეს ხომ კიდევ უფრო გასაოცარია. რატომ უნდა მიეცესთ საჩუქარი? მაგათი ზედამხედველობის დროს სანთლის ერთმა ოსტატმა ქარხანას მოსტაცა 3,500 მან. საღირალი სანთელი. იმერეთის ეპარქიის კანცელარიის ერთი შტატ გარეთ მოხელე, რომელსაც სანთლის საწყობი ებარა, ერთ მშვენიერ დღეს გაიპარა და თან წაიღო სამი ათას მანეთამდე. თვითონ კრებამ მოისმინა, რომ 1894 და 1895 წლის სანთლის ქარხნის წარმოების შესახებ ანგარიშები არა სჩანს და ან საიდგან გამოჩნდებოდა, «როდესაც არ შეუდგენიათ და მეთვალყურე კამიტეტს სრულებით არც კი შეუხედავს სანთლის ქარხანაში. ამას გარდა ზედამხედველი კამიტეტი თითქმის პასუხისგებაშია მიცემული და დიდი საქმეა შემდგარი. ამ მოსაზრებათა გამო, ჩემი შეხედულებით, ეს თხოვნა არავითარ ყურადღებას არ დაიმსახურებს.

მთელი კრება, თანახმა გახდა ამ მოსაზრებისა და ერთ ხმად გადასწყვიტა: ვინაიდგან სანთლის ქარხანაში აღნიშნული მთხოვნელების მეთვალყურეობის დროს არა ერთ გზით მოხდა ფულების გაფლანგვა, ალბათ მათი ცუდი ზედამხედველობისა გამო, და ამით დიდი ზარალი მიეცა სამღვდელოებას, მთხოვნელთ უარი ეთქვას საჩუქრის მიცემაზე.

ამავე კრებაზე რამოდენიმე დეპუტატებმა განაცხადეს, რომ მრავალ ეკკლესიებში არ იმექონება შავნი, კონდაკი და მარხვანი, რომელთა უმექონებლობა დიდად აბრკოლებს სამღვდელოებას ღვთისმსახურების შესრულების დროს. სამღვდელოებამ ერთხმად დაადგინა: ეთხოვოს მათ ყოვლად უსამღვდელოესობას ყოვლად სამღვდელო ბესარიონს იშუამდგომლოს ქართლ-კახეთის და იმერეთის სინოდალნი კანტორის წინაშე, რომ ხსენებული წიგნები იქნენ დაბეჭდილნი.

ამ უკანასკნელ დროს იმერეთის ეპარქიის ადგილობითი საეკკლესიო მთავრობამ ვალად დაუდგინა ყველა სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა, რომ მათი ბლაღოჩინების ნებადაურთველად არ გაშორდენ სამრევლოს. ამ კრებაზე მღვდლებმა მ. ვ. სალაძემ და კონსტ. ხუსკივაძემ განაცხადეს, რომ ხსენებული განკარგულება მეტისმეტად შემავიწროებელია ზოგიერთი საბლაღოჩინო ოლქის მღვდლებისათვის. ზოგიერთი მღვდლები თავიანთ ბლაღოჩინებზე 30 ვერსით არიან დაშორებულნი; მე, მაგალითებრ, განაცხადა მღვდელმა მ. ვ. სალაძემ, ქუთაისზე რვა ვერსზე ვარ მოშორებული და ჩემ ბლაღოჩინთან რომ წავიდე ბილეთის მისალებად, 60 ვერსი უნდა გავიარო აქეთ-იქით და ეს კიდევ არაფერია, თუ კიდევ სახლში მაინც მივასწარი ბლაღოჩინს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სამძიმოა ეს მღვდლისათვის.

აღმოჩნდა, რომ საბლაღოჩინო მაზრები იმერეთის ეპარქიაში ძლიერ ვრცელი არიან, ზოგან საბლაღოჩინო ოლქი შედგება 30 შტატისაგან. ამისათვის სამღვდელოების კრებამ ერთხმად დაადგინა: «ეთხოვოს მის ყოვლად უსამღვდელოესობას, ყოვლად სამღვდელო ბესარიონს, რომ საბლაღოჩინო ოლქები ხელახლად იქნეს შედგენილი და თითოეულ საბლაღოჩინოში იქნეს 15—20 შტატამდე“.

## სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატების საგანგებო კრება ახალ სენაკში 29, 30 და 31 იანვარს

ახალ-სენაკის ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატებს საგანგებო კრება ჰქონდათ ახალ სენაკში იანვრის 29, 30 და 31 რიცხვებში. ამ კრებას საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა სასწავლებლისათვის საკუთარი შენობის მოპოების საქმე. ან შედგენილი გეგმებისაებრ სენაკში უნდა აეშენებიათ სახლი, რომელზედაც ხარჯთა აღრიცხვით ითხოვება ასი ათასი მანეთი და ან მზა სახლი მოეპოებიათ იქვე.

კრებამ ხანგრძლივი მოფიქრების და მოლაპარაკების შემდეგ ამ საგნის შესახებ დაადგინა: «ვინაიდგან ხსენებული სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებას მოაკლდა მთელი ლეჩხუმის მაზრის და სვანეთის საბოქაულოს სამღვდელოება და აფხაზეთის სამღვდელოებაც არა ვითარ შემწეობას არ აძლევს სამეგრელოს სამღვდელოებას სასწავლებლისათვის სახლის აშენების საქმეში, ამიტომ მარტო ორი მაზრის-სენაკისა და ზუგდიდის სამღვდელოებას [illegible] აქვს მოთხოვნილი [illegible]ით აშენოს სასწავლებლისათვის სახლი. ამისათვის იქნეს მოპოებული სასულიერო სასწავლებლისათვის ახალ-სენაკშივე ერთი იმ ოთხ სახლთაგან, რომელთა ყიდვას სამღვდელოებას თხოვენ. დაინიშნოს კამიტეტი ნ. პ. არტანველსკის თავმჯდომარეობით, რომელსაც მიენდოს ნაჩვენები სახლების ჯეროვანად შემოწმება და მათში უმჯობესის მოპოება, შესაფერად მოწყობა და საჭირო ადგილის ყიდვა ბაღისათვის, იმ ფულებით, რომელიც სამღვდელოებას აქვს სასწავლებელში».

სამღვდელოებას სასწავლებლის სახლისათვის, ჩვენის აზრით, უნდა ჰქონდეს 35 ათას მანეთამდე. ყველა სახლებში, რომლებიც სასწავლებლისათვის არიან დასახელებული, უმჯობესია ბ. ქქიძის კახიანის სახლი, როგორც შენობის სიმტკიცით, ისე ოთახების სიმრავ-

ლით და სივრცით, ისე ადგილის მდებარეობით. ამ სახლში არის ერთი დიდი ზალა, რომელშიაც მშვენიერი ეკკლესია მოთავსდება და სასწავლებლის ყველა შაგირდებიც დაეტევა შიგ ღვთის-მსახურების დროს.

ახალ-სენაკში მშვენიერი შენობები აუგიათ, მაგრამ საოცარი ის არის, რომ მთელ დაბაში ეკკლესია არა აქვთ. მართალია, არის ერთი პატარა ეკკლესია, რომელშიაც დაეტევა ოციოდე კაცი, და გვიკვირს, რომ იქაურ საზოგადოებას რიგიანი ეკკლესიის უქონლობა არ აწუხებს.

კრებაზე დეპუტატებმა, სხვათა შორის, გადაწყვიტეს, რომ იმ სამღვდელოების ჯამაგირიდან, რომელსაც 1897 წელში დაენიშნა დამატებითი შემწეობა, მესამედი გადადებულ იქნას სამრევლო სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების სასყიდელი ფონდისათვის. ეს ფული 11,000 მანეთზე მეტს შეადგენს. მაგრამ არ გვჯერა, რომ ხსენებული დადგენილობა იქმნეს დამტკიცებული იმისათვის, რომ ამ საგნის შესახებ დეპუტატებს რწმუნება არ ჰქონდათ იმ სამღვდელო პირთაგან, რომელთაც ეს ჯამაგირები აქვსთ დანიშნული. მთელი სამღვდელოების ჯამაგირებიდან რომ შეეწირათ მესამედი ნაწილი, რომელთა რიცხვშიაც თვითონ დეპუტატებიც მოჰყვებოდენ, ეს კი კარგი იქნებოდა.

დანარჩენ ჩვენ შთაბეჭდილებას ამ კრების შესახებ, მკითხველთ განუზიარებთ შემდეგ ნომერში.

დამსწრე.

## მეზვერე და ფარისეველი

ვევლტოდეთ ფარისევლისა
თავხედურ გულის სიმაღლეს,
და შევიტკბობდეთ მეზვერის
სულის სიმშვიდეს, სიმდაბლეს.

—

არავინ არის უცოდველ
თვით ზეცამ გამოიკვლია!
თავხედო! იცის შენს გულში,
რაც ბოროტი და მწიკვლია!..

—

გული განწმიდე, გონება
ააფრთოვანე ნათლათა,
ჰქმენ ბოროტის წილ კეთილი,
რომ წინ წაგიძღვეს სანთლადა.

რ. ს—ლი.

## საშინელი განსჯის დღეს

უფალო, როცა მოხვიდე
დიდებით ქვეყანაზედა,
მაშინ, შეძრწუნდეს ყოველნი
დაბადებულნი, ძალზედა!

—

ცეცხლის მდინარე სდიოდეს
და საშინელად ოხრავდეს!
წიგნი განეხვნეს ცოდვათა,
ფარულად ქმნილნი განცხადნეს.

—

ცოდვილნი მწარედ სტიროდეს:
„ვხედავ ბიწს ჩემგან ქმნილსაო,
ნუ დამსჯი სასჯელის ღირსსა,
მსაჯულო სამართლისაო.“

—

მაშინ, გთხოვ მეცა, უფალო,
შემრაცხე რჩეულთა თანა,
მარჯვენით დამსხი, მარცხენით
ნუ შემრთავ თიკანთა თანა!

რ. ს—ლი.

# ოჯახის კერა

## მამა კაცი და დედაკაცი.

### II.

### ჭაბუკი საქმეზედ.

ალებ-მიცემობის საქმემ ინგლისშა საშინელი სისწრაფით იმატა და გავრცელდა ამ მიმდინარე საუკუნეში. ეს ისეთი უმთავრესი წინდია ამ კუთხის აყვავებისა, ეს დიდი წყაროა ინგლისის დიდებისა და მისი ზედ-გავლენისა სხვა ქვეყნებზე. ჩვენი ხომალდების თეთრი ზოლები ოტლანტიის ოკეანეზედ, სთქვა მერსონმა, გზის მაჩვენებელია მთელი ზღვაოსნებისათვისო“. ინგლისის სავაჭრო გემების თეთრი იალქნები ყველა ზღვებზედ მოსჩანან და არ მჯერა, რომ მოიპოვებოდეს სადმე, თუნდ კლდოვანი, მიუდგომელი კუნძული, შორეულს „წყნარ ოკეანეში» ან სამხრეთის უკაცურ ქვეყანა პოლიუსის ზღვაში, რომელსაც არ ენახოს ჩვენი ხომალდების ბაირაჰტები. ჩვენ საოცრად გამოვიყენეთ ყოვლად ძლიერი ორთქლი, ჩვენ შევიპყარით ელვა, მისი ცეცხლის ფერი ფრთები, და უბრძანეთ მორჩილებით ტარება ჩვენი მშვიდობიანი სურვილებისა მთელი დედა-მიწის ზურგზე, კლდოვან გვირაბებში, ქარიშხლიან ტბების ძირ-ძირ. ღმერთს მოუნიჭებია ჩვენთვის ის უნარი, რომ შევკრიბოთ ქვეყნის სიმდიდრე და გამოვიყენოთ საერთო სასიკეთოდ. მაგრამ რაც უნდა დიდებული და ვრცელი უნდა იყვეს ჩვენი მფლობელობა, რომელიც გვაბატონებს დედამიწის მეექვსედ ნაწილზედ, ის მაინც არ არის უკვდავი. სადღაა ასსირია, საბერძნეთი, ძველი რომი, კართაგენი?

ლორდ ბიკონსფილდის სიტყვები რამდენად მჭევრმეტყველურია, იმდენად მართალნიც არიან: თუმცა ინგლისის ერი უფრო დიდებულია, ვინემ ვენეცია, ან ანტიროსი, მაგრამ თუ ის არ დარჩება ერთგული ამ დიადი ნაციის მისწრაფებისა, მაშინ ჩაქრება მისი დიდება, როგორც ძველი სირიის ბრწყინვალება და ვენეციის სასახლეები.

ნაყოფი ამ ალებ-მიცემობის დიდებისა ის არის, რომ ბევრი ახალ გაზრდები სჭამენ ლუკმა პურს საკუთარი შრომით, რომლებიც, ასე თუ ისე, ალებ-მიცემობას ეტანებიან. აი ამ ახალ-გაზრდებზე, მათ საქმიანობაზე, ხალისზე და ხასიათზე არის დამოკიდებული ინგლისის მომავალი.

ძველ საბერძნეთში, როდესაც ეს ქვეყანა სამხედრო დიდებით იყო გათქმული, უპირველეს ღირსებათ ითვლებოდა: ფიზიკურ ძალ ღონის განვითარება, სხეულის სიმშვენიერე, გმირული, თავ-განწირული სიმამაცე ბრძოლის ველზე. მათ ძალიან მოეწონებოდათ ჩვენი პოეტის სიტყვები: ამაო და უვნებელნი შეიქმნებიან თვით უძლიერესი სამხედრო ესკადრები. და ყოვლის გამანადგურებელი ცეცხლი და იარაღი, თუ კი ინგლისი დაიცავს და არ შელახავს გულოვნებას და წრფელ ერთგულებას თვისი შვილებისა“-ო. არც ერთ ჩვეულებაში არ არის გამოხატული ისე ნათლად ბერძნების ურთიერთ შორის კავშირი ძველად, როგორც დორიული ლიტანიაში, სადაც ყველა მამაკაცები სამ წყობისად დაიყოფოდენ. პირველად მიდიოდენ მოხუცებულნი სიცოცხლის ყვავილს გადასულნი, მეორედ, ახალ-გაზდები სიცოცხლით სავსე, და მესამედ ბავშები.

პირველი გუნდი გალობდა:

„ძველ დროს ჩვენ ვიყავით ნამდვილი ვაჟკაციო“.

ახლა მეორენი მიუგებდნენ გალობითვე:

„ჩვენ ღონიერნი ჭაბუკნი ვართ, ერთი გვცადონ, ვისაც უნდა!“

ხოლო ბავშები გაბედულად და სრული რწმენით გალობდენ:

«ჩვენ ვაჯობებთ ამ მოხუცთ და ჭაბუკებსაც».

ამ რიგად ბერძნები მოწმობდენ, რომ მათი შეხედულებით, მნიშვნელობა და გემო სიცოცხლისა გამოიხატებოდა მხოლოდ სიჭაბუკის წლებში, როდესაც სიყმაწვილე დაუდგრომელია, ცელქი, მხიარული, ბრწყინავს, როგორც ფერადი, საოცნებო ცისარტყელა. მართლაც სიმრთელე და ძალ-ღონე არ დაჰკარგვენ თავიანთ მნიშვნელობას არცერთი ერის ახალ-გაზდობისათვის, რომელიც მიისწრაფვის იმ ბედნიერებისაკენ, რაც ამოძრავებს ქვეყნიერობას.

თუ ოდესმე ინგლისელები უმნიშვნელო ნაციად გახდებიან, მაშინ უთუოდ უძლური და საწყალნიც იქნებიან, მაგრამ ამისი სრულიად არ უნდა გვეფიქრებოდეს უმაღლესი და საშუალო წოდების შესახებ. ინგლისის ყველა სკოლებში ნახავთ იმის მაგალითს, თუ როგორ ვარჯიშობენ ველურ სალხთა პატარა შვილები, და კიდევაც უნდა დავეთანხმოთ ველლინგტონს, რომელმაც იტონის სკოლის მოთამაშე ბავ-

შები რომ დაინახა, აღტაცებით წარმოსთქვა: „აი სად დარჩენია გამარჯვება ვატერლოოს“. კრიკეტებმა, ტენნისებმა და სხვა-და-სხვა ნაირმა ბურთაობამ, ველოსიპედებმა, ცურაობამ, ჭიდაობამ, გიმნასტიკურ შეჯიბრებამ დიდი სარგებლობა მოუტანეს ინგლისის ერის ახალ-გაზდობის სიმრთელესა და ძალ-ღონეს და მოუტანებენ კვლავაც, თუ კი არ გამოეკვრა გამათახსირებელი გესლი-მარცხი სანაძლეო სათამაშოების დროს.

ასეთ ფალავნურ ვარჯიშობას კიდევ უფრო საბოროტ მოქმედოდ გამოიყენებენ და არა თუ გადაივიწყებენ.

ჩვენ ყველა ახალ-გაზდას ურჩევთ, რომ გონებრივი სიფხიზლე სხეულის სიმრთელით გაიმტკიცოს და ნუ დაივიწყებს, რომ შეუძლებელია დაჭმუჭვნა გადასაცმელისა ისე, თუ სარჩულიც არ დაიჭმუჭნა.

ამ რიგად გადავსწყვიტოთ, რომ ახალ-გაზდა გამოდის მოქმედების ასპარეზზე ფიზიკურად ჯანმრთელი, და ღონიერი და ჩვენც ურჩევთ, ზნეობრივი მოვალეობისამებრ, რომ ყოველს შემთხვევაში იზრუნოს სხეულის სიმრთელეზე და ფიზიკურ ძალღონეზე, რაც ერთი იმ საშუალებათაგანია, რომელიც კაცის ცხოვრებას სასარგებლოდ და ბედნიერად ხდის.

მაგრამ ამასთან უფრო საჭიროა კიდევ სხვა პირობებიც. ყოველი ახალგაზდა, რომელიც ცხოვრებაში რაიმე თვალ-საჩინო თანამდებობის მისაღებად ემზადება და ეპირება, ის ზნეობრივი ღირსებითაც უნდა იყვეს კიდევ აღჭურვილი.

1. მაგალითებრ, ყველასათვის ცხადია, თუ რა ძვირფასი განძია შეურყეველი პატიოსნება და უანგარობა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ კაცი უცებ მდიდრდება მატყუვრობისა და სიფლიდის წყალობით, მდიდრდება ურიცხვი მოქმედების მეოხებით, რაც ასე გავრცელებულია ჩვენს დროში. მაგრამ ასეთი წყარო სიმდიდრის შეძენისა დაუდგრომელია და არავითარ აღებ-მიცემობას არ შეუძლია ათ წლამდე იცოცხლოს მისი წყალობით. ინგლისელების ვაჭრობას ძველ დროში უთუოდ პატიოსნება და თავაზიანობა ედვა საფუძვლად.

ყველა მხმარებელნი ინგლისის ნაწარმოებისა მთელს დედა-მიწის ზურგზედ დარწმუნებულნი იყვენ ინგლისის ნაწარმოების კარგ თვისებაში. საქონლები სწორედ ის იყვენ, რადაც ასაღებდენ. მათში არ ყოფილა არც სიყალბე და არც მატყუვრობა. არ ვიცი ყოველ ადგილს იყო წინედ დაცული ასეთი პატიოსნება თუ არა, მაგრამ, რაც უნდა ყოფილიყო, ყოველი ახალგაზდის ვალია ასეთი პატიოსნების დაცვა. ჟ—ჩე ელიოტი თავის თხზულებაში—რომანში «Middlemarch», გვიხატავს ცხოვრებიდან აღებულ ფაქტს: ვინსის გაღატაკებას მის შემდეგ, რაც მატყუარა სიძის რჩევით იაფი საღებავის ხმარება იწყო საქონლებისათვის. ეს საღებავი საოცრად აოხრებდა, სჭამდა შესანიშნავ აბრეშუმის ქსოვილებს ვინსისას. ვისაც შესწავლილი აქვს ინგლისის აღებ-მიცემობა და იცის მისი საიდუმლოები, ის დარწმუნებული იქნება, რომ სიყალბე აქ დიდ ხმარებაშია, თითქმის თითონ გერბერტი სპენსერიც კი ამტკიცებს თავის მოხსენებაში. ინგლისის აღებ-მიცემობის შესახებ ამ გვარ მოქმედებისა და ხერხის ხმარებას, რაც მატყუვრობასა და ავაზაკობას წარმოადგენს და სხვას არაფერს. უეჭველია ბევრ ახალ-გაზრდას შეხვდება ისეთი საქმის ხელის მოკიდება, რომელიც უპატიოსნოა. ის მოხვდება ისეთ მდგომარეობაში, რომ მთლად თუ არა, ნახევრად მაინც სიცრუე უნდა ილაპარაკოს. იმას გასწვრთნიან ისეთი საიდუმლოებით, რომელსაც საზოგადოება ვერ მიხვდება საიდუმლოებით, რომელიც თვისი უწმიდურებით სინიდისს აშფოთებს. ჩვენ ბევრი მიგვიღია წერილები ახალ-გაზდებისაგან, რომლებშიაც ისინი უჩიოდენ თავიანთ ბედს, ისეთ მდგომარეობაში ვართ ჩაცვივნული, რომ ვიტანჯებით სინიდისის მხილებისაგანო. ზოგი მწერდა: რომ სული და სინიდისი არ გაგვეცვალა ქვეყნიურ ქონებაში, არ გვეღალატნა სინიდისისათვის მატყუვრობით, იძულებული გავხდით უადგილოთ ულუკმაპუროდ ვიყვეთ, სისაწყლე-სიღატაკეში. ცოტა არ იყვეს მკაცრად გეჩვენებათ ამ გვარ მდგომარეობაში ჩაცვივნული ახალ-გაზდობის მიმართ რჩევა: იბრძოლეთ ბოლომდე, და რაც უნდა მოგივიდეთ, მაინც სძლიეთ ეშმაკსაო. ვინც თითონ არ გამხდარა ასეთ მსხვერპლად, ის შეკრთება ამ გვარ რჩევაზე და ვერასოდეს ვერ ურჩევს სხვას აიტანე ასეთი მდგომარეობა, იყავ შეურყეველიო. მაგრამ თუ კი ღმერთი სუფევს, უმაღლესი ღვაწლი-კეთილის ქმნა კაცობრიობის ვალია, მაშინ ყოყმანი და რყევა ასეთ მდგომარეობაში უადგილოა. ადგილის დაკარგვა პატიოსნებისა და სინიდისის დაცვისათვის ზოგს ეჩვენება დიდ მსხვერპლად, დიდ უბედურებად, მაგრამ «რაი არს შენდა სარგებელ, ოდეს მთელი ქვეყანა შეიძინო და თვის სულს კი ავნო?»

2. მეორედ ჩვენ საჭიროდ ვსთვლით ახალ-გაზდებისათვის უანგარო ერთგულებას და სისწორეს საქმეში.

ერთმა მდიდარმა და დიდი ჯილდოის მქონე კაცმა გვიამბო: ბევრი ახალ-გაზდები ეძებენ ჩემ მფარველობას ცხოვრებაში, იმიტომ რომ მე ცხოვრებამ დამაჯილდოვა, მაგრამ თითოეულს უნდა იმით დაიწყოს, რითაც მე ვათავებ. აი ჩემი ამბავიც. მე ვიყავ ღარიბი მშობლების შვილი. ერთად ერთი ცოდნა ის მქონდა, რომელიც გამოვიტანე ღარიბთათვის დაარსებულ უქირაო სკოლიდან, რომელიც 14 წლისამ დავასრულე. ჩამაყენეს საქმეში. ისეთ პატიოსნად ვასრულებდი საქმეს, რამდენადაც შესაძლებელი ვყო ჩემგან, მაგრამ რადგანაც მე მინდოდა გზა გამეწმინდა შემდეგისათვის, ჩემი საქმის კარგად მცოდნეს ვსთხოვე მემუშავნა მასთან თავისუფალ დროს მუქთად, მხოლოდ მისი ხელ-მძღვანელობით კი, რომ საფუძვლიანად შემეგნო იმ საქმის ვითარება. რომელშიაც გამოუცდელი ვიყავი. იმანაც ნება დამრთო საღამოობით მემუშავნა მასთან უქირაოდ, მე ბევრს ვშრომობდი. წლის დამლევს სწორედ ის ვიცოდი, რაც საჭირო იყო ჩემთვის, და გამოსადეგიც შევიქენი საქმეში, ამიტომ იმ მცოდნე მდიდარმაც მთხოვა დავრჩენილიყავ მასთან კარგ ჯამაგირზე, რომელიც უთუოდ თან-და-თან მომემატებოდა. ეს იყო დასაწყისი ჩემი ბედნიერებისა»...; დიაღ, სთქვა მან, ახლა გაძლევ თქვენ სამას გირვანქიან ჩეკებს თქვენი ეკკლესიისათვის, მიიღეთ. მადლობასაც ნუ მეუბნებით, წლის დამლევს ვერც შევამჩნევ მის დანაკლისს, ჩემთვის სულ ერთია". ეს ამბავი იმ ანდაზას ამართლებს: „ხალხი მარად ქამ ქვემოდ იცდის, თორემ ზევით ადგილი ბევრიაო».

3. რასაკვირველია საკუთარმა ინტერესებმა გამოიწვიეს ასეთი მუყაითობა ამ ახალგაზდისა, მაგრამ ათში ცხრა მაინც იქმნება ისე, რომელიც თავის თავზე ზრუნვის დროს სხვისთვისაც გამოსადეგი არის.

თითქმის ყოველ კორრესპონდენციებში, რომლებსაც სხვა-და-სხვა კუთხეებიდან იწერებიან, შეხვდებით საჩივარს ინგლისელი ახალგაზრდების მხრით. ნემცები გვართმევენ ადგილებსო. მაგრამ რა არის ამის მიზეზი? ის, რომ საუკეთესო ადგილებს უკეთესად მომზადებულ კაცებს აძლევენ. ერთმა პატივცემულმა პალატის წევრმა მითხრა, ხომ კი საჭირო შეიქნა სხვა-და-სხვა ენების მცოდნე კაცი საყურადღებო კორრესპონდენციებისათვის, უეჭველად ნემეცთაგანს დავიქირავებთ. ისინი დგებიან ადგილზე და მუქთად მუშაობენ იმ მიზნით, რომ ინგლისური ენა შეისწავლონ. მცირე ჯამაგირით კმაყოფილდებიან და ხშირად ოთხი ხუთი ენა იციან, მაშინ როდესაც ინგლისელმა სამშობლო ენა ძლივს იცისო. რასაკვირველია, ის ყოველ დროს იმას მიიწვევს, ვინც მეტს სამსახურს გაუწევს.

მღ. დ. ხხა-ძე

---

## «ძვირფასი ხატები»

ბერძნული ამბავიდამ.

### I.

### (ობლის მოწყალე ღმერთია.)

ეს ამბავი, რომელიც ეხლა უნდა გიამბოთ, დიდი ხანია, რაც მოხდა, მაგრამ ყველას ისე ახსოვს, ვითომ გუშინ მომხდარიყოს.

იყო და, ეხლა კი სამოთხეშია, — იყო ერთი მდიდარი და გულ-კეთილი კაცი. — ეს კაცი, არ იფიქროთ, რომ ისე გამდიდრებულიყოს, როგორც ბევრნი მდიდრდებიან: ცარცვა-გლეჯით, ფლიდობით და საწყალთა ჩაგვრით. — არა, ეს კაცი გამდიდრებულა ნამდვილის შრომით, სიმართლით და პატიოსნებით.

პირველად თურმე ის, დარჩენილი ობლად, სრულებით უსახსროდ დაეხეტებოდა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას და, ჯერ კიდევ სრულიად მცირე წლოვანი, ეკედლებოდა ხან ერთს თავის ნათესავ—მეზობლის ოჯახს, და ხან მეორეს.—ამ ბავშის ერთად-ერთი მისწრაფება და სურვილი სწავლის შეძენა იყო. ამისათვის ის არას ზოგავდა. ოღონდ წერა-კითხვა ესწავლებია ვინმეს და ის უჯამაგიროდ ემსახურებოდა. რაკი ბავში ასე მოწადინებული იყო სწავლაზედ, ბედმაც არ მოიძულა: აღმოჩნდენ ისეთი პატიოსანი ხალხნიც, რომლებმაც თუმცა იმსახურეს, მაგრამ წერა-კითხვაც ასწავლეს.

მეფოდიმ (ბავშის სახელია) რა წერა-კითხვა შეისწავლა, დადგა ერთს, მაშინდელ დროში გამოჩენილ, მხატვართან.—ჩემდა სამწუხაროდ, იმ მხატვარის სახელი ყველა ბერძენს ახსოვს და მე კი ჩემი სიძაბუნისა და გულ-მავიწყობის სიზარმაცის გამო

გადამავიწყდა. ეს სიგლახე-შე მიტომ დამემართა, რომ ბავშობის დროს კითხვა-წერა მეზარებოდა. რამდეჯერ მომისრესდენ ყურებს, მიმტყეპვიდენ, უსადილოთაც დამტოვებდენ, რომ, როგორმე კითხვა-წერას მივეჩვევოდი, მაგრამ მაინც ვჯინიანობდი—არ ვშრომობდი. ჩემდა სამარცხვინოდ ყველა ესენი ცხადათ მახსოვს—მე მაშინ კარგა მოზდილი «ჩოჩორი» ვიყავი. დიახ «ჩოჩორი» ვიყავი, რადგან ჩემი თავის სიკეთე არ მესმოდა. ება მე რომ ჭკუა მეხმარა და სხვა ჩემს ამხანაგებსავით მეკითხა, მეწერა და მეხატა, მეც ხომ იმათთანა ხსოვნა-მეხსიერება შემრჩებოდა. მეც ხომ იმათსავით დიდი კაცი გავხდებოდი. ახლა რომ ვხედავ მაშინდელ ჩემს ნაამხანაგებთ, გული მიკვდება: ზოგი ინჟინერია, ზოგი ექიმია, ზოგი პროფესორია უნივერსიტეტში და ერთი ორი გენერალიც არის. დანარჩენები-კი ოგრონომები გახდენ. ჰი, თუ კი პატარაობითვე, გულ-მომქინე და ბეჯითი იქნება ბავში, ყველა ფერს ადვილად შეითვისებს. ასე მოიქცენ ჩემმი ნაამხანაგებნი.—ნაამხანაგებად მე იმათ მიტომ ვიხსენიებ, რომ მათი ამხანაგობის ღირსი არ ვარ. ისინი მდიდრები და საზოგადოებაში რიგიანად და პატივით მიღებული ხალხია და მე კი —არაფერი—მარტო ცოტა წერა კითხვისა და რაღაც „სილა-ბანდურა“ ზღაპრების მეტი არა ვიცი-რა. ასე გულ დათუთქული ვარ ეხლა და ვდარდობ, მაგრამ სულ უბრალოდ... რაღას მივეწევი?!.—დროზედ იყო საჭირო მეფიქრა ყველა ესენი. «ობლის მოწყალე ღმერთია»-ო, ეჭვი არ არის—მეცადინსა და მშრომელს ღმერთი ეწევა. რამოდენიმე წლის შემდეგ ჩვენი მეთოდი გამოიჩალხა—გახდა შესამჩნევი მხატვარი საბერძნეთში. ერთი მისი ნახატი ათას და ასი ათას მანეთად იყიდებოდა—„ეს მეორე რაფაელია“-ო, ამბობდენ.

მეთოდი დღითი დღე მდიდრდებოდა, დღითი დღე სახელს იხვეჭდა, მხოლოდ იმას ის არასოდეს არ დავიწყებია, რომ ის საწყალი და უბრალო კაცის შვილი იყო.—სრულებით არ გაამპარტავნებულა. მეთოდიმ გაალო მშვენიერი სახელოსნო სამხატვრო. მოუწოდა თავის მემიწაწყლებს—პატრიოტებს. ყველაზედ პირველ მოვალეობად მეთოდის თავის ქვეყნის, თავისი გვარის ხალხის—ბერძნების შემწეობა მიაჩნდა. ის არც სხვა გვარის ხალხს ივიწყებდა. თუ სამე შეხვდებოდა, ან მიიყვანდენ მასთან საწყალს—უმწეო ობოლს, ან უსახსრო ღარიბის შვილს, იმას მაშინვე მოაგონდებოდა თავისი ყმაწვილობის დრო, წარმოუდგებოდა თვალ-წინ ობლობა და ხშირად ატირდებოდა კიდეც. ბავშს კი მაშინვე მიიღებდა და, რაშიდაც უნარს შეამჩნევდა, იმ ხელობაში მისცემდა ხოლმე და გამოზდიდა. მეთოდის უფრო იმ აზრისა იყო, რომ ბავშებს წერა-კითხვასთან ერთად ხელობაც ესწავლათ, რომ თავის საკუთარი შრომით ირჩინოს თავი კაცმა, საჭიროა რაშიდაც შნო აქვს, ის ხელობა ისწავლოს“-ო, იტყოდა ხოლმე მეთოდი.

## II.

### ძვირფასი ხატები.

ერთს დღეს აღდგომის კვირეში მეთოდის სასტატო ზალაში შევიდა ერთი ახალ-გაზდა—ასე ოც-და-ათი წლის კაცი. ეტყობოდა მდიდარი იყო და ასეც აღმოჩნდა. ეს კაცი იყო ვაჭარი, მას ჰქონდა საბეჭდავი ქარხანა კონსტანტინოპოლში. მისი დღიური შემოსავალი ათ თუმანს აღემატებოდა.—შემოვიდა თუ არა, ჯერ წყნარად—ზრდილობიანად სალამი მისცა ყველა იქ მომუშავეთა, შემდეგ მეთოდი იკითხა.

— მე გახლავარ, ბატონო, მეთოდი, მოახსენა მეთოდიმ და ფეხზედ წამოუდგა.

ძრიელ სასიამოვნოდ მიმაჩნია თქვენი გაცნობა —უთხრა სტუმარმა პერიკლე ასპრიდიმ,—მხოლოდ —განაგრძო მან,—არ მეგონა, თუ თქვენ კიდევ სამუშაო ოთახში გნახავდით, თქვენი სახელი და სიმდიდრე მთელს საბერძნეთს აკვირვებს და თქვენ კი უბრალო მუშასავებრ ხართ ჩაცმულიც-კი.

გმადლობთ ღმობიერებისათვის, ჩემო ბატონო, თქვენმა თავაზიანობამ იმედი მომიმატა. მე მოხარული ვიქნები მაშინ უფრო, როცა ჩემი შრომა ნაყოფს გამოიღებს, როცა მე ერთი იოტის ოდენაც იყოს მივემზგავსები ჩემს ოსტატს, რომელმაც მე ერთი უბრალო ყაძახის შვილი პატიოსან მუშად გამხადა. —ახლა თქვენ მიბრძანეთ, რითი შემიძლია გემსახუროთ, ბატონო!..

—მე თვითონ მუდამ მზათ ვიქნები, თუ რასმეს გამოგადგებით გემსახუროთ,—მიუგო პერიკლიმ,—ეხლა-კი მე გიახელით სანახავად იმ ხატებისა, რომელიც აკროპოლის გამოფენაში უნახავთ და მოსწონებიათ ბევრსა.

—მოხარული ვარ და დიდის კმაყოფილებით

ეხლავე დაგატარებთ და განახვებთ ყველა ჩემს შრომას, რომელიც სავარგისოდ მიმაჩნია.

ამ უკანასკნელი სიტყვების ერთად გადაადგა რამოდენიმე ნაბიჯი, გაალო მეორე განყოფილების კარები და მიიწვია პერიკლე. ორივენი ერთად შევიდენ იმ, მართლა რომ, იმ დროისთვის საუცხოვო სანახავში. იქ იყო ისეთი ნახატები, რომ „ცოცხალია, მხოლოდ განგებ გაჩუმებულა, არ ლაპარაკობსო», ეგონებოდა მნახველს. განცვიფრებაში მოვიდა ჩვენი პერიკლე; მას ბევრი ხამლვთო და საერო ნახატები ენახა, მხოლოდ ამისთანაები კი ჯერ არსად. პერიკლეს სრულიად მოვლილი ჰქონდა შესანიშნავი «რომი“, «ათინის მთა» და ყველა შესამჩნევი ადგილები საბერძნეთისა თავისის ძველისა და ახლის საუცხოო ხელოვნებით, მხოლოდ ეხლა ყველა მისი ნანახი სიზმარსაებრ მოჩვენებად გადაექცა აქ ნახულის შედარებით. ყველაზედ მეტი ყურადღება პერიკლესი მიიქცია ორმა ღვთიურმა ხატმა „ღვთის მშობლისა—ქრისტეთურთ ხელში“ და «მაცხოვარისამ“. «ხელთ უქმნელიო», რომ იტყვიან, სწორეთ ისენი უნდა იყოს,—გაიფლო გულში პერიკლემ და, ცოტა სიჩუმის შემდეგ მიმართა მეთოდის,—ბატონო მეფოდი, თუ შეიძლება ამ ორი ხატის ფასი მიბრძანეთ!..

— მაგ ხატების ფასი, ჩემო ბატონო,—მიუგო მეთოდიმ,— სულ არაფერიც არის და ძალიან დიდიც..·

— უკაცრავად,—გააწყვეტია პერიკლემ,—მე შევცდი.— რასაკვირველია ეს ხატები, როგორც წარმომადგენელნი უკვდავი და დაუსაბამო ღვთაებისა დაუფასებელია,—მე გეკითხებით მარტო შრომის ფასს.

—მივხვდი, ბატონო პერიკლე, რომ ღვთის მორწმუნე—ნამდვილი ქრისტიანი ყოფილხართ და მეც ამიტომ,—მარტო შრომის შესახებ მოგახსენეთ. ეს ხატები ჩემი პირველი შრომის ნაყოფნი არიან, ამიტომ ვამბობ, „იეფიც არის და ძვირიც თქო“.—აი ეს ხატები გახლავთ, რომელსაც თქვენ წელან ახსენებდით – აკროპოლის გამოფენაზედ—მაგ ხატებს ვერ შევეელევი...

—ახ... მაგას ნუ მიბრძანებთ!.. დარწმუნდით, რომ ეს ხატები ეგრევე პატივით იქნება შენახული ჩემს გულში თქვენის ხსოვნის ერთად და მე კი თქვენის მიზეზით ბედნიერად დავსთვლი ჩემს უღირს თავს ამ კმაყოფილებით და... გთხოვთ დამითმოთ, რამდენიც გნებავთ მოგართმევთ, ბატონო...

მეთოდი დაფიქრდა. არ უნდოდა შელეოდა მის ყმაწვილობის შრომას, მის ღვთაებრივად საყვარელს ხატებს, რომლების მიზეზითაც ასე ქვეყნის საქებარი გამხდარიყო. მაგრამ ვერც ამ კაცის გაწბილებას კისრულობდა. ბოლოს გადასწყვიტა არ მიეყიდა, არამედ ეჩუქებია. კარგ ხანს ებრძოდა მეთოდი თავის თავს, პასუხის თქმა ეშინოდა, მაგრამ მაინც ველარ შესძლო გაწბილება და უთხრა აკანკალებულის ხმით...

—მითავაზებია თქვენთვის ეს ხატები, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ „რამდენიც შენმა პატიოსანმა გრძნობამ და სვინიდისმა გამხილოს მაგ ხატების ღირებაზედ, იმდენი უნდა დაურიგოთ ღარიბ-ღატაკებსა და ქვრივ-ობლებს და საწყლებსაო.

პერიკლემ მადლობის ნიშნად ხელზედ აკოცა მეთოდის და დაუფიცა—პატიოსანი სიტყვა მისცა, რომ პირობას არ გავტეხო.

გადმოასვენა მეთოდიმ ეს „ძვირფასი ხატები“ ადგილიდან, ემთხვია და გადასცა პერიკლეს.

III

შერაცხება.

რამოდენიმე დღის შემდეგ, მხიარული და ყველაფრით კმაყოფილი პერიკლე ამ საუცხოვო ხატებითურთ მოვიდა კონსტანტინეპოლში. პერიკლე იყო მართლმორწმუნე და კეთილი გულის კაცი. მას ძლიერ უყვარდა წმიდა ხატების პატივით შენახვა. ის ერთს დღესასწაულის დღეს არ ასცდებოდა, რომ ეკკლესიაში არ წასულიყო და წირვალოცვა არ მოესმინა. და როცა ეს ხატები აჩუქეს მას, ეხლა კიდევ უფრო მეტი სასოებით ეკიდებოდა ყველა საღმრთო წესსა და სამსახურის საქმეებს. ის ამაყობდა ამ ხატებით, რომლის უძვირფასესი თურმე არსად მოიძებნებოდა იმ დროს.

ეხლა, რაკი ეს ძვირფასი ხატები ჩაიგდო ხელში პერიკლემ ასე სასწაულებრივად, საჭირო იყო პირობაც აესრულებია, რომელიც მან ისე წრფელად და ნამდვილის—გადაწყვეტილის აზრით წარმოსთქვა მეთოდის წინაშე.

შემდეგი იქნება.



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თჳისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე

## საუბარი საიდუმლო ზიარებაზე.

საიდუმლო ზიარება არის უდიდესი ყველა საიდუმლოებზე. ეს საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ პურის და ღვინის სახით ვიღებთ თვით ხორცსა იესო ქრისტესას და ვსვამთ მის ღვთაებრივ სისხლსა. უფალმა იესო ქრისტემ დაადგინა ეს საიდუმლო თავის მაცხოვარებით ვნებათა დაწყებამდე, სახელდობრ თავის მოწაფეებთან ერთად უკანასკნელ სერობაზე. „და ვითარცა სჭამდეს იგინი“ (მოწაფენი), მოგვითხრობს მახარებელი მათე, «მოიღო იესომ პური, და მადლობდა და განტეხა, და მისცა მოწაფეთა თვისთა და რქვა მათ: მიიღეთ და ჰჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი. და მოიღო სასმელი და მადლობდა და მისცა მათ და ჰრქვა: ჰსუთ ამისგან ყოველთა-ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, მრავალთათვის დათხეული, მისატევებელად ცოდვათა» (მათე, XXVI, 26—28). როცა ეს საიდუმლო შეასრულა მაცხოვარმა, დაუმატა: «ამას ჰყოფდეთ მოსახსენებელად ჩემდა» (ლუკ. XXII, 10]. თანახმად უფლის ბრძანებისა, საიდუმლო ზიარება მოციქულებიდან დაწყებული სრულდება ქრისტიანეთა ტაძარში და განუწყვეტლივ შესრულებულ იქნება დასასრულამდე ქვეყნისა. ვინაიდგან ეს საიდუმლო ფრიად დიდმნიშვნელოვანია, იგი სრულდება წმიდა ტაძარში, ტრაპეზზე და გაშლილს ოდიკზე, მხოლოდ საღმრთო წირვის დროს. ეხლა მე თქვენ მოგითხრობთ წირვის უმთავრეს ნაწილებზე. როცა «რომელი ქერაბიმთას» საგალობელს გალობენ, მღვდელს საღმრთო ბარძიმფეშხუმით გადმოაქვს სამსხვერპლოდან წმ. ტრაპეზზე წინდაწინ მომზადებული ძღვენი, ე. ი. წმიდა, ამფუებული პური და წითელი ღვინო, რომელშიაც შერეულია წყალი. შემდეგ საღმრთო წირვა სრულდება დადგენილის წესით. აი იწყება საღმრთო საგალობელი: «შენ გიგალობთ, შენ გაკურთხევთ, შენ გმადლობთ უფალო, და გევედრებით, შენ ღმერთო ჩვენო“. აი, ძმებო, ეს წამი არის უმთავრესი ნაწილი წირვისა. ამ საგალობელის დროს მღვდელი ევედრება უფალს, რომ მან გადმოავლინოს სული წმიდა „წინადადებულ ძღვენზე“, და შემდეგ აკურთხევს მათ, წარმოსთქვამს რა: „და ჰყავ უკვე პური ესე, პატიოსან ხორც ქრისტეს შენისა, ხოლო ბარძიმსა ამას შინა პატიოსან სისხლი ქრისტეს შენისა. შესცვალე სულითა შენითა წმიდითა“.

ამ სიტყვების წარმოთქმის დროს, გარდმოვალს სული წმიდა წმიდა ძღვენსა ზედა და სწორეთ აქ სრულდება საიდუმლოება, რომლის ძალით პური და ღვინო იქცევა ჭეშმარიტ ხორცად და სისხლად უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა. ამ წამიდან პური და ღვინო კი არ აწყვია წმიდა ტრაპეზზე, არამედ ჭეშმარიტი ხორცი და ჭეშმარიტი სისხლი ქრისტესი,— სწორედ ის სხეული, რომელიც ეცვა ჯვარზე, და თვით ის სისხლი, რომელიც გოლგოთაზე უფლის ყოვლად წმიდა გვერდისაგან გადმოიღვარა. „მთელი კრება ანგელოსთა“, ამბობს წმ. იოანნე ოქროპირი, «დიდის ხმობით იკრიბება, და ტრაპეზის გარს დგებიან სადიდებლად ტრაპეზზე მდებარისა». ჩვენ ცოდვილნი ვერ შემძლებელ ვართ ვიხილოთ ეს ზეციური დიდება, რომლითაც ივსება ამ დროს წმიდა ტაძარი, აგრეთვე არ შეგვიძლია ვიხილოთ თვით ეს საიდუმლოება ნამდვილი სახით. მაგრამ თავის ყოვლად ბრძნული ნება-მყოფლობით, უფალმა ღირს ჰყო მრავალნი პირნი ხილვად ამ საიდუმლოებისა. მრავალი მაგალითებიდან მე თქვენ დაგისახელებთ ზოგიერთებს. ერთხელ წმიდა გრიგოლ ორმეტყველს ერთმა გამოჩენილმა ქალმა მოუტანა სეფისკვრები წირვისათვის, რომელსაც თვითონ ეს წმიდა მამა ასრულებდა. და აი, როცა წმ. გრიგორი აზიარებდა ხალხს, ეს ქალიც მივიდა საზიარებლად, მაგრამ როცა გაიგონა სიტყვები: «გეძლევის ცხოველსმყოფელი ხორცი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“, ქალმა გაიცინა. წმიდა მამა შეჩერდა და ჰკითხა, თუ რაისათვის გაიცინა მან. ქალმა მიუგო: «ჩემთვის სწორედ გასაკვირველია, მეუფეო, ის, რომ პურს, რომელიც მე თვითონ გავაკეთე, და გამოვაცხვე, შენ

უწოდებ იესო ქრისტეს ხორცს". წმიდა მამა, რომელმანც დაინახა ამ ქალის ურწმუნოებ-, შეევედრა უფალს, და უეცრად პური შეიქმნა ნამდვილ კაცის ხორცად. როგორც იმ ქალმა ისე სხვებმაც, რომელნიც ტაძარში იყვნენ, ამ წმიდა მამის ხელში იხილეს სისხლიანი კაცის სხეული და ადიდეს ქრისტე ღმერთი. წმიდა მამის ვედრებით კაცის სისხლიანი სხეული ხელახლად გადიქცა პურად, და მაშინ კი ამ ქალმა დიდის მოწიწებით და სარწმუნოებით მიიღო წმიდა ნაწილნი. აი კიდევ ამგვარივე მაგალითი. ერთხელ, როცა წმ. ვასილი დიდი ასრულებდა წირვას, ერთი ურია მორწმუნეებთან ერთად შევიდა რა ტაძარში, დაინახა წმიდა ვასილი დიდი, რომელსაც ხელში ეპირა ბავში და ანაწილებდა. როცა მორწმუნეთა იწყეს ზიარება, ურიაც მივიდა. მიიღო რა ხელში ნაწილი წმიდა მსხვერპლისა, დაინახა, რომ მის ხელში ნამდვილი ხორცია, შემდეგ მივიდა ბარძიმთან, რომელშიაც აგრეთვე იყო ჭეშმარიტი სისხლი. ამ სასწაულმა ისე გააოცა ებრაელი, რომ მან აღიარა ქრისტე და მეორე დღესვე მიიღო წმიდა ბასილისაგან ნათლისღება. ეხლა მოისმინეთ, თუ რა საოცრება იხილა ღირსმა ნიფონტმა. ერთხელ იგი მივიდა ტაძარში წირვის მოსასმენად, იმან იხილა ცეცხლი, რომელიც გადმოვიდა ზეცით და რომელმაც დაჰფარა საკურთხეველი და თვითონ მღვდელმთავარიც; «წმიდა არს, წმიდა არს»-ის გალობის დროს გამოცხადდა ოთხი ანგელოსი და მგალობლებთან ერთად მათთაკ იწყეს გალობა; სამოციქულოს კითხვის დროს, გამოჩნდა წმიდა მოციქული პავლე, რომელიც სდგა უკან და ყურს უგდებდა მკითხველს. სახარების კითხვის დროს, როგორც ლამპარნი, ანგელოსნი ადიოდენ ცაზე, ხოლო წმიდა ნაწილების გადმოსვენების დროს გაიხსნა ეკკლესიის თაღი, გაიხსნა ცა, გადმოვიდნენ ანგელოსები, რომელნიც გალობდენ: «დიდება ქრისტე ღმერთსა», თან მოჰყავდათ შვენიერი ყრმა, და როცა ის ფეშხუმზე დასვეს, თვითონ გარს შემოეხვივნენ ტრაპეზს. როცა მოაწია წმიდა ნაწილების კურთხევის და საიდუმლოს შესრულების დრომ, წინ წარსდგა ერთი ანგელოზთაგანი, აიღო დანა, დაჰკლა ყრმა, და ჩაასხა წმიდა სისხლი ბარძიმში; შემდეგ დაასვენა ყრმა ფეშხუმზე და თვითონ ხელახლად ანგელოზების რიგში ჩადგა დიდის მოწიწებით. შემდეგ, ზიარების დროს ამ ნეტარმა მამამ იხილა, რომ მაზიარებლებში ზოგს პირის სახე გაბრწყინვებული ჰქონდა, ხოლო ზოგს ბნელი და დაღვრემილი, როგორც არაბებს. იქ მდგომარე ანგელოსები თვალს ადევნებდენ, თუ ვინ როგორ მიდიოდა საზიარებლად, და ღირსეულად მაზიარებელთ გვირგვინს ადგამდენ, ხოლო უღირსნი ეზიზღებოდათ და ერიდებოდენ. წირვის გათავების შემდეგ წმიდა ნიფონტმა ყრმა ხელახლად უვნებელი იხილა ანგელოზების ხელზე, რომელთაც იგი მიჰყავდათ ცაზე.

აი, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, ასეთი დიდი საიდუმლო სრულდება საღმრთო წირვის დროს! იყავით კრძალულებით მთელი ამ მსახურების დროს, ვინაიდგან თქვენ იმყოფებით ტაძარში თვით უფალთან ერთად და ანგელოსების კრებასთან. დიდის პატივით მოეპყარით ამ ღვთის მსახურებას და ეცადეთ, რომ თითოეულ მასზე დაესწროთ. მართალია, თქვენ წირვის დროს ქვეყანაზე ხართ, მაგრამ ამავე დროს თქვენ, თითქო, ზეციურ სასუფეველში იმყოფებით, წადით წმიდა ტაძარში, მაგრამ ამავე დროს იყავით წმიდანი სულით და სხეულით, ვინაიდგან თქვენ მიდიხართ უფალთან და წმინდა ანველოსების საზოგადოებაში. როცა დრო არ გექნესთ, რომ წირვაზე მიხვიდეთ, მაშინ სახლში ანუ სადაც კი იმყოფებოდეთ, აღავლინეთ უფლისადმი მხურვალე ლოცვა: „მომიხსენე მე, უფალო, სასუფეველსა შენსა!» და ეცადეთ, რომ მთელი ღვთის-მსახურების დრო გაატაროთ შიშით და ძრწოლით, როგორათაც თვით წმ. ანგელოსები დგანან ყოველთვის უფლის წინაშე.

ეხლა თქვენ უწყით, რომ მაცხოვარმა ჩვენმა, პირველად თვითონ შეასრულა საიდუმლო ზიარება და გადასცა თავის მოწაფეებს პურის და ღვინის სახით ჭეშმარიტი თვისი ხორცი და ჭეშმარიტი სისხლი და უბრძანა მათ: «ამას ყოფდეთ მოსახსენებლად ჩემდა"-ო (ლუკ. XXII 19). და დღეს ჩვენს წმ. ტაძარში ყოველ დღე იწირება უსისხლო მსხვერპლი, ყოველ დღე საიდუმლოდ საეკკლესიო საკურთხეველზე დაიკვლის ტარიგი მოსახსენებლად უფლის ვნებათა და სიკვდილისა ჩვენ ცოდვილთათვის, სამადლობელად წყევისა და სიკვდილისაგან ხსნისა, რათა შეიწყალოს უფალმა ცოდვანი ყველა ხალხთა — ცოცხალთა და გარდაცვალებულთა. რა გამოუთქმელი ღვთის სიყვარულია ჩვენ ცოდვილთათვის, და როგორი მაცხოვნებელია ჩვენთვის ეს უდიდესი საიდუმლო ზიარებისა! იგი სრულიად გვწმედს ჩვენ

ცოდვებისაგან და გვყოფს წმიდა ადამიანად: „მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი, მოსატევებელად ცოდვათა“, ამბობს მაცხოვარი: „მხოლოდ სისხლი იესო ქრისტესი, ძისა ღვთისა განგვწმედს ჩვენ ყოვლისაგან ცოდვისა“ (ა იოან. 1, 7), გვასწავებს იოანნე ღვთის მეტყველი. იგი ჰკურნებს ჩვენს სულს ყოველივე უძლურებისაგან, ამაგრებს და ჰკურნებს ჩვენს სულს სენთაგან, ვინაიდგან ქრისტეს ხორცისა და სისხლის მოზიარეს ისე გაურბის ყოველი ეშმაკი, როგორც ცეცხლს, მასში იმკვიდრებს ღვთის მადლი, რომელიც სწმედს სულს ყოველივე შეცოდებისაგან, სწმედს გულის თქმათა; ყოველივეს ბანს და ამშვენებს». საიდუმლო ზიარება გვაერთებს ჩვენ ქრისტესთან, ვინაიდგან თვით ქრისტე იტყვის: «და რომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ არს, და მე მისთანა“ (იოან. 6. 56). იესო ქრისტესთან შეერთება იმდენად დიდი ნეტარებაა, რომ ამის გამოთქმა კაცის ენას არ შეუძლია! საიდუმლო ზიარება ნამდვილი წინდია ჩვენი მომავალი მკვდრეთით აღდგომისა და საუკუნო ნეტარი ცხოვრებისა: «ხოლო რომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო; და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა» (იოან. VI. 54). უკეთუ არა სჭამოთ ხორცი ძისა კაცისა და ჰსვათ სისხლი მისი, არა გაქუნდეთ ცხოვრება თავითა შორის თქვენთა» (იოან. VI 53). ყველა ეს სიტყვები წარმოთქმულია თვით იესო ქრისტესაგან.

აი როგორ საჭიროა და მაცხოვნებელი ჩვენთვის დიდი საიდუმლო წმ ზიარებისა. პირველი საუკუნოების კეთილ-მორწმუნე ქრისტიანებს სისრულით ესმოდათ ამ საიდუმლოს სიდიადე და ამიტომ ყოველ კვირა-უქმე დღეს ზიარობდენ. რატომ ჩვენც არ ვბაძავთ ამ საქმეში ძველ ძრისტიანებს? თუ ეს შეუძლებელია, მაშინ წმ. ეკკლესიისაგან დადგენილ ოთხი მარხვის დროს მაინც რატომ არ ვზიარობთ ყოველ წელს? ესეც თუ არ შეგიძლიათ, მაშინ დიდ მარხვაში მაინც რატომ ყველანი არ ზიარობთ, რომ შეუერთდეთ ქრისტეს? რატომ არ ცდილობთ და დროით არ უწოდებთ მღვდელთ თქვენი ავათ-მყოფების საზიარებლად და რატომ შვრებით, რომ მრავალნი უზიარებელნი კვდებიან? ამის მიზეზი არის თქვენი დაუდევნელობა თქვენი სულის შესახებ. თვით ქრისტე მოდის თქვენთან და თქვენ კი გაურბით მას. გევედრებით, ძმანნო ჩემნო: რაც შეიძლება ხშირად ეზიარენით; ხშირად აზიარეთ ხოლმე თქვენი შვილებიც: წმ. საიდუმლონი ამაგრებს მათ ტანის სიმრთელეს, აძლიერებს მათ სულსა და გონებას. აგრეთვე დროით აზიარეთ ხოლმე თქვენი ავადმყოფებიც: მღვდელს სიკვდილი კი არ მოაქვს ავადმყოფთან, არამედ კურნება სულისა და ხორცისა,—საუკუნო ცხოვრება.

ფრიად დიდია, ძმანნო, საიდუმლო ზიარება; ამიტომ საზიარებელი პირი ღირსეულად უნდა იქნეს მომზადებული, თორემ წმ. ზიარება ნაცვლად ცოდვების მიტევებისა და ქრისტესთან შეერთებისა მოგვანიჭებს ჩვენ განსჯასა, ღვთის რისხვას: «ხოლო რომელი არა ღირსად ჰჭამდეს და სმიდეს, დასასჯელად თავისა თვისისა ჰჭამს და სვამს, რამეთუ არა გამოიკითხნა ხორცნი უფლისანი“, ამბობს მოციქული (ა კორინთ. 11, 29). ზემოთ გითხარით, რომ ღირსმა ნიფონტმა შენიშნა, რომ ზოგ მაზიარებელთ სახე გაბრწყინებული. ჰქონდათ, როგორც მზე, ხოლო ზოგს შავი, როგორც არაბებს, და ამ უკანასკნელთ წმ. ანგელოსები ერიდებოდენ. ღირს ექვთიმე დიდს აქვნდა ნიჭი შორ მხედველობისა, და როდესაც მონასტრის ძმანი ზიარობდენ, ზოგ მათგანს გაბრწყინვებულს ხედავდა, ხოლო ზოგს პირის სახე მკვდრის სახეს მიუგავდა, ეს ისინი იყვნენ, რომელნიც უღირსად იღებდენ ზიარებას.

წმიდა ეკკლესია ხელს გვიწყობს ჩვენ, რათა ღირსეულად მივიღოთ ხორცი და სისხლი ქრისტესი! რომ ზიარებისათვის ღირსეულად მოვემზადოთ.

---

## შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ ჟურნალში დასაბეჭდათ შემდეგი წერილები ეკკლესიის სასარგებლოდ შეწირულებათა გამოსაცხადებლად:

მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემულის გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ქვემოთ აღნიშნულ პირთ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულს ცხენთაროის წმ. გიორგის

ეკკლესიას შემოსწირეს შემდეგი ნივთები ა) ქიათურის რკინის გზის ლიანდაგზედ მოსამსახურე, გზის მმართველმა მელიტონ იოსების ძე მშვენიერაძემ გარდამოხსნა თავისი კუბოთი, ღირებული სამოცდა ექვსი მანეთისა, სამღვდელო შესამოსელი კარგის ფარჩისა, ღირებული ოც-და-თერთმეტი მანეთის და ათი შაურისა, ბაირაღები, ღირებული ოცდა ორი მანეთისა, დიდი შანდალი, ღირებული ჩვიდმეტი მანეთისა და დაფარნები, ღირებული ხუთი მანეთისა. ბ) საპოჟნიკმა თემურაზ მოდებაძემ.—კანდელი, ღირებული ოც მანეთად, ერთი შკაფი და საწიგნე, ღირებულნი თექვსმეტი მანეთისა და ზადიკი, ღირებული რვა მანეთისა.

სოფ. ცხენ. წმ. გ. ეკ. მღ. მიხაილ ცხადაძე.

---

მ. რ უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის საშვალებით მადლობა გამოუცხადო რწმუნებულს ჩემდა სავანის მღვდელ-მონაზონს ფილიმონს, რომელმაც საკუთარის შრომითა და საფასით შესძინა მონასტერს იოანნე ნათლისმცემლისას ერთი სახლი, ღირებული ოც-და-ათ თუმნად, ქვის სამრეკლო, ღირებული სამოც მანეთად და შესწირა მონასტრის ეკკლესიას ჯვარი და სანაწილე წმიდა ვერცხლისა, ღირებული ორმოცდა ათ მანეთად. ვისურვებთ, რომ სხვებსაც მიებაძოს ხსენებული მღვდელ-მონაზვნის კეთილი მაგალითისათვის.

წინამძ. ამაღ. იოანნე ნათ. მც. მონასტ. გერასიმე.

---

მ. რ. ნება მიბოძეთ, რომ თქვენის პატივცემულის გამოცემის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო აზ. ნინა თურქიასა ქორთუას ასულს და ბიჭია ბურდღუს ძე კორდუას, რომელთაგან პირველმა შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო აბასთუმანის წმ. თეოდორე ტირონის ეკკლესიას ერთი წყვილი მაუდზედ დახატული ბაირაღი, ღირებული ოცდა ათი მანეთისა, ხოლო მეორემ კიდევ ბაირაღი ტილოზედ დახატული, ღირებული ოცი მანეთისა.

მღ. დიონოზ კუტალია.

---

## მიიღება ხელის-მოწერა 1898 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემაზედ ქართულს

# „მწყემს“-ზე

## და

## რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

## ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2 მ. |
| — „ რუსული „ 3 მ. | — „ რუსული „ 2 » |
| — „ ორივე გამოცემა 5 » | — „ ორივე გამოცემა 3 » |

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ქვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუიჟაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან, ახალსენაკში—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირიდონ აბაკელიასთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ქვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მომავალი წლის ხელის მომწერთათვის დანიშნულია საჩუქრად წიგნი საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი, ლექსად დაბეჭდილი უცნობი ავტორისა, რომელსაც ხელის მომწერნი მიიღებენ 1898 წ. დეკემბრის თვეში.

Редакторъ-издатель П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Тифлисъ 14 февраля* 1898 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.

№ 5—6 1883—1898 20 მარტი

# მწყემსი

ოფიციალური განყოფილება.

## სახელობითი უმაღლესი უკაზი უწმ. უმართებულესის სინოდისადმი.

I.

წევრს უწმ. სინოდისას, ექსარხოსს საქართველოისას, მთავარ-ეპისკოპოსს ქართლისას და კახეთისას ვლადიმერს—ყოვლად უმოწყალესად ვუბრძანებთ მოსკოვისა და კოლომენის მიტროპოლიტად ყოფნას, წმ. სამების სერგიევის ლავრის სამღვდელო არქიმანდრიტად.

II.

მთავარ ეპისკოპოსს ხოლმსკისა და ვარშავისას ფლავიანეს—ყოვლად უმოწყ ლესად ვუბრძანებთ ქართლისა და კახეთის მთავარ ეპისკოპოსად ყოფნას უწმ. სინოდის წევრის და საქართველოს ექსარხოსის სახელწოდებით.

ნამდვილზე მისის იმპერატორებითის უმაღლესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზი“

ს.-პეტერბურგში,
21 თებერვალს 1898 წ.

---

## უმაღლესი რესკრიპტები.

I.

მიცემული ყოვლად სამღვდელო ვლადიმერის მოსკოვისა და კოლომენის მიტროპოლიტის სახელობაზე.

ყოვლად უსამღვდელოესო მოსკოვის მიტროპოლიტო ვლადიმერ.

ღმერთს ენება მიწოდებად, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ნეტარ ხსენებულის მოსკოვის მიტროპოლიტის სერგისა. ჩემს პირდაპირ მოვალეობად ვრაცხ პირველ სატახტო ქალაქ მოსკოვის სამღვდელ-მთავრო კათედრაზე მღვდელ-მთავრის ამორჩევას, რომელიც ღირსეულად აღასრულებს ამ დიდ სამსახურს, მე საკეთილოდ დავინახე ჩაგაბაროთ თქვენ მოსკოვის ეპარქიის მართვა-გამგეობა, თქვენი მიტროპოლიტის ხარისხზე აყვანით. სიყვარული სამწყსოთა, რომელიც თქვენ დაიმსახურეთ სამარის ეპარქიაში და საქართველოს საექსარხოსოში, მოწმობს თქვენი მწყემს-მთავრულ გულს მოდგინებას საკეთილოდ თქვენდამი რწმუნებული სამწყსოისა და მაიმედებს, რომ თქვენ სისრულით გამოიჩენთ მღვდელმთავრულ ნიჭთა მოსკოვის ეპარქიის ბრძნული მართვა-გამგეობით და დაუცხრომელი მზრუნველობით, რათა ქრისტიანულად გაანათლოთ სამწყსონი, ვანამტკიცოთ მათში წმ. სარწმუნოება და ლოცვა საეკკლესიო წესდებისა და ღვთის-მსახურების გამშვენებისა, ამასთან ვიმედოვნებ, რომ თქვენ განსაკუთრებითი მეცადინეობას იხმართ საეკკლესიო სკოლების წარსამატებლად და თავს გამოიჩენთ, როგორც გამოცდილი ხელმძღვანელი სასულიერო სასწავლებლებისა, რომ შესაფერად აღზარდოთ და მოამზადოთ მწყემსური სამსახურისათვის მოსწავლენი. ვევედრები ყოვლად მოწყალე უფალს, რათა შემწედ გეყოსთ თქვენ თქვენს მომავალ მწყემს-მთავრულ მოღვაწეობაში და დააგვირგვინოს თქვენი მოღვაწეობა წარმატებით სასარგებლოდ წმ. ეკკლესიისა და საყვარელი სამშობლოისა.

წარმოვაგზავნი რა თქვენდამი თეთრ ბარტყულას და ვაბარებ რა ჩემს თავს თქვენს ლოცვას, დავშთები თქვენდამი კეთილ მსურველი.

## II.

მიცემული საქართველოს ექსარხოსის, ყოვლად უსამღვდელოესობის ფლავიანის, ქართლისა და კახეთის მთავარ-ეპისკოპოსის სახელობაზე.

ყოვლად უსამღვდელოესო საქართველოს ექსარხოსო, მთავარ ეპისკოპოსო ქართლისა და კახეთისავ ფლავიანე.

საკეთილოდ დავინახე დამენიშნეთ თქვენ საქართველოს ექსარხოსად უწმიდესის სინოდის წევრის სახელ წოდებით, და მსურს რა აღმოგიჩინოთ თქვენ ნიშანი ჩვენი თქვენდამი განსაკუთრებული ყურადღებისა თქვენ მიერ ჩადენილ სამისიონერო შრომათათვის ჩინეთში, აგრეთვე მრავალ საძნელო და მრავალ სასარგებლო სამსახურისათვის ხოლმო-ვარშავის ეპარქიაში, ყოვლად უმოწყალესად გიბოძებთ თქვენ, ამასთან წარმოგზავნილ ბრილიანტის ჯვარს, ბარტყულაზე სატარებლად. იმედი გვაქვს, რომ თქვენ თქვენი ახალი სამსახურის ადგილშიაც გამოიჩენთ თქვენს გულს-მოდგინე მღვდელ-მთავრულ მზრუნველობას, რათა სამწყსომ შეიგნოს ქრისტეს სარწმუნოების ჭეშმარიტებანი, რათა წარმატებულ იქნენ სასულიერო სასწავლებლები და საეკკლესიო სკოლები და დაიცავთ სალმთო-საეკკლესიო ძველ ნაშთებს საქართველოისას,

ვაბარებ რა ჩემს თავს თქვენ ლოცვა-კურთხევას, დავშთები თქვენდამი კეთილ-მსურველი.

ნამდვილზე მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

**«ნიკოლოზი»**

ს.-პეტერბურგში,
21 თებერვალს, 1898 წ.

---

## განჩინება უწმიდესი სინოდისა 19—31 აგვისტოდან 1891 წ. № 2134 იმ კითხვის შესახებ, თუ ვისზე და რა წესით უნდა იქნენ დამტკიცებულნი უძრავი მამულები, რომელთაც საეკკლესიო-სამრევლო სკოლების სასარგებლოთ სწირავენ.

მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის უქაზისამებრ, უწმიდესმა უმართებელესმა სინოდმა მოისმინა წარდგენა უწმ. სინოდთან არსებული სამასწავლებლო რჩევის თავმჯდომარისა, 28 იანვრიდან 1892 წ. № 157, ამავე რჩევის ჟურნალთან ერთად იმ კითხვის შესახებ, თუ ვისზე და რა წესით უნდა დამტკიცდეს უძრავი მამულები, რომელთაც სწირავენ ეპარქიის ერთ რომელიმე ან ყველა საეკკლესიო-სამრევლო სკოლების სასარგებლოდ, და ჯეროვანი გამოკითხვის მოხდენისა, ბრძანეს: სამასწავლებლო რჩევის ჟურნალიდგან სჩანს, რომ ეპარქიალური სამასწავლებლო რჩევის ერთი თავმჯდომარე, რომელსაც შეხვედრია დაბრკოლება განსაზღრული კანონმდებლობის უმექონებლობისა გამო, თუ ვისზე და ან რა წესით უნდა დამტკიცებულ იქნეს უძრავი მამულები, რომელთაც სწირავენ ეპარქიის ერთი რომელიმე ან ყველა საეკკლესიო-სამრევლო სკოლების სასარგებლოდ, მიიქცა უწმიდეს სინოდთან არსებულ სამასწავლებლო რჩევაში თხოვნით, რომ ხსენებულ დაწესებულებას განემარტებია შემდეგი კითხვები: 1, ვისზე უნდა იქნეს დამტკიცებული უძრავი მამული, შეწირული რომელიმე სკოლის სასარგებლოდ, 2, ვისზე უნდა იქნეს დამტკიცებული უძრავი მამული, შეწირული ეპარქიის ყველა სკოლების სასარგებლოდ და 3, რა წესით უნდა შესრულდეს ასეთი მამულების დამტკიცება. ამ აღძრული კითხვების გარდასაწყვეტად უწ. სინოდთან არსებული სამასწავლებლო რჩევას დადგენილი აქვს შემდეგი: 1, უძრავი მამულები, რომელთაც სწირავენ ეპარქიის ერთი რომელიმე საეკკლესიო-სამრევლო სკოლის სასარგებლოდ, უნდა დამტკიცებულ იქნენ იმ სამრევლო ეკკლესიის სახელობაზე, რომელ სამრევლოშიაც არის საეკკლესიო-სამრევლო სკოლა (წეს. სასულ. კონსის. გამ. 1883 წ. მუხ. 14); 2, უძრავი მამულები, რომელთაც სწირვენ მთელი ეპარქიის საეკკლესიო-სამრეველო სკოლების სასარგებლოდ,

ანუ ერთი მაზრის, ანუ ეპარქიალური სამასწავლებლო რჩევის და მისი სამაზრო განყოფილებათა განკარგულებაში და გარკვევით არ არის ნაჩვენები ის სკოლები, რომელთა სასარგებლოდ სწირავენ უძრავ მამულს, ასეთი მამულები დამტკიცებულ უნდა იქმნეს ეპარქიის უფროსის სახელობაზე (ტომი X ნაწ. 1. მუხ. 698, პარ. 5) და გარკვევით უნდა იქნეს ნაჩვენები, რომ ხსენებული მამული ინიშნება საეკკლესიო-სამრევლო სკოლების სასარგებლოდ და 3) სა... ის წარმოება და შუამავლობა სამსაჯულოებში იმ მამულების დამტკიცების შესახებ, რომელთაც სწირავენ საეკკლესიო-სამრევლო სკოლებს, ვალად ედგინება, საზოგადო დადგენილობით, ადგილობით სასულიერო კონსისტორიას, სადაც ეპარქიალური სამოსწავლებლო რჩევამ უნდა წარადგინოს ყველა საჭირო საბუთები, რომელნიც საჭირონი არიან უძრავი მამულების დასამტკიცებლად. ვსცანით რა, რომ აღძრული კითხვების ასეთი განმარტება ეთანხმება კანონს (მუხ. 698. ტ. X, ნაწ. 1 სამოქ. კანონისა, გამოც. 1887 წ.), რომლის ძალით სასულიერო უწყებაში უძრავი მამულების შეძენა შეუძლიათ ეკკლესიებს, მონასტრებს, მღვდელ-მთავრის სასახლეებს და ეპარქიალურ მთავრობათა, უწმიდესი სინოდი ადგენს: ვინაიდგან სინოდს მოსწონს უწმ. სინოდთან არსებული სამოსწავლებლო რჩევის ზემოთ აღნიშნული განმარტებანი აღძრულ კითხვების შესახებ, თუ როგორ იქნენ დამტკიცებული უძრავი მამულები, რომელთაც საეკკლესიო-სამრევლო სკოლების სასარგებლოდ სწირვენ, გამოცხადებულ იქნეს, «საეკკლესიო უწყებებში» დაბეჭვდით, სასულიერო უწყების საცნობელად და საჭირო შემთხვევაში სახელმძღვანელოდ და ამას დაემატოს ისიც, რომ როცა ადგილობითი ეპარქიის უფროსი შუამდგომლობს, რომ უძრავი მამულები, რომელთაც სწირვენ საეკკლესიო-სამრევლო სკოლების სასარგებლოდ, იქნენ მიღებულ დ დამტკიცებულ, შუამავლობასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნენ საბუთებიც, რომელნიც ითხოვებიან მე-X ტომის, ნაწ. 1. სამოქალაქ. კანონისა, გამოც. 1887 ი. და უწმ. სინოდის მიერ გამოცემული განმარტებით 31 ივლისიდან 1843 წლისა და მასთან დაცული უნდა იქნეს ყველა ის წესები, რომლის დაცვას გვიწერს ზემოთ აღნიშნული კანონი, რომ შესაწირავ მამულზე არ იყოს საჩრიელები, დავა და მამულის შეკვრა (запрещеніе). სასულიერო კონსისტორიებმა უნდა იხელმძღვანელონ უმართებულესი სენატის საკასაციო დეპარტამენტების საზოგადო კრებათა დადგენილობით, 14 სექტემბრიდან 1877 წ., რომელიც გამოცხადებულია სასულიერო უწყების საყურადღებოდ «საეკკლესიო მახარებელში“ 1878 წ. № 26.

---

### რა არის საჭირო, რომ შინაური ანდერძები კანონიერად იქნენ შედგენილნი.

მინსკის ოლქის სამსაჯულოს თავმჯდომარის ამხანაგმა ვ. ლ. ისაჩენკომ 5 სექტემბერს 1890 წ. № 15,868 მოხსენება მიართვა მინსკის და ტუროვის ყოვლად სამღვდელო სიმეონს. აი რა იყო ნათქვამი ამ მოხსენებაში:

«ოლქის სამსაჯულოს სამოქალაქო განყოფილებაში ჩემი თავმჯდომარეობის დროს მე ძლიერ ხშირად შემხვედრია ანდერძები, რომელნიც წერა-კითხვის უცოდინარ მკვიდრთა თხოვნით შედგენილნი იყვნენ ადგილობითი მღვდლებისაგან, რომელთაც საკმაოდ არ იციან კანონის ის მოთხოვნილებანი, რომელთა დაცვა საჭიროა, რომ ანდერძი კანონიერი იქნეს. ამის გამო მრავალი ანდერძები, რომელნიც სამღვდელოებისაგან არის შესრულებული, დაუმტკიცებელი რჩება და გარდაცვალებულის სურვილი სისრულეშა არ მოდის.

მთელი გუბერნიის მართლ-მადიდებელ მკვიდრთ, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან, უმეტეს შემთხვევაში სხვა გზა არა აქვსთ, გარდა იმისა, რომ ამისთანა შემთხვევაში მიმართონ თავიანთ სულიერ მამებს თხოვნით შეუდგინონ მათ ანდერძი; ამიტომ საჭიროა, რომ სამღვდელოებამ უფრო კარგად შეიგნოს ის წესები და კანონები, რომელნიც საჭირონი არიან ანდერძების შედგენის დროს. და ამით სამღვდელოება დიდ სარგებლობას მოუტანს წერა-კითხვის უცოდინართა.

ამიტომ მე ვბედავ უმორჩილესად ვსთხოვო თქვენს მეუფებას მოახდინოთ განკარგულება, რომ «ეპარქიალურ უწყებებში“ დაიბეჭდოს ამასთანავე წარმოდგენილი დარიგებანი, თუ როგორ უნდა შედგეს შინაური ანდერძები».

ოლქის სამსაჯულოს თავმჯდომარის ამ მოხსენებაზე ადგილობითი მღვდელ-მთავარმა დააწერა შემდეგი რეზოლიუცია: „6 ოქტომბერს № 4218

კანსისტორიაში. ამ მოხსენების პირი და მასთან წარმოდგენილი განმარტებანი გაიგზავნოს „მინსკის ეპარქიალურ უწყებების“ რედაქციაში დასაბეჭდად და საჭირო შემთხვევაში მინსკის სამღვდელოების სახელმძღვანელოდ. «ასეთი ჩემი განკარგულება მოხსენდეს მინსკის ოლქის სამსაჯულოს თავმჯდომარის ამხანაგს ჩემი სახელით და მადლობის გამოცხადებით იმ განმარტებათათვის, თუ როგორ უნდა შეადგინოს სამღვდელოებამ საჭირო შემთხვევაში სასულიერო ანდერძი».

### როგორ უნდა დგებოდეს სასულიერო ანდერძები.

1, სასულიერო ანდერძი უნდა იყოს შედგენილი მარტო ერთი პირის სახელობით.

2, ყოველივე სასულიერო ანდერძი უნდა დაიწეროს ქაღალდის მთელ ფურცელზე

3, თუ მოანდერძემ წერა-კითხვა იცის და თავისი ხელით წერს მთელ ანდერძს, რომ ასეთი ანდერძი კანონიერად იქნეს ცნობილი, საჭიროა, რომ თვითონ მანვე მოაწეროს ხელი და სამმა მოწამემ „უსათუოდ წერა-კითხვის მცოდნეთ“.

4, თუ მოწმად სულიერი მამაა მოანდერძისა, მაშინ საკმაოა ორი მოწამეც, მაგრამ მღვდელმა უსათუოდ უნდა დააწეროს: «სულიერი მამა მოანდერძისა, მღვდელი ამა და ამ ეკკლესიისა, ესე და ეს».

5, თუ თვითონ მოანდერძეს ავადმყოფობისა, ანუ სხვა რაიმე მიზეზისა გამო, მთლად არ შეუძლია ანდერძის დაწერა, და ხელის მოწერა კი შეუძლია, მაშინ გარდა თავისი საკუთარი ხელის მოწერისა და მოწმების იმავე რიცხვის ხელის მოწერისა (ე. ი. სამი ანუ ორისა, თუ ერთად სულიერი მამაა მოანდერძისა), ხელი უნდა მოაწეროს იმან, ვინც დასწერა ანდერძი და განმარტებული უნდა იყოს: ანდერძი ამა და ამ პირის თხოვნით და სიტყვით დავსწერე ანუ გადავწერე ამა და ამან.

6. თუ მოანდერძეს არ შეუძლია თავისი საკუთარი ხელის მოწერა, მაშინ ანდერძის სინამდვილისათვის საჭიროა ხელის მოწერა იმის, ვისაც მოანდერძემ მიანდო თავის მაგიერ ხელის მოწერა და განმარტებული უნდა იქნეს, თუ რატომ არ შეეძლო მოანდერძეს ხელის მოწერა — «ამა და ამ პირის უწერილობისა ანუ ავადმყოფობისა გამო»; ბ) გადამწერის — ეს ანდერძი ამა და ამ პირის თხოვნით და სიტყვით და გ) სამი ანუ ორი მოწმისა, როგორც ზემოთ არის ნათქვამი.

7, არას შემთხვევაში არ შეიძლება წერა-კითხვის უცოდინარე მოწმის მიღება.

8, არ შეიძლება, რომ ერთმა და იგივე პირმა ანდერძიც გადასწეროს და მოანდერძის მაგიერათაც ხელი მოაწეროს, ანუ მოწმათ იქნეს, აგრეთვე მოანდერძის მაგიერ ხელის მომწერს ნება არა აქვს მოწმეთაც მოაწეროს ხელი. სავალდებულოა, რომ თითოეული აღნიშნული მონაწილე უნდა იქნეს სხვა პირი და უსათუოდ წერა-კითხვის მცოდნე, რომ თავის ხელის მოწერით დაამოწმოს ანდერძის სინამდვილე.

9, ყოველ ანდერძს ძალა ეძლევა მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარდგინდება ოლქის სამსაჯულოში ერთი წლის განმავლობაში მოანდერძის გადაცვალების დღიდგან.

10, ანდერძი წარდგენილ უნდა იქნეს ოლქის სამსაჯულოში თხოვნასთან ერთად, რომელზედაც უნდა ეკრას ოთხაბაზიანი მარკა.

11, თხოვნაში ნაჩვენები უნდა იყვეს საცხოვრებელი ადგილი როგორც მისი, ვინც ადგენს ანდერძს, ისე ყველა იმ პირთა, რომელნიც ხელს აწერენ ანდერძზე, ე. ი. გადამწერის, ხელის მომწერის და მოწმეებისა; ამასთანავე წარდგენილ უნდა იქნეს: მეტრიკული ამოწერილობა მოანდერძის გარდაცვალებაზე (საკმაოა მღვდლის მოწმობაც, რომ მოანდერძე გარდაიცვალა ამა და ამ დროს, თუ მოწმობაზე დასმული იქნება საეკკლესიო ბეჭედი და ოთხაბაზიანი მარკა).

12, კათოლიკე აღსარების პირთა სასარგებლოდ არ შეიძლება ანდერძით დატოვებულ იქნეს უძრავი მამულები გარეშე ქალაქების და დაბებისა იმაზე მეტი, რისიც მიღება კანონით შეუძლიათ მემკვიდრეთა მიერ აღნიშნულ კანონიერ მემკვიდრეებს; ხოლო მოანდერძის გარეშე პირთ კათოლიკის აღსარებისას სრულებით უფლება არა აქვსთ მონაწილეობა მიიღონ უძრავ მამულებში, რომელნიც ქალაქების და დაბების გარეშე მდებარეობენ.

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თეის დაჰსდეის ცხოვართათეის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული, ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათეის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 5—6 1883—1898 1—30 მარტი

**შ ი ნ ა ა რ ს ი: ოფიციალური განყოფილება:** უმაღლესი სახელობითი უქაზები უწ. მმართველის სინოდისადმი.—უმაღლესი რესკრიპტები. - განჩინება უწმ. სინოდისა 19—31 აგვისტოდან 1891 წ. № 2134 იმ კითხვის შესახებ, თუ ვისზე და რა წესით უნდა იქმნენ დამტკიცებულნი უძრავი მამულები, რომელთაც საეკკლესიო სამრევლო სკოლების სასარგებლოთ სწირავენ.—როგორ უნდა სრულდებოდეს სასულიერო ანდერძები.

**სალიტერატურო განყოფილება:** ახალი ექსარხოსი საქართველოისა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ფლავიანე და მოკლე ისტორიული მოთხრობა საზოგადოთ საქართველოს ექსარხოსებზე 1811 წლიდან დღემდის.—როდის შევიგნებთ რამეს?—მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი სერგი, მიტროპოლიტი მოსკოვისა და კოლომენისა.—რომელი საქმე უნდა ითავოს ყოველთ უწინარეს ქართველობამ მეფე ერეკლე მეორის სახსოვრად?—ძვირფასი ხატები (ბერძნული ამბავიდან). ბზობა (ლექსი)—სერობა, ლექსი.—ცოდვა, ლექსი.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე:** საუბარი ბზობის კვირიაკეზე.

**საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება:** საეჭვო კითხვების განმარტება. — რედაქციის პასუხი



ახალი ექსარხოსი საქართველოისა მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი ფლავიანე.

## ახალი ექსარხოსი საქართველოისა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ფლავიანე

და მოკლე ისტორიული მოთხრობა საზოგადოდ საქართველოს ექსარხოსებზე 1811 წლიდან დღემდის.

მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა რუსეთის იმპერიას, სწორეთ ეს მეთორმეტე მთავარ-ეპისკოპოსი ინიშნება რუსთაგანი საქართველოს საექსარხოსო კათედრაზე. მთავარ ეპისკოპოსი ვლადიმირი უმაღლესი მთავრობის განკარგულებით უკვე [illegible] ნა მოსკოვის სამიტროპოლიტო კათედრაზე და მის

P 38837

ადგილი ებოძა ვარშავის მთავარ-ეპისკოპოსს ფლავიანეს.

ყოველთვის, როდესაც საქართველოდგან ექსარხოსები გადაჰყავთ და მათ ადგილზე ახალ ექსარხოსებს ნიშნავენ, ვისაც უნდა შეხვდეთ ჩვენში, მაშინვე დაგიწყებს კითხვას ახლად დანიშნულ ექსარხოსზე, მის ვინაობაზე, ხასიათზე და თვისებაზე. ამისთანა ცნობის მოყვარეობა ემჩნევა არა მარტო სამღვდელოებას, არამედ საერო წოდებასაც თავდაპირველად მაინც. ეს ასეც უნდა იყოს. ვინ არ იცის, რომ ასპარეზი საქართველოს ექსარხოსის მოღვაწეობისა მეტად ფართო და ვრცელია: იგია აქ პირველი ადმინისტრატორი სასულიერო წოდებისა, პირველი წინამძღვარი, მზრუნველი, ქომაგი, მამა და პატრონი სამღვდელოთა; მის ხელთა არის კეთილ-დღეობა, გონებითი ამაღლება და განვითარება სასულიერო წოდებისა; იგია, ასე ვსთქვათ, უფროსი დარაჯი ქრისტიანობრივი ზნეობისა და სწავლისა შისდამო რწმუნებულ მხარეში. ექსარხოსზედ არის აგრეთვე დამოკიდებული სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეც,—ერთის სიტყვით, ის არის უმთავრესი მომქმედი ძარღვი ჩვენი სამღვდელო წოდების სიცოცხლის, წარმატებისა და აღორძინებისა. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ამ მეტად საპატიო ადგილზე ახლად დანიშნული პირის ვინაობა ყველა ქართველმა დიდის ცნობის მოყვარეობით გვკითხოს? რამოდენათაც შეიძლებოდა ჩვენ უკვე გავაცანით მკითხველებს მოკლე ბიოგრაფია მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისა წინა ნომერში და შემდეგში ვეცდებით უფრო ვრცლად გავაცნოთ.

მოგვყავს აქ მოკლე ისტორიული სია საქართველოს ექსარხოსებისა რუსეთთან ჩვენი მხარის შეერთებიდან დღემდე ხრონოლოგიური წესით...

### 1, საქართველოს ექსარხოსი ვარლამი.

ჩვენი მხარის რუსეთთან შეერთების დროს ზოგიერთები ფიქრობდენ, რომ საქართველოში მუდამ იქნებოდა ქათალიკოსი, რომელიც უწმიდესი სინოდის წევრადაც უნდა ყოფილიყო; მაგრამ 1811 წელში დაინიშნა ექსარხოსად მთავარ-ეპისკოპოსი ვარლამი (გვარათ ერისთავი). ამ დროს დღევანდელი ქართლ-კახეთის ეპარქია ორ ეპარქიად იყო გაყოფილი: 1, მცხეთისა და ქართლისა და 2, კახეთისა. ვარლამი ექსარხოსობდა 1811 წლიდან 1818 წლამდე. ამ წლიდან რუსეთში იქმნა იგი გარდაყვანილი და იქვე განისვენა.

### 2, საქართველოის ექსარხოსი თეოფილაკტე.

1818 წელში საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა რუსთაგანი მთავარ-ეპისკოპოსი თეოფილაკტე (გვარად რუსანოვი). თეოფილაკტე რუსანოვი დიდი განათლებული მღვდელ-მთავარი იყო. ის იყო გადმოყვანილი რიაზანის ეპარქიიდან. ბევრი ცვლილება მოახდინა საქართველოში სულ მცირეს ხანში. ექსარხოსობდა სულ ოთხი წელიწადი და 1821 წ. გარდაიცვალა კახეთში, სადაც ბრძანდებოდა ეკკლესიების დასათვალიერებლად. თეოფილაკტე დამარხულია ბოდბის ტაძარში.

### 3, საქართველოს ექსარხოსი იონა.

თეოფილაკტეს შემდეგ ექსარხოსად დაინიშნა მთავარ-ეპისკოპოსი იონა (გვარად ვასილიევსკი). ექსარხოსი იონა მსახურებდა საქართველოში სულ თერთმეტი წელიწადი. 1832 წელში რუსეთში იქმნა გარდაყვანილი არა უმაღლეს ადგილზე.

### 4, საქართველოს ექსარხოსი მოსე.

საქართველოს ექსარხოსის იოანას შემდეგ დაინიშნა მოსე (გვარად ბოღდანოვი), რომელიც სულ ორი წელიწადი დარჩა ამ თანამდებობაზე. ორი წლის შემდეგ, 1834 წ. იგი რუსეთში იქმნა გარდაყვანილი.

### 5, საქართველოს ექსარხოსი ევგენი.

მთავარ-ეპისკოპოსის მოსეს შემდეგ საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა მთავარ-ეპისკოპოსი ევგენი (გვარად ბაჟენოვი). მათი მეუფება დარჩა ექსარხოსად საქართველოში 1834 წლიდან 1844 წლამდე და ამ უკანასკნელ წელში გადაყვანილ იქმნა რუსეთში არა უმაღლეს ადგილზე.

### 6, საქართველოს ექსარხოსი ისიდორე.

ევგენის შემდეგ დაინიშნა საქართველოს ექსარხოსად მთავარ-ეპისკოპოსი ისიდორე. ისიდორეს მმართვა-გამგეობა საქართველოს საექსარხოსოის კა-

თედრაზე შესანიშნავი იყო და ამიტომაც დარჩა აქ თოთხმეტი წელიწადი, 1844 წლიდან 1858 წლამდე. სამსახური მთავარ-ეპისკოპოსის ისიდორესი შესამჩნევი იყო როგორც საზოგადოებისა ისე უმაღლესი მთავრობისათვის. მთავარ ეპისკ. ისიდორემ (გვარათ ნიკოლსკიმ) საქართველოში მიიღო მიტროპოლიტობა და აქედან 1858 წელში დანიშნულ იქმნა უმაღლესად კიევის სამიტროპოლიტო კათედრაზე და ამ ადგილიდან გადაყვანილ იქმნა პეტერბურგის სამიტროპოლიტო კათედრაზე.

## 7, საქართველოის ექსარხოსი ევსევი.

ისიდორეს შემდეგ საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა ეპისკოპოსი ევსევი. არც ერთ ექსარხოსს საქართველოში არ უმსახურნია იმდენი ხანი, რამდენიც იმსახურა მთავარ-ეპისკოპოსმა ევსევიმ. იგი მსახურებდა საქართველოში ოცი წელიწადი და ამდენი ხნის სამსახურის შემდეგ გადაყვანილ იქმნა ტვერის საეპარქიო კათედრაზე რუსეთში. არ შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ევსევის სამსახური ამ ხნის განმავლობაში საყურადღებო არ ყოფილიყოს. მისი სამსახურით ნამეტანი ნაწილი საზოგადოებისა მადლიერი იყო და პატივსა სცემდენ.

## 8, საქართველოს ექსარხოსი მაღალ ყოვლად სამღვდელო იოანნიკე.

ევსევის გადაყვანის შემდეგ საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა მთავარ-ეპისკოპოსი ნიჟეგოროდისა იოანნიკე. მისი სამსახური საქართველოში დიდ ხანს არ გაგძელებულა; სულ მსახურებდა ოთხი წელიწადი, მაგრამ მათი მეუფების ასე ცოტა ხნის სამსახურიც შესანიშნავი ჹ ნაყოფიერი იყო. მათი მეუფების წყალობით დაარსდა თფილისში ეპარქიალური სასწავლებელი, რომელსაც მან თვითონ შესწირა აუარებელი ფული. მათი მეუფების წყალობით გარდაეცა საწარმოებლად სამღვდელოებას სანთლის ქარხანა, რომელსაც მის დრომდე სინოდალნი კანტორის პროკურორი განაგებდა. გადაეცა თუ არა სამღვდელოებას სანთლის ქარხანა, გასაოცრად იმატა სანთლის შემოსავალმა და ამით გაუმჯობესდა სასწავლებლების მდგომარეობა. 1882 წელში მათ მეუფებას უმაღლესად ებოძა მოსკოვის მიტროპოლიტობა. მოსკოვიდან 1892 წელში გარდაყვანილ იქმნა კიევის სამიტროპოლიტო კათედრაზე, რომელსაც დღესაც მართავს და ანათებს თავის ბრძნული სამსახურით.

## 9, საქართველოს ექსარხოსი მთავარ-ეპისკოპოსი პავლე.

მთავარ-ეპისკოპოსის იოანნიკეს შემდეგ საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა კიშინიევის ეპისკოპოსი პავლე 1882 წელში, რომელიც მსახურებდა ექსარხოსად სულ ხუთი წელიწადი და შემდეგ გარდაყვანილ იქმნა ყაზანის მთავარ-ეპისკოპოსად.

## 10, საქართველოს ექსარხოსი მთავარ-ეპისკოპოსი პალლადი.

მთავარ-ეპისკოპოსის პავლეს შემდეგ საქართველოს ექსარხოსად დანიშნულ იქმნა ყაზანის მთავარ-ეპისკოპოსი პალლადი [გვარად რაევი) 1887 წელში. მათი მეუფების ექსარხოსობის დროს როგორც სასულიერო ისე საერო უწყებაში დამკვიდრდა მამაშვილური და მწყემსთ-მთავრული სიყვარული. 1892 წელში მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პალლადი საქართველოდან პირდაპირ გადაყვანილ იქმნა პეტერბურღის სამიტროპოლიტო კათედრაზე, რომელსაც დღესაც მშვიდობით და ჩვეულებრივ. აღსავსე სიყვარულობით განაგებს.

## 11, საქართველოს ექსარხოსი მთავარ-ეპისკოპოსი ვლადიმირი.

მთავარ-ეპისკოპოსის პალლადის შემდეგ საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა სამარის ეპისკოპოსი ვლადიმირი. ვლადიმირი მსახურებდა საქართველოს ექსარხოსად სულ ხუთი წელიწადი. ეხლა, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მათი მეუფება უმაღლესად დაინიშნა მოსკოვის სამიტროპოლიტო კათედრაზე.

ამ ზემო თქმულიდან სჩანს, რომ საქართველოს საექსარხოსოს კათედრაზე 1811 წლიდან დანიშნულა თერთმეტი სხვა და სხვა ექსარხოსი და მეთორმეტე ექსარხოსია დღეს მთავარ-ეპისკოპოსი ფლავიანე. მის მოკლე ბიოგრაფიას ჩვენ გავაცვნეთ მკითხველები წინა ნომერში. მათი მეუფების ჩამომავლობა, მოღვაწეობა დი სამსახური დამამტკიცებელია მისი გულკეთილობისა კეთილი მიმართულებისა.

ღმერთმა კეთილი ქმნას მათი დანიშვნა საქართველოს ეკკლესიისათვის. ვერავინ იტყვის, რომ საქართველოს ეკკლესიის ქრისტეს ყანაში სამუშევარი აღარ იყოს რა და ამისთვის ახალ ექსარხოსებს დიდი შრომა და გამჭრიახობა არ მოელოდეს. ვინც საქმეს სწორედ და მიუდგომლად უყურებს, ვისაც ჩვენი ეკკლესიის მდგომარეობა გამოუკვლევია, ის ყოველთვის დაგვეთანხმება, რომ საქართველოს ეკკლესიის ქრისტეს ყანაში დიდი შრომა მოელის მწყემსთ-მთავართა და მწყემსთა.

მართალია, ეხლანდელი საქართველოის მწყემსთა და სამწყსოთა გონებითი, ზნეობითი და ნივთიერი მდგომარეობა ძლიერ განსხვავებულია პირველი ექსარხოსების დროის მწყემსთა და სამწყსოთა მდგომარეობისაგან. მართალია, ბევრში ძლიერ წინ წავიწიეთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბევრშიაც უკან ჩამოვრჩით და დავიქვეითეთ. ფარისევლურმა ცომმა ძლიერ დაამჟავა ჩვენი ეხლანდელი საზოგადოების ცხოვრება. ადვილად ივიწყებენ ჭეშმარიტებას და ქრისტიანული ზნეობის და ცხოვრების კანონებს.

ყველა მწყემსნი მოვალენი ვართ ნათლად დავანახვოთ საქმე მას, ვინც მონდომილია საქმის გაკეთებას. ყველანი უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენში დაარსდეს ქრისტიანული სიყვარულობა, ერთობა და ძმური კავშირი; წინააღმდეგ შემთხვევაში ფუჭი იქნება ჩვენი შრომა და არ მოიტანს არავითარს სარგებლობას. იქ, სადაც წრფელი ქრისტიანული სიყვარული არ არის, იქ, სადაც ერთობრივი ქრისტიანული ძმობა და დამოკიდებულება არ არის, ნიადაგ უხვად აღმოცენებულა ღვარძლი, დათესილი ეშმაკთაგან ქრისტეს ყანაში, და შეუშთვია კეთილი ნაყოფი. გულით და სულით ვისურვებთ საქართველოს ახალი ექსარხოსის დღეგრძელობას სასარგებლოდ და სანუგეშოდ მრავალ ტანჯულის და წამებულის საქართველოს ეკკლესიისა.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

## როდის შევიგნებთ რამეს?

საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა თავისი უქაზით უკანასკნელად აფრთხილებს საექსარხოსოის სამღვდელოებას, რომ ყოველმა კრებულმა მტკიცეთ და ჯეროვნად აღასრულოს თავისი მოვალეობა კერძო პირთა და დაწესებულებათადმი მეტრიკებს გამოწერილობათა და სხვა და სხვა მოწმობათა მიცემის საქმეში. სწორეთ გასაოცარია ზოგიერთ კრებულთა ის დაუდევრობა, რასაც ისინი ჩადიან სხვა და სხვა მოწმობათა მიცემის და საეკკლესიო საბუთისაგან გამოწერილობათა საქმეში. რამდენი სასარგებლო დარიგება გამოიცა, სადაც დაწვრილებით განმარტებული იყო ყველასათვის, თუ როგორ უნდა შედგეს სხვა და სხვა დაწესებულებათაგან და კერძო პირთაგან მოთხოვნილი მოწმობები შობისა და მონათვლისა, ჯვარდაწერის კურთხევის, გარდაცვალების, აღსარების თქმის და სხვა ცნობათა შესახებ, მაგრამ არ იქმნა და არ იქმნა ამის შეგნება. ჩვენ შევადგინეთ ფორმები საჭირო მოწმობათა და გამოწერილობათა, რომელთაც ეკკლესიის კრებული იძლევა. და ყველა ეს ფორმები ადვილი მოსაპოებელია, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ არც ამით უნდათ ზოგიერთებს ისარგებლონ..

ხშირათ მოდიან ჩვენთან ათი ვერსის და ხან მეტი მანძილიდგანაც ზოგიერთ მღვდელთაგან გამოგზავნილნი პირნი მოწმობის ანუ მეტრიკის გამოწერილობის ბლანკის სასყიდლად. ვერ აგვიხსნია და ვერ მივმხვდარვართ, თუ რას უნდა მივაწეროთ ესეთი დაუდევნელობა და კაცის შეუბრალებლობა ხსენებულ მოძღვართაგან: ერთი კაპეიკის საღირალი ბლანკისათვის ათ ვერსზე აგზავნის კაცს და თავის პირდაპირ საქმეზე აცდენს, როდესაც ამ მოწმობის მიცემისათვის კრებული იღებს ჯეროვან სასყიდელს იმ კაცისაგან, რომელსაც მოწმობას აძლევს. რა სამძიმოა მღვდლისათვის, რომ მან იყიდოს ერთი აბაზის სხვა და სხვა გამოწერილობათა საჭირო ბლანკები და საჭიროების დროს მთხოვნელი თვითონ არ გაგზავნოს ერთი კაპეიკის ბლანკის სასყიდლად? ამას გარდა ზოგიერთი მღვდელი სრუ-

ლებით არ უყურებს და არ დაეძებს გამოწერილობის ფორმას. ხედავ მოწმობას, მაგრამ ზოგზე ბეჭედი არ არის დასმული, ზოგს რიცხვი არა აქვს დასმული და ან ვინ მოსთვლის ყველა ნაკლულევანებას.

დროა, რომ სამღვდელოებამ ყურადღება მიაქციოს მთავრობის ამ უკანასკნელ გაფრთხილებას, თორემ ბევრს სანანებლად გაუხდება თავისი დაუდევნელობა. საჭიროა ყოველმა კრებულმა იქონიოს ქაღალდების შესავალ-გასავლის ჟურნალები ᲓᲐ სხვა ᲓᲐ სხვა დაწესებულებათა ᲓᲐ კერძო პირთა წერილობითი მოთხოვნილებანი ჯეროვნად აღასრულოს და გასულ ქაღალდებს ნომრები დაასვან. ბევრი ამის წინააღმდეგია და საბუთად იმას ასახელებს, რომ ძველ დროში ესეები არ იყოვო. მართალია, ჩვენც თანახმა ვართ, რომ ესეები ძველ დროში არ იყო, მაგრამ დღეს დრო შეიცვალა და თუ დროების მოთხოვნილება არ აასრულა კაცმა, უკან ჩამორჩება და ძველი და ახალი დროც შორ დარჩება მას. დროა გაღვიძებისა, დრო...

დეკ[illegible] [illegible]ამბაშიძე

---

## † მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი სერგი,

### მიტროპოლიტი მოსკოვისა და კოლომენისა.

11 თებერვალს, დღით ოთხშაბათს, ნაშუადღევის ხუთ საათზე მშვიდობიანად განისვენა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა სერგიმ, მოსკოვის და კალომენის მიტროპოლიტმა.

უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენებაზე მისმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება შემდეგი სიტყვების დაწერა: „დიდად ვსწუხვარ ამ პატიოსანი და ნათელი პირის გარდაცვალებას. მისი გარდაცვალება დიდი დასაკლისია ჩვენი ეკკლესიისათვის, და აგრეთვე მოსკოვისათვისაც“.

ღვთის მიერ განსვენებული მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი მიტროპოლიტი სერგი, (ერის კაცობაში ნიკოლოზ იაკობის ძე), დაიბადა 6 მაისს 1820 წელსა, ქალაქ ტულაში, სადაც მისი მამა, იაკობ სტეფანოვიჩი, იყო ღვთის მშობლის ეკკლესიის წინამძღვარად, ხოლო შემდეგ ადგილობითი საკათედრო ტაძრის დეკანოზად. სემინარიაში კურსის დასრულების შემდეგ ნიკოლოზი სხვა საუკეთესო მოსწავლეებთან ერთად 1840 წელს გაგზავნილ იქმნა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. 1844 წელს, როცა აკადემიაში სწავლას ამთავრებდა, ნიკოლოზმა ისურვა ბერად აღკვეცა და აღკვეცილ იქმნა კიდეც 23 ივნის 1844 წელსა და სახელად სერგი ეწოდა. 20 ივლის სერგი ნაკურთხ იქმნა მთავარ დიაკვნად, ხოლო 6 აგვისტოს იმავე წელს ღვთის მიერ განსვენებული მიტროპოლიტის ფილარეტის მიერ ხელდასხმულ იქმნა მღვდელ-მონაზვნად. ამ დროს მან დასწერა თავისი პირველი სამეცნიერო თხზულება სახელად «მიცვალებულთა მოხსენება», რისთვისაც სერგიმ მიიღო ღვთის მეტყველების მაღისტრის ხარისხი.

ნეტარ ხსენებულმა მღვდელ-მთავარმა ფილარეტმა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა მღვდელ-მონაზონს, და მათი მეუფების შუამდგომლობით, სერგი 30 ოქტომბერს 1844 წელსა უწმიდესი სინოდის მიერ დამტკიცებულ იქმნა მოსკოვის სასულიერო აკადემიის ბაკალავრად ზნეობითი და საღვთისმეტყველების კათედრაზე. 25 აპრილიდან 1848 წლისა სერგი მასწავლებლობასთან ერთად ასრულებდა აკადემიის ინსპექტორის თანამდებობასაც; 15 იანვარს 1850 წელსა მეუფე სამსახურისათვის სერგი აღუვანილ

იქმნა არქიმანდრიტობის ხარისხზე და, 4 ოქტომბერს 1857 წელსა იგი დაინიშნა აკადემიის რექტორად.

არქიმანდრიტის სერგის ხანგრძლივი სამსახური აღინიშნა აგრეთვე მისი მეცნიერულ-ლიტერატურული ნაწერებით, რომელთაც განსაკუთრებითი ყურადღება მიიქციეს მიტროპოლიტის ფილარეტისა. ყველა ეს ნაწერები შესანიშნავნი არიან სამაგალითო ენით, გარკვეულობით და აზრის ლოღიკური თანდათანობით. ყველა ეს თხზულებანი ცხადათ მოწმობენ, რომ მათ ავტორს წაკითხული აქვს წმიდა მამათა ნაწერები, რომელთა ჯეროვანად შესწავლას ახალ-გაზდა მეცნიერი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა.

არქიმანდრიტის სერგის გამგეობითი, სამეცნიერო და სღვთის-მეტყველო თხზულებათ ყურადღება მიაქცია მიტროპოლიტმა ფილარეტმა, რომელმაც 1860 წელს ნოემბრის თვეში, არქიმანდრიტი სერგი, როგორც ნიჭიერი კაცი წარადგინა კურსკის დამოუკიდებელ საეპისკოპოსო კათედრაზე. მათი მეუფების წარდგენა შეწყნარებულ იქმნა, და 3 დეკემბერს 1860 წელსა უმაღლესი უქაზის თანახმად მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორი არქიმანდრიტი სერგი ხელ-დასხმულ იქმნა კურსკის და ბელოგოროდსკის ეპისკოპოსად. 30 დეკემბერს 1860 წელსა მოსკოვის სინოდალური კანტორის შენობაში არქიმანდრიტი სერგი სახელწოდებულ იქმნა ეპისკოპოსად მოსკოვის მიტროპოლიტის ფილარეტის, იაროსლავის მთავარ-ეპისკოპოსის ევგენის და დმიტროვსკის ეპისკოპოსის ლეონიდის თანადასწრებით. 1 იანვარს 1861 წელსა მიტროპოლიტმა ფილარეტმა, სხვა ეპისკოპოსებთან ერთად, რომელნიც დაესწრენ არქიმანდრიტის სერგის ეპისკოპოსად სახელწოდების დროს, ხელი დაასხა სერგის ეპისკოპოსად მიძინების დიდ საკათედრო ტაძარში, წირვის დროს. 4 იანვარს ეპისკოპოსი სერგი მოსკოვიდამ გაემგზავრა კურსკში.

1879 წლის დამლევს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი სერგი დანიშნულ იქმნა უფრო უმაღლეს კათედრაზე ყაზანში და აღყვანილ იქმნა მთავარ-ეპისკოპოსის ხარისხზე. აქედან, უმაღლესი ბრძანებით, მათ მეუფებას ხშირად იწვევდენ ხოლმე პეტერბურგში უწმ. სინოდში დასასწრებლად და თავმჯდომარედ განსაკუთრებითი კამისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა სასულიერო აკადემიების ახალი წესდების შედგენა. 1882 წელსა 21 აგვისტოს, თავისი სურვილით (რადგან მათთვის საჭირო იყო სამხრეთის ჰავა) მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი სერგი გადაყვანილ იქმნა კიშინევში. 1889 წელს მათ მეუფებას ებოძა ბრილიანტის ჯვარი ბარტყულაზე სატარებლად, ხოლო 12 იანვარს 1891 წელსა მათი მეუფება დაინიშნა ოდესის და ხერსონის მთავარ-ეპისკოპოსად. ოდესაში მათი მეუფების შუამდგომლობით, ხერსონის ეპარქიის სამღვდელოებისათვის დაარსებულ იქმნა ემერიტალური კასსა. აქ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა სერგიმ ადგილობით ანდრია მოციქულის სახელობაზე დაარსებულ ძმობას ნება დართო გამოეცა მათი მეუფების ყველა თხზულებები, და აგრეთვე «სიტყვანი და საუბრები» ამ უკანასკნელ გამოცემას დიდის თანაგრძნობით მიეგება კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორს ვ. თ. პევნიცკი.

15 მაისს 1893 წელსა მაღალ ყოვლად-

უსამღვდელოესი სერგი დაინიშნა უწმიდესი სინოდის წევრად, ხოლო 8 აგვისტოს ამავე წლისას მათი მეუფება დანიშნულ იქმნა მოსკოვის და კოლომენის მიტროპოლიტად და ებოძა უმაღლესი რესკრიპტი, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „თქვენი მღვდელ-მთავრული გრძელ ჟამიერი და კეთილ ნაყოფიერი სამსახური სასარგებლოდ ეკკლესიისა შეუშველ იმედს მაძლევს მე, რომ თქვენ, როგორც უახლოებლესი და მოწამე ნეტარ-ხსენებულის მიტროპოლიტის ფილარეტის მოღვაწეობისა, და კვალ და კვალ მიმდევარი მართლ მადიდებლობის და საეკკლესიო კეთილ წესდებების თავის გამომდებისა, ამ საღმრთო მსახურების უმაღლეს ასპარეზზე ღირსეული მოადგილე იქნებით პირველი სატახტო ქალაქის კეთილ-მსახურ მღვდელთ-მთავრებისა და თავს გამოიჩენთ სამღვდელოების ბრძნული ხელმძღვანელობით, რომ იგი (სამღვდელოება) ღირსეულად ასრულებდეს თავის მოვალეობას როგორც ეკკლესიის წინაშე, ისე სკოლისა; ვიმედოვნებ, რომ თქვენ იქმნებით გულს მოდგინე დამცველი საეკკლესიო ძველი წესებისა, რომელნიც ასე ძვირფასი და საყვარელია რუსეთის მართლ-მადიდებელი ხალხისათვის".

მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს მიტროპოლიტს სერგის დიდხანს არ უმსახურნია პირველ სატახტო ქალაქ მოსკოვში, მაგრამ მათი მეუფების მცირე ხანს სამსახურიც სამუდამოდ დაუვიწყარი დარჩება მოსკოველების გულში.

განსვენებული მღვდელ-მთავარი მოსკოვის სამიტროპოლიტო კათედრაზე ბრწყინავდა როგორც ლამპარი. ვის არ ახსოვს, თუ რა სიმდაბლით აღვიდა ეს ყველგან დიდად პატივცემული მღვდელთ-მთავარი მიტროპოლიტის ფილარეტის ტახტზე. მოსკოვი მიეგება მას დიდის სიყვარულით. მათი მეუფება მუდამ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ უნდა გაემართლებია მას ეს მისდამი სიყვარული. ამიტომ მათი მეუფება მუდამ თვალწინ იდგენდა თავის დაუვიწყარ მასწავლებელს, მიტროპოლიტს ფილარეტს, რომელიც გამსჭვალული იყო მართლ-მადიდებლობის და კეთილ წესიერების სიყვარულით. მიტროპოლიტს სერგის თავისი მოღვაწეობის დროს მუდამ თვალწინ ედგა ნეტარ ხსენებული მიტროპოლიტი ფილარეტი.

ჩვენ იმ დროში ვცხოვრებთ, როცა მართლ-მადიდებელი ეკკლესიის გამკეს წინ ხვდება მრავალი საშიში გარემოებანი. როგორც ყოველთვის ისე დღესაც მართლ-მადიდებელ ეკკლესიას გარს არტყია გამოჩენილი მტრები. ზოგნი ბევრ რამეებს პირდებიან ეკკლესიას, თუ იგი მათ ცოტაოდენ რამეს დაუთმობს. არას დროს არ ყოფილა იმდენი რამ შემაცდენარი, რამდენსაც დღეს ვხედავთ. ეკკლესიას ერთობისაგან განშორებული განათლებული საზოგადოების ბევრი წევრნი ისევ შეუერთდებიან ეკკლესიას, თუ იგი რაიმეს დათმობს მათი გულისათვის. ასეთსავე პირობას ითხოვენ სხვა-და-სხვა მწვალებლებიც, რომ ჩვენ ეკკლესიას შემოუერთდნენ. თუ კიდევ რამეებს დავთმობთ, მაშინ სხვა-და-სხვა აღმსარებელნიც მზად არიან შემოუერთდნენ ჩვენს მართლ-მადიდებელ ეკკლესიას. ამისთანა დაპირებით ძლიერ ადვილად შეცდება კაცი, რადგან ერთის მხრით ასეთი საქციელი სასარგებლოა ეკკლესიისათვისაც და მოქალაქობრივი და ეროვნული მიზნების მისაღწევადაც! დღეს, მართალია, ბევრი შეცდომაში შეჰყავს ასეთ მიმართულებას, ვინა-

იდგან ვერ გრძნობენ მათი მოსაწონი მიმართულების დამღუპველობას. ასეთი მსრუნველნი ჰირნი განსაკუთრებით მავნებელნი არიან იმით, რომ მათი გულ წრფელობა უეჭველია, და ამიტომ ადვილი არ არის მათ მისწრაფებათა წინააღდგომა, ადვილი არ არის აგრეთვე მათი გახელება უარის თქმით.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი სერგი თავისი გამჭრიახე და მტკიცე მოღვაწეობით იფარავდა სამწყსოთა ყოველივე ხილული და უხილავი განსაცდელისაგან. იგი ღრმად გამსჭვალული იყო ჭეშმარიტი სარწმუნოებით, და შეუძლებლად მიაჩნდა მართლ-მადიდებელი ეკკლესიის, სწავლის შეცვლა, რადგან ამით უსათუოდ შეიცვლებოდა ეკკლესიის წეს-რიგი, მიტროპოლიტის ფილარეტის მსგავსად მათი მეუფება იფარავდა ეკკლესიას, როგორც სიწმიდეს. იგი ცდილობდა სულიერად და გონებითად აღემაღლებია ეკკლესიის მოსამსახურენი. იგი დიდის წინდახედულობით იცავდა ეკკლესიის უფლებას, მათი მეუფება ცდილობდა, რომ მოწინააღმდეგის უწყინრად დაემტკიცებია სიმართლე. იგი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მოვალეობის რიგიანად აღსრულება სიჩქარით არ შეიძლებოდა; მათი მეუფება დიდის მოწიწებით იცავდა ყოველივე წეს-წყობილებას, რომელიც დამტკიცებული და მიღებული იყო მსოფლიო კრებათაგან.

ღრმა მცოდნეს მართლ-მადიდებლობის სწავლისას, განსვენებულს მღვდელ-მთავარს ჰქონდა გამჭრიახე გონება. მას მუდამ მშვიდობიანად ეჭირა თავი, მუდამ ჭეშმარიტებაზე ფიქრობდა და მოფრთხილებული იყო, რომ მოწინააღმდეგე არ გაეჯავრებია; მათი მეუფება თავისი მოხერხებული და მოსწრებული შენიშვნებით ისე ნაირად ამარცხებდა მოწინააღმდეგეთ, რომ ისინი არც კი გრძნობდენ რაიმე წყენას და რწმუნდებოდენ, რომ მათ მეუფებას სახეში ჰქონდა მარტო ჭეშმარიტების დაცვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის ქრისტიანული ქველის საქმეები, მისი ნამდვილი ბერული ცხოვრება, მისი მუდმივი დაუღალავი შრომა, რომლის შეჩერება ვერ შესძლო თვით სხეულის უძლურებამაც. მათი მეუფების მოღვაწეობის რომელი მხარეც უნდა ავიღოთ, ყველგან თვალსაჩინოდ ჩანს, რომ მათი მეუფება იყო ნამდვილი მწყემსმთავარი მართლ-მადიდებელი ეკკლესიისა. განსვენებულმა დასტოვა 525 ათასი მანეთი მოსკოვის ეპარქიის ღარიბი სამღვდელოების შვილთა და ობოლთა დასახმარებლად.

## რომელი საქმე უნდა ითავოს ქართველობამ ყოველთ უწინარეს ერეკლე მეფის სახსოვრად?

კარგა ხანია, რაც ქართველი ჟურნალ-გაზეთები ბაასობენ და ჰბჭობენ იმის შესახებ, თუ რომელი საზოგადო საქმე უნდა დაუკავშირდეს ერეკლე მეფის სახელს, რომელის საქმის განხორციელება უფრო სათანადო და შესაფერი იქნება იმ დღისათვის, როდესაც საქართველო მოიხსენებს ამ დაუვიწყარის მეფის ასი წლის დასაფლავებას. აგერ ეს დღეც — ოცდაორი თებერვალი — მოახლოვდა, მაგრამ საზოგადოების უკანასკნელი გარდაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელ საშვილიშვილო საქმით უნდა აღინიშნოს ეს ფრიად შესანიშნავი და საგულისხმიერო დღე, ჯერ არსადა სჩანს. მართალია, ამ საგნის შესახებ რამდენიმე აზრი წარმოითქვა, მაგრამ ყოველი მათგანი კერძო კაცს ეკუთვნის და არ ვიცით, რომელს უფრო თანაუგრძნობს საზოგადოება, რომლის განხორციელება უფრო სწადია ერს.

ჩვენ არ შევეხებით წარმოთქმულ აზრების მეტ-

ნაკლებობას, იმათს ღირსებას და წუნსა, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ საქმეს, რომლის შესახებ დღევანდლამდე ხმა არავის ამოუღია, ხოლო ჩვენი შეხედულობით ეს საქმე-კი ღირსია ერეკლეს სახელთან დაკავშირებისა, ღირსია შეიქმნას იმისთანა დიდის დღის დაუვიწყარ ნიშნად, როგორიც იქმნება ოცდა-ორი თებერვალი.

ჩვენი დაუვიწყარი და სათაყვანო ერეკლე განისვენებს მცხეთის სვეტი ცხოვლის ტაძარში. აქვე განისვენებენ მრავალნი სხვა ჩვენი სახელოვანი მეფეები და გმირები. საზოგადოთ ეს ტაძარი შეადგენს მთელის ჩვენის ერის სიქადულსა და დიდებას, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ეს სახელოვანის გვამებით აღვსილი ტაძარი, ეს ჩვენი გამოჩინებული საერო წმიდანი უკიდურესს მდგომარეობაში იმყოფება; ირღვევა, წვეთი ჩადის შიგ და, თუ დროზედ არ მივეშველეთ, სრულიად გამოგვეცლება ხელიდგან. ნუ თუ ასეთი მდგომარეობა ტაძრისა არ უნდა აფიქრებდეს ქართველობას? ნუ თუ შესაძლოა ამისთანა საქმეში გულ-გრილობა ნამდვილის მამულიშვილისათვის? ერეკლე უნდა მოვიხსენოთ და დავანახვოთ ქვეყანას, რომ ჩვენც ვიცით ისტორიის გმირთა ღირსეული დაფასება და სიყვარულიო, მაგრამ ვინ დაგვიჯერებს ყველა იმას, თუ სვეტი ცხოველი დაგვექცა და ქვეშ დაიყოლა როგორც ერეკლესი, ისე ათასის გამოჩენილის კაცის საფლავი?!: „სვეტი-ცხოველი არ დაიქცევა, მთავრობა გააკეთებსო, იტყვიან მრავალნი. მაგრამ გააკეთებს-კი? როდის და როგორ? აბა ამის თავდები ვინ არის, რომ ყველამ გული დავიშოშმინოთ სვეტი-ცხოველის საშიშარ მომავლის შესახებ?!

დავანებოთ ამასაც თავი. ვთქვათ, მთავრობამ სწორეთ თავს იდო ამ დიდებულის ტაძრის განახლება და განაახლა კიდეც, როგორც შეჰფერის მისს სიდიადეს, მერე ჩვენ საზოგადოებამ რითი უნდა აღვნიშნოთ პატივისცემა და სიყვარული იმ გვამისა, რომელიც ასაფლავია ამ ტაძარში და რომელიც 22 თებერვალს უნდა მოვიხსენიოთ? „ერეკლეს სახელობაზედ სტიპენდიების დაარსებით, დასაწყისის სასწავლებლების დაარსებით, ტფილისის ზოგიერთ ქუჩის მისის სახელის წოდებით და სხვა ამისთანითაო» ბრძანებთ. კარგი და პატიოსანი, მაგრამ აქ ერეკლეს სახელი მარტო „კატავასიად“ არის ნახმარი, მარტო სახელია ერეკრესი და სახრავი-კი არა. ერეკლეს საფლავის პატივისცემა და ღირსეულად შემკობა იმ ტაძრისა, რომელსაც გულზედ მიუსვენებია ამ ღირსეულის შვილის ნაშთი, აი ჩვენი პირდაპირი მოვალეობა!

ჩემის აზრით, ქართველობამ 22 თებერვალს თავის საერო ვალად უნდა აღიაროს მცხეთის დიდებულის საქათალიკოზო ტაძრის ღირსეულად განახლება. ამითი ქვეყანას დაუმტკიცებს, რომ იგი გულითა სცემს ერეკლეს პატივსა და არა მხოლოთ ლიტონის სიტყვით, რომ ეს ამოდენა წერა-ლაპარაკი და ბაასი ერეკლეს გამო ნამდვილი სიწრფოებაა და არა თვალ-ახვევა, ბუკის ცემა, უშინაარსო მანიფესტაცია.

სასურველია ამის შესახებ საზოგადოებამ თავისი აზრი გამოსთქვას. «ივერია»

# ქვირფასი ხატები.

ბერძნული ამბავიდამ.

საუცხოვრო ბავშვი

IV.

გაგრძელება *).

სოფელ ფერეიაში, რომელიც ეხლა საბერძნეთის სატახტო ქალაქის ნავთსადგურია, ცხოვრობდა ერთი ბერძენი ხელობით—მჭედელი. სახელი ამ პატიოსანის, მაგრამ ცრუმორწმუნე კაცისა. იყო ნიკოლაკი და გვარი კი კურთიდი; ანუ კურთოღლი თათრობაში. ეს იყო ახალი ქრისტიანი — ის გაქრისტიანებულიყო ბერძნების ოსმალთა წინააღმდეგ პირველი რევოლიუციის დროს. ნიკოლაკი თათრობაში—ალი ყოფილა მოსამსახურეთ გამოჩენილი პოეტის ლორდ-ბაირონისა, რომელმაც ერთ დროს დიდი შემწეობა აღმოუჩინა საბერძნეთს. ალის იქ ყოფნის დროს ბაირონს ჰყავდა ერთი ობოლი მოსამსახურე ბერძნის გოგო — მარიკა. ალია და მარიკა თითქმის ერთად იყვენ გაზდილნი. ალის შეუყვარდა მარიკაი, მაგრამ, რადგან ალია თათარი იყო, აბა როგორ ითხოვდა. ბოლოს სიყვარული იმდენად ჭეშმარიტი გახდა, რომ

*) იხ. „მწყემსი“ № 3, 1898 წ.

ალი დათანხმდა გაქრისტიანებაზედ. გაქრისტიანდა ალი და დაიწერა მარიკაზედ ჯვარი – მეჯვრედ-კი თვით ბაირონი იყო.

ბაირონმა დიდად დაასაჩუქრა ესენი და ერთი მშვენიერი სამკედურიც გაუღო.

ნიკოლაკისა და მარიკას უბოძა ღმერთმა ვაჟიშვილი, მხოლოდ საოცარი-კი – ბავში დაიბადა თუ არა, ჯერ კიდევ მაშინ ექნებოდა თავი სრული კაცის ოდენა. რა წამოიზარდა პატარა ალეკო – ასე დაარქვეს ბავშს – თავი არა ჩვეულებრივი გაუხდა, თმაც რაღაც სხვა ნაირი და დახუჭუჭებული ჰქონდა. ერთის სიტყვით რომ ვსთქვათ – ალეკოს თავი-თმითურთ უფრო დიდი იყო, ვიდრე მთელი მისი ტანი. თვითონ ბუსავით ჩუმი და დაფიქრებული სახისა იყო. თვალები დიდრონი, შავი და გადმოყლიპული ჰქონდა, საზოგადოდ რაღაც უხეში და ჯინიანი იყო. ნიკოლაკი ხშირად ეტყოდა ხოლმე მეზობლებს: «ჩემი ალეკო მშვენიერი ბავში იქნებოდა, მაგრამ მეზობლებმა გაძითვალესო». ხან კი, ნიკოლოზს ეგონა – «ეს ასე იმიტომ დაიბადა, რომ მე მეხამედს უღალატეო».. ხანაც ცოლს აბრალებდა ნიკოლოზი ამ სიმახინჯეს და უმფრო ხშირად კი ეგონა, რომ ამ ბავშს დიდი თავი იმიტომ მისცა ღმერთმაო, რომ ჩვენ მეტი შვილი აღარ გვეყოლება და ეს კი, დიოგენს რომ იტყვიან, სწორეთ იმისთანა ფილოსოფოსი გამოვაო. – ასეთი ცრუმორწმუნე იყო ნიკოლაკი. ნამდვილათ კი ყველა მისი ოცნება ცარიელი სიზრიყვე იყო – შვილიც ეყოლათ და არც ალიკო ფილოსოფოსი გამოდგა.

ნიკოლაკის ძალიან ელაზვებოდა ბაირონის საუცხოვო სწავლა და ნიჭი – მეტადრე-კი პოეტური. იმან გადასწყვიტა, თავის პატიოსანი მეუღლის თანხმობით – დახარჯონ, რაც რამ აბადიათ, მისცენ ალიკო საუკეთესო სასწავლებელში, რომ უეჭველად ბაირონისთანა პოეტი გახდესო. «ეჭვი არ უნდა ამას, რომ ჩვენი ალეკო ბაირონზედ უკეთესიც უნდა გამოვიდეს, – ამბობდა ნიკოლაკი – ეს იმიტომ რომ – თუ კი ბაირონის ზომიერ თავში ამდენი ნიჭია, რასაკვირველია ჩვენს ალეკოს უფრო მეტი ექნება, რადგან, მეტი თუ არა, ორი იმოდენა თავი მაინც აქვსო.

რავდენსაც იზრდებოდა ალიკო, თავი იმდენად უგოგრდებოდა, ბოლოს ალეკომ მეტი სახელიც შეიძინა სოფლის ბიჭ-ბუჭებისაგან – «თავ-გოროხა“. თავ გოროხა ალეკო მისცეს სკოლაში, მაგრამ არა თუ წერა-კითხვა ანბანიც ვერ დაისწავლა. ამოდენა თავში, როგორც შედიოდა სწავლა, ისე გადიოდა – შიგ სრულიად არა რჩებოდა-რა. ასე გეგონებოდათ – ამოდენა თავი ისეა ტვინით სავსე, რომ თითქო სხვა ველარა მოთავსებულა რა შიგო. რავდენი ეწვალენ, რავდენი ეცადენ დედ-მამამა და მასწავლებლები, თვით ბაირონიც, როგორმე ჩაეგონებიათ რამ ალეკოსთვის, მაგრამ როგორც უხედარს მოზვერს ისე ვერა შეასმინეს რა. საკვირველი უფრო ის იყო, რომ ეს ბავში რასაც ზეპირად გაიგონებდა ყველას დაიმახსოვნებდა, თითების საშვალებით მას შეეძლო ყოველ ნაირი მატემატიკური წინადადება აეხსნა, თითქმის ყველა სკოლაში საჭირო ლექსები, ლოცვები და სხვა ზეპირად იცოდა, რაც შეეხება წიგნს, კითხვას გინა წერას, ან ქაღალდზედ ანგარიშს, რაც საბერძნეთში ყველგან არის გავრცელებული – იმას სრულიად არა შეეძლო რა.

როცა დარწმუნდა დედ-მამა, რომ ალეკო წერა-კითხვას ვერ ისწავლისო, დაღონებულ გაწბილებულებმა მიაბარეს იგი ერთს ისპანელს მემუზიკეს – შესამჩნევ მოსიმღერეს.

დაილოცა ღმერთის სამართალი; მართლა რომ მიუწდომელია მისი საკვირველი ძალა. უეჭველია, რომ მისი შექმნილი ბუნება ისეთს მახინჯს არას გააჩენს, რომ ერთი რამ დანიშნულება, ერთი რამ ნიჭი არ ჰქონდეს, თუ რომ სრულებით საპყარი და უშვერი არ არის. ალეკომ ისეთი ნიჭი და უნარი გამოიჩინა სიმღერასა და ცეკვა-თამაშში, რომ განცვიფრებაში მოჰყავდა მაყურებლები.

ალეკო ბუნებით ძალიან მშვიდი, მდაბალი და კაცთ-მოყვარე გულისა იყო. დედ-მამა ძრიელ უყვარდა, ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა გაეხარებია ისინი კარგის სწავლითა და ზნე-ჩვეულებით. ალეკოს დედ-მამას ეხლა ცოტა არ იყოს მოულბათ გული, როცა ხედვიდენ, რომ ეს მათი «საუცხოვო ბავში» ტეატრის პირველ მოცეკვარ – მომღერალთ შორის იყო.

## V.

### ფბოლი ცრიანდაფილა (ვარდო).

ისე გაითქვა თავგოროხას სახელი, მისი ხელობითა და გულ კეთილობით, რომ თვით გამოჩენილი

მხატვარი მეფოდის ყურადღებაც მიქცია, როგორც საკვირველმა ორიგინალმა. მეფოდიმ მოიწვია ოლეკო თავის სახელოსნოში და მისი სახე თავის ხელით გადიღო. ამ დროს ჩვენი ალეკო თორმეტი წლის ძლივს იყო.

ერთხელ ტეატრიდან, საცა ის ყოველ დღე ხმის სავარჯისოდ დადიოდა—გამოვიდა და ჩვეულებრივად გაემართა სოკრატის აკლდამისკენ. ოლეკოს ძრიელ უყვარდა სოკრატ ფილოსოფოსისა და მისი არემარე ადგილების თვალიერება. ის ყოველდღე გამოივლიდა სოკრატის სასაფლაოსთან და როცა სეირნობით გაძღებოდა, შემდეგ ნელა—აუჩქარებლად გასწევდა ხოლმე სახლისკენ.

ერთს ამ ჩვეულებრივ მოგზაურობის დროს, იმას უცებ მოესმა ბავშის ტირილი, მხოლოდ ხედვით კი ვერას ხედავდა. ალეკოს, როგორც უკვე ვსთქვით, ძალიან ჩვილი და მოწყალე გული ჰქონდა. ეხლა რა ტირილის ხმა მოესმა და ისიც ბავშის, გული აუჩვილდა. დაიწყო თვალების აქეთ იქით ბრიალი და თან ნელის ნაბიჯით წინ მიდიოდა. როცა ცოტაოდენი გაიარა და გადაადგა გორაკს, დაინახა, რომ რამოდენიმე ქუჩის სალახანა ბალნები შემოსევიან ერთს პატარა ცქრიალა გოგონას, ხან აქედ გააქანებენ, ხან იქით, გოგონას კი ხელში დოქი ეჭირა. ალეკომ ფეხს გაუჩქარა, მაგრამ იმდენად შორს იყო, რომ სანამ მიუსწრობდა—ბალნებმა გოგონას დოქი გაუტეხეს. ახლა იმან უფრო საზარელი ტირილყვირილი მორთო «ვაიმე რა მეშველება,—ყვიროდა იგი,—ეხლა სახლში როგორ ლა წავიდე... ჩემი დაჲ რას მეტყვის... როცა ჩემი პაწაწინა ძმა გიორგი მშიერია და ავად... ეს რძეი მე ჩემი ძამიესთვის მიმქონდა. ეხლა ხომ სიმშილით გადაფიჩინდება... და მეც მიმტყეპენ... ვაიმე!.. ვაიმე!..—მწარეთ შესჩივლა ტრიანდაფილამ ალეკოს, როცა ამ უკანასკნელმა მოაშორა მას ის ბინძური ქუჩის ბალნები, მხოლოდ რა გოგონამ ალეკოს საუცხოვო თავი დაინახა, ერთბაშად განცვიფრდა. მართლაც ალეკო ისე აქანებდა თავს და აბრიალებდა დიდრონ შავს თვალებს, რომ არა თუ ბავშს დიდსაც შეეშინდებოდა. ალეკომ რა წუწკი ბალნები მირეკ-მორეკა, შემდეგ მიუახლოვდა შეშინებულსა და მტირალ გოგონას და უთხრა:

—მოდი, დაო ჩემთან, მე ფული მაქვს, რძეს გიყიდი და სახლშიდაც წაგყობი, რომ ამ ზნე გაფუჭებულმა ბალნებმა კიდევ არა გიყონო. ტრიანდაფილა გამოცოცხლდა, თვალები გამოუნათლდა, მადლობის ადგილას ღმობიერად—ანგელოზებრივის სიყვარულის თვალებით გადახედა ალეკოს და ხმის ამოუღებლივ გაყვა მას ბაზრისკენ.

ალეკომ უყიდა დოქი, გაუმსო რძით, მისცა ხელში და თვითონაც თან გაჰყვა.

ტრიანდაფილა მივიდა თუ არა სახლში, ყველა ეს შემთხვევა თავის უმანკო—მოტიტინე ენით მოუთხრო მის უფროს დასს ელენეს. ელენემ რა ეს ამბავი მოისმინა, თვალები ცრემლებით გაევსო. მოხვია ხელი ალეკოს, მიიკრა გულში. გადაკოცნა და უთხრა,—გმადლობ, ძმაო, რომ ასე დიდი მოწყალება გვიყავი, ღმერთმა მაგიერი შეგძლოს და რომ შენ არ აგვჩენოდი დღეს, რა მეშველებოდა მე უბედურს—ჩემი საცოდავი ძმა—გიორგი მშიერი დამირჩებოდაო.

ამ უკანასკნელი შემთხვევის შემდეგ ალეკო და ეს ობლები პირველი მეგობრები გახდენ და მეტადრე კი «თავგოროხა» და პაწაწინა „ობოლი ტრიანდაფილა» (ვარდო).

## ცოდვას.

წადი, წადი შენ წყეულო,
მომშორდი და გამეცალე!
გეყო, რაც რომ იფურაქე,
რაც მაცდინე, რაც მაწვალე.

—

დავრწმუნდი, რომ წმიდა ადგილს,
ღმერთა, შენ არ მოგცემს ბინას,
სიწმიდეა ამ ჩემ რჯულში,
შენს წილ მადლი ჩამოფრინავს...

—

ჩვენ ვართ ქრისტეს მოყვარული,
და სიწმიდის მოიეფე,
აბა, ჩვენთან რა ხელი გაქვს!
ჯოჯოხეთში გინდ იმეფე!..

—

ღმერთო! ცოდვა მოგვაშორე,
მადლი უხვად მოგვაშუქე,
სატანას წილ ანგელოსი
მცველ-მფარველად ჩვენ გვაჩუქე.

 რ. ს—ლი.



## ბ ზ ო ბ ა

«ოსანნა», ზეცით მოსრული,
კაცთა დამხსნელი მეუფე,
სიმდაბლით მოვალს, კიცვზე ზის
ზეცის და ქვეყნის ხელმწიფე!

—

წინ ხვდება ხალხი პატივით,
ზოგნი ასულან ბზაზედა,
ბზის ტოტებს, ყვავილთ, სამოსლებს
ფეხთ ქვეშ უფენენ გზაზედა.

—

ყრმანი გალობენ: «ოსანნა,
ძეო მაღალთა შინაო»,
ერნი კი: «ეს არს, ლაზარე
მკვდრეთით რომ აღადგინაო“.

—

სიმდაბლით მოსრულს, პატივით
ჩვენც მივეგებოთ აწცა და
რტო — ყვავილთა წილ, — სიმდაბლე
დაუგოთ ფიანდაზადა.

რ. ს—ლი.



## ს ე რ ო ბ ა

რომელსა ძალნი ცათანი
მსახურებნ შიშით, კრძალვითა,
ქვეყანა, ზესკნელ-ქვესკნელი
უპყრია საღვთო ბრჭალითა!

—

რომელმან ცანი ცათანი
თაყვანისცემად მოსდრიკნა
სერობად ბეთანიაში
მოციქულები შეკრიბნა.

—

მათთან ზის, სჭამს, სვამს საუბრობს
ზნეობის მქადაგებელი...
მუხლს იყრის, ყველას ფეხრთა ბანს,
ეგ ქვეყნის დამბადებელი!..

—

ამბობს: ,,თქვენც გმართებს ურთერთში
მორჩილება და სიმდაბლე,
შეიტკბეთ: ძმობა, ერთობა,
სიყვარული და სიმართლე»...

რ. ს—ლი.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

15 მარტს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა ვლადიმირმა, მოსკოვის და კოლომენის მიტროპოლიტმა გადაიხადა ვასილ დიდის წირვა სიონის საკათედრო ტაძარში ყოვლად-უსამღვდელოესის ალექსანდრეს, გორის ეპისკოპოსისა და ყოვლად-უსამღვდელოესის ბესარიონის, იმერეთის კათედრის მოადგილისა, არქიმანდრიტთა—ადგილობრივი სასულიერო სემინარიის რექტორის სერაფიმისა, ლეონიდისა, ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორის ბენიამინისა, იმავე სემინარიის ინსპექტორის მღვდელ-მონაზონის დიმიტრის, ტფილისის უმაღლესი და საკრებულო ტაძრის სამღვდელოების თანამსახურებით. წირვის შემდეგ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესმა ვლადიმირმა თავის ყოფილ სამწყსოს გამოსამშვიდებელ სიტყვით მიჰმართა. სიტყვის შემდეგ ყოვლად-უსამღვდელოესმა ეპისკოპოსებმა ალექსანდრემ და ბესარიონმა გადაიხადეს გზის დასალოცავი პარაკლისი, რომლის დასასრულ პროტო-დიაკონმა კარგარეთელმა წარმოსთქვა მრავალ ჟამიერი მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა, მემკვიდრე ცესარევიჩისა და მთელი სამეფო სახლისა, უწმიდესი სინოდისა და მისი წევრის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ვლადიმირისა, აგრეთვე საქართველოს ეგზარხოსის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ფლავიანესთვის. წირვის შემდეგ მიტროპოლიტი თავის ბინაზე წაბრძანდა, სადაც მას დახვდნენ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშ. აღმასრულებელი გენ.-ლ. ა. ა. ფრეზე, კავალ. გენერალი ი. გ. ამილახვარი, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ტ. ს. კ. ვ. იაკიმოვი, ტფილისის გუბერნატორი ბიკოვი და სხვა წარჩინებული პირნი, რომელთაც მიტროპოლიტი გულწრფელი სიტყვით გამოესალმა. ნაშუადღევის 1 სათ. და 15 წუთზე, ჩაის მირთმევის შემდეგ, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ვლადიმერი ჩაბრძანდა კარეტაში საკათედრო დეკანოზ ელიაშვილთან ერთად და გაემგზავრა პეტერბურგს საქართველოს სამხედრო გზით. („ცნობ. ფურ.“)

* *
*

ნიკ. იაგორ. ზუბალაშვილს, რომელიც ამას წინად ნიცაში გარდაიცვალა, დაუტოვებია, 400 ათასიოდე მანეთი და 4 სახლი ტფილისში. ამ ფულიდან რამდენიმე ნაწილი განსვენებულს თავისის ცოლისათვის უანდერძებია, რამდენიმე ნაწილი—ძმისა, დისა და სხვა ნათესავთათვის, ერთი ნაწილი სხვა-და-სხვა გვარ შეწირულებათ დაუტოვებია, რომლებსაც ქვემოდ აღვნიშნავთ, ხოლო დანარჩენი ფული და აგრეთვე სახლი ძველ არსენალის (იგივე სასამართლოს ქუჩაზე) უანდერძებია ქალაქ ტფილისისათვის, რომელმაც განსვენებულის სახელზე უნდა გამართოს თავ შესაფარი ღარიბ ქრისტიანეთათვის, რომელთაც არ შეუძლიათ შრომა. თავშესაფ.რში უნდა იყოს 1/3 ღარიბთა კათოლიკეთა სარწმუნოებისა, 1/3 მართლმადიდებლისა და 1/3 სომეხთ-გრიგორიანისა. თავშესაფარის სახლს უნდა დაერქვას: „ღარიბთა სახლი ნიკ. იაგ. ზუბალაშვილისა“ თუ ტფილისის ქალაქის გამგეობა რამე მიზეზისა გამო ვერ სცნობს შესაძლებლად მიიღოს აღნიშნული სახლი და თანხა, იმ შემთხვევაში ეს საჩუქარი უნდა გარდაეცეს კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიის ძმობას იმ სურვილის აღსასრულებლად, რომელსაც განსვენებული ქალაქს უცხადებს.

გარდა ამისა, განსვენებულს უანდერძებია: 1) გარდაეცეს ტფილისის საკათოლიკო ეკკლესიის ძმობას 19 ათასი მან., რომელიც ხელ შეუხებლად უნდა დარჩეს. ამ ფულის ერთი ნახევრის, სახელდობრ, 8,500 მანეთის სარგებელი მიეცეს სასყიდლად ამ ძმობას წირვებისა და პანაშვიდების გარდასახდელად განსვენებულის ნათესავთა მოსახსენებლად ყოველ წლივ, რამდენჯერაც ეს შესაძლებელი იქნება, დანარჩენის 8500 მანეთის სარგებელი დაურიგდეს ხოლმე ღარიბთ ყოველ წლივ და 2000 მანეთის სარგებელი მოხმარდეს განსვენებულის ნათესავთა საფლავის ძეგლთა განახლებას და შენახვას 2) 2 ათასი მანეთი უნდა შეწირულ იქმნეს ზემოდ აღნიშნულ ეკკლესიის სამრევლო სკოლის ნივთიერ მდგომარეობის გასაძლიერებლად; 3) 2 ათასი მან. კათოლიკეთა ღვთის მშობლის მიძინების ეკკლესიის გასაძლიერებლად; 4) ათი-ათასი მან. პეტრე-პავლეს ეკკლესიების გასამშვენებლად ტფილისსა და გორში. 5) 8 ათასი მან. გორის მაზრის ერთ-ერთი ღარიბის აზნაურის სასწავლად და აღსაზრდელად) 6 ათასი მ. შეტანილ უნდა იქმნეს ვიშის კათოლიკეთა ეკკლესიის ძმობაში; აქედან 4 ათასი მანეთის სარგებელი—ეკკლესიის მსახურთა სასყიდლად განსვენებულის ძმის იოსების პანაშვიდისათვის, ხოლო 2 ათასი მანეთის სარგებელი მისსავე საფლავზე საჯვარის შესანახავად და განსაახლებლად 7) 6 ათასი მანეთის სარგებელი მოხმარებულ იქმნეს საწირავად, ორ-ორჯერ კვირაში განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

გარდა ამისა, განსვენებულის სახლი, რომელიც იუნკერთა მოედანთან იმყოფება, უნდა გაიყიდოს და მოგებული თანხა ნაანდერძევ ფულს მიემატოს.

დანარჩენი ორი სახლი და დუქანი შუა ბაზარში ნაანდერძევი აქვთ განსვენებულის მახლობელ ნათესავთ. («ივერია»)

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე

## საუბარი ბზობის კვირიაკესა ზედა.

სამ წელიწად ნახევარი ასწავლიდა იესო ქრისტე ურიებს; ამ ხნის განმავლობაში მაცხოვარმა მრავალი სასწაულები მოახდინა: ბრმანი ხედვიდენ, კოჭლთ იწყეს სიარული, კეთროვანნი განიწმინდენ, ყრუნი ისმინდენ, მკვდარნი აღდგენ და განრღვეულნი გამომრთელდენ. იესო ქრისტეს სწავლას, განსაკუთრებით მის სასწაულებს, განცვიფრებაში მოჰყავდა მსმენელნი და მხილველნი: არც ერთი კაცი ასე არ ლაპარაკობდა, როგორც ეს კაციო (იოან. 7, 46), გაკვირვებით გაიძახოდა ხალხი. ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტვირთა შენ და ძუძუნი, რომელთა ჰწოვდი (ლუკ. 11, 27,) ამბობდა ხალხი იესო ქრისტეზე. წმ. მახარებელნი, როცა მოგვითხრობენ ქრისტეს რომელიმე სასწაულს, ხშირად დასძენენ ხოლმე: ყველანი კვირდებოდენ, ადიდებდენ ღმერთსა და იტყოდენ: არას დროს ასეთი არაფერი გვიხილავსო (მარკ. 2, 12). ყველანი შეიპყრო შიშმა და ადიდებდენ ღმერთსა და იტყოდენ: ვითარმედ წინასწარმეტყველი დიდი აღდგომილ არს ჩვენ შორის, და ღმერთმა მოხედა თავის ხალხს (ლუკ. 7, 16). ასე მოხდა კაპერნაუმში, როცა ქრისტემ განკურნა გარღვეული, ნაინში, სადაც მაცხოვარმა აღადგინა მკვდრეთით ქვრივი ქალის შვილი, უდაბნოში, სადაც ქრისტემ ხუთი პურით გააძღო ხუთი ათასი კაცი და სხვა ადგილებშიაც ჰკვირობდა ხალხი. უკვირდათ და განცვიფრებაში მოდიოდენ მარტო იმ ადგილების მკვიდრნი, სადაც ქრისტე ასწავლიდა და სასწაულებს იქმოდა. მაგრამ ქრისტეს იერუსალიმში მისვლის დროს აღივსენ სიხარულით ყველა იუდელები, რომელნიც შეკრებილნი იყვნენ იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე; ეს სიხარული იყო გულწრფელი; იმდენად აღივსენ ყველანი სიხარულით, რომ ჰრიდენ ბზის ტოტებს და აფენდენ გზაზე; ესეც აღარ იკმარეს, წოგნი იხდიდენ თავის ტანთსაცმელს და გზაზე აფენდენ. მეტი-მეტი სიხარულისაგან ღაღადებდენ: ოსანა ძეო დავითისო! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ეხლა, თითქო, ყველანი დარწმუნდენ, რომ იესო ქრისტე იყო ნამდვილი მხსნელი ქვეყნისა, მოვლენილი ქვეყნად. იუდელები, თითქო, ხედვენ, რომ იესო ქრისტე არის იმედი და დიდება ისრაელთა, მესია, მათი მეფე. რაც უფრო ქრისტე უახლოვდებოდა იერუსალიმს, ხალხის სიხარულიც ერთი ორად ძლიერდებოდა და როცა ერთი მაღლობიდამ გამოჩნდა იერუსალიმი, ხალხის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა! ხალხი შეჩერდა. აი ის საუკუნო ქალაქი, სადაც საუკუნოდ უნდა იმეფოს მესიამ. ამ აზრმა, როგორც ელვამ, ისე გაუარა ყველას გონებაში და უფრო ხმა მაღლა იწყეს ყვირილი: ოსანნა! ყველანი ხარობენ; მაგრამ ერთი რამ არის გასაოცარი: ყველანი ხარობენ, ხოლო ის, ვისაც ხალხი შეხარის, სტირის... რაზე ღვრის იგი ცრემლებს? ღმერთი ხედავს ჩვენს მომავალს. ღმერთი ხედავს იუდელების სიხარულს, მაგრამ იცის ისიც, რომ ეს სიხარული მალე ჩაქრება და მის მაგიერ ეს ხალხი აღივსება შურით ქრისტესადმი; მას ესმის: ოსანნა! მაგრამ მასვე ესმის ისიც, რომ ეს ხალხი გაბრაზებით იწყებს ყვირილს: ჯვარს აცვი ეგე! ქრისტე ხედავს დიდებულ იერუსალიმს, მაგრამ იცის ისიც, რომ ხალხი დღეს სწორეთ იმ ადგილს სდგას, სადაც მალე იდგებიან რომაელნი, რომელნიც მიწასთან გაასწორებენ იერუსალიმს და ქვას ქვაზე არ დასტოვებენ მასში; იგი ხედავს სიხარულით აღტაცებულ ხალხს, მაგრამ იმასაც ხედავს, რომ იქ მდგომარე ხალხში მრავალნი არ იხილვენ სიკვდილს (მათ. 16, 28), რომ მრავალი ამ ხალხთაგან დაიხოცებიან ხმლით, მრავალნი სიმშილით ამოწყდებიან, მრავალნი ტყვეთ იქნებიან წაყვანილნი და როგორც სილა ისე განიფანტებიან დედამიწის პირზე და თავის დღეში ვერ იხილვენ იმ იერუსალიმს, რომელსაც ეხლა შეხარიან და ყველაზე უარესი ის იქნება, რომ თვითონ მესიასაც უარსა ჰყოფენ, და ამის გამო ვერ იხილავს ზეციურ იერუსალიმს! და როცა ყოველივე ამას ხედავდა ქრისტე, ნუ თუ შეეძლო, არ ეტირა! ნუთუ შეეძლო მას

გაჩუმებულიყო და გულის სიღრმიდგან არ წამოიძახა: იერუსალიმ! იერუსალიმ! „უკეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშვიდობად შენდა! (ლუკ. 19, 42). მართლაც ეს დღე სწორედ რომ შესანიშნავი დღე იყო იერუსალიმისათვის; ამ დღიდან უნდა დაწყებულიყო იერუსალიმის ხსნა ანუ დაღუპვა. საუკუნო ცხოვნება ანუ საუკუნო დაღუპვა! ესმოდათ თუ არა იუდეველებს ქრისტეს სიტყვები? ხედავდენ თუ არა ისინი მის ცრემლებს? ალბად ძლიერ ცოტანი. ცოტა შესვენების შემდეგ ხალხი უფრო მომეტებული სიხარულით გამოუდგა გზას იერუსალიმისაკენ; დიდის ამბით შევიდა ქრისტე იერუსალიმში, შემდეგ იგი შევიდა ტაძარში, საიდგანაც გამორეკა გამყიდველნი და მყიდველნი; ყველანი სიტყვის ამოუღებლად ემორჩილებოდენ ქრისტეს; თვითონ ტაძრის უფროსებსაც კი არაფერი უკადრებიათ ქრისტესათვის მისი განკარგულების წინაალმდეგ ტაძარში. თითქო მაცხოვრის სიტყვა ყველასათვის კანონი შეიქნა. იესო ქრისტე წყნარად და დიდებულად დაბრუნდა ბეთანიაში.

ესვე ამბავი ხდება თუ არა ჩვენს დროშიაც? არა მარტო მოგონებით, არამედ საქმით? უნდა გამოვტყდეთ, ძმანნო, რომ ესევე ხდება დღესაც. იესო ქრისტე გუშინ და დღეს ჩვენთანა არს და იგი თავადი არს უკუნისამდე (ებრაელ. 13, 8). იგი ჩვენთანა არს ყოველივე დღეთა, და ვიდრე დასასრულამდე სოფლისა (მათ. 28, 20). იუდეველებს ქრისტე ასწავლიდა სამი წელიწადი; ჩვენ კი მუდამ გვასწავლის. «აჰა ესერა, ვსდგავარ კარსა ზედა და ვრეკ. უკეთუ ვინმე ისმინოს ხმისა ჩემისა და განაღოს კარი, შევიდე მასთანა და ვსჭამო მასთანა სერი და მან ჩემთანა» (გამოცხადება იოან. 2, 20). იმ დღიდგან, როცა კაცი განშორდა ღმერთს, და თავისი გულიდანაც ამოირეცხა ღვთის ხსოვნა, და თავი მიანება ღვთის სიტყვების სმენას, უფალი მუდამ მიდის ასეთ კაცთან, მუდამ უძახის მას, მუდამ რეკს მის გულში, რომ იგი ხელახლად მიიქცეს ღვთისადმი.

მაგალითად თქვენ დგახართ ლოცვაზე და ევედრებით ღმერთს. ლოცვის დროს თქვენს გულში იგრძნეთ რაღაც შინაგანი სიამოვნება, ანუ ლმობიერება — იცოდეთ, რომ ეს მოახდინა უფლის მადლმა თქვენს გულში.

ვთქვათ, სახლში თქვენ კითხულობთ ღვთის სიტყვას, ან ეკკლესიაში ისმენთ ქადაგებას და ამ დროს რაიმე ჩვეულებრივმა აზრმა გაგიარათ გონებაში — იცოდეთ, რომ ეს მოახდინა თქვენს გონებაში უფალმა.

ხან იმ დროს, როცა გართულნი ვართ სხვა და სხვა ამაო ზრუნვაში, თვალწინ გვეხატება სიკვდილი, ღვთის განსჯა და ესეები თავზარს გვცემენ; ხან ისიც მოხდება, რომ რომელიმე საქმეს დიდის წარმატებით ვასრულებთ, მაგრამ სინდისი რაღაცა გვამხილებს და წინ გვიყენებს იმ უკანონო საშუალებათ, რომელთა წყალობით ჩვენ ის საქმე შევასრულეთ. ეს სინდისი ისე გვეცხადება ჩვენ, როგორც წინასწარმეტყველი ილია ოდესმე გამოეცხადა ახაზს და რქვა: შენ მოიქეცი უპატიოსნოდ და ფიქრობ იმხიარულო, მაგრამ შენი გამარჯვება შენვე სასიხარულოდ არ გირჩება და გრძნობ, რომ შენთვის საჭიროა მარხვა, ლოცვა და მონანება. ეს, ძმანო ჩემნო, არის რისხვა, მოვლენილი ჩვენს გულში ღვთისაგან, რომელიც ამით გვირჩევს ჩვენ ცოდვების მონანებას.

ხან კაცი შეჰყურებს მოწმენდილ ცას. ვთქვათ, ცა ამ დროს ისეთი შვენიერი სანახავია, რომ არ გინდათ თვალი მოაშოროთ. რაისაგან არის ეს? იმისაგან, რომ უფალი ჩვენს წინაშე ცხად-ჰყოფს მოციქულის პავლეს სიტყვებს: «ხოლო ჩვენი მოქალაქობა ცათა შინა არს“ (ფილ. 3, 22).

ხან ხედავთ, ანუ გესმით რაიმე კეთილი საქმე და თქვენი გული ივსება სიხარულით. კიდევ ყოფილან კეთილი ხალხი, დაიმედებული ამბობთ თქვენ, იცოდეთ, რომ „უფალი მოწყალეა“. იგი გეუბნება შენ: იყავ შენც აგეთივე, «წარვედ და იქმოდე ამასვე“.

ვთქვათ, შენ ხვდები რაიმე სისაძაგლეს, უსამართლოებას, ფარისევლობას, და განრისხდებით. შენ გებრალება საწყალი მატყუარნი და ფარისეველნი; გონს მოდი. «უფალი ახლოს არის». მან განგებ შეგამთხვია შენ ესეები, რომ შენც არ იც-

რუო და პირფერობა არ ჩაიდინო. ამით უფალი გეუბნება შენ, იცოდე, რომ შენც არ მოიქმედო ეგეები.

თითოეულს ჩვენგანს მრავალი ამისთანა შემთხვევები ჰქონებია ცხოვრებაში; უფალი დღესაც დგას ჩვენი გულის კარებთან და შეუჩერებლად არაკუნებს. და რომ ჩვენ უფრო მომეტებულად ვუსმენდეთ მას, მაშინ ჩვენც შეგვეძლო გვეთქვა იგივე, რაც ოდესმე სთქვა წმ. დავითმა: „გამოჩნდეს სლვანი შენნი, ღმერთო, სვლანი ღვთისა ჩემისა და მეუფისანი წმიდასა შინა“ (ფს. 66, 23). და თუ ჩვენ ღვთის სვლას ჩვენს სულში ვერ ვამჩნევთ, ამის მიზეზი იგივეა, რის გამოც მრავალ იუდელებს არ უხილავთ ქრისტე, და არც მისი სწავლა მოუსმენიათ, თუმცა მაცხოვარი სამი წელიწადი დაიარებოდა მათ ქალაქებსა და სოფლებში, და უქადაგებდა მათ ღვთის სასუფეველს და ჰკურნებდა ყოველივე უძლურებათა... ამ ხალხის გული სწორედ გაქვავებული იყო.

მაგრამ, ძმანო, ჩვენს გულში დიდებითაც შემოვალს უფალი, უფალი მოვალს სრული თავისი დიდებით, მართლ-მ[illegible]ჯულებით და რისხვით, ქუხილსა, ელვასა [illegible] ძვრასა შინა; მოვალს უფალი და შე[illegible]ნი ლიბანიისანი, მიწა ირყევა, ცანი კრთია[illegible]ას წინაშე, აღარ ჩანს მზის სხივი, და კაცი გრძნობს, რომ ყოველივე იმხობა: ხედავს კაცი, რომ მისი ფიქრი და იმედები გაცრუვდენ; იგი იმედ დაკარგული ვარდება ღვთის დიდების წინაშე და ამბობს: მე შენი ვარ, უფალო; შენი ქმნილება ვარ, ნუ წამწყმედ მე! ასე მოვქმედობთ, როცა მოულოდნელად გვესმის სიკვდილი ვინმე ჩვენი ნაცნობისა და გაოცებით ვამბობთ: ღმერთო ჩემო, გუშინ იგი სრულებით კარგად იყო; აი რა არის ჩვენი სიცოცხლე;—ამასვე ვიმეორებთ, როცა გარდაგვეცვლება ხოლმე მშობლები, მეუღლე, შვილები, ნათესავები ანუ გვეღუპება მამული; როცა კაცი სასიკვდინედ ავად ხდება, და როცა ხედავს, რომ მას უკვე ერთი ფეხი სამარეში უდგია, მხოლოდ მაშინ ეძლევა იგი საოცარ მწუხარებას და ზარდაცემული ამბობს: უფალო იხსენ სული ჩემი (ფსალ. 114, 4). ამისთანა შემთხვევაში უფალიართმევს კაცს ყოველივე მას, რაც იზიდავს კაცის სულს, სპობს კაცში ყოველივე დაბრკოლებათა, რომ ქრისტე უფრო დიდებით შევიდეს მის სულში. ზოგი კაცი სწორეთ ასეთ შემთხვევების შემდეგ ტყობილობს, თუ რა არის საჭირო მისი ცხოვნებისათვის და იწყებს ახალ ცხოვრებას, რომელიც სასიამოვნოა ღვთისათვის. ყოველ წელიწადს ჩვენ აღსარებას ვამბობთ და ვზიარობთ.., ხან დის ხაი სამეუფო კარების გაღების დროს, იღება სვენი გულის კარებიც... „შიშითა ღვთისათა“... და საღმრთო ძრწოლა ელვასავით გაგვირბენს მთელს ტანში. „მომიხსენე მე უფალო»... და თვალცრემლიანი ვარდებით მომავალი უფლის წინაშე. მივდივართ წმ. საიდუმლოთა მისაღებად და ჩვენი გული სიხარულისაგან სცემს. მზაა გული ჩემი, ღმერთო, მზა! მე თვითონ გავაძევებ ჩემი სულის ტაძრიდან არა მარტო გამყიდველთ და მყიდველთ—სიცრუეს და ბოროტებს, არამედ მტრედებსაც ე. ი. ისეთ სიამოვნებათაც, რომელნიც მაინცა·და-მაინც აღკრძალულნი არ არიან; არა მარტო ჩემს ტანთსაცმელს დავაგებ გზაზე, მე თვითონ დავეგები გზაზე უფალს; მხოლოდ უფალო იესო ქრისტე. შემოვედ სემი სულის ტაძარში! კურთხეულ არს უფალი, სახელითა უფლისათა! და უფალი ზიარების დროს თავისი ხორცის და სისხლის მეოხებით შედის ჩვენს სულში „და მშვიდობამან ღმრთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, შეჰზღვდენინ გულნი ჩვენნი და გონებანი» (ფილ. 4 7). რა კარგი იქნება. რომ ასეთ დროს მაინც შევიგნოთ, თუ რა არის საჭირო ჩვენი ცხოვნებისათვის.

მაგრამ საუბედუროთ ეს არ ხდება ხშირად! უმეტესად ზიარების მეორე დღეს, თუ იმავე დღესვე არა, ჩვენ მზათ ვართ ვკითხოთ უფალს: რაისაგან არის ეს? ასე რატომ უნდა მოვიქცეთ? ნუ თუ უამისობა არ შეიძლება? სწორეთ ასევე მოიქცნენ იუდელები, რომელნიც იერუსალიმში დიდებით შესვლის მეორე დღესვე ეკითხებოდენ ქრისტეს: რა ძალით იქმ ამას?

ვეცადოთ, ძმანო, რომ ჩვენი სული და გული მუდამ ჟამს მზათ ვიქონიოთ, რომ უფალი დაუბრკოლებლად შევიდეს ჩვენს სულსა და გულში და წარავლინოს ჩვენი სვლანი საუკუნო ნეტარებისაკენ, რომელიც უფალმა მოგვანიჭოს ჩვენ ყოველთა. ამინ.

# საეჭვო კითხვების განმარტება.

**კითხვა.** შეიძლება თუ არა, რომ როცა მწირველნი არიან სამი, ოთხი და ან მეტი მღვდელი, მათში რომელიმე მონაწილეობას იღებდეს წირვის ასრულებაში, მაგრამ მოუმზადებლობისა გამო არ ეზიაროს?

**მიგება.** უთვლად შეუძლებელია. თუმცა ამას ჩადიან ზოგიერთ ადგილას, მაგრამ ასეთი საქციელი უკანონოა. მთავარ დიაკვნები, მართალია ხშირად მოუმზადებელნი სწირავენ მღვდელთან და არ ეზიარებიან, მაგრამ ესეც უკანონო საქციელია და სასურველია, რომ არ ხდებოდეს. მღვდელი, რომელიც სწირავს და არ ეზიარება, მოციქულების კანონით უნდა მღვდელობისაგან განიკვეთოს!..

**კითხვა.** შტატ გარეშეთ გასულ მღვდელს, რომელსაც პენსიის მიღების დრო შეუსრულდება, შეუძლია თუ არა, რომ მონასტერში მონაზვნობა მიიღოს და მღვდელობით დამსახურებული პენსია, 130 მანეთი იღოს?

**მიგება.** არ შეუძლია. არც ერთ ბერს პენსია არ ეძლევა, რადგან ბერს მონასტერში საცხოვრებლად ყველაფერი აქვს...

**კითხვა.** შეიძლება თუ არა ჯვრისწერის გაყრა, თუ ცოლ-ქმარში რომელიმე ჯვრისწერის შემდეგ გადირია ან გასულელდა და თუ შეიძლება, რომელი კანონის ძალით და საფუძვლით.

**მიგება.** ჯვრისწერის გაყრა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მეუღლეთაგან რომელიმე გიჟი ან სულელი იყო გვირგვინის კურთხევამდისინ (იხ. მეათე ტომის 1887 წლის გამოცემის 37 მუხლის 1 შენიშვნა).

**კითხვა.** თუ სამი და ოთხი შტატის მღვდელს აქვს უფლება, რომ არ იაროს ეკკლესიაზე, როცა მისი რიგი არ არის, მღვდლის მიხედვით ნუთუ მედავითნესაც არ შეუძლია განითავისუფლოს თავი, როცა იგი თავის რიგს შეასრულებს?

**მიგება.** არც მღვდელს და არც მედავითნეს არ შეუძლიათ თავი განითავისუფლონ ეკკლესიაში სიარულისა და წირვა ლოცვაში მონაწილეობის მიღებისაგან. როცა რომელიმე მღვდელი თავის რიგს შეასრულებს, შემდეგ უწმიდესი სინოდის უკაზით, 22 მარტიდან 1880 წლისა, კლიროსზე უნდა დადგეს და გალობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, თუ ეს უკაზი მღვდლებს შეეხება, რასაკვირველია, მედავითნენი მათი რიგია თუ არა, ღვთის-მსახურების დროს მიუცილებლად უნდა იყვნენ ეკკლესიაში და მონაწილეობას უნდა იღებდნენ კითხვა-გალობაში.

**კითხვა.** შეიძლება თუ არა დედინაცვლის დისწულის ცოლათ შერთვა.

**მიგება.** არ შეიძლება, რადგან გერი, რომელსაც ცოლად უნდა შეირთოს დედინაცვლის დისწული, მეოთხე ხარისხზეა თვისებითი ნათესაობით, რომელ ხარისხზედაც გვირგვინის კურთხევა აკრძალულია უწმიდესი სინოდის უკაზით 19 იანვრიდან 1810 წლისა.

**კითხვა.** ერის კაცის, მღვდლის და ეპისკოპოსის გარდაცვალების დროს უნდა დარეკონ თუ არა ეკკლესიაზე და თუ უნდა დარეკონ, როგორ?

**მიგება.** ჩვეულებათ არის შემოღებული, რომ მღვდლის გარდაცვალების დროს დარეკონ სამჯერ დიდი ზარი იმ ეკკლესიაზე, სადაც გარდაცვალებული მსახურებდა, ხოლო ეპისკოპოსის გარდაცვალებაზე სამჯერვე უნდა დარეკონ კათედრის ტაძარის დიდი ზარი. ერის კაცებზე არ არის ნაჩვენები.

**კითხვა.** როცა მღვდელი მწუხრს ან ღამის თევით ცისკარს ასრულებს კერძო სახლში, მშვიდობიანის წარმოთქმის დროს როგორ უნდა თქვას: «აღმაშენებელთა წმიდისა ამის ტაძრისათა», «ძმათა წმიდისა ამის ეკკლესიისათა», «წმიდისა ამის ეკკლესიისა», თუ უნდა შეიცვალოს ეს სიტყვები და მოიხსენონ ის სახლი, რომელშიც სრულდება ლოცვა?

**მიგება.** არა ვითარი ცვლილება არ შეიძლება ამ სიტყვების წარმოთქმაში, ამისათვის რომ

ეს წარმოთქმული სიტყვები ეკუთვნის იმ ტაძარს, რომელზედაც მსახურებენ ლოცვის აღმსრულებელნი.

**კითხვა.** გარდაცვალებულის წესის აგების და პანაშვიდის აღსრულების დროს მგალობლები როგორ უნდა გალობდენ „უფალო შეგვიწყალენს» თუ უფალო შეიწყალე-ს?

**მიგება.** როგორც ტიბიკონში სწერია, ისე უნდა გალობდენ. ტიპიკონში არსად არ არის ნაჩვენები, რომ მგალობლები გალობდენ «უფალო შეიწყალე»-ს. ხშირად, როცა პანაშვიდს იხდიან, მგალობელთაგან გესმის სხვაგან დამარხულ და გარდაცვალებულ პირთა ზედა: «განუსვენე უფალო სულსა მონისა იმისასა“, თითქმის ამით უჩვენებენ, რომ აქ არ არის გარდაცვალებული, არამედ სხვაგან. ესეც ძლიერ შემცდარი აზრია.

**კითხვა.** ბლაღოჩინებს ეკკლესიის ღერბი უნდა ქონდესთ, თუ სახელმწიფო არწივიანი ღერბი?

**მიგება.** ბევრს ადგილას ბლაღოჩინები ხმარობენ ეკკლესიის ღერბს, მაგრამ მრავალთ არწივიანი ღერბი აქვსთ იმ საბლაღოჩინო მაზრის წარწერილობით, რომელშიაც იგინი მსახურებენ. ჩვენის აზრით უკანასკნელი უფრო რიგიანია.

---

## რედაქციის პასუხი

**მღ. ს. ლუ—ნავს.** თქვენი ლექსები არ იბეჭდება.

**მღ. გ. კან—ქს.** თქვენი სტატია: „დირექციის და პოლიციის შეხედულობა და მიმართულება სახალხო და სამრევლო სკოლაზე“ არ იბეჭდება.

**მღ. ია. ამ—მეს.** თქვენი სტატია «ჩვენს ჯანმრთელობას ცუდი ბოლო მოელის» არ იბეჭდება.

---

# განცხადებანი

კერძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ

## ს. ბ. თოფურიასი

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს

ექ. ს. ბ. თოფურია.

ხირურგულ, შარდით და სიფილისით

ექ. ფ. კ. ბერრატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიოს ქალი-

ექ. მ. ფ. კაგანი.

თვალების ავათმყოფისათვის

ექ. ი. კ. ვარშავსკი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქნრა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

---

### საყურადღებოა ავათმყოფთათვის:

ქარებით (თითქმის ძვლების სიმსივნით), **კუჭის ავათ-მყოფობით და ხაწლევების ანთებით, ბუასილით, სულის შეხუთვით, სისხლის ნაკლებობით და** ყოველ გვარი გაცივებით სნეულთათვის. ყველა ამ გვარ სნეულთათვის მოწონებულია და ურჩევენ შესანიშნავ „კუზმიჩევის ბალახს“.

ნამდვილი ბალახი არის მაისისა ყვავილით, დაძირით უკეთესი სუნიანი. არის მიღებული და ისყიდება კოკოჩოვის აფთექის მაღაზიის საწყობში ქუთაისში.. 3—3

მიიღება ხელის-მოწერა 1898 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

# „მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2 მ. |
| — „ რუსული „ 3 მ. | — „ რუსული „ 2 » |
| — „ ორივე გამოცემა 5 » | — „ ორივე გამოცემა 3 » |

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ზუგდიდში**, აგრეთვე ქუთაისშიაც. **თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; **საჩხერეში**—ყარამან ჩხეიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. **ახალსენაკში**—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირიდონ ან. მაჭარაძესთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ზუგდიდში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ზარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

მომავალი წლის ხელის მომწერთათვის დანიშნულია საჩუქრად წიგნი **საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი, ლექსად დაბეჭდილი** უცნობი ავტორისა, რომელსაც ხელის მომწერნი მიიღებენ 1898 წ. დეკემბრის თვეში.

---

# „ცნობის ფურცელი“

1898 წელს გამოვა უფრო ვრცელის შინაარსით და მრავალის ცნობებით საქართველოს ყველა კუთხიდან. «ცნობის ფურცელი» ერთად-ერთი ყოველ-დღიური გაზეთია, რომელიც სიაფისა გამო ყველასათვის ხელ მისაწდომია.

დიდი უპირატესობაა აგრეთვე ის გარემოება, რომ გაზეთი გამოდის ყოველ-დღე კვირა უქმეების შემდეგაც

წლიურ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ ვინც გაზეთს წლიურად დაიკვეთავს, იმას უსასყიდლოდ გაეგზავნება

## კედლის კალენდარი 1898 წლისათვის

სურათებიანი და მშვენიერს ქაღალდზე დაბეჭდილი სხვა-და-სხვა ფერადებით

**სამაგალითო და ძვირფასი ნობათები.**

„ცნობის ფურცლის“ რედაქციამ შეიძინა უფლება და დამდეგს 1898 წელს გამოსცემს

ჩვენის ახალ-გაზრდა ნიჭიერის მწერალის

**შ. არაგვისპირელის**

## სრულს თხზულებათა

**ავტორის სურათით, მოკლე ბიოგრაფიით და კრიტიკულის განხილვით**

წიგნში მოთავსებული იქნება ოცზე მეტი სხვა-და-სხვა საუკეთესო მოთხრობები, დაწერილი 1898 წ-დე წიგნი იქნება მშვენიერს ქაღალდზე დასტამბული, დიდის ზომისა და 300 გვერდზე მეტი

---

**გაზეთის ფასი:** წლიურად ყველა ნობათებით 6 მ. ნახევარის წლით 4 მ. ერთის თვით 60 კ. ცალკე ნომერი 3 კ.

---

შეღავათიან ხელის-მომწერთათვის

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც წლიურ ფასის სრულად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მ. წარმოადგინონ და მერე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, ვიდრე წლის ფასს შეასრულებდნენ. 3—3

რედ. გამომ. **ვალ. ლევ. ძე გუნია.**

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. პ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

*Дозволено цензурою, Тифлисъ, 19 марта 1898 г. ✦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.*

**Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хапановыхъ, на Нѣмецкой ул.**

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.


№ 7 1883—1898 15 აპრილი.



გაზეთის ფასი:

| „მწყემსი“ | | „მწყემსი“ რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 3 მან. | 12 თთვით | 5 მან. |
| 6 „ — | 2 — | 6 — | 3 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
*Въ Кваилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

უველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თთვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდე-

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.




## აღდგომა!

საფლავის მცველებს მიმართეს
ბილწთა, და უთხრეს ეს ნდომა:
«მიიღეთ ვერცხლი და არ სთქვათ
იესოს მკვდრეთით აღდგომა!

და სთქვით: როდესაც გვეძინა,
მკვდარივე წარიპარაო»,
მათ უთხრეს: «წადით, ნუ სცდებით,
ცდომა გეეოფათ, კმარაო!


P 38837

ეს სასწაული ღვთისაა,
არა თუ ეს ჰქმნა კაცმაო!
ჰა ლოდი!—გარდაავორვა,
ზეცისა ანგელოსმაო!

აღსდგა ის ნაზარეველი,
თქვენდავე გასაკვირვადო!
ჩვენ გვრწამს ის ღმერთად და კაცად,
ამინ და ჭეშმარიტადო!

რ. ს—ლი.

## ქრისტე აღსდგა!

ყოველ მხრიდან რეკა ისმის,
ხალხი საყდარს კარს მოადგა,
ზეცა ნათლით მას დაჰყურებს...
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!
ლოცვა გვმართებს მის პატივად,
ჩვენს მფარველად ვინც რომ დადგა,
ვინც სიკვდილით სიკვდილისგან
დაგვიხსნა და მკვდრეთით აღსდგა!
მან გვირგვინი უკვდავების
მოგვანიჭა, თავს დაგვადგა,
კაცთა დახსნის წმიდა ვალი
იტვირთა და მკვდრეთით აღსდგა.
ქრისტე აღსდგა! შეიმოსა
კვლავ სამეფო კვერთხით, მიტრად,
კურთხეულ არს და დიდებულ
აწ და მარად ჭეშმარიტად.
ქრისტე აღსდგა! გვისაროდენ
სასწაული ესე წმიდად,
ჩვენ უღირსთა ნეტარება
მოინება ჭეშმარიტად.
ქრისტე აღსდგა! გვისაროდენ
მისთა მოსავთ ეს დღე დიდად,
მაშა, ძმებო, ვიგალობოთ:
ქრისტე აღსდგა, ჭეშმარიტად.
ქრისტე აღსდგა! გვისაროდენ
ღირს ვიქმენით მისად მკვიდრად,
მაშა, ძმებო, ვიგალობოთ:
ქრისტე აღსდგა, ჭეშმარიტად.
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!
ვიგალობოთ ტკბილად, მინდვრად.
აღვიაროთ სასწაული
მისგან ქმნილი ჭეშმარიტად.
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!
ჭეშმარიტად ყოვლად სრული,
და ცხოვრება მოგვანიჭა
უწინარეს მან აღთქმული.

თ-დი როსტომ (გუძა) ჩიქოვანი

## ქრისტე აღსდგა!

სასიხარულოა მზის სხივების ხილვა მისთვის, ვისაც მრავალი წლის განმავლობაში არ უხილავს მისი სასიხარულო ნათელი. სასიხარულოა ტყვესათვის, რომელიც დიდ ხანს ცხოვრებდა ბნელს, ნესტიანს და სულის შემხუთველ საპატიმროში, რომელსაც (ტყვეს) მხოლოდ თავის ბორკილის რახა-რუხი ესმოდა და მხოლოდ საპატიმროს მცველთა სასტიკ სახეს შესცქეროდა,—თავისუფლების მიღება და მზის სინათლის ხილვა, როცა მას შეუძლია თავისუფლად დასტკბეს მზის კეთილ-მყოფელი სითბოთი და ნელ-ნელა შეივსოს თავისი ძალ-ღონე. სასიხარულოა ტყვესათვის, რომელმაც მიიღო თავისუფლება, ის წარმოდგენა, რომ იგი, დღიდგან განთავისუფლებისა, აღარ ითვლება გარიყულ პირად საზოგადოებიდან, რომ მას ხელ ახლად ეძლევა ნება ისარგებლოს ბუნების ყოველივე კეთილითა, ისარგებლოს ბედნიერე-

ბით როგორც თვითონ, ისე სხვებიც გააბედნიეროს თავისი შეძლებისა და თავისი შეგნებისაებრ! ასეთ კაცს, რასაკვირველია, არ შეუძლია სისრულით გამოხატოს თავისი სიხარული და ეს სიხარული გადასცეს სხვათაც!

მზის სინათლის მეოხებით, რომელიც (მზე) ამობრწყინდა საფლავისაგან, ჩვენ შეგვიძლია უცქიროთ ჩვენ საკუთარ საფლავს გულმშვიდად და შეუშფოთებლად, მეტს ვიტყვი,—იმედით და სიხარულით! სიმართლის მზემ თავისი ზეციური ნათელით გაანათლა ჩვენი კუბო და ჩვენი უწინ ბნელი სამარე. აი ნათელი, რომელსაც ვერ დაფარავს ვერც სიკვდილის ბნელი, ვერც წყვდიადი ეჭვთა და ცრუსიბრძნეთა! „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით! ქრისტე აღსდგა!“ ამ სიტყვებს იმეორებენ ათასი და მილლიონი ხალხი ყოველ საუკუნეში, ყოველს დგმაში და ყოველ წლობით! ამ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მრავალთა შესწირეს სიცოცხლე იმ იმედით, რომ შემდეგში აღსდგებოდენ ახალი და საუკეთესო ცხოვრებისათვის. ათასმა კაცმა იხილა და გადასცა შთამომავლობათ ზეპირად და წერილობით, თუ ეს მოწჳენი მკვდრეთით აღდგომილის სახელით როგორ ჰკურნებდენ სნეულებათა, აღადგენდენ მკვდართა, და მაცხოვარისვე ძალით ამ მოწაფეთ სძლიეს მდევნელთა მტრობასა და შურსა, და გარდაჰქმნეს კაცობრიობა ახალი, საუკეთესო ცხოვრებისათვის,—აღადგინეს იგი ქრისტეს აღდგომით!

ჩვენც ვიდღესასწაულოთ აღდგომა ქრისტესი! მაგრამ როგორ და რით შეგვიძლია ღირსეულად ვიდღესასწაულოთ ეს აღდგომა? ხილული მზის სინათლის დროს ადგილი არა აქვს ბნელსა და წყვდიადსა: სიმართლის მზის სინათლესთან ადგილი ნუ ექნება სიცრუეს და უმართლოებას, შურს და ბოროტს. ყოველი არსება ქვეყანაზე შეხარის მზეს: დაე ყოველი სულიერი ზნეობითი ცხოვრებით შეუერთდეს სიმართლის მზეს, და მოიპოვოს მის ღვთაებრივ სხივებში გაუქრობელი ნათელი, რაც შეუძლია, რაც ესაჭიროება, რაიცა საჭიროა მისი აღზრდისა და აღყვავებისათვის. და სუნნელოვან იქნეს სარწმუნოების და სიყვარულის საქმეებით და მოიტანოს ნაყოფი საუკუნო ცხოვრებისა. როცა ვხედავთ სიმართლის მზის სინათლეს, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ აღვასრულოთ საქმენი სიმართლისანი: „რამეთუ თქვენ ყოველნი შვილნი ნათლისანი ხართ და შვილნი დღისანი“ (1 თესალონ. 5, 5). «უკეთუ ქრისტეს თანა აღსდექით, ზეცისასა ეძიებდით, სადაცა იგი ქრისტე არს მარჯვენით ღმერთისა მჯდომარე“ (კოლას. 3, 1—2).

ქრისტე აღსდგა! ეს სიტყვა ათასი პირისაგან გესმით მკაფიოდ და სიხარულით. ვევედროთ უფალს, რომ ეს სიტყვა არ იქნეს მხოლოდ ნიშნად ზრდილობიანობისა და ფუჭე სიტყვად! ქრისტეს აღდგომა უნდა იხატებოდეს მშობლების ჭეშმარიტ და ბრძნულ სიყვარულში შვილებისადმი და შვილების ჭეშმარიტ მორჩილებასა და პატივის ცემასა შინა მშობელთადმი. მშობლები ვალდებულნი არიან აღზარდონ შვილები ქრისტიანობრივი სარწმუნოების და სიყვარულის ნათელსა შინა, ხოლო შვილნი ვალდებულნი არიან მიიღონ ეს ნათელი და მით გაინათლონ გონება და გული თვისი! და აღდგემსცა ქრისტე ცოლ-ქმართა ჭეშმარიტ და პირუთვნელ სიყვარულში და უმანკოებასა შინა; და უკუნმცა იქცეს ბნელი ნათლისაგან მზისა და უკუმცა იქცეს უწმიდურობა და გარყვნილება ამა ნათელის შვილთაგან! და აღდგესცა ქრისტე ზომიერების და მოთმინების საქმეებში და დაბნელდეს მატყუარა და მაცთუნებელი სიბრწყინვალე, და გაჰქრეს ბნელი, მოისპოს უჰკუო, ზომას გადასული მედიდურობა და გამფატველობა, და უმზგავსო სულისა და ხორცის შემაგინებელი ხორციელი სიამოვნებანი!

„ქრისტე აღსდგა“. ღმერთმა ინებოს, რომ მთელი საქრისტიანო ქვეყნის ამ საყოველთაო მოკითხვაზე პასუხი გასცეს არა მარტო ჩვენმა ენამ, არამედ მთელმა ჩვენმა საზოგადო ცხოვრებამ და მოღვაწეობამ! და აღსდგეს ქრისტე, და გამობრწყინდეს მზე სიმართლისა მსაჯულებში და სამსჯავროებში, და ანათოს მან სანუგეშოდ შეურაცხყოფილთა და შევიწროებულთა და ადგილი ნუ ექნება მსაჯულთა და განსასჯელთა გულსა და სინდისში პირ მოთნეობას, მექრთამეობას და კეთილ მყოფელ კანონთა ცრუ განმარტებას! და აღსდგეს ქრისტე საზოგადოების უმაღლეს წევრთა შორის, რომელნიც მოწოდებულნი არიან დაამყარონ საზოგადო სიკეთე თავისი გონებით, განათლებით, უფლებით, სიმდიდრით და ხელოვნებით; და ანათებდესმცა მათ საქმეებში ქრისტიანული სიყვარული, აღსავსე ჭეშმარიტი ცხოვრებითა და ძალითა, რომელნიც აღმაშენებელნი და მფარველნი არიან ხალხის კეთილ დღე-

ობისა! და აღდგესმცა ქრისტე ყველა ქვეშევრდომთა ცხოვრებასა და საქმეებში და საზოგადოების სულ მცირე ძმათა შორისაც, და უკუნ იქცეს მათგან უსაქმობა და სიზარმაცე, და იხილონ მათ ჭეშმარიტი ქრისტიანული თავისუფლება ცოდვასა ზედა ძლევაში. სრული ბედნიერებაა კეთილ მსახურებასა შინა, რომელსაც აღთქმული აქვს ცხოვრება აწმყო და მომავალი!

„ქრისტე აღსდგა!“ საიდან წარმოსდგება ეს სასიხარულო ამბავი! რაისაგან არის, რომ ეს ხმა აგერ ცხრამეტი საუკუნეა, რომ მკაფიოდ გაისმის ქვეყანაზე? საიგდან მოისმა პირველად ეს ზეციური სიხარული? ამ ხმის პირველი მაუწყებელნი იყვნენ მოციქულნი და მახლობელნი მოწაფენი ქრისტესნი: მათ მთელ ქვეყნიერებას აუწყეს: „ქრისტე აღსდგა“, მთელს ქვეყანას უჩვენეს მისთვის ამომავალი მზე სიმართლისა—და ყველანი, ვისაც სურდა სიმართლე და ნათელი მორჩილად გაჰყვნენ მათ ხმას.

სწორეთ სასიხარულო, ღვთაებრივ მანუგეშებელია ნათელი ცხოველი სარწმუნოებისა, რომელიც აღიარებს ქრისტე მაცხოვრის აღდგომას. შევიგნოთ ეს ცხოველმყოფელი სარწმუნოება და დავსკბეთ ქრისტეს აღდგომის ენით გამოუთქმელი სიკეთით როგორც ამა ისე მომავალ ცხოვრებაში და განვბრწყინდეთ მუდამ მანათობელი სიმართლის მზის ნათელით, რომელიც აღმობრწყინდა საფლავიდგან!

«აღდგომისა დღე არს, განბრწყინდებოდეთ აწ, ერნო! პასქა უფლისა, პასქა, რომლითა ქრისტემ ღმერთმან სიკვდილისაგან გვიხსნა და ქვეყანით ცად აღმიყვანა სუფევად ძლევისა მგალობელნი. ქრისტე აღსდგა“.

## საქართველოს ექსარხოსის მთავარ-ეპისკოპოსის ფლაბიანეს ტფილისში ჩამობრძანება.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი ფლავიანე სტეფან-წმინდაში მობრძანდა 26 მარტს, საღამოს 6 საათზედ. ეკკლესიის წინ ყოვლად უსამღვდელოესს მამასახლისი და სოფლის წარმომადგენელნი მიეგებნენ პურ-მარილით და მიულოცეს საქართველოში მშვიდობით მობრძანება, ხოლო ეკკლესიის კარებში—მღვდელ-მონაზონი კირიონი. პარაკლისის შემდეგ მათმა მეუფებამ კეთილინება და გამოჰკითხა ადგილობრივის სკოლის მოსწავლეთ, რა იციან და რა არა და ხილისათვის ფული აჩუქა.

დუშეთში მისს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას დახვდა დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი გ. ყარანგოზიშვილი და ქართველი მრევლი. ბ-ნმა ყარანგოზიშვილმა მის მეუფებას შემდეგი სიტყვა მოახსენა:

**„თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ!**

მე, ვითარცა მაზრის კეთილშობილ წოდების წარმომადგენელს, წილად მხვდა ბედნიერება მოგილოცოთ მშვიდობიანად შემოსვლა საქართველოს საზღვარში.

მოგეგებებით და მოგესალმებით რა ვითარცა ჩვენს მწყემსთ-მთავარს, გავბედავ და გაგახსენებთ, თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ, რომ ქრისტიანობის პირველსავე დასაწყისს ქართველთ ესოდენ მტკიცედ შეითვისეს ქრისტეს სარწმუნოება, რომ ვერავითარმა ძალამა და დევნამ ვერ გადააცდინა ისინი ჭეშმარიტს გზას, თუმცა-კი, თუ მივიღებთ მხედველობაში, ქართველთა მცირე რიცხოვანობას, ქრისტეს მტრებით გარშემოხვეულს, ეს შესაძლებელად უნდა მივიჩნიოთ. ესე მოხდა იმიტომ, რომ ამ ქვეყნის მფარველი თვით ღვთის-მშობელია, რომელმაც გზა დაულოცა ჩვენთა მწყემსთ-მთავართ ჯეროვანად სამოღვაწეოდ.

მას შემდეგ, რაც საქართველო ერთ მორწმუნე რუსეთის ტახტს შეუერთდა, რუსეთის ყველა იმპერატორნი—მეფენი საქართველოსანი თავისს სიყვარულსა და წყალობას ავლინებდნენ ქართველს ერსა და ეკკლესიას. ვიცით რა თქვენი წარსული, მეუ-

ფევ, თქვენი დანიშვნა ამა თანამდებობაზედ კიდევ ერთი საბუთია მეფის წყალობისა ჩვენდა მომართ. დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, იდგებით რა ქართულის ეკკლესიის სათავეში, იგულისხმებთ ამა ეკკლესიისა და ერის საჭიროებას და თქვენის ღვაწლით დაემსგავსებით ქართულ ეკკლესიის იმა მწყემსთ-მთავართ, რომელთაც ერი არასოდეს არ დაივიწყებს.

თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა რომ არ შევაწუხო ქართველ მართლ მადიდებელ ერის ყველა საჭიროების აღრიცხვით, მხოლოდ ერთს ვიტყვი: მიეცით ერს ისეთნი მღვდელ-მსახურნი, რომ მათ ქრისტეს სიტყვა გასაგებად გარდასცენ,—და სურვილი აღსრულებული იქმნება. თუ თქვენის მოღვაწეობისათვის ჩვენი დახმარება იქნება საჭირო, ჩვენ მზანი ვართ, მეუფევ, მთელი ჩვენი შეძლება მსხვერპლად დავდოთ.

თქვენის მოღვაწეობის მძიმესა სარბიელსა ზედა შეგეწიომთცა საქართველოს მფარველი ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელი და წინამცა უძღოდეს მისი განმანათლებელი, მოციქულთა-სწორი ნინო ყოველსა სამღვდელ-მთავრო საქმესა თქვენსა».

მცხეთაში ~~მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელო~~ესობის დასახვედრად მოიყარა თავი ქართველმა მრევლმა, რომელთა შორის ბევრნი ტფილისიდგან იყვნენ წარსულნი და თითქმის მთელს დღეს იქ ელოდნენ. სამწუხაროდ, ცუდი ამინდი დადგა, სწვიმდა. სწორედ $9^{1}/_{2}$ საათზედ გაისმა ზარის ხმა და მლოცველები შეგროვდნენ ეკკლესიაში. მისს მეუფებას თან ჩამოჰყვნენ მღვდელ-მონაზონი მამა კირიონი და დეკანოზი მ. ელიევი, ხოლო მცხეთაში ელოდნენ აწ ეპისკოპოსად დანიშნული ლეონიდე, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, არხიმანდრიტი სერაფიმე, სვეტი-ცხოვლის ეკკლესიის კრებული, ტფილისის მაზრის უფროსი, თავ. ლ. გ. ჯანდიერი, თავად-აზნაურნი, სამხედრო წოდებისანი, მრავალნი ქალნი და მცხეთის მრევლი. მისს მეუფებას სვეტი ცხოვლის დიდებულ ტაძარში რამდენისამე სიტყვით მიეგება რექტორი სემინარიისა, არხიმანდრიტი სერაფიმე და ჯვარი მიართვა. მისი მეუფება ემთხვია ხატებს და მოკლე, გრძნობით სავსე სიტყვა სთქვა, რომელშიაც მოიხსენია: მოხარული ვარ, რომ ნებითა უფლისათა წილად მხვდა სამსახური ამა ქვეყანაში, სადაც ქრისტეს სარწმუნოება თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში მტკიცედ არის დაცულიო. შემდეგ მისი მეუფება ტფილისიდგან მისაგებებლად წასულ ქართველ სამწყსოის მიერ მიწვეულ იქმნა იქვე ეკკლესიის სახლში ჩაისა და მცირე სამხარზედ. სამხრის დროს მისი სადღეგრძელო დალია არხიმანდრიტმა სერაფიმემ და მერე თავ. ვ. ს. მიქელაძემ შემდეგის სიტყვით მიჰმართა:

**„თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ!**

«უმაღლესის ნებით თქვენ მოწოდებულ ჰბრძანდებით საქართველოს ეკკლესიის ხელმძღვანელად. სასოებით ვეგებებით ხელმწიფის ასეთს წყალობას; დიდად გვიხარის, რომ ღვაწლი თქვენი, თქვენდა მომადლებული ნიჭი და მრავალ-მხრივ განათლება თქვენი ღირსეულად დაფასებულ იქმნა; ამ ღირსებამ მოგიყვანათ აქ, აქ ამ ქრისტიანობის უძველესს კერასთან, სამსახურისათვის. დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს სამწყსოს შეიტკბობთ მამა-შვილურ სიყვარულითა; იმედია, თითონ სამწყსოც გზას გაიკვლევს თქვენის კეთილის სათნოებიან გულისაკენ. ეგეთი ურთიერთი სიყვარული აძლიერებს მწყემსის ზედმოქმედებას და აფაქიზებს სამწყსოის ზნეობას.

„დაახლოვება საქართველოს ერთან, გაცნობა მისის სულისა და გულისა დაგანახვებთ თქვენ, რომ ამ ერის გულსა შინა ჰღვივის მარტოოდენ მრწამსი ღმრთისა და თავ-განწირული ერთგულება ხელმწიფისა. სარწმუნოებამ გამოიყვანა იგი უვნებლად მძიმე განსაცდელისაგან წარსულში, ხოლო სიყვარული ხელმწიფისა თავმდებია მისის კეთილდღეობისა და უშიშროებისა მერმისში.

ქართველი ერი თხუთმეტ საუკუნის განმავლობაში მტკიცე და შეურყეველი დარაჯი იყო ქრისტეანობისა აზიაში. მან განუქრობელად მიიტანა ქრისტეს მოძღვრების ლამპარი მეცხრამეტე საუკუნის ბჭემდე და მისი შემდეგი ბედი ჩააბარა ერთ მორწმუნე რუსეთის ბრძანებელთ. მოძღვრება ესე ერთგვარად უთბობდა და უნათლებდა სულს, როგორც მდაბიოს, ისე დიდებულს კაცს გასაგონ, მარტივ და ნათელ სიტყვის შემწეობით; იგი ამაღლებდა ერს, აძლევდა მას სიმტკიცეს სარწმუნოების და სამშობლოს მტერთა წინააღმდეგ, იგი ჰქმნიდა მისს ძლიერებას. ცოცხალნი მოწამენი ამა ძლიერებისანი არიან დიდებულნი საღმრთო ძეგლ-სახსოვარნი, რომელნიც აქამომდე განაცვიფრებენ ადამიანს და გულსა სასოებით აღუვსებენ. სარწმუნოებისა და მისის ძლი-

ერების წყალობით ქართველი ერი ჰქმნიდა საქმეთა, რომელთაც საქრისტიანო მსოფლიო ისტორიაში სამართლიანად უნდა დაეთმოთ ჯეროვანი ადგილი.

მწყემსთ-მთავარო! მოგეგებებით დღეს აქ, ამა ჩვენის ძველის-ძველ სიწმიდის კედელთა შორის. ქართველ ერს დიდადა სწამს, რომ ჩვენ შორის დამკვიდრდება მჭიდრო სულიერი კავშირი; რაც უფრო ახლო, პირდაპირ გაგვიცნობთ, მით უფრო განმტკიცდება კავშირი ჩვენის ერთობისა. კეთილ ინებეთ და ჰქირისუფლობა გაუწიეთ ქართველ სამწყსოის ჭეშმარიტ სულიერ საჭიროებათა; სულგრძელი მცველი იყავით ქართველ ერის ძველთა წმიდა აღთქმათა».

სიტყვის მოსმენის შემდეგ მისმა მეუფებამ ჰკითხა უწმ. სინოდის საქართველოს კანტორის პროკურორს, რა მდგომარეობაშია მცხეთის დიდებულის ტაძრის შეკეთების საქმეო და გაიგონა რა, რომ ფული იკრიბებაო, განაცხადა—ასი თუმანი შემიწირავს მისის განახლების ფონდისათვის.

—

მისმა მეუფებამ იმ ღამეს იქვე მოისვენა, მეორე დღეს დილით დაათვალიერა მცხეთის დედათა მონასტერი სასწავლებლითურთ და დილის $10^1/_2$ საათზედ ტფილისისკენ წამობრძანდა. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 11 საათსა და 40 წუთზედ დახვდნენ ტფილისის თავად-აზნაურობის წინამძღოლი, ეგერმეისტერი თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ტფილისის გუბერნატორი ბიკოვი, ტფილისის კომენდანტი, გენერალი რეიტერი და ქალაქის მოურავი ბ-ნი ევანგულოვი პურ-მარილით. აქვე იდგა ქალაქის ამქრები დროშებით. ბ ნმა ევანგულოვმა, მიართვა რა პურ მარილი, მიჰმართა მისს მეუფებას და სთქვა, რომ ყველა ქალაქის მკვიდრნი, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად ერთგვარად მოელიან თქვენს ლოცვა-კურთხევასაო. იქვე ეკლესიის შესავალში მიეგება მისს მეუფებას ერთი ნაწილი ტფილისის სამღვდელოებისა და ქვაშვეთის წმ. გიორგას ეკლესიის წინამძღვარმა მ. მარკოზ ტყემალაძემ შემდეგის სიტყვით მიჰმართა:

**„თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ; მოწყალეო მწყემსთ-მთავარო და მამაო!**

«ტაძარი, რომელშიაც შენ შემოდიხარ, აგებულია. წმ. მთავარ-მოწამე გიორგის სახელობაზედ. ეს ტაძარი და ეს ადგილი მოწმეა იმ მრავალ ღირსსახსოვარ საისტორიო დროისა, რომელიც საქართველოს ხალხს გარდაჰხედია. სახსოვარ დღედ დარჩება დღევანდელი დღეც, როდესაც მთლად ქალაქის სამღვდელოება და მართლ-მადიდებელი ერი სიამოვნებით ეგებება თქვენს მეუფებას. ეს მოგებება, როგორც ჰხედავ, აღბეჭდილია გულითადის სიყვარულითა და სადღესასწაულო ხასიათით. ყოველი ეპარქია დიდის რუსეთისა სცდილობს შესაფერი ღირსებითა და პატივის ცემით დაუხვდეს ხოლმე ახლად დანიშნულს მწყემსთ-მთავარს და, ვფიქრობ, რომ ჩვენი ტფილისიც, საქართველოს ძველი დედა. ქალაქი, არ ჩამორჩა მათ; რასაც ივერიის საეკლესიო ისტორიაში მნიშვნელობა არ ექმნება მოკლებული. ხმა, რომ თქვენი მეუფება დანიშნულ იქმნა ღვთის მშობლის წილ-ხდომილის საქართველოს ეკლესიის მამათ-მთავრადაო, უცებ მოეფინა საქართველოს ყოველს კუთხეს და კერძოდ ტფილისს 24 თებერვალს. ყველა შენ შესახებ ლაპარაკობდა; ყოველს მწყემსს და სამწყსოთაგანს უნდოდა გაეგო ვინაობა ახალის მწყემსთ-მთავრისა. პირველ ხმას, რომელიც კი გავრცელდება საზოგადოებაში ახლად დანიშნულ ეკლესიის მოსამსახურისა და საერთოდ ყოველის მოხელის შესახებ, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ახლად დანიშნულისა, ისე იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც იგი უნდა ემსახუროს. პირველ ხმის მიხედვით საზოგადოება თავისს აზრს ადგენს, რომლის გამოცვლაც ძნელადა ხერხდება ხოლმე შემდეგში. ნებამცა მქონდეს მთლად ტფილისის სამღვდელოების მაგიერ მოგახსენოთ,—არავის ახსოვს, რომ ახლად დანიშნულის ექსარხოსის შესახებ პირად გაცნობამდის ისეთი სასიხარულო ამბები გვსმენოდეს, როგორიც შენ შესახებ. ყველა მოუთმენლად მოელოდა ახალის მწყემსთ-მთავრის. პირის პირ ნახვას, დღითი დღე ძლიერდებოდა ეს სურვილი და აგერ დადგა ღირს სახსოვარი დღეც და პირის პირ გიყურებთ შენ. დიდის მოწიწებითა და მამა შვილურის გრძნობით გეგებებით სამღვდელოება ჩვენს მწყემსთ-მთავარს წმ. მთავარ მოწამე გიორგის ეკლესიაში და გთხოვთ გვიშუამდგომლოთ უზენაესის ღმერთის წინაშე, რომ ეს მიგებება წუთიერი და ოფიციალური კი არ ყოფილიყოს, არამედ იგი გამხდარიყოს დასაბამი იმ კავშირისა და სიყვარულისა, რომელიც უნდა დამყარდეს შენისა და შენდა ახლად რწმუნებულ სამწყსოს შორის

არცა ვეჭვობთ, რომ ასეთი სიყვარული დამყარდება, რადგან სახეში გვაქვს, თქვენი წარსული სამღვდელმთავრო მოღვაწეობა სხვა-და-სხვა ადგილას და ის სულიერნი ღირსებანი, რომელითაც უზენაესმა ღმერთმა დაგამშვენათ, სახელდობრ: «მართლ-მოყვარეობა, კაცთ-მოყვარეობა, სიფრთხილე მოღვაწეობისა და საქმის გარდაწყვეტის დროს და გულწრფელობა“. ჩვენცა და ჩვენს ხალხსაც, როგორც საზოგადოდ ყველას, ბევრი ნაკლულევანება გვაქვს, სამაგიეროდ ღირსებასაც არა ვართ მოკლებულნი და რაკი გაგვიცნობთ, შეგვიყვარებთ იმ სიყვარულით, რომელიც «სულ გრძელ არს და ტკბილ, ყოველსა თავს იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ (ა. კორ. 13, 4, 7)» და თქვენის განმანათლებელის ზეგავლენით მოგვცემ ღონესა და ძალასა მივაღწიოთ ჩვენთვის შესაძლებელს სავსებასა და ქრისტიანებრივს უნაკლულობასა და უაღრესობას».

აკურთხა რა აქ ხალხი, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა წაბრძანდა სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც შეკრებილნი იყვნენ სამღვდელოება, გენერლობა და სხვანი წარჩინებულნი. აქვე მისს მეუფებას ჯვრით მიეგება ეპისკოპოსი ალექსანდრე და სამღვდელოება.

სიონის საკათედრო ტაძარში მისს მეუფებას, საქართველოს ექსარხოსს ფლავიანეს შაბათს, 28 მარტს, დიდად პატივცემული ეპისკოპოსი ალექსანდრე შემდეგის სიტყვებით მიეგება:

«თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობაო, მოწყალეო მწყემსთ-მთავარო! მოგილოცავთ ჩემის მხრივ და საქართველოს სამღვდელოების სახელით თქვენდამო რწმუნებულის ეპარქიის დედა ქალაქში მშვიდობით ჩამობრძანებასა და გისურვებთ სულიერს მშვიდობასა, კეთილდღეობასა და ხანგრძლივს სიცოცხლეს!

„მაღალ ყოვლად უსამღვდელოესო მეუფევო! ძველის აღთქმის პატრიარქნი და წმიდანნი, აგრეთვე ახალის აღთქმისანი: მახარებელნი, მოციქულნი, და ყველანი, რომელნიც სათნო ეყოფნენ უფალს სცხოვნდებოდნენ კეთილითა საქმითა და უფლისა რწმენითა. ცოცხალი სწავლა-მოძღვრება თქვენი განათლდესმცა თქვენის სათნო, ქრისტეანებრივ ცხოვრების ნათელითა. კეთილის ქრისტიანებრივ ცხოვრების მაგალითი უფრო ჰმოქმედებს ადამიანის გულსა და გონებაზედ, ვიდრე მოძღვრება და სწავლება, რაც უნდა მჭევრად და სარწმუნოდ იყოს იგი ნათქვამი.

«ამას გარდა, მეუფევ, კეთილი ამბავი თქვენის სიყვარულით აღსავსეობის შესახებ სრულს რწმენას გვინერგავს გულში, რომ მშვიდობისა და სიყვარულის კავშირი გექნებათ როგორც სამწყსოსთან საზოგადოდ, ისე თქვენთა ხელ-ქვეითებთან კერძოდ; ეს განადიდებს თქვენსა და თქვენთა თანამოსამსახურეთა სახელს. მშვიდობასა და სიყვარულს ჰქადაგებდნენ თვით ქვეყნის მხსნელი და მისნი წმიდანი მოციქულნი. ამ გზით უფრო მიიზიდავთ ერს და იმოქმედებთ მას ზედა.

«დავასრულებ ნათქვამს. მეუფევ! თქვენ წილად გხვდათ სამოღვაწეოდ ძველი ივერია. ამ ივერიამ,—აწ საქართველომ,—ძველსავე დროს კარგად იცოდა ძველის აღთქმის სწავლა-მოძღვრება ებრაელთა წყალობით, რომელნიც მრავლად მკვიდრობდნენ საქართველოში, ხოლო ახალის აღთქმის დროს იგი ნათელ-ყოფილია წმ. მოციქულთა მიერ სახარების ქადაგებით, სახელდობრ ანდრია პირველ-წოდებულისა და მისთა თანამგზავრთა სიმონ კანანიტელისა, ზილოტისა, ხოლო სულ ბოლოს დროს მოციქულთა სწორის ნინოსი და ათცამეტთა წმ. სირიელთა მამათა. ამა წმიდათა და შთამომავლობით ქართველთა ღმრთის სათნო მყოფელთა სამოღვაწეო ადგილებში აღმართულ იყვნენ ხუროთ-მოძღვრების მხრივ დიდებულნი ტაძარნი, რომელთაც აწ დახმარება და განახლება სჭირია. საქართველოს სამწყსოს იმედი აქვს, რომ თქვენი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა არა მოაკლებს თავისს მწყემსთ მთავრულსა ზრუნვასა, რათა დაცულ იქმნას საქართველოში საეკლესიო სიძველის ესე ძეგლ-სახსოვარნი, როგორც ეს გამოთქმულია თქვენის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის სახელობაზედ ბოძებულ უმაღლესს რესკრიპტში თქვენდა საქართველოს ექსარხოსად დანიშვნის დროს. მართალია, ბევრი რამ გაკეთდა ქართულ ეკლესიების სასარგებლოდ თქვენთა წინამოადგილეთა მიერ, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებლად დაშთენილი. დიდს ზრუნვასა და მეცადინეობასა თხოულობს განსაკუთრებით დიდებული ტაძარი მცხეთისა—დედა ქართველთა ეკლესიათა და ემბაზი ქართველის ერისა,—რომლის შესაბრალისი მდგომარეობა უკვე იხილეთ საკუთარის თვალით.

„უგულმოდგინესადა ვთხოვ ზეციერსა მწყემსთ მთავარსა ჩვენსა უფალსა იესო ქრისტეს და ქართულ

ეკკლესიის ყველა წმიდათა, რათა მოგანიჭონ წარმატება ყოველსა კეთილსა საქმესა შინა, ამა თქვენდა ახლად რწმუნებულ ეპარქიის სასარგებლოდ წარმართულსა. ამინ».

შემდეგ სიონის ტაძარში მცირე პარაკლისი იქმნა გარდახდილი, რომლის დროსაც ხორო ქართულადა და რუსულად ჰგალობდა. აქვე მისმა მეუფებამ ფლაბიანემ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

«მშვიდობა თქვენდა! უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ჰგზავნიდა რა საქადაგებლად მოწაფეთა და მოციქულთა თვისთა, უბრძანა მათ, შერავიდოდნენ ყოველსა ქალაქსა და სახლსა შინა, მისთა მკვიდრთათვის მშვიდობით ყოფნა ესურვათ,—და მეცა, უღირსი მემკვიდრე სამოციქულო მსახურებისა, ნებითა უფლისათა წარმოგზავნილი თქვენთან სამსახუროდ, შემოსვლისათანავე ამა დიდებულსა ქალაქსა თქვენსა და ძველსა ტაძარსა შინა, უფლისა მცნებისამებრ, მოგესალმებით მშვიდობით ყოფნის სურვილით. მშვიდობა თქვენდა, მშვიდობა ქალაქს ამას, მშვიდობა ქვეყანასა ამას, მშვიდობა სახლთა თქვენთა. მოვალ თქვენთან ვითარცა თქვენთვის უცნობი მწირი, მოვალ ჩემთვისავე უცნობს ქვეყანაში, ხოლო მოვალ სულიერ-ყოფილი მხურვალე სურვილითა ვმსახურო წმიდისა ეკკლესიისა თქვენისა სასარგებლოდ თქვენთა სულთა საცხოვნებელად, მოვალ აღსავსე მშვიდობითა და სიყვარულით. გთხოვთ, რომ მეც მშვიდობითა და სიყვარულით მიმიღოთ. თვით უფალმა მშვიდობისამა მოგანიჭოთ მცა მშვიდობა ყოველთა ყოველსა შინა! უფალი ყოველთა თქვენთა თანა და კურთხევა ღმრთისა ჰსუფევდეს თქვენზედ, მართლ-მადიდებელ ეკკლესიის ერთგულთა შვილთა, და ქართველთა ჩინებულსა ქვეყანასა ზედა, მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ". („ივერია")

## დიდი დღესასწაული მართლ-მადიდებლობისა პეტერბურღში.

25, მარტს, ხარება დღეს, მოხდა დიდი დღესასწაული მართლ-მადიდებლობისა. ამ დღეს მართლ-მადიდებელ ეკკლესიას შემოუერთდენ პეტერბურგში მცხოვრებნი ნესტორიელნი —ეპისკოპოსი მარ-იონა, არქიმანდრიტი ილია, მღვდლები გიორგი ბექანოვი და სერგი ბადალოვი და მთავარ-დიაკონი იაკობ ბაბახანოვი.

ათი საათის ნახევარზე ტაძრის ჩრდილოეთ კარების გარეთ იდგნენ ნესტორიელნი, რომელთაც სურდათ მართლ-მადიდებლობის მიღება და ელოდენ აღსავლის კარებიდან მიტროპოლიტის გამოსვლას. ტრაპეზიდან გამოვიდა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი მიტრაპოლიტი პალლადი, რომელსაც წინ მოუძღოდენ იპოდიაკვნები დიკირიით და ტრიკირით და თან მოჰყვებოდენ ქორ ეპისკოპოსნი. როცა ნესტორიანთა გროვას მიუახლოვდა მიტრაპოლიტი, მათ თავები დახარეს ძირს, როგორც დამნაშავეთ. მიტრაპოლიტმა პალლადიმ მკაფიო ხმით ჰკითხა ეპისკოპოს მარ-იონას: გსურს თუ არა უარჰყო შეცთომებანი და ნესტორიანთა უსჯულო აღსარება? ამ კითხვაზე ნესტორიელთ მკაფიო ხმითვე აღიარეს, რომ იგინი უარსა-ჰყოფენ თავიანთ აღსარებას და უერთდებიან მართლ-მადიდებლობას. ამის შემდეგ მიტროპოლიტმა პალლადიმ ჰკითხა მათ: «გსურთ თუ არა შეუერთდეთ მართლ მადიდებელ სარწმუნოებას» და როცა მათგან მიიღო თანხმობის პასუხი, აკურთხა ნესტორიელნი შემდეგი სიტყვებით: «სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ». ნესტორიელთ მოხარეს თავები. მიტრაპოლიტმა პალლადიმ ხელი დაადვა თავზე ეპისკოპოს მარ-იონას და წაიკითხა ლოცვა, რომლის შემდეგ მიტროპოლიტმა მისცა ნესტორიელთ სამი შესაფერი კითხვა. ყველა კითხვაზე ნესტორიელთხმა მაღლა მიუგეს: «უარსა ვყოფთ ჩვენ წინა პირველ აღსარებას". ამის შემდეგ მიტროპოლიტმა გამოკითხა მათ მართლ-მადიდებელი სარწმუნოების დოღმატები.

შემდეგ მიტროპოლიტმა მიაწოდა ეპისკო-

პოს მარ-იონას ომოფორის კიდე, ხოლო არქიმანდრიტს, მღვდლებს და დიაკონს ოლარის ბოლო შემდეგი სიტყვებით: «შემოვედით მართლ-მადიდებელ და სრულს ეკკლესიაში, უკუაგდეთ ცდომილებანი, რომელშიაც იმყოფებოდით დღემდე. თაყვანი ეცათ მამასა ყოვლად მპყრობელსა ძესა მისსა იესო ქრისტეს და სულსა წმიდასა, სამებასა ერთ არსებასა და განუყოფელსა". ამ წესის შესრულების შემდეგ მიტრაპოლიტმა პალლადიმ ნესტორიელნი შემოიყვანა ტაძარში და დააყენა ისინი ამბიონის წინ, სადაც ანალოგიაზე დადებული იყო ჯვარი და წმ. სახარება. აქ მიტრაპოლიტი შეევედრა ღმერთს, რათა მან მიიღოს გზა დაბნეულნი მართლ-მადიდებელი ეკკლესიის წიაღსა შინა. მათ მეუფებასთან ერთად მუხლ მოყრილნი ლოცულობდენ ნესტორიელნი.

ლოცვის შემდეგ წამოდგა ეპისკოპოსი მარ-იონა და სთქვა:

«მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას, რომელსაც დღეს ნება-ყოფლობით აღვიარებ, ღვთის შემწეობით სიმტკიცით დავიცავ ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ ჟამამდე და აღვასრულებ სიხარულით და გულმოდგინედ მის მცნებათა, დავიცავ, რამდენათაც კი შემეძლება, ჩემ გულს უმანკოდ. დასამტკიცებლად ამა ჩემი აღთქმისა ვემთხვევი სიტყვასა და ჯვარსა მაცხოვრისა ჩემისასა. ამინ».

ამის შემდეგ ახლად შემოერთებულთ ხელახლავ დაიჩოქეს და თავი მოიხარეს ანალოგიის წინაშე; მიტრაპოლიტმა პალადიმ წაიკითხა მიტევების ლოცვა.

ამის შემდეგ დიაკვნებმა მოართვეს მიტრაპოლიტს მღვდელ-მთავრის ხარისხის ნიშნები. მიტრაპოლიტმა ყველა ეს ნიშნები თავის ხელით დაჰკიდა ახლად შემოერთებულ ეპისკოპოს მარ-იონას; არქიმანდრიტს ილიას დაჰკიდა ძვირფასი მკერდის ჯვარი და მღვდლებს—ვერცხლის სამღვდელო ჯვრები.

ცოტა ხნის შემდეგ მთელი სამღვდელოება შევიდა ტრაპეზში, სადაც იწყეს შემოსვა.

წირვის დაწყების დროს მიტრაპოლიტმა დეკანოზობის ხარისხზე აღიყვანა მღვდელი პ. სინაძსკი, რომელიც მისიონერად იყო სპარსეთში. ამ დროსვე ეპისკოპოსმა მარ-იონამ არქიმანდრიტის ხარისხზე აღიყვანა არქიმანდრიტი ილია.

დიდი გამოსვლის შემდეგ ეპისკოპოსმა მარ-იონამ აკურთხა ხალხი დიკირით და ტრიკირით.

წირვის გათავების შემდეგ პალადიმ, მიტროპოლიტმა პეტერბურგისამ, ვლადიმირმა, მიტრაპოლიტმა მოსკოვისამ, ანტონიმ, მთავარ ეპისკოპოსმა ფილიანდიისამ, დიმიტრიმ, ეპისკოპოსმა ტვერისამ, იოანნემ ეპისკოპოსმა ნავრისამ, ბენიამინმა ეპისკოპოსმა იამბურგისამ და იონამ, ეპისკოპოსმა ურმისკისამ, რვა არქიმანდრიტმა და 20 მღვდელ-მონაზონმა შეასრულეს პარაკლისი მაცხოვრისა და ღვთის მშობლის სახელზე, რომლის გათავების შემდეგ მიტროპოლიტმა პალლადიმ ახლად შემოერთებულნი მიიღო თავის სახლში.

ცოტა ხნის შემდეგ მიტრაპოლიტები უმაღლესი სამღვდელოებით და ყველა დამსწრებითურთ შევიდნენ ლავრის სასადილო ოთახში. სადილის დაწყებამდე უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგმა ვ. კ. საბლერმა აუწყა შეკრებილ პირთ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა, როცა მათ უმაღლესობას მოხსენდა ნესტორიანთა შემოერთება, მოგზავნა მიულოცო მათ მართლ-მადიდებელ ეკკლესიასთან შეერთება.

ეპისკოპოსმა იონამ ძველ. ქალდეველ ენაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მადლობა შესწირა იმ პატივისათვის, რომელიც მას აღმოუჩინეს.

## ადამიანო!

ადამიანო! ჩაუკვირდი შენს მდგომარეობასა. რა უნდა იყო, და რა ხარ? როგორ უნდა იქცეოდე და როგორ მოქმედებ? როგორ აგიქცევია გვერდი შენ პირდაპირ დანიშნულებისათვის? რას ახმარ შენს ძალ-ღონესა? როგორ

ამოქმედებ შენ ნიჭთა? შენ გონებით უნდა იკვლევდე ბუნებასა და ჰპოულობდე მასში შემოქმედის სახიერებას, სიბრძნეს და შემძლებელობას და აქებ-ადიდებდე მას; ხოლო შენ გაამაყებულხარ შენის გონებრივ ძალითა და ყოველ ღონეს ხმარობ გმო ჰიროვანი უზენაესი, დააჯერო თვისი თავი და სხვებიც, რომ იგი არ არსებობს, და თვისს თავს აღმერთებ. შენ უნდა ცდილობდე თვის ბუნების განუმჯობესობასა, მოსპობასა ბიწიერ მიდრეკილებათა და განმტკიცებასა საუკეთესო მისწრაფებებითა; და შენ კი ასუსტებ, ახმობ კეთილ ლტოლვილებათა და აძლიერებ ბოროტ სურვილთა, სრულ ნებას აძლევ გინებათა. შენ უნდა ზრუნავდე მოყვასთა სიკეთეზე, კეთილდღეობაზე, მათთვის გული უნდა შეგტკივოდეს, და უნდა შეგქონდეს მათ ცხოვრებაში სითბოსინათლე; და შენ კი მხოლოდ შენი თავი გახსოვს, და არამც თუ არ თანაუგრძნობ მოძმეთა, არამედ პირიქით სდევნი მათ, თვის ბედნიერებას მათ დამარცხებაზე აშენებ, და სხვისი ცხარე ცრემლები და გოდება შენ ლხინათ მიგაჩნია. შენ მუდამ უნდა მეცადინობდე იმაზე, თუ როგორ მიუახლოვდე უფალსა, ბედნიერების ერთად ერთს წყაროსა, თუ როგორ განშვენდე სახარებისებრ სათნოებითა, და მით მოგენიჭოს ღვთაებრივი მადლი და აღივსო ნეტარო გრძნობებითა; ხოლო შენ ფიქრობ ამაო ქვეყნიურ სიამოვნებაზე, საუკუნო ცხოვრებას ამჯობინებ საწუთროსა და მუდამ დღე და ღამე, ცხადლივ და სიზმარშიდაც, დაწინაურებაზე, პატივისცემის მოპოებაზე, სასმელ-საჭმელზე, ტანსაცმელზე ფიქრობ და სულ ერთიანად იფლები სოფლიურ ზრუნვაში. როგორ შემცდარხარ და დაბნეულ ხარ? ეძიებ ბედნიერებას იქ, სადაც იგი არ არსებობს და თვალს არიდებ იმას, რაშიდაც ნეტარება სუფევს. ნუ თუ ვერ მიხვდი, რომ რასაც შენ ბედნიერებად თვლი, რასაც შენ ეტრფი, არ არის მართლა ჭეშმარიტ ბედნიერების მომცემი, არ არის მომნიჭებელი მტკიცე მუდმივის კმაყოფილებისა და სიხარულისა? ნუ თუ ვერ გაიგე ამდენ ხანს, რომ ქვეყნიური სიამენი, რომელთაც შენ გატაცებით ესწრაფი, გაძლევენ მხოლოდ წუთიერ სიამოვნებასა და საუკუნოდ კი გიწამვლენ სიცოცხლესა, გიმრავლებენ ტანჯვა-წვალებასა?

აი როგორ დაცემულხარ და დამახინჯებულხარ, საწყალო ადამიანო! რისთვის არ იქცევი ისე, როგორც მოითხოვს საღი გონება და ძირითადი კანონები შენი ბუნებისა, როგორც გიჩვენებენ სინიდისი და უფალი? რისთვის ემონები ბოროტებასა? ნუ თუ გგონია ცოდვილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით ბედნიერებას მიაღწიო? გამოფხიზლდი, მიაპყარ შენი ძალნი ნეტარების ჭეშმარიტ წყაროსა, სძლიე ბოროტება, სთრგუნე გონებანი, შეიმოსე სახარებისებრ სათნოებითა, აღაფრთოვანე ღვთისადმი შენი გული წრფელ და მხურვალე ლოცვაში, შეუერთდი მას, და იგი მოგფენს თვისს ცხოველ-მყოფელ მადლსა, აღგავსებს სიხარულითა და ნეტარგყოფს საუკუნოდ.

კაჭახიძე.

## მოგონება

(ვუძღვნი რაფ. შარაშიძეს)

მამა მყავდა ღრმად მოხუცი,
პირველ შვილზე განამწარი...
ბოლოს, ჩემით ნუგეშობდა
მეტის-მეტად, საცოდვარი.
მზეც მე ვიყავ მისი მთვარეც
სათაყვანო სანეტარო,
გულის ლხინი, სასალბუნო.
„უკვდავების წმიდა წყარო».
მე თუ თვალში მიყურებდა
მწუხარებას ველარ გრძნობდა,
ქვეყნის ბურჯად მე მსახავდა,
უსაზომოდ ოცნებობდა!
მომამზადა, შემიყვანა
გიმნაზიის პირველ კლასში,
დამარიგა: «აბა შვილო,
არ გაჯობოს სხვამ სწავლაში,
„ხომ იცი, რომ შენ ხარ ჩემთვის,
დღისით მზე და ღამით მთვარე,
სწავლისათვის მოგიშორე,
და სიცოცხლე გავიმწარე“!
«გახსოვდეს, რომ უსწავლელი
კაცი ქვეყნის ბარგიაო,
ვერც მტერსა და ვერც მოყვარეს,
ვერც თავის თავს არგიაო!»
«ასე შვილო! იმედი მაქვს,
ისწავლი და ივარგებო,
დაიხსომე ეს სიტყვები,
თორემ ბოლოს ინანებო».
«ეს მითხრა და რაღაც გრილად:
მშვიდობითო, დამიბარა,
ვგონებ, ცრემლი მოერია,
თვალზე ხელი მიითარა“.
მე იქ დავრჩი, ცრემლ მორეულს
ამიჩუყდა მეტად გული,
მეგონა თუ, ციმბირს იქით
ვიყავ სადღაც დაკარგული.
დირექტორმა, პირველ კლასის
შაგირდებსა დამადარა,
მეც იქ დამსხეს, ვიწყე სწავლა
როგორც მამამ დამაბარა...

მეოთხე კლასს ვათავებდი,
საუცხოვო ნიჭიერად.
მოხუც მამას უხაროდა.
მით თავს სთვლიდა ბედნიერად.
ერთხელ, სწორედ საალდგომოდ,
რაღაც ცოდვა გაგვიდიდდა,
დირექტორის ხელით, ყველას
ბილეთები დაგვირიგდა.
ჩემი გვარი, ანბანთ წყობით
ბოლოს იყო მიგდებული,
სიას თავით მიყვებოდა
იგი მამაცხონებული.
თუ ბოლომდი მოვიცდიდი,
«მაშინას» ვერ მივასწრებდი...
მეტათ ბილეთს არ მაძლევდა,
ვერ ვიცდიდი, ველარ ვძლებდი..
აღარც ხვეწნა გამივიდა,
აღარც ცრემლით მუდარება,
სიყმაწვილემ გადამძლია,
ველარ შევსძელ მდუმარება...
არ მახსოვს კი, თურმე რაღაც
უზრდელობა ჩავიდინე..
კარი უკან მივარეჯგვე
და სადგურზე მივირბინე.
მეორე დღეს, სახლში ვიჯექ
დედ-მამასთან, მხიარული,
მე მატკბობდა ტოლ-ბოშებთან
მეზობლებში სიარული...
ცეკვა, ხდუნვა, ბურთაობა,
წითელ კვერცხის ტახა-ტუხი,
გრძელი ჩოხა, წუღა, მესტი
და წითელი ახალუხი...
მამა ჩემი, ერთს დღეს, რაღაც
უჩვეულოთ მიბღვეროდა,
აღარც სმა და აღარც ჭამა,
არც შექცევა უხაროდა.
მეორე დღეს, მეზობლები,
ყველა ერთად დაპატიჟა!
სუფრის თავში დამაჯინა,
ამან უფრო გამაგიჟა!
წამოდგა და ყველაზე წინ,
მაღლევრძელა, როგორც უცხო!
მითხრა: «შვილო, მომისმინე,
რა გითხრა და რა გაუწყო.

მე ვფიქრობდი: რვა წელიწადს
კიდევ სწავლას უნდებოდი;
მაშინებდა ფულის ხარჯი,
მაგრამ, შოვნას ვიმედობდი.
დერექტორი წერილსა მწერს:
„შენი შვილი პატარაო,
ჩვენ კლასიდან დავითხოვეთ,
მისი ყოფნა აქ კმარაო»...
რადგან ოთხს წელს შეასრულე
რვა წლის კურსი ასე ძნელი,
და დიდს ხარჯებს ამაცდინე,
დიდათა ვარ მადლობელი"...
ირონიით მამის სიტყვამ
ამატირა, ცრემლი ვღვარე,
სირცხვილითა ველარ გავსძელ,
გამოვვარდი უცბათ გარე.
მამამ, წყენით მოიჭმუხნა,
შუბლი მეტათ დაიღარა,
ბოლოს, სტუმრებს მოულხინა
და მით ჯავრი გადიყარა.

 რ. საჯაოხელი.

## ეხლა მივხვდი

სიჭაბუკე როს უცებ გამებნა და გამეპარა,
მაშინ მივხვდი—ჩემი არ იყო, თურმე მებარა,
სულით განსჯა, გულით სიწყნარე წამომეჯარა,
რომელთაა შორის ამაო ჭეშმარიტებამ დაფარა.
აი ეხლა, ხომ ვიცი: რა არის ცვლილება?
რა არის მოხუცთ სჯა და ჭაბუკთ ტრფიალება?
პირველისა სწორეა, მარა თვით, რაღას წვდება?
მეორე კი ამაოდ ცდება და ქრება.
ანუ რაღა?—ხვალ, ან ზეგ ეგების—არა,
გინდ იქეთ, იქეთ, ცოტა უფრო შორს, მარა
მაინც სული, ხომ იძახის: ზეცას, ზეცას ჩქარა!
წამის ყოფით მოკლდება, საზოგადო გრძელი შარა.
მაშა ჩემი აქ რა არის, ჩემი მუდამ სამზერი?
დასცქერის, რამეს ჩემსას, ეგ კავკაზის სერი?
რომლითაც სტკბებოდა, ჩემი სამშობლოს ერი,
პასუხად მესმის: «არაფერი, არაფერი».
ეხლა კი მომწონს: მამა, ბაბუა ჩუენი,
მათი სიმხნე, სისწორე და კეთილნი ზნენი,
სარწმუნოების მცველნი, ჭირთა ქვეშე გამძლენი,
მიყვარს მათნი შემდეგნი, სამშობლოს ძენი.
იქ რა კი დაუფასდათ დაღვრა სისხლის და ოფლის,
მითვე არა რცხვენოდათ მტერისა და მეზობლის,
ამით აქვთ პირველნი ხარისხნი, ორთავ სოფლის,
ამ გვარად ვინც კვდება ღმერთს სტოვებს მამად
ობლის.
განა მე სულსა დღემდი მით ვზრდიდი?
რომ ამაოებას გულს შეუცვლიდი?
და სამუდამოს კი ვერას ვიგვრიდი?
ეგ ეხლა ვიცი, «ეხლა კი მივხვდი».

თ. დ. დადიანი

## † ნეკროლოგი

12 იანვარს ამა მდგომარე წლისა ქ. ქუთაისში უეცრად გულის სიდამბლისაგან გარდაიცვალა თითქმის მთელ რაჭა-იმერეთში ყველასაგან ცნობილი და პატივ-ცემული აზნაური ალექსანდრე ბერის ძე ბაქრაძე. ქუთაისიდან განსვენებულის გვამი წაასვენეს რაჭის მაზრის, სოფელ ლაგვანთას, სადაც 28 იანვარს დაასაფლავეს. განსვენებული ჯერ ისევ ახალგაზდა კაცი იყო, თუმცა ხან-გრძლივის ავათმყოფობისაგან ძლიერ დასუსტდა სიკვდილის წინა ჟამებში. სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჰქონდა მიღებული. რამდენიმე წელიწადს იგი დაბა ონში მსახურებდა პოლიციის ბოქაულად, რასაც თავი დაანება იმ მიზეზით, რომ მისმა კაცთ-მოყვარე გულმა და ჩირქ მიუკარებელმა ზნეობამ ვერ შეიშვნია პოლიციის მოხელეობა. მას იგლოვს მთელი რაჭა, როგორც პატიოსანს, მშვიდს, წყნარს, ღვთისნიერს, გონიერს, მოსიყვარულე და შეძლების და გვარად ყოველი გაჭირვებულის დამხმარესა და საზოგადო საქმის ხელის მომწყობს. ჩვენში ხშირად ხომ კაცს ისე არავინ აფასებს, თუ რომ იგი არ არის დიდებული მწერალი, ან ვინმე დიდი სამსახურის პირი, მაშვინ როდესაც იქნება ჩვენ გვერდშიაც ჩვენდა შეუმჩნევლად მოღვაწეობდეს იმისთანა პირი, რომლის ღვაწლი მამულის შვილობაში და ქვეყნის სამსახურში ბევრ სახელ გამოჩენილი პირებისას აჯ

ჩამოუვარდებოდეს. ქვეყნისათვის სამსახური ამისთანა პირებისა იმაში უფრო გამოიხატება, რომ ისინი აკეთებენ იმას, რის გაკეთებაც შეუძლიათ და არ ეპოტინებიან იმისთანა საქმეებს, რომელთა გასაკეთებელად არც ძალი მოსდევთ და არც ღონე. ისინი თავის მოქმედებაზე ბუკითა და ნაღარით არ ჩაჰყვირიან ქვეყანას; ისინი იმითაც კმაყოფილნი არიან, რომ სინდისი დამშვიდებული აქვთ, სხვათაგან ქება დიდების მისაღებათ არასფერს აკეთებენ და მართლადაც უნდა თქვას კაცმა, რომ სწორედ, ის ქვეყანა ადგია ბედნიერ წარმატების გზას, რომლის (ქვეყნის) თითოეული წევრი თავის ძალ-ღონის შესაფერად იღვწის ქვეყნის საკეთილ დღეოდ. ერთი ამნაირი პირთაგანი იყო განსვენებულიც, რომლის უდროოდ დაკარგვას ასრე მწარედ გლოვობენ არა მხოლოდ ახლო ნათესავ-ნაცნობები, არამედ მთელი რაჭის მაზრის მცხოვრებნი. განსვენებულის დასაფლავებას, მიუხედავად სასტიკი ავდრისა, თითქმის მთელი რაჭის თავად-აზნაურობა დაესწრო, რითაც უკანასკნელი პატივი სცეს განსვენებულის გვამს. დასაფლავების წინ თვით ცხედარზე წარმოსთქვეს სიტყვა დაბა ონის დეკანოზმა მ. ალ. გიორგობიანმა და თავად კონსტანტინე გიორგის ძემ წულუკიძემ. მომყავს პირველის სიტყვა დახლოვებით, რადგანაც ზეპირათ წარმოსთქვა.

ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

აქ შემოკრებილნო პატიოსანნო ჭირისუფალნო და მსმენელნო! თქვენ ყველანი ხედავთ, თუ როგორის მწუხარებით არის შეპყრობილი დღეს აქ შეკრებილი საზოგადოება, თუ ვითარ გლოვენ და სტირიან თავის საყვარელ ალექსანდრეს; ყველას პირზე შემდეგი აკერია: «შენ იყავი პატიოსანი, თავ-მდაბალი, წყნარი, ღვთისა და კაცის მოყვარული, თითქმის ანგელოზისებურის ხასიათის კაციო». აი ამნაირად ამკობენ ყველანი ჩვენ წინაშე უხმოდ და უსულოდ მდებარე მიცვალებულს; და მეც ჩემის მხრით, როგორც სულიერი მამა და მოძღვარი, ვამტკიცებ ყოველივე ზემოთქმულის სინამდვილესა და ჭეშმარიტებას. უკეთესად ჩემსა ვგონებ არავის შეეძლოს განსვენებულისა და მისთა საქმეთა და მოქმედებათა ცოდნა. ვამბობ, ის იყო ჭეშმარიტი ქრისტიანე. მაგრამ მიუხედავათ ამისა განსვენებულის მცირე ჟამიერი ამ ქვეყნიური სიცოცხლე არ იყო დაჯილდოებული არც ოჯახური და არც სხვა ამ ქვეყნიური ბედნიერებით. ძმანო ჩემნო საყვარელნო, ეს აიხსნება იმით, რომ იგი არ იყო გაჩენილი ამ ქვეყნისათვის და მისი ამაოებისათვის, არამედ ზეცათა სასუფევლისათ.ვის, რათა პირის-პირ ღმერთი ეხილა, ამიტომაც იტყვის მაგისთანა პირებზე მაცხოვარი: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ». ეს სიტყვები ზედ გამოჭრილნი არიან განსვენებულზე და მდაბიურათ რომა ვსთქვათ, ნიშნავენ იმას, რომ ისინი, რომელთაც გულში ბინძური სურვილი და გონებაში ღვთის წინააღმდეგი ჰაზრები არ აქვთ, ზეცათა შინა საუკუნო ნეტარებაში იქმნებიან. ისინი პირის პირ იხილვენ ღმერთს, რადგანაც გულ-წრფელად და არა თვალთმაქცურათ უყვართ ღმერთი და მისი სჯული და რადგანაც ღვთის სარწმუნოების თანახმად აქვთ მოსართული თავის სიცოცხლე და ცხოვრება, ერთი სიტყვით რადგანც არიან წრფელნი და გულ-უბრყვილონი. სწორეთ აგეთივე იყო განსვენებულის ცხოვრება და აი ამით ვანუგეშებ მის უზომოთ დამწუხარებულ ნათესავ-ნაცნობებს, რომლებიც ასე მწარეთ გლოვობენ ალექსანდრეს უდროვოდ დაკარგვას.

შემდეგ ამისა, როგორც ზემოდაც მოვიხსენეთ, თ. კ. წულუკიძემ წარმოსთქვა შემდევი სიტყვა:

«დაუვიწყარო მეგობარო ალექსანდრე! აღსრულდა და უწყალო წუთის სოფელმა მოგახდევინა თავისი ბეგარა, გამოგვეცალე ხელიდან და გაგვშორდი საუკუნოდ; მოვაკლდით სამუდამოთ შენთან ყოფნას; დავკარგეთ კეთილი მეგობარი, უანგარო და ფაქიზი ზნეობის ადამიანი; დაკარგვა და მოშორება იმისთანა კაცის, რომელიც აღსავსეა პატიოსნებით და გამსჭვალული კეთილის აზრებით, საგლოვია არამც თუ მისი ჭირისუფლებისა და ნათესავებისაგან, არამედ მთელი იმ საზოგადოებისა და წოდებისაგან, რომელსაც ის ეკუთნოდა.

მოვსულვართ, ძმაო, დღეს შენ კუბოს წინაშე იმისათვის, რომ თანაგრძნობა გამოუცხადოთ შენზე მტირალთ და მგლოვიარე ჭირისუფალთ და ნათესავთ ონის უფასო სამკითხველოს წევრთაგან, რომ ჩვენც, სამკითხველოს წევრთა წარმომადგენელთ, შენს ჭირის უფლებთან ერთად ვიგლოვოთ და ვიწუხოთ შენი დაჰკარგვა და შემოგწიროთ გულითადი მადლობა იმ

გულ-მოდგინე შრომისათვის, რაც შენ სამკითხველოს დაარსებისადმი მიგიძღოდა და მიგაცილოთ შენს უკანასკნელ ბინამდე და სამუდამოდ გამოგეთხოვოთ. მოვსულვართ მისთვის, რომ გამოვაცხადოთ გულითადი გლოვა და მწუხარება, რასაც ვგრძნობთ შენი ამხანაგები, რომელთანაც შენ შესწყვიტე მეგობრული კავშირი და ულმობელმა სიკვდილმა ასე უდროვოთ მათ კრებას მოგაშორა; მოაკლდა შენი ღვაწლი ონის სამკითხველოს, შენი თანაგრძნობა; მოგვაკლდა შენს ამხანაგებს შენთან ტკბილი ბაასი, შესწყდა მეგობრული კავშირი, დავკარგეთ საუკუნოდ კეთილი თანამოძმე, თანამშრომელი და ამხანაგი.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც რამოდენიმე კეთილმა პირმა და მათ შორის შენც, საუკუნოდ მოშორებულო მეგობარო, განიზრახეთ ონშიდ უფასო სამკითხველოს დაარსება, რომ მის საშვალებით ჩვენს მღაბიო თანამოძმეთა შორის გაგევრცელებინა სურვილი წერა-კითხვისა და აღგეძრათ მადა განათლებისადმი მისწრაფებისა ამ საქმეს ენერგიულად მიყვეს ხელი კეთილმა პირებმა, რომელთაც შენ გვერდით უდექი, არ ზოგავდი არც შრომას, არც დროს და მაცადინეობას ამ კეთილი აზრის განხორციელებისათვის, როგორაც და რითაც კი შეგეძლო; შეიძლება, რომ ხშირად შენი სუსტი ჯანმრთელობა და შინაური საოჯახო საქმეები ნებასაც არ გაძლევდნენ, რომ გეღვაწა საზოგადო საქმისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, გულ მოდგინეთ იღებდი მონაწილეობას სამკითხველოს ფეხზედ დაყენებისათვის; ამ შენს ღვაწლს არ დაივიწყებს ის, ვისაც ცოტად თუ ბევრად მაინც, შეგნებული აქვს მნიშვნელობა ამ გვარი დაწესებულებისა.

არ იფიქრო, დაუვიწყარო მეგობარო, რომ ვითომც ჩვენ წარმოგზავნილი ვიყოთ შენს წინაშე მხოლოდ ჩვეულებრივი წესის შესასრულებლად, არამედ მოვსულვართ მისთვის, რომ გამოვაცხადოთ ჩვენი მწუხარება, რომელიც ამოღებულია შენი ამხანაგების გულის სიღრმიდგან, ეს სიტყვა იქნება ჭეშმარიტი დამხატველი ჩვენის გრძნობისა და გოდებისა შენის დაკარგვის გამო, კიდევ ვიმეორებთ და გწირავთ მადლობას შენის შრომისათვის ონის სამკითხველოსადმი; მერწმუნე, მეგობარო, თუ კი შენის თანამშრომლობით სამკითხველომ იოტის ოდენა სარგებლობა ვინმეს მოუტანა, ეს იქნება დაუვიწყარი ძეგლი შენის სახელისა შენს თანამემამულეთა შორის.

აწი, მშვიდობით, დაუვიწყარო ძმაო! ვეთხოვებით სამუდამოთ შენს გვამს, ხოლო სახელი შენი დარჩება ჩვენ შორის სამუდამოთ, როგორც კეთილის და საყვარელის მოძმისა».

# ოჯახის კერა

## მამაკაცი და დედაკაცი.

## II.

### ჭაბუკი საქმეზედ.

(დასასრული *).

4. ხსენებულმა კაცმა ისიც დაასურათა, თუ რა განსხვავება არსებობს ინგლისელთა და ნემეცთა შორის საქმიანობის დროს. დაჰკრავს მეექვსე ჟამი და გათავდება თუ არა მუშაობის დრო, ინგლისელი წამსვე წამოხტება, ახვევს წიგნებს და ერთი სიჩქარით ალაგებს უჯრებში, რის შემდეგ ჩქარი ნაბიჯით მიეშურება გიმნასტიკის სათამაშოდ, ან ველოსიპედისაკენ. სულ სხვა-ფრივ მოქმედებს ნემეცი. ერთგული საქმისადმი, ის ისევ იმ საქმეს აგრძელებს, რასაც აკეთებდა, გულ-დასმით აბოლოვებს მას, და შემდეგ გადის ოთახიდან. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, თუმცა ინგლისელები უფრო მიმზიდველნი არიან, მაგრამ მაინც ნემცებს აყენებენ წინ და მეტს ჯამაგირსაც აძლევენ.

5. ის ღარიბი და საწყალი კაცი მოქმედების ენერგიამ და სისწრაფემ დააწინაურა, დიდი აღებ-მიცემობის საქმის მოთავედ და გრაფადაც გამოიყვანა. ერთხელ ერთი გემის ტვირთი საქონელი ანდვეს ნისიად სამზღვარ გარეთელ ამხანაგობას, რომელიც შემდეგ საეჭვოდ აღმოჩნდა. იყო კიდევ ხსნა და საქონლის დაბრუნების გზა, თუ ვინმე აღმოჩნდებოდა ისეთი, რომ გაბედავდა და იმგზავრებდა შეუწყვეტლად 600 მილს. ფირმის მარწმუნებლები შეეკითხნენ მოსამსახურეთ, ვინ იკისრებს ამ მძიმე საქმეს და გაბედავს მგზავრობასო. ორიოდე კაცი შეჰპირდა ცდას, მაგრამ მეორე დღემდის ვერ ბედავდენ გამგზავრებას. მაგრამ ამ დროს ჩემ მიერ დასახელებულმა პირმა, რომელიც ახალ-გაზდა იყო მაშინ, გაბედულად მოახსენა: «მე მზად ვარ და ამ საათშივე გავემგზავრებიო». ფირმამ მიანდო საქმე. ისიც გაემგზავრა იმავე დღეს, მიდიოდა დღითა და ღამით, არც ძილს იკარებდა და არც ტანზედ იხდიდა. მიუსწრო გემის დაცლას, დაეპატრონა საქონელს და ამ რიგად ფირმას რამდენიმე ათასი მანეთი გადაურჩინა. ეს ღვაწლი იმდენად პატივსადები აღმოჩნდა, რომ დაბრუნებისათანავე უმკროსი მეთვალყურობის ადგილი მისცეს.

*) იხილე „მწყემსი“ № 3, 1898 წ.

ადრიანად ჩაიგდო ხელში საქმის მეთაურობა და ახლა კი, მოხუცებულობის დროს, ერთი გამოჩენილ კაცთაგანია.

6. მაგრამ თუ ახალ-გაზდა მარტო სამსახურსა და სარგებლობას არ ეძიებს, თუ მას ახსოვს, რომ ცხოვრებაში არსებობენ კიდევ უფრო მაღალი და უკვდავი მოვალეობანი, მაშინ მას უნდა ჰქონდეს კიდევ სიმამაცე და დამოუკიდებლობა. რა საქმის კაციც უნდა იყვეს, ის მაინც ტოლებში მოჰყვება, და პირველი მისი მოვალეობა ის უნდა იყვეს, რომ არამც თუ ცუდი მაგალითი არ უნდა მისცეს სხვას, არამედ მაღლად უნდა ეპიროს ნიშანი თვისი რწმენისა. ცუდათ იქცევიან ის ახალ-გაზდები, რომლებიც შიშისა და მორიდების გამო ვერ შეესიტყვებიან და ეწინააღმდეგებიან ვისმეს, როდესაც ამას ზნეობა მოითხოვს. იმ დროს, როდესაც ბენიამენ ფრანკლინი სტამბაში მსახურობდა, ყველა მისი ამხანაგები ლუდსა ან ღვინოს შეექცეოდენ საუზმეზედ. ფრანკლინი კი არც ერთს არ სვამდა, ვინაიდგან ღვინის სმა მისი რწმენის წინააღმდეგი იყო. ამხანაგები დასცინოდენ, ბალღსა და სულელს ეძახდნენ. მაგრამ ფრანკლინი მაინც თავისას ადგა და დაცინვას არ იკდემდა. სამაგიეროდ ყველა მისი ამხანაგები ისე დაიხოცნენ, რომ სახელი ვერ მოიხვეჭეს, ფრანკლინმა კი უკვდავი სახელი დასტოვა. პატარაობაშივე მისი ხასიათის სიმტკიცე წინამორბედი იყო მისი ბრწყინვალე მომავალისა.

**7**. სიფხიზლე ყოველთვისა და ყოველგან საჭიროა, სადაც უნდა იყვეს ადამიანი, ჯარის კაცთათვის და მოქალაქეთათვისაც. კრომველის ჯარი ბიბლიას ატარებდა გულზედ ბრძოლის დროსაც, რის გამო დასცინოდნენ და პირმოთნეთა წმიდანებს ეძახოდნენ. სწორეთ საოცარია, იმ სიტყვას, რომელიც უმაღლეს ქველ-მოქმედებას ჰქვიან, და პატივით უნდა ვიხსენიებდეთ, გასაკიცხად და და დასაცინად ხმარობენ. მაგრამ სწორედ ამ „წმიდანებმა“ სძლიეს მტერთ.

ნელსონი ყველაზედ მეტად თავის გემში მოსამსახურეთა შორის „მეტოდისტებ“—მატროსებს ენდობოდა. ერთხელ ხაველოკის წმინდანებმა ინდოეთი დაიხსნეს. ქ. ბერმში მთელი ჯარი დაითრო, მტერი წამოეპარათ. გენერალი ჯარისა სასოწარკვეთილებას მიეცა. ამ დროს ერთმა «ოფიცერმა“ მოახსენა, სოველოკის წმიდანები დაიბარეთ, მათი ჯარი მარად ჟამს მზათაა და არც არასოდეს ღვინით ითვრებაო“. მართალია, ამ გვარი პრინციპების ასრულება მთლად ადვილიც არ არის.

ერთი ახალ გაზდა ჩემი მრევლთაგანი ჯარში გაიყვანეს. ის ყოველ დროს ფხიზელი და მალხაზი კაცი იყო. თანამდეპობაც ადრე მისცეს, ერთხელ მისმა ჯარის კაცებმა, რომლებიც დასცინოდენ მას მოთმინებისათვის, დასთქვეს, რომ რაშიმე შეეცდინათ. ის კავალერიაში მსახურებდა და ერთხელ მისი პოლკი სავარჯიშოდ გაემგზავრა და თან სანოვაგეც წაიღეს. ჯარის კაცებმა მოიპარეს მისი ჰიჰილა, რომელშიაც წყალს ინახამდა და არაყით აუვსეს. ოფიცერმა არაფერი არ იცოდა ამის. დასვენების დროს ყველანი თვალს ადევნებდენ. აიღო თუ არა ჰიჰილა, მაშინვე იგრძნო, რომ შიგ არაყი იყო და ყველას თვალწინ გადაღვარა მინდორზე.

ინდოეთის აჯანყების დროს ერთი ნაცნობი ოფიცერი მსახურობდა ჯარში; ის, საუბედუროდ, ურწმუნო ამხანაგთა გუნდში მოხვდა, რომელთაც ომიანობამ ერთი-ორად დაუსახიჩრათ სარწმუნოება. ახალ გაზდა ოფიცერი ხედვიდა, რომ ეს ურწმუნო ინგლისელები სასტიკად და ულვთოდ იქცეოდნენ, და როდესაც ეს ამხილა მათ, დევნა დაუწყეს «როგორ უნდა ვიხსნა თავი?“ ჰკითხა ერთხელ გენერალს უტრამს ცილის წამებისაგან გულ დამწვარმა ოფიცერმა. „ვისი გეშინიან შენ, ღვთისა თუ კაცის?» მიუგო გენერალმა. თუ ღვთის გეშინია, ისევ შენს გზას დაადექი წინანდებურად და ყოველივე შეურაცყოფა მოთმინებით აიტანე. ხოლო თუ ხალხის გეშინიან, მაშინ შენც სხვებსავით ეცადე აჯანყებულთა ჩამოხრჩობასა, და უხვთოდ მოქმედებას!?

რაც შეეხება გენერალ ვარდონს მისი თილისმური გრძნობები დამოკიდებულნი იყვენ წინად განზრახულ გარდაწყვეტილებაზე, რომ თვისი რწმენა მარად ჟამს პატიოსნად და მტკიცედ აესრულებინა. სუდანში ყოფნის დროს სრულიადაც არ თაკილობდა, თავის კარავზე თეთრი ხელსახოცის ამართვას ბაირახად, რაც იმის ნიშანი იყო, რომ იმ დროს ლოცულობდა და მყუდროების დარღვევა შეუძლებელი იყო. ასეთი ზნეობრივი სიმტკიცით აღჭურვილი ახალ-გაზრდა დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ რაც უნდა საქმეს მოჰკიდოს ხელი, ყოველგან დიდად დაწინაურდება.

8. ახალ-გაზდა კაცის მდგომარეობა სამსახურში

უნდა უდრიდეს სკოლაში, ან უნივერსიტეტში მყოფთა მდგომარეობას. კეთილი მაგალითი ფას დაუდებელია ყოველგან, სადაც და ვისაც უნდა უჩვენოთ. როდესაც პატტესონი იტონის სკოლაში სწავლობდა, უვარს ადგა წინამძღოლობაზე, თუ კი წლიურ მეჯლიშზე ისევ დაიწყებდენ სამარცხვინო სიმღერებს. როდესაც იტონში ესტუმრა ხელმწიფის დაახლოვებული და პატივ-სადები კაცი, ის მის თვალწინ ღვრიდა, ისვროდა ჰიქებს, თუ კი იმ დროს უზდელური სადღეგრძელოები მოჰყვებოდა მას. დავისი სწერს, რომ არტურ-კუმნოკმა გარდაჰქმნა თავისი კეთილშობილური ზედ-გავლენით მთელი საზოგადოება ოთხი წლის განმავლობაში, სადაც დიდ ღირსებად მიაჩდათ ლოთობა, თამაშობა და შურის ძიება, თავდაჭერილ, ზრდილობიან და მშვიდ საზოგადოებად.

9. ყმაწვილის ასეთი თუ ისეთი მიმართულება ცხოვრებაში დამოკიდებულია მის სულიერ მდგომარეობაზედ. არ შეიძლება კეთილ-შობილური და პატიოსანი იყვეს კაცი ცხოვრებაში, თუ მას არ აქვს უკვდავი და მაღალი თვისება: მოთმინება, პატიოსნება და უბიწოება, თუ ყმაწვილს არ ეხერხება და ვერ ბედავს უარის თქმას, როდესაც მას იწვევენ ცუდი მიმართულების მოთამაშენი, ან როდესაც პატიჟობენ სანაძლეოზე, ის ადრე დაიღუპვის.

ინგლისში არის ერთი საპყრობილე, რომელიც სავსეა მარად ჟამ ავაზაკებით, რომლებსაც თავიანთი უბედური ცხოვრება თამაშობით დაუწყიათ, თუმცა პირველად უფრო პატიოსანი საგანი, დროის გართობა ჰქონდათ მიზნად. ყველა წოდებაში ერთი მეექვსედი მაინც ამ სამარცხვინო, მოარული, ცრუ და მავნე მიდრეკილებით იღუპება.

მღ. დ. ჩხაიძე

# ახალი ამბები და შენიშვნები.

«ნარეჩენიე» დიდათ პატივცემულის არქიმანდრიტის ლეონიდისა იქმნება ამ მოჰავალ პარასკევს და ეპისკოპოსის ხარისხზე აღყვანა მისი— კვირას.

* * *

ამ თვის დამლევის რიცხვებში გაემგზავრება ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე გურია-სამეგრელოის ეპარქიის ჩასაბარებლად. ახალი მისი სამწყსო მოუთმენელად ელის მის მიბრძანებას. სრული იმედია, რომ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე თავის უკანასკნელ ძალღონეს გურია-სამეგრელოის ეპარქიის კეთილდღეობას შესწირავს...

* * *

ჩვენი სანუგეშო მოღვაწე იღუმენი კირიონი ამ მცირე ხანში არხიმანდრიტის ხარისხზე იქმნება აღყვანილი და სინოდალნი კანტორის წევრად დაინიშნება.

* * *

ხმები ისმის, რომ ზოგიერთი ჩვენი სტუდენტები, რომელნიც აკადემიებში სწავლობენ, ბერათ შესვლას აპირებენ. ღმერთო, მოხედე საქართველოს და შთაუნერგე მის შვილებს გულში შენი ეკკლესიის მსახურება!.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტერატურო განყოფილება**: აღდგომა, ლექსი.—ქრისტე აღსდგა! ლექსი.—ქრისტე აღსდგა!—საქართველოს ექსარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ფლავიანეს ტფილისში ჩაბრძანება.—დიდი დღესასწაულობა მართლმადიდებლობისა.—ადამიანი.—მოგონება, ლექსი.—ეხლა მივხვდი, ლექსი.—ნეკროლოგი.—ოჯახის კერა, მამაკაცი და დედაკაცი, ჰაბუკი საქმეზედ.—ახალი ამბები და შენიშვნები.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

*Дозволено цензурою, Тифлисъ, 17 апрѣля 1898 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Елiевъ.*

Типог. редакции журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.

# მწყემსი


ტ5 მ.979



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.


**№ 9** **1883—1898** 15 მაისი.

გაზეთის ფასი:

| „მწყემსი“ | | „მწყემსი“ რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 3 მან. | 12 თთვით . . . | 5 მან. |
| 6 — . . . | 2 — | 6 — . . . | 3 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


P 38847

## მღვდლის სამსახურის სიმძიმე წმ. იოანნე ოქროპირის სიტყვით

დასასრული *

მღვდლობაში წმ. ოქროპირის სიტყვით იხატება სიყვარული ქრისტესადმი. მკვდრეთით აღდგომის შემდეგ როცა მაცხოვარი გამოეცხადა ერთხელ მოციქულებს, სამ გზის ჰკითხა წმ. მოციქულს პეტრეს: «გიყვარ მეა?“ (იოან. 21, 15) და ამის შემდეგ ქრისტემ ჩააბარა მოციქულს მორწმუნენი და რქვა: „აძოვენ კრავნი ჩემნი» (იოან. 21, 16). ვისაც უყვარს ქრისტე, მან არ შეიძლება არ შეიყვაროს ისინიც, რომელთათვისაც იესო ქრისტემ დაითმინა ტანჯვა და ვნება, რომელთათვისაც მან დაანთხია სისხლი თვისი. მაშასადამე, სიყვარული არის პირველი და აუცილებელი თვისება მწყემსისა, ნიშანი ქრისტეს მოწაფეთა. „ამით სცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთ არს» (იოან. 13 35) ვინარა გამოთხოვე-

* იხ. „მწყემსი“ № 8, 1898 წ.

ბის დროს მოწაფეთა თვისთა მაცხოვარმა; მას არ მიუთითებია მოწაფეთათვის არც თავის მრავალ სასწაულებზე, რომლითაც სავსეა მოციქულთა ისტორია, არც ის მოუხსენებია, რომ მათი ერთი სიტყვა, მათი შეხება და ჩრდილი განკურნებს ავადმყოფთა,—მაცხოვარმა მხოლოდ მოაგონა მოწაფეებს სიყვარული. აი რა ძალა აქვს სიყვარულს! ამბობს წმ. ოქროპირი. თავის მეგობარს ბასილში წმ. ოქროპირი პირველად ამ დიდ ღირსებას ჰპოებს, რომლის წყალობით მას შეეძლო ღირსეულად აღესრულებია მღვდელობა და აქვე თავისი სიტყვების დასამტკიცებლად იგი თავის მეგობრის ყურადღებას აქცევს ერთ ფაქტს მათი წარსული ცხოვრებიდან და მოჰყავს იმ დროს ბასილისაგან ნათქვამი სიტყვები: „ისე რას შიქვია სიყვარული, თუ ჩემ სულსაც არ გავიმეტებ, როცა ეს საჭიროა ჩემი მოყვასის დახსნისათვის?“ აი მაგალითი ქრისტეს ეკკლესიის თითოეული მწყემსისათვის,—აი, ასე ვთქვათ, ის საზომი, რომლის შემწეობით ყველას შეუძლია გაიგოს თავისი ძალ-ღონე და, ნიჭი მღვდლობისადმი. თუ ეს ღვთაებრივი ნაპერწკალი კია კაცში, თუ მისი გული სავსეა მხურვალე სიყვარულით მოყვსისადმი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია კაცმა მიიღოს თავის თავზე მღვდელობა; ასეთი მღვდლობა ნაყოფიერი იქნება სამწყსოსათვის; თუ კაცის გულში არ არის ეს წმიდა ცეცხლი, თუ ამის ნაცვლად კაცის გულში მეფობს გულ-გრილობა, მაშინ უკეთესია ხელი არ მოკიდო მღვდლობას, რადგან რაც უნდა დიდი ნიჭიერი იყოს კაცი, თუ იგი მოკლებულია სიყვარულს ღვთისა და მოყვსისადმი, იგი არა რაი არს. ჭეშმარიტი სიყვარულის მექონე კაცი მზად არის თავისი თავი შესწიროს მოყვასთათვის. „ვინ უძლურ არნ, და მე არა უძლურ ვიყვი?“ ამბობს მოციქული პავლე, „ვინ დაბრკოლდებიან, და მე არა ვჰხურევდი?» (2 კორინთ. 11, 30). «აი სწორეთ ასეთი უნდა იყოს მღვდელი“, დასძენს წმ. ოქროპირი. სიყვარულზე დამკვიდრებულ არს სჯული და წინასწარმეტყველნი, იტყვის მაცხოვარი, ხოლო მოციქული ამბობს, «აღმსრულებელი სჯულისა არს სიყვარული» (რომაელ. 13, 10), ასე რომ, თუ მღვდელს სიყვარული აქვს, სხვა ყოველიფერს შეიძენს. ამასთან წმ. ოქროპირი ბევრ სხვა თვისებაზედაც უჩვენებს, მაგალ. მღვდელს არ უნდა უყვარდეს სმა, იგი უნდა იყოს გამჭრიახე, მღვდელს ათასი თვალი უნდა ჰქონდეს, ვინაიდგან იგი ცხოვრებს არა მარტო თავისათვის, არამედ მრავალ ხალხთათვის; მღვდელი უნდა იყოს უანგარო, მომთმენი, მომფერე, თავოსანი, მაგრამ ყველაზე მომეტებულად მღვდელს უნდა ძულდეს დიდება, უნდა სძლიოს გულ-მოსულობას და აღსავსე უნდა იყოს კეთილ გონიერებით. ზნეობითი მხრით ეკკლესიის მწყემსი უნდა იყოს ისე წმიდა, რომ იგი, თითქო, ანგელოსთა შორის იდგეს ცათა შინა; მას უნდა ჰქონდეს წმიდა სული, მზის სხივებზედაც უუწმიდესი: უნდა იქნეს ქველის მომქმედი.

მაგრამ ძნელი ის არის, რომ მღვდელი, რომელიც ცხოვრებს ქვეყანაზე, ამ ზნეობითი სიმაღლეზე დადგეს. ეს ისეთივე საძნელოა, როგორც კვამლში გაჩერება, რომ კვამლი არ შეინსუთქო. მწყემსი ცხოვრებს ამაო წუთი სოფლის მოთხოვნილებათა შორის, მას მუდამ საქმე აქვს ხალხთან, მან უნდა ინახულოს ისინი, გამოიკვლიოს მათი საჭიროება, ერთი სიტყვით სამწყსოთა საჭიროაება უნდა შეადგენდეს მოძღვრის საკუთარს საჭიროებას. მხოლოდ ის არის ქრისტეს ეკკლესიის მწყემსი, რომელიც მუდამ ღვთის წინაშე დადის, რომელსაც მუდამ წინ უძღვის ქრისტეს წმიდა და ნათელი სახე, მხოლოდ ის არის მწყემსი, ვისაც აქვს სარწმუნოება ღვთისა, სიყვარული მოყვასთა ცხადათ აქვს შეგნებული სიწმიდე, სიძნელე და პასუხის მგებლობა მღვდლობის სამსახურისა,—მხოლოდ ის მწყემსი შესძლებს წინ აღუდგეს მრავალ განსაცდელთა, რომელთა შორის ის ცხოვრებს და მოქმედებს. შეუძლია ყველგან მოჰფინოს ნათელი და ცხოვრება, სიხარული და ნუგეში და თვითონ კი უვნებელი დარჩეს. წმ. ოქროპირს მღვდლობის სამსახური უფრო საძნელოდ მიაჩნია ბერ-მონაზვნობაზე. განდეგილი, რომელიც ცხოვრებს უდაბნოში, ვერ ხვდება იმდენ განსაცდელს, რაც ხვდება ეკკლესიის მწყემს, რომელიც ვალდებულია ებრძოლოს ამ განსაცდელთ. მღვდლის სულს აშფოთებენ ტალღნი, უძლიერესნი იმაზე, რომელნიც ხდება ხოლმე ზღვაზე. შემდეგ წმ. ოქროპირი ასახელებს იმ განსაცდელთ, რომელნიც ყოველ დღე წინ ხვდებიან მწყემსთ, როგორც მაგალითად: სიფიცხე, მოწყენილობა, შური, განხეთქილება, ცილის წამება, განსჯა, სიცრუე, პირფერობა. განსაკუთრებით ეს წმ. მამა აფთხილებს მწყემსთ მთავრობის მოყვარებისა და პატივის მოყვარებისაგან. ყველა ამაებისათვის საჭიროა, რომ მღვდელმა თავისი სული ისე განამტკი-

ცოს, რომ არც ერთმა ზემოხსენებულმა განსაცდელმა ვერ დაიმონოს იგი. მაგრამ რამდენი ცდა და შრომაა საჭირო, რომ კაცმა სძლიოს თავისას და სხვების ბიწიერებათ?

მღვდელობის სამსახურის ერთ აუცილებელ მოვალეობას შეადგენს ქადაგება. მღვდელმა უნდა გაასწოროს სხვების გაუნათლებლობა, ამბობს წმ. ოქროპირი. სხვა ნაირად ან კი როგორ უნდა მოიქცეს კაცი, განა არ ვიცით, რომ მწყემსთა და სამწყსოთა შორის ისეთივე გარჩევა უნდა იყოს, როგორიც არის კაცთა და ცხოველთა შორის; ვინაიდგან მღვდელი მაღლა სდგას სამწყსოზე, ამიტომ იგი ვალდებულია ასწავლოს სამწყსოს: შეიტანეთ მოკიდებული სანთელი ბნელ ოთახში, იგი თავისი სხივებით გაანათებს ოთახს. რომ მღვდელი მუდამ ნათელი იქნეს მის გარეშე მდგომარე მდაბიო ხალხისათვის, მან ბევრი უნდა იმეცადინოს თავის განათლებაზე, ის ვალდებულია, ყოველთვის გამჭრიახედ უცქეროდეს თავის თავს, თავის ზნეობრივ და გონებით განვითარებას; თუ კი ესეები მიატოვა მღვდელმა, იგი იწყებს უკან სვლას, იგი დაეცემა ზნეობითად და ყოველივე ცოდნა, რომელიც დიდის წვალებით შეიძინა, გამოუა თავიდან და მალე უბრალო კაცს დაემგვანება. ის მწყემსიც კი, რომელიც ალჭურვილია მჭერ-მეტყველობით, ვალდებულია იმეცადინოს, რომ უფრო ძლიერი იქნეს მისი სიტყვა და დარიგება. განათლებული ხალხი უფრო ბევრს უნდა ცდილობდეს, ვინემ უსწავლელნი. უმთავრეს საშუალებას, რომლითაც სულიერ მწყემს შეუძლია განათლება მოჰფინოს თავის სამწყსოში, შეადგენს ქადაგება, «სწავლება სიტყვის საშუალებით". განსაკუთრებით მღვდელს უნდა აქვნდეს სიტყვის ნიჭი; სიტყვა მღვდლის ხელში არის მჭრელი იარაღი. ვთქვათ მწყემს სჭირდება, რომ მწუხარე კაცის სული დაამშვიდოს. ან გაბრაზებული კაცი დაამშვიდოს, ან საჭირო შეიქნა სარწმუნოებისა და ეკკლესიის დაცვა, საჭიროა მხილება ქრისტეს მტერთა. ყველა ამ შემთხვევებში საჭიროა მოსწრებული სიტყვა. „სწავლება სიტყვის საშუალებით" არის იარაღიც, საზრდოც და კეთილ შეზავებული ჰაერი; სიტყვით სწავლება არის წამლისა და რკინის სამაგიერო. ვთქვათ საჭირო ხდება, რომ ვისმეს რაიმე შენიშვნა მისცე, ამისათვის საჭიროა სიტყვა. თუ სიტყვა არ მოქმედებს კაცზე, მაშინ ყოველი საშუალება ფუჭია. სიტყვით შეგვიძლია სწორ გზაზე დავაყენოთ შემცდარი და გავასწოროთ ამაყი. ვისაც სიტყვის ნიჭი არა აქვს, ის რიგიანად ვერ დამწყსის მისდამი რწმუნებულ სამწყსოს. ამიტომ მწყემსი ყოველივე ღონეს უნდა ხმარობდეს, რომ რიგიან სიტყვა-პასუხს მიეჩვიოს. ქრისტეს სიტყვის გულ-მოდგინე მქადაგებლის მაგალითს წარმოგვიდგენს წმ. მოციქული პავლე; აი რას ეუბნება ეს მოციქული ეფესელ მწყემსთ: „სამსა წელსა ღამით და დღით არა, დავსცხრებოდი ცრემლით სწავლასა კაცად-კაცადისა თქვენისასა" (საქ. მოციქ. 20, 31). რომ უფრო ცხადათ აღნიშნოს საჭიროება სიტყვისა მწყემსთათვის, წმ. ოქროპირი ჩვენ ყურადღებას მიაქცევს მასზე, რომ თვით დიდი მოციქული პავლე საჭიროებდა სიტყვას, თუმც მასში ბრწყინავდა მოციქულებრივი ცხოვრება.

დიახ, მაღალი და წმიდაა მწყემსის სამსახური ქრისტეს ეკკლესიაში, დიდი და საღმრთოა ის უფლებანი და მოვალეობანი, რომელიც მაცხოვრისაგან მინიჭებული აქვს ამ სამსახურს, დაუფასებელია ის სარგებლობა, რომლის მოტანა შეუძლია ჭეშმარიტ მწყემს, აგრეთვე დიდია პასუხის გებაც მწყემსის მხრით, საშინელია ღვთის მსჯავრი, ვინც რიგიანად არ ასრულებს მღვდელობას. თუ კი მაცხოვარი ამბობდა: „რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი, ჩემდა მომართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა, დამოთუიკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა" (მათ. 18, 6], მაშ რა სასჯელი უნდა ელოდეს ეკკლესიის ცუდ მწყემს, რომელიც თავისი დაუდევრობით, სიზარმაცით და უნიჭობით აბრკოლებს არა ერთ მორწმუნეს, არამედ მთელს სამწყსოს, მორწმუნეთა მთელ საზოგადოებას. ათასი თვალია მიქცეული მწყემსზე, ყველა მისგან ელის დარიგებას, ყველა დაიმედებულია, რომ მწყემსისაგან მიიღებენ პასუხს ყველა იმ კითხვებზე, რომელნიც მათ აწუხებენ, მღვდლისაგან ელიან იმ კითხვის განმარტებას, თუ რა არის მიზანი ჩვენი ქვეყნიური ცხოვრებისა და გაბედულად წაიყვანს ყველას ამ მიზნისაკენ და თავისი ცხოვრების მაგალითებით და თავისი სიტყვით გააფრთხილებს და ანუგეშებს სუსტთა. ვის შეუძლია აზრათაც წარმოიდგინოს ის დიდი ვნება, რომლის მოტანა შეუძლია ყოველ კაცს, რომელიც მოუმზადებლად მოკიდებს ხელს მღვდელობას?! მორწმუნენი, რომელნიც ჩაბარებული ჰყავს უვარგის მწყემს, დაიღუპებიან და

ეს მოეკითხება უგნურ მწყემს. ვისაც ბევრი აბარია, იმას ბევრიც მოეკითხება; მწყემს ბევრი აქვს ჩაბარებული, იმას მინდობილი აქვს აცხოვნოს სულნი მორწმუნეთა, და პასუხის გებაც დიდი აწევს მას კისერზე. მწყემსი პასუხს აგებს როგორც მორწმუნეთა დაღუპვისათვის, ისე იმისთვისაც, რომ შეურაცჰყო ღმერთი, რომელმაც ღირს ჰყო იგი დიდი პატივისა.

წმ. იოანნე ოქროპირის დიდ თხზულებას, ექვს სიტყვას «მღვდელობაზე» დღემდისაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და უეჭველია, რომ ეს სიტყვები არასოდეს არ დაკარგავენ ამ მნიშვნელობას, ვინაიდგან ეს სიტყვები გვასწავლიან, რომ მღვდლობა არის დიდი ღირსება, ძნელი მოვალეობა, არა ყველასათვის ხელ მოსაკიდებელი და მისაწდომი, და გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა ავასრულოთ ეს მოვალეობა უნაკლოდ, რის საუკეთესო მაგალითია თვით ქრისტე, რომელმაც თავის ცხოვრებით და მოქმედებით დაგვიხატა მაღალი იდეალი მწყემსის სამსახურისა. ეს თხზულება წმ. იოანნესი ყოველთვის გზის მაჩვენებელი იქნება მწყემსთათვის მათ მრავალ საძნელო ცხოვრებაში.

---

## ვინ და რა აღსარების არიან აისორები?

აისორები ანუ, როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ, სირო-ქალდეველნი სცხოვრებენ ქურდისტანის მთებში და აზერბაიჯანის ვაკე ადგილებში სპარსეთის და სათათრეთის სამზღვრების ორივე მხრით. ეს აისორები ამტკიცებენ, რომ იგინი სიმის მეორე შვილის ასსურის შთამომავლობანი არიან. აქედან არის წარმომდგარი მათი ს. ხელწოდებაც: «ასსირიელნი», „აისორები“, «ასურისტანები». ქრისტიანობის გავრცელების პირველ დროსვე აისორებში მტკიცდება სარწმუნოება ქრისტესი; ქრისტიანობა გაავრცელა მათში, როგორც ზეპირგადმოცემით ვიცით, წმ. თომა მოციქულის მოწაფემ წმიდა ადდეიმ ანუ თადდეიმ, რომელიც იყო ერთი 70 მოციქულთაგანი, და წმ. მარიმ, მოწაფემ წმ. თადდეოსისამ. ზეპირგადმოცემა გვაუწყებს, რომ ამ ხალხში უკვე მომზადებული იყო ნიადაგი ქრისტიანობის გასავრცელებლად სამი მოგვისაგან, რომელნიც დაბრუნდენ რა ბეთლემიდან თავიანთ სამშობლო ქვეყანაში, იწყეს ქადაგება, რომ დაიბადა მაცხოვარი ქვეყნისაო. წმიდა მარიმ, რომელმაც სირო-ქალდეველებში გაავრცელა ქრისტიანობა, დაარსა მათში საეპისკოპოსო კათედრა და თვითონ იყო პირველი ეპისკოპოსი სელევკი—აკტეიზიფონში, რომელიც ძველი ქალაქი იყო ტიგრის ნაპირზე. ეს ქალაქი იყო სატახტო ქალაქი სპარსეთის სამეფოში. რადგან ანტიოქიიდან ქრისტიანობა თანდათან ვრცელდებოდა აღმოსავლეთ-საკენ, ქრისტიანებმა, რომელნიც ცხოვრებდენ სპარსეთის სამზღვარზე, თავიანთ თავს უწოდეს „აღმოსავლეთის ეკკლესია». ამ ეკკლესიის ეპისკოპოსები თავდაპირველად ემორჩილებოდენ ანტიოქიის პატრიარქს, რომლისაგან იღებდენ განათლებასაც, მაგრამ, შემდეგ, აღმოსავლეთის ეკკლესია შეიქმნა და მოუკიდებელი, ხოლო ამ ეკკლესიის მიტროპოლიტმა მიიღო ღირსება და წოდება ქათალიკოსისა, 343 წელს ამ ეკკლესიამ სახელი გაითქვა 16 ათასი მოწამით.

მაგრამ ამ აღმოსავლეთის ეკკლესიას დიდხანს არ ჰქონებია ერთობა მსოფლიო ეკკლესიასთან. 431 წ. ეფესში დაინიშნა მესამე მსოფლიო კრება, რომელმაც უარ ჰყო მწვალებლობა ნესტორისა, რომელიც ასწავლიდა, რომ იესო ქრისტეში არის ორი პირიო, და ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელს უწოდებდა «ქრისტეს მშობლად». აღმოსავლეთიის აზიის ბევრი ეპისკოპოსები ვერ დაესწრნენ ამ კრებაზე, რადგან გზაში დააგვიანდათ; ამიტომ მათ შეადგინეს თავიანთი კრება, რომელზედაც ნესტორი იცვნეს მართლმადიდებლად და უარჰყვეს მესამე მსოფლიო კრება. აისორების წინაპრებმა, რომელნიც ცხოვრებდენ ბიზანტიას იმპერიის გარეშე, ვერ მოახერხეს დასწრებოდენ 431 წელს ეფესის კრებაზე და ამიტომ იგინი ამ დროს არავითარ მომხრეობას არ უწევდენ ნესტორის მწვალებლობას. ეს მწვალებლობა მხოლოდ შემდეგში გავრცელდა მათში, სახელდობრ 484 წელში ბიზანტიის იმპერიიდან გაწდევნილ ნესტორიელთ, რომელ-

ნიც სპარსეთში გადასახლდენ, გაავრცელეს ეს მწვალებლობა მათში- ერთმა ამ განდევნილთაგანმა, სახელად ვარსუმმა, მიიღო მიტრაპოლიტობა ნიზიბიისა, შთააგონა სპარსეთის შაჰს პეროზას, რომ თუ პერსიელნი ქრისტიანები მიიღებენ ნესტორის სწავლას, მაშინ მათსა და ბიზანტიის ქრისტიანებ შორის ჩამოვარდება განხეთქილება, იგინი გაიყოფებიან ორ მოწინააღმდეგე ბანაკად და მაშინ სპარსეთი ადვილად შეიძლებს ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლასო. ასეთი რჩევა მიიღო სპარსეთის მთავრობამ, რომლის შემწეობითაც ვარუსმა დიდის ძალმომრეობით სპარსეთის ქრისტიანებ შორის გაავრცელა ნესტორის მოძღვრება, რომელიც დაბოლოებით იქმნა მიღებული ეპისკოპოსების კრებისაგან ბეტლაპატაში 483—484 წლებში.

ამ სახით ნესტორიელთ შეადგინეს საკუთარი ქრისტიანთა საზოგადოება და გაავრცელეს თავიანთი მოძღვრება, ზნეობა და ჩვეულებანი სპარსეთის გარეშეც: ისინი აგზავნიდენ მქადაგებლებს ჩრდილოეთისკენ უსახლკარო თათრების ტომებთან კასპიის ზღვის მიდამოებში, დასავლეთისკენ—ინდიაში და ცეილონში და შორეულ აღმოსავლეთისაკენაც—ჩინეთში. მეექვსე და მეშვიდე საუკუნოებში მათ ჰყვდათ 25 მიტრაპოლიტი. მათმა საზოგადოებამ განსაკუთრებით მტკიცედ მოიკიდა ფეხი მეთერთმეტე საუკუნეში. ბაღდათის ხალიფები მათ დიდ მფარველობას უწევდენ, და ზოგჯერ უმაღლეს სახელმწიფო ადგილებს ამ ნესტორიელებს აძლევდნენ. მაგრამ ხალიფების დაცემის შემდეგ ნესტორიელთ-სირო-ქალდეველთ ძლიერ ცუდი დრო დაუდგათ: მათ დაუწყეს დევნა და ამ სახით მათი საზოგადოება დაეცა. მონგოლთა ბრძოლით დამპყრობმა ტამერლანმა მთლად შემუსრა ნესტორიელთა ეკკლესიური ცხოვრება; მთლად მოსრეს ნესტორიელთა ეკკლესიები, ხოჯები და წიგნთსაცავები. სირო-ქალდეველები გაექცნენ ამ დევნას და თავი შეაფარეს კურდისტანის მთებში, ინდიაში და კიპრის კუნძულზე. 15 საუკუნის შუა კიპრელნი ნესტორიელნი შეუერთდენ რომის ეკკლესიას და ამ დღიდან ეწოდათ მათ ქალდეველ-კათოლიკები, ხოლო მეთვრამეტე საუკუნის დამლევს, დიდი ყოყმანის შემდეგ, ლათინთა მქადაგებლების მეოხებით, მესოპოტამელმა ნესტორიელებმა თავის მფარველად რომი აღიარეს. მხოლოდ კურდისტანის და აზერბაიჯანის აისორები დარჩნენ ნესტორიელებად; პირველნი იმყოფებიან სათათრეთის სამზღვრებ შორის და თავის შუა ადგილად აქვსთ კედმანისი, სადაც ცხოვრებს მათი ქათალიკოსი მარ-შიმონი, ხოლო უკანასკნელნი ცხოვრებენ სპარსეთის შაჰის სამფლობელოში და თავის საშუალო ადგილად აქვსთ ქ. ურმი. ორივე ნესტორიელთა რიცხვი დღეს 150,000 სულზე მეტია, რომელთაგან 50,000 მომეტებული სული ცხოვრებს ურმიის სამფლობელოში.

## ქ. ყაზანი, და სასულიერო კონცერტის გამო.

(წერილი ყაზანიდამ)

როგორც ჩვენმა პატივცემულმა სამღვდელოებამ უწყის, ყაზანი ერთი საუნივერსიტეტო ქალაქთაგანია რუსეთში. სხვა უმაღლეს სასწავლებელთა შორის აქ არსებობს სასულიერო აკადემიაც, სემინარიით, სასულიერო სასწავლებლით და მრავალი სამრევლო და პირველ-დაწყებითი შკოლებით. როგორც პროფესსორ პეტრე ზნამენსკის თხზულებიდან: «Исторія Казанской Духовной Академіи“-დან სჩანს, ყაზანის აკადემიაში მისი დაარსებიდან (1742 წ.—1870 წლამდე სულ ხუთ ქართველს უსწავლია (ე. ი. 28 წლის განმავლობაში იმდენს, რამდენიც დღეს სწავლობს ამ აკადემიაში). ყველაზე უწინ ქართველთაგან კურსი აქ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს გაუთავებია (მესამე კურსის სტუდენტია). აი რას ვკითხულობთ ჩვენ მის შესახებ აღნიშნულ თხზულებაში: „1846 წელს აკადემიის სახელმწიფო ხარჯზე-მოზარდ სტუდენტთა შორის ჩარიცხულ იქმნა ერთი ქართველი თფილისის სემინარიიდან, ბერ-დიაკონი ალექსანდრე ოქროპირიძე იმ მიზნით, რომ კურსის დასრულების შემდეგ კავკასიის ერთ-ერთ სასულიერო სასწავლებელში ემსახურნა». [1]) და სხვაგან: „1850

---

[1]) იხილე „Исторія Каз. Дух. Академіи“ П. Знаменскаго III, გვ. 127.

წელს კურსი დაასრულა, ხოლო 1851 წლის 6-ს ოქტომბერს კანდიდატათ იქმნა დამტკიცებული ოქროპირიძე ალექსანდრე (ერის კაცობაში—ალექსი დავითისძე)—თფილისის სემინარიიდან» [2]), და აქ მოკლეთ ჩამოთვლილია ყველა ის ადგილები, სადაც ყოვლად სამღვდელოს უმსახურნია დღიდან აკადემიის დასრულებისა. აქვე ამ წიგნშივეა მოყვანილი ერთი ფრიად სასიამოვნო შემთხვევა, ეპიზოდი ყოვლად სამღვდელოს ცხოვრებიდან მაშინ, როდესაც იგი ჯერ ისევ აკადემიაში სწავლობდა. აი ეს ადგილი: „1847 წელს ოქტომბერში, როდესაც აკადემიას ხოლერა შემოეპარა, აკადემიის მთავრობამ საჭიროთ დაინახა ამოერჩია რამოდენიმე სტუდენტი, რომელნიც თავ განწირვით უვლიდენ თავის ავათ მყოფ ამხანაგებს და მასწავლებლებს, და რომელთა შორისაც აგრეთვე მხურვალე მონაწილეობას იღებდა ბერ-მონახონი ალექსანდრე ოქროპირიძე“ [3]).

ქ. ყაზანი ჩვენთვის სხვა მხრითაცაა შესანიშნავი. აქ იმექონება ქართველთა ღვთის-მშობლის ხატი (грузинская икона Божіей Матери), რომელიც მხოლოთ პირს (копія) წარმოადგენს ნამდვილი დედნისას (ეს უკანასკნელი კი, როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, დღეს არხანგელსკის გუბერნიის შავი მთის მონასტერში—обытель Черной горы, Архангельской губерніи—ასვენია [4]), რომელსაც რუსეთში დიდი სახელი და პატივისცემა აქვს მოპოებული, ასე რომ იმის სახელობაზე მარტო ყაზანის გუბერნიაში ორი ეკკლესია არსებობს: ერთი—თვითონ ყაზანშია, რის გამოც, როგორც ტაძარს, აგრეთვე მის გვერდით მთელ ქუჩასაც საქართველოს სახელი ჰქვია („Грузинская церковь», грузинская улица»), და მეორე—ყაზანიდან 28 ვერსით შორავს... ჩვენ მოგახსენებთ, ეგრეთ წოდებულ რაითის ღვთის მშობლის უდაბნოზე (Раиеская Богородицкая Пустыня), სადაც აგრეთვე მეორე პირია საქართველოს ღვთის-მშობლის ხატისა, რომელსაც აქ მრავალ სასწაულებს აწერენ. [5]) რუსების პატივისცემა ამ ხატისადმი ისეთი ძლიერია, რომ «ყოველ წელს 31 ივლისს იგი რაითის უდაბნოდან ქ. სვიაჟსკში მიაქვთ ხოლმე, სადაც იმას დაატარებენ თვითეულ ოჯახში როგორც ქალაქში, აგრეთვე სოფლებში და სადაც იგი 21 მარიამობის თვემდი რჩება ხოლმე». [6])

ქ. ყაზანში ბევრი სხვა-და სხვა ღირს-შესანიშნავი და საგულისხმიერო ნაშთები, დაწესებულებანი და ჩვეულებაა. ერთ ამისთანა ჩვეულებაზე გვსურს გამოვესავუბროთ დღეს ჩვენს პატივ-ცემულ სამღვდელოებას.

ამ ორიოდე დღის წინათ (19-ს და 22-ს მარტს) აქ, კეთილ-შობილთა საკრებულო დარბაზში, სასულიერო კონცერტი იქნა გამართული ორჯელ ზედიზედ, რომლის შემოსავლის ერთი ნახევარი ყაზანის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა და მეორე—სამრევლო სკოლების მასწავლებელთ (ქალთა და ვაჟთა) სასარგებლოთ გადადვეს. გუნდი (რიცხვით 120 კაცამდე) არქიელის, სემინარიის და სასულიერო სასწავლებლის მგალობელთაგან შესდგებოდა; ერიენ, აგრეთვე, გალობის მოყვარულნიც გარეშე პირთაგან. საზოგადოება ორივეჯელ ბლომათ დაესწრო; აქ თქვენ შეხვდებოდით მღვდლებს და ბერთ, სამხედრო წოდების კაცთ და მოხელეებს (ჩინოვნიკებს], ისე როგორც ვაჭარს და უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს, მღვდლის ოჯახობას და სხვა-წოდების ქალთა და სხვ. ერთი სიტყვით საზოგადოება მრავალ ფეროვანი დაესწრო ამ კონცერტს და დიდათ ნასიამოვნებიც დარჩა. როგორც მეორე დღეს გაზეთებმა გვაცნობეს, კონცერტს ბევრი მწვალებელიც (რასკოლნიკი] დასწრებოდა. იგალობეს თხუთმეტამდე სხვა-და-სხვა საგალობელნი რუსეთის ცნობილ კომპოზიტორების: ლვოვის, ბორტნიანსკის, ტურჩანინოვის და სხვათა. აქ ჩვენ არ შევეხებით ამ საგალობელთა შესრულების მუსიკალურ ღირსებანაკლულოვანებას (მართალი მოგახსენოთ, ამისათვის ჩვენ არც ძალი შეგვწევს და არც ცოდნა) ჩვენ დღეს გვაინტერესებს ის ფრიად სიმპატიური მიზანი და დანიშნულება, რომლის მისაღწევათაც ეს კონცერტი იყო გამართული.

როგორც ვიცით, აწ. არსებული საეკკლესიო კანონების ძალით, სასულიერო წოდებას (სამღვდელოებას) ნება არა აქვს დაესწროს იმისთანა გასარ-

---

[2]) იქვე ტომი III, გვ. 371.

[3]) იქვე ტ. I გვ. 79.

[4]) ამის შესახებ იხილე წიგნაკი: „Краткое описаніе Раиеской Богородицкой пустыни». Казань 1882 წ. გვ. 10—11.

[5]) აღნიშნულ წიგნაკში ბარე ხუთამდე სასწაულია ჩამოთვლილი. გვ. 16—19.

[6]) იქვე, გვ. 12.

თობ კრებებს და დაწესებულებათ, როგორიცაა თეატრი, საერო კონცერტი, ბალები და სხვ. ამის გამო მომეტებული ნაწილი სამღვდელო პირთა და არა იშვიათათ მთელი სამღვდელო ოჯახობანიც კი სრულებით მოკლებულნი არიან იმ წმინდა ესტეტიკურს სიამოვნებას, რომლითაც ისე უხვათ სარგებლობს საერო წოდება, რომელსაც ის კიდევაც მოჰყირქებია. თუ ეს მართალია საერთოთ რუსეთის სამღვდელოებაზე, მით უმეტეს მართალი იქნება იგი, თუ ჩვენი ქართველი სამღვდელოების შესახებ დავიწყებთ ლაპარაკს.

მართლაც და, ვინ არ იცის, თუ რა კარჩაკეტილ წოდებას წარმოადგენს დღეს ჩვენი სასულიერო წოდება? სამს, ქონებით, გონებით და ზნე ჩვეულებებით სხვა-და-სხვა წოდებათა (გლეხთა, აზნაურთა და მოვაჭრე-მოქალაქეთა) შორის ჩაყენებული, იგი იქვნეულია: არ იცის, რომელ ამ წოდებათაგანს შიაკუთნოს თავისი თავი, რომელს მიეკედლოს... თავისი წმინდა დანიშნულებისამებრ, იგი სიხარულით გაუწვდიდა ხელს თვის დაჩაგრულ თანამოძმეს (გლეხს), მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრების შეუფერხებელი მსვლელობით და საკუთარი მატერიალურ ხელ-მოკლეობით, ისე, როგორც თვით ამ გლეხკაცობის ცუდი მხარეებით იძულებული [7]), იგი თან და თან გულს იყრის ამ უკანასკნელზე და უფრო იმ წოდებისაკენ მიიწევს, იმ ადამიანთა ჯგუფს უახლოვდება, რომლისაგანაც უფრო მეტს სიამოვნებას და სარგებლობას, გონებრივს თუ ზნეობრივს მატერიალურს საზრდოს გამოელის. ამისთანა ჯგუფს კი ჩვენში დღეს ვაჭრები და თავად-აზნაურობა წარმოგვიდგენს. და აი, აკი ამიტომაა, რომ ჩვენი სამღვდელოება ამ ორ წოდებასთან დაახლოვებას უფრო ესწრაფვის, ვინემ გლეხობასთან. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, მომეტებული ნაწილი ჩვენი აზნაურობისა (თავადებზე ნულარას ვიტყვით) ისე მის დღეში არ დაიმცირებს თავს, რომ ვიღაცა «ხუცის» ოჯახი დაიახლოვოს ან დაუახლოვდეს, თუ ამ უკანასკნელისაგან რამე პირადულ სარგებლობას არ გამოელის. ეს კია, ღმერთ წინაშე, რომ თავად-აზნაურობის ამ გვარი ტრადიციული შეხედულ-დამოკიდებულება სამღვდელოებასთან თან და თან ჰკარგავს თვის ძალას განსაკუთრებით იქ, სადაც, ერთის მხრით, თვით თავად-აზნაურობას მატერიალურ-გონებრივი დაქვეითება დაეტყო და, მეორე მხრით, თვითონ სამღვდელოებამ შესძლო მისი წინ გასწრება თუ ზნეობით არა, გონებრივ-მატერიალურათ მაინც... ვგონებ, არავინ შემოგვწამებს ფაქტის გაზვიადებას, თუ ვიტყვით, რომ რამდენათაც ჩვენი სამღვდელოება ამ 20 თუ 30 წლის წინათ უპატივცემულო და თითქმის შეურაცყოფილიც იყო მთელი უგრეთ წოდებულ, „კეთილ-შობილთა" წოდებისაგან, იმდენათ იგი დღეს თან და თან პატივის ცემის ღირსი ხდება ამ უკანაკნელის თვალში, რომელმაც უკვე შესძლო მასში არა მარტო ნაკლულოვანებათა დანახვა, არამედ ბრწყინვალე მხარეების შემჩნევაც. მოვიგონოთ, 'ან სწერდა ა[illegible]-რამდენიმე თვის წინათ „ივერიაში" ა. დავიწყებული მწერალი! აი ეს სიტყვები: „ვინ გაუჩნდა პატრონი საბრალო ქვეყანას და დიდ-კაცობისაგან დავიწყებულს ერს? ის ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელსაც წრფელის გულისა, მხურვალე სამშობლოსადმი სიყვარულისა, წმიდა გრძნობისა და გონების სიფხიზლის მეტი არა ებადა რა. ეს იყო და არის ის «ახალ-თაობა», რომელიც გამოვიდა **დარიბ თავად-აზნაურთა და სასულიერო წოდებათა წრიდამ**[8]]. ეს იყო და არის მესვეური, რომელმაც დღემდის უწინამძღვრა ხალხს, ცოტათ თუ ბევრათ გონებრივი ძალა შესძინა და ზნეობრივათ შეამაგრა. ეს იყო და არის ის რაზმი, რომელმაც დაობლებული საქართველო იშვილა და მის ბედნიერებისათვის ყოველ ამ სოფლის ნეტარება უარ-ჰყო. კალმით თუ სიტყვით, სკოლით თუ წიგნით მან წინაალმდეგობა გაუწია დროს უკულმართობას [9] და

7) იხილე წრეუნდელი „მოამბის" №: 1-ში ჩვენი ახალგაზდა ბელლეტრისტის, დ. კლდიაშვილის სურათი: „მრევლში"

8) ხაზი ჩვენგანაა გასმული.

9) იხ. „ივერია" 1897 წ. № 248.

სხვ .. ჩვენი მხრით დიდი კადნიერება იქნება, რომ ყოველივე აქ თქმული მარტო ჩვენ თავზე მივიღოთ; ხოლო ის კი ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ქართველი სამღვდელოება არც ისე მუქთა მჭამელი წოდება ყოფილა, როგორც ეს ამ რამოდენიმე ათი წლის წინათ ეგონათ, რომ არც ის ჩამორჩენია საქართველოს წარჩინებულ შვილთ სამშობლოსათვის მოღვაწეობაში, მასაც შეუწირავს მცირე მსხვერპლი სამშობლოს სამსხვერპლოზე, რასაც ხმა-მაღლა აღიარებენ დღეს თვით მაღალი წოდებიდან გამოსულნი პირნი.:. თუმცა ეს ყოველივე ასეა, მაგრამ რას ვხედავთ ცხოვრებაში? მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენმა სამღვდელოებამ რამოდენათმე ჩვენ თავად-აზნაურობას წინ თუ—არ გაუსწრო, უკან მაინც არ ჩამორჩენია, მიუხედავათ იმისა, რომ მისი გონებრივ-მატერიალური მდგომარეობა დღეს ამ უკანასკნელს საყურადღებო საგნათ გადაქცევია[10], რის გამოც ეროი მეორეს თვალში თან და თან მეტს პატივის-ცემას ჰპოულობს, — ამ ყოველივეს მიუხედავათ ჩვენი დღევანდელი სასულიერო წოდება (თეთრი სამღვდელოება) გულით მაინც თავად-აზნაურობის შენარევის და — ჩვენდა სასირცხვოთ უნდა ვსთქვათ — თითქმის კიდევაც შეშურს მისი ჩამომავლობა, სწუხს, რატომ იგიც «კეთილ-შობილათ» არ დაიბადა. რა საკვირველია, საქმის ამ ნაირი ვითარება ძველი, ტრადიციული შეხედულებებით აიხსნება: იყო დრო (და ვის არ ახსოვს ის დრო), როდესაც თავად-აზნაურობა იდეალს შეადგენდა როგორც მთელი ერისათვის, ისე ჩვენი სამღვდელოებისთვისაც.

დროებით ჩრდილოელი ს. გ.

შემდეგი იქნება.

---

10, იხ, „ივერია“ 1898 წ. № 37 მოწინავე წერილი (თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა შესახებ).

## საისტორიო მასალა

# საქართველოის

## ძველი დროის თავგადასავალი.

გაგრძელება *.

ჩინგიზის ყეენის ყიასდინ თემურჩის გამოჩენა და მისგან ქართველთა მეფის ლაშა გიორგის დამარცხება, ვინაითგან მეფემან განიშორა ღმერთი და იქმნა სიბოროტისა მიმდრეკ და ღმერთიცა განეშორა მეფესა და ქართველთა.

ვინადგან მეფე ღმერთს სძულობს, არც იქმს ღვთისა ნებასა,
სიბოროტესა იყვარებს, მრუშებით ჰყოფდეს შვებასა,
მყის ღმერთი არა მაგიერს არა სცემს საზმილ-გზებასა,
ბოლოს აჩვენებს საქმითა მეფეს და მისსა კრებასა.

გამოჩნდა ვინმე ჩინგიზად ყეენი განდიდებულად,
ყიასდინ თემურჩი შვილი შეიქმნა აღმატებულად,
ერთისა ლაშქრისა მოყავი, ვაჟკაცი მხნეობით ქებულად,
გლახაკთა შემწყნარებელი, სიტყვა წყლიანი [illegible]ლად.

ბრძანა მან დიდმან ავღუსტმან, მეფეთა ზედა სვიანმან,
წარვლონ, წარვიდნენ ჯარებმან ჩემმან ჩემითა ხმიანმან,
ორთავე ერთად მთავრებმან, მათ ჩემით საქმე გზიანმან,
ლაშქრითა ორთავ მკმარებმან, ჩემ სვემან, განგებიანმან.

წარმოემართნენ ორნივე ლაშქრითა არა მცირითა,
თურქეთ სპარსეთი ჯეონი მუსრეს საქონელ-ქრთილითა,
მოადგნენ ქართლის საზღვარსა, გაგი ჰყვეს განაჭირითა,
ამისი მსმენი მეფეც ბრძოლად ვალს ქართველთ გმირითა;

მივიდა მეფე საგიმს წყალს, მტერი ჰხედათ ბანაკებული,

---

*) იხილე „მწყემსი“ № 22, 1897 წ.

ეკვეთა მეფე ქართველთით, ვყოთო აწ აოხრებული,
იგი ჩინგიზნი შეიქმნენ ხმა მაღლად მყივანებული,
ეცნენ ძლიერად ქართველთა მეფე ჰყვეს დამარცხებული.

გამოდრკნენ გმირნი ქართველნი თამარ მეფისა ზრდილები
ომს შიგან მძლევნი ყოველ მტერთა, როს ღვთისა ადგათ ჩრდილები,
ჰა ლაშა იქმნა ღვთისაგან ბოროტით შენაძულები,
რადგან მან ღმერთი განაგდო, უჩვენა მაგიერები.

ქართველთა ზრუნვა შეასდგათ მეფეს ამხელდენ პირადო,
ეგე ვითა ჰქენ ან რა ჰყავ ნაზარდი არსო მწირადო,
მდაბალის აზნაურთ ქალი ვით იქმნეს მეფეთ მზირადო,
ნუ ჰყოფთ მაგაზე ქორწილსა ნუ გვარცხვენ მონათ ხშირადო,

მეფემ უბრძანა არა ვიქ ამაზე ქორწილებასა,
მაგრამ მიყვარსო ძლიერად ნუ-მიმცემთ სახმილ-გზებასა,
მყვანდეს ვით სხვათაც ყოლიათ ვიქმოდე გულის შვებასა,
ჯვარს არ დავიწერ იცოდეთ ქართველნო გიყოფთ ნებასა.

მართ ერთი წელი ისე ჰყვა მისთანა შეექცეოდა,
მერმე ჩუმათ ჰყო ქორწილი, ვერვისგან შეიმცნეოდა,
ქართველთ ეგონათ ხასათ ჰყავს ვეროდეს გაექცეოდა,
მაგრამ მეფესა ჰყვა ცოლად სჯულიერებით ზეოდა.

ორსულ იქმნა მეფის ცოლი ვის არა ჰხადდენ ცოლადო,
მეფე სიფრთხილით ხელ ნელად არონინებდა ხელადო,
ბრძანა მეფემან მონახეთ ბებია ამის შველადო,
და უშვა ძე სახელს უწოდენ დავით იქმნება ქველადო.

კვალად შვა ერთი ასული პირმნათობ ამაღლებული,
რუსუდან სახელ უწოდეს ბევრთ მეფეთაგან ტრფობული,
მისისა სიტურფის ყოველს კიდესა ქებული,
ვინც ნახის შუქს შეადგის შეიქმნის განშვენებული.

ბოლოს მეფისა მიცვლის დღეს სცნეს ქართველთ მეფის ქმნილები,
დიდათ იამათ ვინადგან დაუშთა ლაშას შვილები,
რადგან ხარჯისგან არ იყვნენ ქართველთ დაედვათ გულები,
დაუწყეს ზრდანი სწავლანი მეფეთა რიგნი სრულები.

დავით მეფე, რომელი იწოდა ალმაშენებლად,
მუნიდგან ლაშა მეფედმდე ვერვინ ჩნდა ქართველთ მავნებლად,
არვისგან არა ძლეული დროყა ყოვლთ მტერთა მძლეველად,
ქართველთა მეფეთ ბავრაყნი იყო სხვათ შემარყეველად.

აწ ლაშამ ღმერთი იძულა, იქმნა ეშმაკის რჩევისა,
მიიღო ძლევა მტერთაგან, პირველ მტერთ უძლეველისა,
დამარცხებული ქართველნი გზა აღარ ჰქონდათ შველისა,
თათართა ბევრი თავი სჭრეს ქართველთა კაცთა ძველისა.

ჩინგიზელები გაბრუნდნენ მშვიდობით აუჩქარები,
მეფე და მისი ქართველნი ხოცილნი მტრისგან მკმარები,
ქართლსვე მობრუნდნენ სირცხვილით არვინ ურეკეს ზარები,
განუდრეკელნი ქართველნი მტერთა ჰყვეს შენაზარები.

იყო მშვიდობა კვალადცა მტერნი გაბრუნდნენ ჩინგელნი,
ხარობდნენ ყოვლნი ქართველნი ვით ლხინის მყვარნი ინდელნი,
ნეფის დას რუსუდან ქალსა ეტრფოდნენ ყოვლნი სინდელნი,
მშვენიერებით მდიდარსა მის ეშხის იყვნენ მზირელნი.

სთხოვეს ლაშასა და თვისი რუსუდან სახელდებული,
ყარუნშა იყო სულტანი სიმაღლით ამაღლებული,
მეფეო ცოლად მიბოძე და შენი პირმზე ქებული,
მაგისის ეშხით შევქნილვარ მე გულით ლახვარსებული.

აღუთქვა მეფემ მიცემა დისა რუსუდან ქალისა,
ვის ქონდა მწყაზარ ბადრობა სხდომა ორთ მჴვირვალ ლალისა,
გავსილსა პირსა უხდება შავად შეჯდომა ხალისა,
მისსა მნახველსა მოაკლდის ღონე მხედველობა თვალისა,

კვალად არ დასცხრა მეფეი ბოროტ და ყოფა ქცევასა,

. . . .

ეშმაკთა რჩევამ სნეულ ჰყო მისცა ლოგინად წო-ლასა,
ადამის შემოღებულსა ვალსა ჰყოფს გარდახდევასა.

აქა მეფისა ლაშა გიორგის დასნეულება ცუდის მოქმედებისა მიერ და გარდაცვალება მისი და დისა მისისა რუსუდან ქა-ლისა გამეფება ქართველთაგან რომელიცა არცა ის იყო დედის მსგავსი არამედ მსგავსი ძმისა თვისისა ლაშასი უმეტესად.

რა ჰსცნა მეფემან სიკვდილი ჰგრძნო, უკურნება თვისია
მოიხმო სრულად ქართველნი მღვდელ-ეპისკოპოზ თვისია
უბრძანა აჰა ჩემსა წილ რუსუდან დაი თვისია
ჰყავთ ეს მეფედ ყოველთა ძეცა უჩვენა თვისია.
ჰყავთ მეფედ პირველ რუსუდან თქვენ-ზედა ჰყავით მფლობელად,
მასუკან დავითს ძეს ჩემსა ექმნენით შემამკობელად,
ესე ანდერძი ჩემ მიერ თქვენდამი შენავედრებლად,
თვით განუტევა სული-სცა ანგელოსთ ასაწონელად.

## აქა რუსუდანის გამეფება ქართველთა ზედა.

დაისვეს მეფედ რუსუდან ქართველნი შეამკობ-დიან,
მეფეო იქმენ მოსავი ღვთისადმი ამას ჰხმობდიან,
იგიცა იყო მოწყალე ხარკსა უმეტეს ჰსძლევნობდიან,
მაგრამ იგიცა მოლხინე მასთანა ზმასა ზმობდიან.
თუმცა რუსუდან დედასა ჰგვანდა კეკლუცად შვენოდა,
ეკლესიათა ამკობდა მღვდელთა და ხატთა ჰყვაროდა,
გლახაკთა განამდიდრებდა ქვრივობოლთ განაშვენოდა,
მაგრამ უყვარდა შექცევა სიტყვანი სააშიყოდა.
აქუნდა შვება და განცხრომა ლხინი ყოველ-დღე სვიანად,
იყო ჯალალდინ სულტანი ინდოეთს დიდებიანად,
ჯეონის მდინარესამდე იყო მის ხელ-ქვეშ ხმიანად,
მოკრიბა ჯარი მრავალი ჰსთქვა ქართლსა ვყოფო ზიანად.

## აქა ჯალალდინ სულტანის შემოსვლა ქართლ-შიგან.

სულტანი მყისად მოვიდა გაგი ჰყო შენა-მჭირვები,
მცნობმან რუსუდან მეფემან მოკრიბნა ქართველთ გმირები,
იოვანე ჰყო უფროსად დრო არსო განაჭირები,
ათაბაგს სახელად სდებენ იყო მტერთ მომნადირეები.
ათაბაგმან ჰყო მზადება ჯარსა აწყობდა რიგითა,
მეწინავენი გააწყო დასტებად ხშირის თოფითა,
უბრძანა შალვას, ივანეს, თქვენ წინ სდეგითო მზი-რითა,
თვისივე სახლის შვილები ჰყო შურით განაჭირითა.
წარვიდა ათაბაგი და წინად მიდიან წინანი,
შალვა და იოვანედა მტერთა ყოველთვის მკბინანი,
მივიდნენ მტრისა პირის-პირ თვისის დასტითა მჩი-ნანი,
ჯერ ვერ შემართეს შეკითხვა მტერთა სიმრავლის მზინანი.
უვლინეს კაცი ათაბაგს ივანეს სახელ დებულსა,
მცირე გვაშველე ჯარი და გყოფთ სახელ განდიდე-ბულსა,
ჩვენ ვერ შევმართეთ სიმრავლეს სულტნის გუნდს დარაზმებულსა,
ჰგკადრებთ შალვა და ივანე სპასალარს ამაღლე-ბულსა.
არ მიაშველა ჯარები არცა თვით იქმნა მსვლელია,
მცნობმან ივანე შალვამან ჰქმნეს საქმე საშინელია,
კვალად გვედრნენ ათაბაგს ჰყავ ჯარი მონაშველია,
არა ინება სარდალმან შურით არს მათი მკვლელია.
როს გარდიწყვიტეს იმედი შალვამ ივანემ გმი-რებმა,
მყის მიეტევნენ სულტნის რაზმს თუმცა გუნდითა მცირებმა,
ძლიერი ბრძოლა შემართეს მათ საქმე განამჭივრებმა,
ბოლოს იძლივნენ ქართველნი ჰქმნა ათაბაგის შუ-რებმა.
შალვა იბრძოდა ძლიერად მხნედ მამაცობის გულითა,
ივანეც მასთან უძრავად იდგა გულითა სულითა,
ბოლოს სულთნისა ჯარმანდა მომართეს გულის სრულითა,
სიმრავლემან სძლო შალვას და ივანე შექმნეს ლუ-ლითა.

შალვა შეიპყრეს ცოცხალი ივანე მოკლეს ომითა,
შეჩვენებული სარდალი თვის ალაგს იყო დგომითა,
არ მიეშველა წინა რაზმს შურითა მათზე ზომითა,
მობრუნდა თითონ მშვიდობით სიხარულითა ხლდომითა.
გაბრუნდა მძლავრი სულტანი ათხრა ქართველთ მზღვარია,
იხმო თვისთანა შალვაი ომს შიგან დანაჭერია,
უბრძანა იქმენ მახმადის შენ რჯულის დანამჯერია,
გიბოძო მრავლის მრავალი, ბევრი სიტყვა ჰრქუა მტკბარია.
თუ მოხვალ ჩემსა რჯულზედა სულთანი არის მხმობელად,
გყო სახლის ჩემის უფროსად და ჩემად შემამკობელად,
შალვა ამისი მსმენელი არს ქრისტეს რჯულის მხმებელად,
უთხრა სულტანსა: რჯულ-ღორო ვარ მონა ქრისტეს მქებელად.
ტანჯეს მრავალ გზის შალვაი ტანჯვითა მრავალ-ფერითა,
მაგრამ სდგა მტკიცედ ქრისტესთვის გულისა სიხარულითა,
აგინებს მახმად აქებს ღმერთს არს ღვთისად ტრფიალღებითა,
ბოლოს აწამა მოცა-ჰკლეს აწ ქრისტეს ახლავს შვებითა.

## აქა ქორწილი რუსუდან მეფისა.

ამასვე წელსა რუსუდან ჰყო ქორწინება თვისია,
ტურღულის ძესა ზედანდა არ იყო გვარად მქისია,
იყო ქორწილი განცხრომა ღამეს და დილას დღისია
ლხინობდა შეექცეოდა ჯავრი არ ჰქონდა ვისია.
იყო ტურაღლის ძე იგი ცხნე მბრძოლი შვენიერია,
თამამი გლახათ შემწყალე ტან ნაზარდ ნებიერია,
გამომთქმელ ენა-წყლიანი, შემყრელი მოუბარია,
ყოველითურთ მშვიდი კეკელა ნაკვთებით ზომიერია.
არ დაიმარხა რუსუდან ანდერძი თვისს ძმისადა,
არცა ისმინა სიტყვანი არვის ერთგულთა ყმისადა,
დარჩა ლაშას ძე დავით და უმეფოდ მყოფი თვისადა,
რუსუდან მას ზედ ეძებდა დრო იკეს მოკვლად მისადა.

მიუდგა მეფეს რუსუდანს ქმარი ტურაღლის ძეოდა
იქმნა რუსუდან მუცელ-ქმნილ შვა მშვენიერი ძეოდა,
კვალად უბოძა ასული თამარ ვინ განაშვენოდა
ძესა უწოდეს დავით და ნარინ სახელად მხნეოდა.
რუსუდან მატა ბოროტი ბოროტსა მიჰყო ხელია,
არა იგონა ღმერთი და არც საყდრად იყო მვლელია,
კვალად მობრძანდა სულტანი ჯალალდინ ქართლსა მსვლელია,
რუსუდან თვის ცოდვითა ქართველთა ექმნა მსვრელია.

## აქა შემოსევა კვალად ჯალალდინ სულთნისა და აღაოხრა ქართლი და უკუნ იქცა.

მოვიდა მძლავრი სულტანი ჯალალდინ სვრიდაერსადა,
ქართლი აოხრა ბევრ-რიგად ჰკლევდა ყრმასადა ბერსადა,
უნდოდა ქართველთ მეფობა აღარ მიხედა ღმერთსადა,
უკუნვე ღმერთმან აქცია ქართველთ ტყვეს ჰყიდინ ბევრსადა.

## აქა რუსუდან მეფისაგან ძისა თვისისა ნარინ დავითისა გამეფება.

როს მიიცვალა მეფეი ლაშა გიორგიდ ხმობილი,
რუსუდანს უთხრა ანდერძი მან სიტყვა რამე სწრობილი,
როს განიზარდოს ძე ჩემი დავით სიმხნითა მკობილი,
და დასვით მეფედ შენსა წილ არა ჰყოთ იგი გმობილი.
რუსუდან არა იგონა ნათქვამი ძმისა მეფისა,
არცა იგონა ძმისწული დავით ღირს იყო ქებისა,
მოკრება ბრძანა მღვდელ მთავართ ეგრეთვე ქართველთ სეფისა,
მეფედ დაცასვა ძე თვისი თვით ლხინი ჰქონდა შვებისა.

—

აქა ყიასდინ სულტნისაგან თამარ რუსუდან მეფის ქალის თხოვნა ცოლად, ხოლო რუსუდანისაგან მიცემა პირობით რათა არა დაატევებინოს რჯული ქრისტესი.

ესმა ყიასდინ სულტანსა ქება მას თამარ ქალისა,
ახალთ იაგუნდ კოკორთა გაფურჩვნა ორთა ლალისა,
გაბადრულს პირსა უხდება შავნაკვეთობა ხალისა,
მის შემხედველსა ტინ კლდესაც ჰქონდეს მოკლება ძალისა.

ყიასდინ კაცი უვლინა რუსუდანს მეფეს ძმობილსა,
მესმა ქებანი შევეტრფე თამარს შენს ასულს მკობილსა,
მე მომეც ცოლად შევირთავ ნუ მყოფ მე ცუდად გმობილსა,
გეჭულებოდე მოყვარედ ქართველთ გავიხდი ძმობილსა.

რუსუდან დაჰყვა ნებასა, მფიცეო სიტყვა, სრულია
ჩემსა ასულსა თამარსა არ აგმობინო სჯულია,
მან ფიცა თვისა ყორანჯედ, ამისგან გავხდე კრულია,
იყოს თვისავე რჯულზედან ვით არის განკარგულია.

მისცეს რუსუდან (?] სულტანსა, მას დრო ეწია ნებისა,
აწყური მზითევად მისცეს, ლხინი ჰქმნა გულის შვებისა,
მან წარიყვანა თამარ და უმშვენიერეს ქებისა,
დიდად უყვარდა სულტანსა მისის სურვილით ბნდებისა.

## ღია წერილი "მწყემსი"-ს რედაქციის მიმართ.

თუმცა მას აქეთ, რაც ჩვენი სამღვდელოება ვალდებული შეიქმნა ატაროს ვერცხლის მკერდის ჯვარი, მაგრამ მე ჯერ კიდევ, ჩემი სიღარიბისა გამო, არ მომიპოვებია ესრეთი ჯვარი. ერთჯერ სხვა უცხო სოფელში შემხვდა წასვლა მიცვალებულის გამოტირილზე და რადგან აღნიშნული ჯვარი არ მქონდა გულზე, როგორც სხვა მღვდლებს, შენდობა არავინ მოითხოვა ჩემგან, რადგან ყველას დიაკონი ვეგონე, ვინც პირადათ არ მიცნობდა. ეხლა კი, რაც უნდა გამიხდეს, მაინც უნდა ვიყიდო ეს ჯვარი. მაგრამ, უმორჩილესად გთხოვთ, მ. რედაქტორო, განმიმარტოთ შემდეგი: წარსულ ნოემბერში რომ სამღვდელოების დეპუტატების კრება იყო ქალ. ქუთაისში, ყველა მმ. დეპ. მღვდლებს, ოთხიოდეს გარდა, სულ სხვანაირი ძეწკვით ეკიდათ გულზე ხსენებული ჯვრები, სწორედ იმ ფორმის ძეწკვით, რომელიც ჯილდოთ ეძლევათ უწმ. სინოდისაგან. ნეტავ ვინ მისცათ ნება ამ სულიერ მამებს ესრეთი გადასხვაფერებული ძეწკვით ჯვრის ჩამოკიდებისა? ნუ თუ ხელა-ახალი უქაზი გამოვიდა ამ საგნის შესახებ? თუ ასე არის, მეც ხომ შემიძლია მოვიპოვო ასეთი ძეწკვი ჯვრისათვის? აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ქუთაისში ვინც შემხვდა ოქრომჭედელი, ყველამ ასე მითხრა: „ჯვარი რომ იყიდო, მღვდელო, უძეწკვოთ იყიდე, რადგან მათ ჩამოსაკიდ ძეწკვებს ეხლა ჩვენ ვაკეთებთ სულ სხვა ფორმაზე, რომელიც ძლიერ კარგი შნოიანი არის და ბევრად სჯობს რუსეთიდან მოტანილსო».

მღვ. ა. არ—ლი.

ძეწკვის ფორმა გამოცხადებულია უქაზით და ყველა ვალდებულია, რომ იმ ფორმის ძეკვით დაჰკიდოს ეს ჯვრები და არა სხვა და სხვა „გამოგონებული ფორმის ძეწკვებით. ზოგიერთებს ძვირფასი ქვებითაც მოუჭედიათ ეს ჯვრები და ისე დაუკიდიათ მკერდზე!.. ჩვენ, სულიერი მამები, ვალდებულნი ვართ, რომ ჯვრების მორთულობით ძეწკვით კი არ უნდა ვცდილობდეთ გამოჩენას, არამედ კეთილი მწყემსობით, ცხოველი სარწმუნოებით და ქრისტიანული სიყვარულობით მოყვასთადმი. ვისაც ეს ქრისტიანული თვისებანი აქვს, იმას უჯვროთაც იცნობენ, თუ ვინ არის იგი.

რედ.

## მწარე ფიქრები

დიდი ხანი არ არის, რაც იუბილეის დღესასწაულობა, შემოღებულია ჩვენში. პირველ ხანებში სულ სხვანაირად უყურებდენ ამ დღესასწაულობას, მაგრამ ბოლოს იუბილიარების სურვილმა თავისი გაიტანა და, თითქმის, კანონად შემოიღეს 25 და 50 წლის იუბილეის დღესასწაულობა. იუბილეის დღესასწაულობისა გამო საქველმოქმედო მიზნით ფულებიც ბევრი შეიკრიბა და სტიპენდიებიც დაარსდენ და მთავრობამაც ნება დართო ამ კეთილი მიზნით იუბილეის დღესასწაულობას. კარგი დაგემართოს, კარგია, როცა იუბილიარი რაიმე კეთილ საქმეს ჩადის და შეწირულებას იძლევა მადლობის ნიშნად ღვთის წინაშე, რომ ღმერთმან მისცა მას 25 და 50 წლის დრო ცხოვრებისა. მაგრამ სწორეთ უბედურებაა, როცა კაცი თავის ოცდა ხუთი და 50 წლის მსახურებისათვის სხვისგან ითხოვს საქველმოქმედო მიზნისათვის შეწირულებას, სჩუქრებს და ქების აღრესებს. ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ რა გზით და მოხერხებით სდგებიან ეს ქების ადრესები და რა საშუალებით იკრიბება შეწირულებანი... სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ამ დღესასწაულობით და ქებითი ადრესებით შემდგომ დროში მემატიანე ვერ შეადგენს ნამდვილ აზრს, ვინ იყო ღირსი ქებისა და დიდებისა, რადგან ერთი ყალიბით სრულდება ეს დღესასწაულობა და ქებითი შესხმანი განურჩევლად იუბილიართა მსახურებისა...

ეხლა აღარ კმარობენ მარტო 25 და 50 წლის იუბილეის დღესასწაულობათა. ბევრი მსურველი აღმოჩნდენ იუბილეის დღესასწაულობისა 29, 35, 40 და 41 წლისა სამსახურისაც. სწორეთ გასაოცარია ამისთანა იუბილეის დღესასწაულობის სურვილი ზოგიერთ პირთა....

მართლა საქმე გააჭირვა ბ. ი. გ. ჭავჭავაძის 41 წლის იუბილეის დღესასწაულობის გადადებამ. ერთი წელიწადია, რაც ერთი თვიდან მეორე თვეში გადააქვსთ ამ იუბილეის დღესასწაულობის დღეობა და არ ვიცით, როდის ექნება დასასრული ამდენ გადადებას. მისი თხზულებებიც კი გაიაფეს ამ დღეობის გამო, მაგრამ არ გვატყობინებს წიგნების გამომცემელი საზოგადოება, თუ რამდენი წიგნი გასაღდა ამ იუბილეის მოლოდინით და რამდენი დარჩა გაუსყიდელი!.. ზოგიერთები ამბობენ, რომ ვითომც მთავრობა ნებას არ იძლევა ი. გ. ჭ—ის დღესასწაულობაზეო, მაგრამ ეს ხმა მოკლებული უნდა იყოს ყოველ სიმართლეს. მთავრობა ნებას დართავს, როგორც ვსთქვით, მარტო 25 და 50 წ. იუბილეის დღესასწაულობას და არა 41 წლისას და თუ გინდ 45 წლისასაც; თუ კი ასე გულით სურსთ ზოგიერთებს ეს იუბილეი, ვინ უშლისთ თავი მოიყარონ იუბილიარის თაყვანის მცემელთა და პატივი სცენ როგორც სურსთ. როდის მოითხოვეს ნება-რთვა ბ. რაფიელ ერისთავის იუბილეის დღესასწაულობაზე?.. მაგრამ თუ ვისმეს სურს, რომ მთავრობამ ნება დართოს ფულების შეკრებაზე იუბილეის დღესასწაულობისა გამო ამაზე არავის ნება არ მიეცემა და სწორეთ არც არავის უნდა მიეცეს. მთავრობამ იცის ალბათ ეხლანდელი ფარისევლობით დამყაყებული საზოგადოების ზოგიერთი თავმოყვარე პირები და ისიც, თუ როგორი გზით იკრიბება ფულები სხვა-და-სხვა ძისარ-

თმევი საჩუქარი ნივთების საყიდლად და სხვა მიზნით... საქველმოქმედო მიზნით ფულის შეწირვას ვინ მოუშლის, თუ კი მსურველი არის ვინმე!..

* * *

სიტყვამ მოიტანა და არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არა ვსთქვათ იუბილეის დღესასწაულობის გამო ჩვენში. ის პირები, რომელთაც კითხვა აღძრეს ბ. ი. გ. ჭ—ის 41 წლის იუბილეის დღესასწაულობაზე, ნეტავი რას ფიქრობენ სხვა პირების იუბილეის დღესასწაულობის შესახებ? ნუ თუ სხვებს არ შესრულებია 41 წელიწადი მათი მოღვაწეობის დაწყებიდან? ზოგიერთები ლამის ხელიდან გვეცლებიან და არავინ არ ფიქრობს მათ იუბილეის დღესასწაულობაზე!.. დიაღ, პურღვინოს და სადილებს ბევრი შეუძლია!.. მრავალს აბრმავებს და მრავალს თვალს უხელს.

* * *

მივიღეთ 1897 წლის ანგარიში «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» მოქმედებისა და გადავიკითხეთ. ამ ანგარიშის გადაკითხვის შემდეგ მკითხველში ერთად იბადება ორი გრძნობა, სიხარულისა და მწუხარებისა. მოგვყავს ის ადგილი, რომელმაც ჩვენში მწარე ფიქრები აღძრა:

## II საზოგადოების გამგეობა.

საზოგადოების და გამგეობის თავმჯდომარე თ. ი. გ. ჭავჭავაძე.

თავმჯდომარის ამხანაგი ნ. ზ. ცხვედაძე.

წევრნი:
- ეკ. რ. გაბაშვილისა
- ან. მ. წერეთლისა
- ი. ს. გოგებაშვილი
- ალ. მ. ქყონია
- გ. ნ. იოსელიანი
- ე. ს. თაყაიშვილი
- ნ. ვ. მთვარელიშვილი
- ი. გ. რატიშვილი.
- პ. რ. ყიფიანი
- ალ. ალ. გარსევანაშვილი
- დ. გ. კარიჭაშვილი.

ხაზინადარი—პ. რ. ყიფიანი, მდივანი—დ. გ. კარიჭაშვილი.

წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა 37 სხდომა, განსახილველი იყო 346 საქმე, რომელთაგან 21 გადადებულ იქმნა შემდეგის სხდომისათვის, დანარჩენი იმავე სხდომაზე იყვნენ გადაწყვეტილნი, რომელზედაც მოხსენდნენ.

თითო სხდომაზე—ორთა შუა რიცხვით მოდის 9 საქმე.

გამგეობის წევრთაგან სხდომებზე დაესწრნენ:

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე თ. ი. გ. ჭავჭავაძე . | 2-ჯერ |
| თავმჯდ. ამხანაგი ნ. ზ. ცხვედაძე . | 28— |
| წევრნი. ი. გ. რატიშვილი . . . | 33— |
| ე. ს. თაყაიშვილი . . . | 28— |
| ნ. ვ. მთვარელიშვილი . . | 23— |
| ალ. მ. ქყონია . . . | 22— |
| გ. ნ. იოსელიანი . . . | 19— |
| ი. ს. გოგებაშვილი. . . | 18— |
| ან. მ. წერეთლისა . . . | 18— |
| ალ. ალ. გარსევანაშვილი. . | 15— |
| ე. რ. გაბაშვილისა . . . | 9— |
| პ. რ. ყიფიანი . . . | 2— |
| დ. გ. კარიჭაშვილი . . | 37— |
| სულ ყველანი . . | 253— |

თითო სხდომაზე ორთა შუა რიცხვით მოდის 7 დასწრება.

სხდომებზე თავმჯდომარეობდნენ:

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე თ. ი. გ. ჭავჭავაძე . | 2-ჯერ |
| მისი ამხანაგი ნ. ზ. ცხვედაძე . | 26— |
| წევრნი: ალ. მ. ქყონია . . . | 6— |
| გ. ნ. იოსელიანი . . . | 2— |
| ე. ს. თაყაიშვილი . . . | 1— |
| | 37 |

ჩვენს თვალს არ დაუჯერეთ პირველად, როცა წავიკითხეთ: «გამგეობის სხდომებს თავმჯდომარე დაესწრო ო რ ჯ ე რ ო, მაგრამ ანგარიშით დავრწმუნდით, რომ მართლა ორჯერ მეტათ არ დასწრებია ბ. ი. გ. ჭავჭავაძე სხდომებს... რომ სხდომებს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა მართავდეს დილიდამ შუადღემდის, იფიქრებს კაცი, რომ ალბათ ბ. ჭ—ძე არ დასწრებია მიტომ, რომ არ ეცალა ამ დროს. მაგრამ სხდომები იმართებოდა, თითქმის, საღამობით, სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენს „პატრიოტებს“ და «მოღვაწეებს» ან სძინავთ და ან ბანქოს თამაშობენ...

დიაღ, მართალი რომ ვთქვათ, კრებებზე ნიადაგ დასწრების მოთხოვაც ყველა წევრებისაგან არ შეგვიძლია! ჯამაგირს არ იღებენ და უჯამაგირო თანამდებობაზე რად დაკარგავს კაცი დროს!?. სწორეთ გულითადი მადლობის ღირსნი კი არიან ბ. ბ. რატიშვილი და თაყაიშვილი, რომ ასე ერთგულათ დასწრებიან სხდომებს ..

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ერთი კეთილი და პატიოსანი მოღვაწე მოაკლდა ქართველობას. ამ დღეებში უეცრად გარდაიცვალა თბილისში ჩვენი შესანიშნავი მხატვარი როინაშვილი. როგორც ჭეშმარიტი და შეგნებული ქართველი, ის ყოველთვის მზად იყო დახმარება აღმოეჩინა ყოველი კეთილი საქმისათვის. როგორც ამბობენ, განსვენებულს თვისი მუზეუმი და ქონება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის უანდერძებია. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილო ქართველო და რიგიანო მამულიშვილო, რომელსაც ყოველთვის გახსოვდა საზოგადოება და მისი საჭიროებანი.

14 ამ თვეს ქუთაისში გარდაიცვალა შემდეგ ხანგრძლივი ფილტვების ავადმყოფობისა ქ-ნი ვერა ჯაფარიძისა. განსვენებული პირველად მასწავლებლად იყო ქუთ. საკვირაო სკოლაში და ბოლოს ეპარქიალურ საქალებო სასწავლებელში. არასოდეს მის მოსწავლეებს არ დაავიწყდებათ განსვენებულის მშვენიერი სწავლება და კეთილი ქალობა. განსვენებული თავისი ოფლით ნაშოვნი ფულით მთელს ოჯახობას ინახავდა და კიდეც ამ გამუდმებული შრომით დალუპა თავისი ჯანმრთელობა და ჭლექში ჩავარდა. საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, კეთილო ადამიანო!

* * *

ამ ცოტა ხანში ჩვენ მოგვიხდა ჭიათურაში მოგზაურობა. ჭიათურაში 200000 მანეთამდე შეკრებალა შავი ქვის მწარმოებელთაგან სხვა და სხვა საჭიროებისათვის. სხვათა შორის აქ დაუარსებიათ საავადმყოფო და კარგა ბლომა ფული იხარჯება, მაგრამ საავადმყოფოს საქმე ღვთის ანაბარად ყოფილა გაშვებული. ექიმი კვირაში მარტო ერთხელ დახედავს საავადმყოფოსო და ფერშლები სჩადიან ექიმის მაგიერობასო...

* * *

ვენიდან გვწერენ, რომ იქ ერთმა ვიღაცა ქალმა, რომელიც თბილისში მოგზაურობდა, ლექცია წაიკითხა თავის მოგზაურობაზედო. ლექციაზე ხალხი ბევრი დასწრებია. ამ ქალს ლექციაში ბევრი შემცდარი აზრი წარმოუთქვამს ჩვენი ქვეყნის შესახებ. საზოგადოებისათვის უთქვამს; „მე დანამდვილებით ვიცი ყველაფერი ამბავი, ამისათვის რომ კორრესპონდენტი ვარ ერთად ერთი საქართველოის შესანიშნავი გაზეთის „ცნობის-ფურცლისაო“. სწორედ ძლიერ კარგად შეუტყვია საქართველოს ვითარება, თუ მას ერთად ერთ ქართულ გაზეთად „ცნობის-ფურცელი“ მიაჩნია!..

* * *

ოთხშაბათს, 29 აპრილს, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდათ მცხეთის ტაძრის განმაახლებელ კომიტეტის წევრთ. თავმჯდომარის წინადადებისამებრ კრებამ დაადგინა: ვთხოვოთ საქართველოს ექსარხოსს მაღალ-ყოვლად სამღვდელო ფლაბიანეს, რომ კომიტეტ-ს თავმჯდომარეობა თითონ იკისროს. კრებას მოჰხსენდა აგრეთვე, რომ კომიტეტის წევრებად მიღებულ იქმნენ: დიდუბის ეკკლესიის წინამძღვარი მ. კ. ცინცაძე და ბ-ნი მ. ი. ნატროშვილი. კრებამ ერთხმად მიიღო ეს

წინადადება. ამის შემდეგ ლაპარაკი აღიძრა ტაძრის განსაახლებლად შემოწირულებათა შეკრების საქმის გაწყეს-რიგების შესახებ, რადგან შემოწირულებათა შეკრება უკვე უმაღლესად ნება·დართულია, კრებაზედ გამოირკვა: ა) მეტად სამწუხარო ყოფა-მდგომარეობა ამ სიწმიდისა და ბ) ის, რომ შემოწირულება მაგრე რიგად არ შემოსულაო- სულ მოგროვდა 9,000 მან. და ტაძრის განახლებას-კი დასჭირდება 200,000 მან. კომიტეტმა დაადგინა: ა) იზრუნოს მცხეთის ტაძრის საისტორიო საარქეოლოგო აღწერისა, ტაძრის კარგად გადაღებულის სურათისა და ტაძრის განსაახლებლად მოწოდების დაგზავნის შესახებ. ტაძრის აღწერა მიენდოს კომიტეტის წევრს ბ-ნს ნატროშვილს, მოწოდების შედგენამ მღ. კ. ცინცაძეს და სურათის გადაღება-ფოტოგრაფს ბ-ნს როინაშვილს; ბ) ყველა ამ საგნების დამზადების შემდეგ შემოწირულებათა შესაკრებად რუსეთში გაიგზავნოს მღვ., კ. ცინცაძე და ყარსის ოლქის ბლაღოჩინ-მღვდელი მ. კომარი], რომელთაც უნდა გადაეცეთ შუამდგომლობანი პეტერბურგისა, კიევისა და მოსკოვის მიტროპოლიტებისა და სხვა მაღალ წოდების კაცთა წინაშე შესაფერ დახმარების აღმოსაჩენად შემოწირულებათა შეკრების საქმეში. ადგილობრივ ამიერ-კავკასიაში შემოწირულებათა შეკრება მიენდოს მღვდელ-მონაზონს მ. გერასიმეს და სხვათ, რომელთაც დასახმარებლად მიჰმართავს კომიტეტი.

აღიძრა აგრეთვე ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა საშუალება უნდა იქმნას ხმარებული ტაძრის განახლების დროს, რომ ტაძრის პირვანდელი სახე იქმნას დაცულიო და კომიტეტმა დაადგინა, ამ აზრისს განსახორციელებლად საჭიროა მივმართოთ იმ ხუროთ-მოძღვართ არქეოლოგთ, რომელნიც იცნობენ და შესწავლილი აქვთ ეს ტაძარი, სახელდობრ, მაგალითად, პროფესორს კონდაკოვს, თავ. ტრუბეცკოის და საარქეოლოგო საზოგადოების თავმჯდომარეს გრ. უვაროვისას და სთხოვონ მათ ამ საქმეში დახმარება.


# განცხადება.

კერძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ

## ს. ბ. თოფურიასი

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს
ექ. ს. ბ. თოფურია.

ხირურგულ, შარდით და სიფილისით
ექ. ფ. კ. ბერრატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიოს ქალი-
ექ. მ. ფ. კაგანი.

თვალების ავათმყოფისათვის
ექ. ი. კ. ვარშავსკი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქნრა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.


### შინაარსი:


**სალიტერატურო განყოფილება:** მღვდლის სამსახურის სიძნელე წმ. იოანე ოქროპირის სიტყვით.—ვინ და რა სარწმუნოების არიან აისორები.—ქ. ყაზანი და სასულიერო კონცერტის გამო.—საისტორიო მასალა: საქართველოს ძველი დროის თავ-გადასავალი.—ღია წერილი „მწყემსის" რედაქციის მიმართ.—მწარე ფიქრები.—ახალი ამბები და შენიშ.



რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

*Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 мая 1898 г. ✦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.*

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хананобыхъ, на Нѣмецкой ул.

№ 10 1883—1898 30 მაისი

# მწყემსი

05
ე. 979

## ოფიციალური განყოფილება.

### განჩინებანი უწმიდესი სინოდისა

**I. 3-9 აპრილიდამ 1898 წ. № 1231. სასულიერო წოდების პირთა დაჯილდოების შესახებ სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.**

უკაზისაებრ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა უმართებულესმა სინოდმა მოისმინა: წარდგენანი ეპარქიის მღვდელ-მთავართა, მოსკოვის სინოდალნი კანტორისა და სასახლის სამღვდელოების გამგის მათდამი რწმუნებული სამღვდელოების დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის. ბრძანება: ძალისა გამო მომხდარ მსჯელობათა, უწმიდესმა სინოდმა გადასწყვიტა: ამასთან წარმოდგენილ სიასა შინა აღნიშნულ სასულიერო პირთ მიეცესთ სიაში მოხსენებული ჯილდოები და ეპარქიის მღვდელ-მთავართა, მოსკოვის სინოდალნი კანტორის და სასახლის სამღვდელოების გამგის საცნობლად ეს დაჯილდოების სია დაბეჭდილ იქნეს «საეკკლესიო უწყებებში».

**სია სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც უწმიდესი სინოდის მიერ დაჯილდოებულ იქნენ სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის დაბადების დღეს.**

საქართველოს საექსარხოსოში. ენქერ თ—ქართლის ეპარქიის, იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ზაკავკაზიის ქალებო ინსტიტუტის ეკკლესიის დეკანოზი პეტრე **კონჩუევი**; იმავე ეპარქიის გორის მიძინების საკრებულო ტაძრის დეკანოზი ბესარიონ **თავდგირიძე**; ბ) **არქიმანდრიტობის ხარისხით**: თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი **გერმოგენი**; წინამძღვარი ქვაბთა ხევის მონასტრისა იგუმენი **კირიონი**; წინამძღვარი ჭელიშის ღვთის-მშობლის მეორე კლასის მონასტრისა იგუმენი **დანიელ**; გ) **იგუმენობის ხარისხით**: იმერეთის ეპარქიის მოწამეთის მონასტრის ეკონომი ბერ-მონაზონი **სპირიდონი**; იმერეთის ეპარქიის სამღვდელ-მთავრო სასახლის ეკონომი მღვდელ-მონაზონი **გრიგორი**; გურია-სამეგრელოის ეპარქიის შემოქმედის მონასტრის მღვდელ-მონაზონი **მაკარი**; ქართლის ეპარქიის ვარძიის მიძინების მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი **სიმეონი**; დ) **დეკანოზობის ხარისხით**: ქართლის ეპარქიის სოფლის ბერშუეტის ეკკლესიის მღვდელი სიმონ **ლუკიანოვი**; ამავე ეპარქიის, სოფლის ატოცის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი სოლომონ **დიდებულიძე**; ამავე ეპარქიის სოფელ კურდღელაურის ეკკლესიის მღვდელი მიხეილ **ხელაევი**; ე) მკერდის ჯვრით, უწმიდესი სინოდის მიერ ბოძებულით—ქართლის ეპარქიის ქალაქ გორის ღვთის მშობლის ეკკლესიის მღვდელი თომა **ხახანოვი**; გურია სამეგრელოის დიდზაასის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი კონსტანტინე **ბერიძე**; ამავე ეპარქიის ობუდეის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მღვდელი გიორგი **შენგელაია**; ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი **დიმიტრი**; იმერეთის ეპარქიის სოფელ კულაშის ეკკლესიის

მღვდელი მიხეილ კანდელაკი; ამავე ეპარქიის სოფელ ხონის ეკკლესიის მღვდელი ერასტი მაჭარაძე; ქართლის ეპარქიის, სოფლის ერთა-წმიდის ეკკლესიის მღვდელი გიორგი კარკარეთელი; ამავე ეპარქიის სოფელ დვაშითის ეკკლესიის მღვდელი იოსებ შაშნაევი; ქალაქ კარსის ფერის-ცვალების სობოროს დეკანოზი იოანნე საჩხაროვი; ქართლის ეპარქიის სოფელ ცილკანის ღვთის-მშობლის სობოროს მღვდელი ანტონ ხახუტოვი; იმავე ეპარქიის მარტყოფის ხელთ-უქმნელი მაცხოვრის სობოროს მღვდელი ქრისტესია ბუკასოვი; ვ) კამილავკით—თბილისის კუკიის ალექსანდრო-ნეველის ეკკლესიის მღვდელი სერგი გოროდეცკი; ქართლის ეპარქიის სოფელ ბეკამის ეკკლესიის მღვდელი იოანნე ცინცქიევი; იმავე ეპარქიის დაბა ილდოკანის ეკკლესიის მღვდელი იოანე ბარნაბოვი; სოფელ გრენანდერის, კარსის სამფლობელოს მეორე ოკრუგისა იმავე ეპარქიის, მღვდელი ნიკოლოზ კაშაძე; ქალაქ ბაქოს ნიკოლოზის სობოროს მღვდელი პეტრე შოტაძე; ქართლის ეპარქიის სოფელ ოსიაურის ეკკლესიის მღვდელი ილია მგალობელოვ.; ქალაქ თბილისის დიდუბის ღვთის მშობლის ეკკლესიის მღვდელი იროდიონ გურგენიძე; იმერეთის ეპარქიის, რაჭის მაზრის, სოფელ გების ეკკლესიის მღვდელი მიხეილ გაგაშელიშვილი; ამავე ეპარქიის, შორაპნის მაზრის სოფელ კორბოულის ეკკლესიის მღვდელი სპირიდონ აბულაძე; გურია-სამეგრელოს ეპარქიის, რედუტ-კალის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვდელი მაქსიმე სილაგაძე; ამავე ეპარქიის სუდჯუნის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი სიმონ ნოდია; ამავე ეპარქიის ოზურგეთის სობოროს ეკკლესიის მღვდელი მაქსიმე სიხარულიძე; ზ) უწმიდესი სინოდის კურთხევითა გრამატით—იმავე ეპარქიის ზუპის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ბართლომე იოსავა; იმავე ეპარქიის უფლის კარის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ბესარიონ კლდიავა; იმავე ეპარქიის ხობის მონასტრის მღვდელ-მონაზონი დორიმედონტ; ც) უწმიდესი სინოდის კურთხევითა უგრამატოთ—გურია-სამეგრელოს ეპარქიის იოანნე ნათლის-მცემლის უდაბნოს მღვდელ-მონაზონი ფილიმონი; იმავე ეპარქიის შემოქმედის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ანტონ გოლოგრე.

# სია

ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელო ჩსახურთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ სკუფიებით და ნაბედრენიკებით მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ნამყოფის ექსარხოსის მიერ.

ა) სკუფიებით: გორის მაზრის მეცხრე ოლქის ბლაღოჩინი, ორტევის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი იოანნე ძაპანაძე; სიღნაღის მაზრის მეორე ოლქის ბლაღოჩინი, ზემო მაჩხაანის წმ. გიორგის მეორე ეკკლესიის მღვდელი კირილე ღვთისავრიშვილი; ახაშენის წმ. სამების ეკკლესიის მღვდელი ისიდორე ვაჩეიშვილი, სოფ. ურბნისის წმ. სტეფანეს ეკკლესიის მღვდელი სეით ზამრეკელი, საეკკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მეთვალყურე თელავის და თიანეთის მაზრებში, სოფლის კურდღელაურის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ნიკოლოზ ჯაჯანიძე, სოფლის ვაჩნაძიანის მიძინების ეკკლესიის მღვდელი იოანნე ლაშხაური, ნავრუზლოუ კამარლინის სამრევლოს მღვდელი სიმონ ალავერანოვი, სამთავროს მცხეთის წმ. ნინოს დედათა მონასტრის მღვდელი კორნელი ელიზბარიშვილი, სოფ. ქარების მიძინების ეკკლესიის მღვდელი ბესარიონ ოქროპირიძე, ალვანის სამების ეკკლესიის მღვდელი დავით ნაცვლიშვილი, ბლაღოჩინის თანაშემწე, ახალქალაქის საქალაქო ეკკლესიის მღვდელი იოსებ ჩიტაძე, საროს სამრევლოს მღვდელი სოლომონ უსტიაშვილი, სოფ. ბაროლეთის მაცხოვრის ფერისცვალების ეკკლესიის მღვდელი გიორგი ბერიძე, კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის სამტრედიის უბნის მღვდელი მიხეილ ძოლობოვი.

ბ) ნაბედრენნიკებით: თფილისის კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიის მღვდელი ალექსანდრე რაზუმოვსკი, არანისის ხარების ეკკლესიის მღვდელი იოანნე სონღულაშვილი, სოფლის ლუთხუბის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვდელი გრიგორი სინაიძე, სოფლის ქარელის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვდელი ნიკოლოზ ხარატიშვილი, ბოდბის ხევის მაცხოვრის ფერისცვალების ეკკლესიის მღვდელი ილია შანშიაშვილი, სოფ. სალიანის პეტრე-პავლეს ეკკლესიის მღვდელი ესტატე მირიანაშვილი, ახალ-პაიაზეთის მიხეილ მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მღვდელი იოანნე ჩიტაძე, ზაქათალას ოლქის მისსიონერი და

კავკასიაში მართლ-მადიდებლობითის ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოების სკოლების მეთვალყურე, მღვდელი ტარასი Иვანიცკი, მარტყოფის მაცხოვრის ხელთ-უქმნელის ხატის ეკკლესიის საკურებულო ტაძრის მღვდელი ვასილი კოზველოვი, ქ. ყუბის მიძინების ეკკლესიის მღვდელი, ბენედიქტე ბოროდეცკი, ახალ-ნაჯიკეთის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი სოლომონ სიდამონიძე, სოფ. მუქოს წმ. მიძინების ეკკლესიის მღვდელი იაკობ ჯანელიძე.

---

დამტკიცებულ არს უწმიდესის სინოდის განჩინებით, 16—23 იანვრიდამ 1898 წლ. მე-170 ნომრით.

# პროგრამმა

## საეპარქიო და სამაზრო მეთვალყურეების მიერ საეკკლესიო სკოლების მდგომარეობის შესახებ წლიურის ანგარიშისა.

### ა.

მოგზაურობა საეპარქიო მეთვალყურისა საეკკლესიო სკოლების დასათვალიერებლად და სამაზრო განყოფილებათა სარევიზიოდ და საეპარქიო სამოსწავლებლო საბჭოს განკარგულებანი ამ მოგზაურობათა შესახებ ანგარიშების თანახმად. რომელი განძრახვანი საეპარქიო მეთვალყურისა საეკკლესიო სკოლების გაუმჯობესების შესახებ არ იქმნენ მიღებულნი და მოწონებულნი საეპარქიო სასწავლებლო საბჭოს მიერ და რა საფუძვლის ძალით

სამაზრო მეთვალყურეთა კრებანი. ამ კრებებზედ შემუშავებულნი ზომები. სამაზრო მეთვალყურეთაგან სკოლების დათვალიერება. დადგენილებანი და განკარგულებანი სამაზრო განყოფილებათა სამაზრო მეთვალყურეთაგან წარდგენილის სკოლების დათვალიერების შესახებ ანგარიშების თანახმად.

### ბ.

საეკკლესიო სკოლების მასწავლებლები (საღმრთო სჯულის მასწავლებლები, მასწავლებელი კაცები და ქალები, მათი თანაშემწეები). ის პირნი, რომელნიც გულსმოდგინებით ან გულგრილად ეპყრობოდნენ სასკოლო საქმეს. ზომები მასწავლებელთა პედაგოგიურის მომზადების ასამაღლებლად. კურსები. მაცადინობა კურსებზედ. რამდენად ემჩნევა კურსების გავლენა სასკოლო საქმის წარმატებას ეპარქიაში.

### გ.

სასკოლო-კურსის საგნების სწავლებაში წარმატება მეორე-კლასიანს, ორს კლასიანს, ერთ-კლასიანს და წერა-კითხვის სკოლებში*). სია გაკვეთილებისა. საკლასო ჟურნალები შთასაწერად მოწაფეების კლასში სიარულისა და გაკვეთილთა შინაარსისა. წლიური გამოცდა სკოლებში. გამომცდელი კომისიები.

### დ.

სასოფლო-სამეურნეო, სახელოსნო და სახელსაქმო მაცადინობანი საეკკლესიო სკოლებში. რა აზრის არიან მცხოვრებნი მათ შესახებ.

### ე.

აღზრდითი ნაწილი საეკკლესიო სკოლისა. დილის და საღამოს ლოცვების შესრულების წეს-რიგი. მოწაფეთა სიარული წირვა ლოცვაზედ. მათი მონაწილეობა საეკკლესიო ღვთის-მსახურების შესრულებაში. აღსარების და წმ. ზიარების ქრისტიანობრივის ვალის შესრულება. სასკოლო წვრთნილება და ზომები იმის შესახებ. ცხოვრება საზოგადო საცხოვრებელს ბინაზედ. საეკკლესიო სკოლის გავლენა მოწაფეებზედ. ფაქტები.

### ვ.

სარწმუნოება-ზნეობურის კითხვების გამართვა სკოლებში; კითხვის პროგრამები; ჩვეულებრივ მსმენელთა რიცხვი.

---

*) შ ე ნ ი შ ვ ნ ა. განსაკუთრებული ყურადღება ანგარიშის შედგენის დროს მეთვალყურეებმა უნდა მიაქციონ მეორე კლასიანს სკოლებს და აგრეთვე საეკკლესიო გალობის მდგომარეობას საეკკლესიო სკოლებში.

ზ.

რომელნი საზოგადოებანი არსებობენ მაზრაში (ეპარქიაში) სახალხო განათლების გასავრცელებლად, როგორც სასულიერო, ისე სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში**).

ნამდვილის თანხმაა: სტატისტიურის ნაწილის გამგის მაგიერი პ. **იგნატოვიჩი.**

ნამდვილს შეამოწმა: საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებელმა პ. **ლუპპოვმა.**

---

## იმერეთის გაბრიელის ეპარქიალური საქალო სასწავლებლის საბჭოსგან.

იმერეთის გაბრიელის ეპარქიალურ საქალო სასწავლებელში მოსწავლეთა გადაყვანა ერთი კლასიდგან მეორეში ხდება ორ წელიწადში ერთხელ, რადგან ორი წლის კურსი აქ მოთავსებულია თითო კლასში. ამ წელში მოსწავლეები გადაყვანილი იქმნებიან შემდეგ კლასებში, და მოსამზადებელი კლასის პირველ კურსში მისაღები ბავშვებისთვის ორმოცამდე ადგილი დაიცლება, რამდენიმე თავისუფალი ადგილი იქნება აგრეთვე სასწავლებლის სხვა კლასებშიც. წელს ამ ნორჩს, ჯერ კიდევ დაუმთავრებელ სასწავლებელს, ემატება უკანასკნელი მესამე კლასი (პირველი კურსი). სასწავლებელში მიიღება განსაკუთრებით იმერეთის ეპარხიის მართლ-მადიდებელი სამღვდელოების ქალიშვილები, რომელნიც, როგორც სასწავლებლის დამფუძნებელთა შვილები, სწავლის ფულს არ იხდიან. შეიძლება მიღებულ იქმნეს თავისუფალ ადგილებზე სხვა წოდებათა და გარეშე ეპარხიების მართლ-მადიდებელი სამღვდელოების ქალიშვილებიც, რომელთაც უნდა შემოიტანონ სწავლის უფლებისათვის 30 მან. წელიწადში; ხოლო საერო წოდების ქალიშვილების რაოდენობა არ შეიძლება აღემატოს მოსწავლეთა მთელი რიცხვის 10%. როგორც მოსამზადებელ კლასში, აგრეთვე სასწავლებლის სხვა კლასებშიც ქალიშვილები მიიღებიან ეგზამენით. თხოვნა ქალიშვილების მიღების შესახებ იწერება უბრალო ქაღალდზედ და შემოიტანება სასწავლებლის საბჭოს სახელზედ. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილ იქმნეს; 1] მეტრიკული მოწმობანი, მეტრიკის ამოწერილობა ოთხაბაზიანი მარკითურთ, და 2) ყვავილის აცრის მოწმობა. თხოვნები მიიღება მხოლოდ ამ წლის აგვისტოს 25-მდე. მოსამზადებელ კლასში მიიღებიან ქალიშვილები წლოვანებით არა უნცროს 8 წლისა და არა უმფროს 11, პირველ კლასში არა უნცროს 10-სა და არა უმფროს 13. მისაღები და განმეორებითი ეგზამენები დაიწყება ამ წლის 26 აგვისტოდგან და გათავდება ენკენისთვის პირველამდე. მოსამზადებელი კლასის პირველ კურსში მისაღებმა ბავშებმა უნდა იცოდენ შემდეგი ლოცვები რუსულად და ქართულად: «სახელითა მამისათა» (Во имя Отца).. „უფალო შეგვიწყალე“ (Господи, помилуй). «უფალო გვაკურთხენ» (Господи, благослови).. «უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო» (Господи, Іисусе Христе, Сыне Божій)... «დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო» (Слава Тебѣ, Боже нашъ).. «მეუფეო ზეცათაო» (Царю небесный)... „წმიდაო ღმერთო“ (Святый Боже)... «დიდება მამასა» (Слава Отцу)... «ყოვლადწმიდაო სამებაო» (Пресвятая Троице)... «მამაო ჩვენო» (Отче нашъ)... „ღვთის მშობელო ქალწულო“ (Богородице Дѣво)... «აცხონე უფალო» (Спаси, Господи)...

2) კითხვა და წერა რუსულად და ქართულად; ამასთანავე უნდა შეეძლოთ საყმაწვილო მოკლე მოთხრობების შინაარსის გადმოცემა წაკითხვის შემდეგ.

3) ყოველ გვარი თვლა და ანგარიში ათამდე

---

**) შ ე ნ ი შ ვ ნ ა. აქ უნდა აღნიშნულ იქმნენ სახალხო განათლების საზოგადოებანი, კომისიები და კომიტეტები სახალხო კითხვის გასამართავად, მოსწავლეთა შემწე საზოგადოებანი; მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოებანი და სხვ...

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

**№ 10** **1883—1898** 30 მაისი.

გაზეთის ფასი:

| „მწყემსი“ | | „მწყემსი“ რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 3 მან. | 12 თთვით . . . | 5 მან. |
| 6 — . . . | 2 — | 6 — . . . | 3 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Кутаисъ, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თთვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


## არ იქნა და არა ამ ჩვენი ხალხის დამღუპველი ჩვეულების მოსპობა.

ამ ხუთი წლის წინად ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ჩვენი ხალხის ერთ უბედურ ჩვეულებას, რომელსაც ძლიერ მტკიცედ აქვს ფესვი მოკიდებული მთელს ქუთაისის გუბერნიაში. ეს ხალხის დამღუპველი ჩვეულება არის **მიცვალებულის დამარხვის და გამოტირილის** წესები. ამ წესთა აღსრულებას ჩვენი ხალხი **სულის საქმეს** უწოდებს, მაგრამ ნამდვილად რომ ვსთქვათ, ხსენებულ წესთა შესრულების დროს მიცვალებულთა სულის საქმეს არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული. ყოველ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა შორის მიღებულია მიცვალებულთა დამარხვა დღიდგან გარდაცვალებისა მესამე დღეს. გარდაცვალების დღიდგან მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად ასრულებენ, შეძლებისადაგვარად, წირვა-ლოცვას და პანაშვიდებს, ერთი სიტყვით ქრისტიანთა მთელი ყურადღება მიქცეულია, რომ ისინი ღირსეულად ემსახურნენ თავიანთ გარდაცვალებულთა სულს. ვისაც შეძლება ნებას აძლევს, ის ყოველთვის ცდილობს, რომ ყოველი ხარჯი, რაც კი ხდება მიცვალებულის დამარხვის დროს, მოხმარდეს რაიმე ქველის საქმეს. ჩვენში კი,

თითქმის, მთელს ქუთაისის გუბერნიაში, ჩვენი ხალხი ეკკლესიური წესების შესაფერად ასრულებას არ დაგიდევს. ზოგნი თავიანთ გარდაცვალებულთ სახლში აჩერებენ დაუმარხავად ორ კვირაობით, რომ ხალხის შესახედავად კარგად მოემზადონ და დიდის ამბით გამოიტირონ მიცვალებული ადგილობრივი ჩვეულებისაებრ. მიუცილებლად თხოულობენ, რომ მღვდელი ამ ორი კვირის განმავლობაში მიცვალებულს თავზე ადგეს; წირვა-ლოცვის შესრულებას და პანაშვიდების გადახდას მიცვალებულის სულის მოსახსენებლად მაგდენად არაფრად ეძებენ. ამ გამოტირილთა სავსებით აღსრულებისათვის არავითარ ხარჯს არ ერიდებიან. თუ არა აქვსთ შეძლება, მზად არიან დიდის სარგებლით ფულები ისესხონ და ბლომად პურ-ღვინო იყიდონ. მზად არიან გარდაცვალებულის მთელი ქონება მის დამარხვას დაახარჯონ, ნიშნად ღრმა გლოვისა შავები ჩაიცვან და გარდაცვალებულის ცხენიც კი შავებით შემოსონ. მაგრამ ამავე დროს ეკკლესიიდან გამოტანილ სანთლის საფასს სამ-ოთხ მანეთს ვალად იწერენ და დიდხანს არ იხდიან. ხოლო მღვდელს, რომელსაც ორი კვირის განმავლობაში მიცვალებულის თავზე დგომას ავალებენ, ხშირად დიდ ხნობამდე არ აკმაყოფილებენ.

სწორეთ ძნელად აწერს კაცი ყველა იმ ფარისევლურ და მოჩვენებითი ტირილს, რომელიც ხდება გარდაცვალებულთა **გამოტირილებზე**. ერთი მართლა ჭეშმარიტად სტირის გარდაცვალებულის დაკარგვას, მაგრამ სტირიან ისეთებიც, რომელთაც სრულებით არ ეტირებათ, მაგრამ ჩვეულებისაებრ ცდილობენ საზოგადოებას თავი აჩვენონ, რომ ვითომ მათთაც ძლიერ ემწუხრებათ მიცვალებულის დაკარგვა.

განსვენებულმა ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა უკანასკნელს დროს ყურადღება მიაქცია ჩვენს გამოცემაში ნაბეჭდ სტატიებს ამ ხალხის დამღუპველ ჩვეულებათა მოსპობის შესახებ და მოახდინა შემდეგი განკარგულება:

მიეწეროს დეკანოზ დავით ღამბაშიძეს, რომელმაც აღძრა წინეთაც არა ერთხელ აღძრული კითხვა გაუქმებისათვის ან მოსპობისათვის შესაფერისი ღონის ძიებით და საშუალებით სამცარი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, შეუსაბამო, მასხრული, როგორც ნივთიერათ საზარალო და მავნებელი ისე სნეობითად ხალხისთვის მავნებელი გარდაცვალებულთა გამოტირილი. დამზადებულ იქმნეს და წარმოდგენილ ჩემთან განსახილველად და შემდეგ დაბეჭდილ იქმნეს ცხარე შესაფერისი მოწოდება ყველა უწყების პირთადმი იმერეთში და გურია-სამეგრელოში, რომლითაც უნდა დაუმტკიცონ ხალხს, რომ დასტოვონ მათ ეს სასაცილო, რაღაც მასხრული და სამწუხარო ჩვეულება. დაიბეჭდოს მრავალი ეს მოწოდება და დაურიგდეს ყველას, ვინც კითხვა იცის, დიდსა და პატარას, განსაკუთრებით კანცელარიამ დაამზადოს ცირკულიარული მიწერილობა სასულიერო წოდებისადმი, რომ იგინი გამოტირილზე 3 დღის შემდეგ აღარ დაესწრონ და არ დაადგნენ თავზე მიცვალებულს ოლარით და საცეცხლურით, და ყოველ ღონისძიებით უნდა შთააგონონ მათ, რომ დასტოვონ ეს მავნე და საზარალო ჩვეულება განსვენებულთა გამოტირილისა სპა-მაღლათ და მოთქმით, არამედ გაასვენებდნენ გარდაცვალებულთა იმ რიგათ და იმ წესით, როგორც ამას ასრულებენ ყველა განათლებულნი მართლ-მადიდებელნი, ვინც არ აღასრულებს ამ მოწერილობას, ის დაიმტრაფება. ეს მიწერილობანი უნდა წაუკითხონ ხალხს რამდენჯერმე კვირა-უქმე დღეებში. დამზადებულ იქმნეს განსაკუთრებითი მიწერილობანი გუბერნიის წინამძღოლისადმი, რომ იმანაც მიიღოს საშუალება და დაეხმაროს ამ კეთილი განზრახვის სისრულეში მოყვანას.

სამწუხაროდ, განსვენებული მღვდელ-მთავრის ასეთი განკარგულება სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო სისრულეში არ მოსულა. მაგრამ ხსენებული განკარგულების სისრულეში მოყვანა, ჩვენის აზრით, ღღე-

საც აუცილებლად საჭიროა და შესაძლებელი. როგორ ან რა გზით შეიძლება ამ განკარგულების სისრულეში მოყვანა, ამაზე შემდეგში მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

**მადლობის მოხსენება.** არის ისეთი გრძნობაც, რომელიც არც კალმით გამოიხატება და ვერცა ენით გამოითქმის. სწორეთ ამ გრძნობით ავსილი, ვუძღვნი მე უგულითადესს მადლობას ყველა მათ, ვინც ავადმყოფობის დროს მე თანაგრძნობას მიცხადებდნენ; მით უფრო, რომ მათმა თანაგრძნობამ ჩემ მცირეოდენ ღვაწლს, რომელიც სახსენებელი არც კია' გადააჭარბა და ვსწუხვართ მხოლოდ მას, რომ ბევრი აღარც ღონე და აღარც ხანი დამრჩენია, რომ აწინდელი ერთგულებითა და სამსახურით გადავიხადო ვალი და მით ოდნათ მაინც გავამართლო ჩემი თანამგრძნობლების იმედი.—აგრეთვე არ შემიძლია, რომ სიკვდილამდე დავივიწყო ის მოვლა და პატრონობა, რომელიც ბატ. თოფურიას საავადმყოფოში გამიწიეს.

აკაკი

***

28 მაისს ქუთაისში მობრძანდა ბ. ვასილ ივანეს ძე შემიაკინი უმთავრესი მეთვალყურე საეკკლესიო და სამრევლო სკოლებისა. როგორც შევიტყვეთ, ბ. შემიაკინს სურს, რომ ქართულ ენაზე საეკკლესიო საგნების შესწავლას შესაფერი ადგილი ეჭიროს სამრევლო სკოლებში.

ბ. შემიაკინი ბრძანდებოდა ჩვენში 1890 წელს და თითქმის მათი წყალობითაა, რომ დღეს სიერობო შემოსავლისაგან თორმეტი ათასი მანეთი ეძლევა სასულიერო მთავრობას საეკკლესიო-სამრევლო სკოლების სასარგებლოდ. იმედია, რომ ახლანდელი მათი საქართველოში მობრძანებაც სამრევლო სკოლებისათვის სასარგებლოდ დარჩება.

## ქ. ყაზანი, და სასულიერო კონცერტის გამო.

(წერილი ყაზანიდამ)

გაგრძელება *

მაგრამ ყოველი ტრადიციული შეხედულობა მხოლოდ მანამდის არ ჰკარგავს ძალას, სანამ მას რაიმე ნიადაგი მაინცა აქვს საზოგადოებრივს ცხოვრებაში, განსაკუთრებით იმ პირის, იმ წოდების მდგომარეობაში, რომელსაც ეს შეხედულებანი შერჩენია. და ალბათ ჩვენი სამღვდელოებისა და თავად-აზნაურობის თანამედროვე ურთიერთობასა და ცხოვრებაშიაც უნდა არსებობდეს იმისთანა რამ, რომელიც ასაზრდოებს აღნიშნულს განწყობილება-შეხედულებას ჩვენი სამღვდელოებისას თავად-აზნაურობაზე, ალბათ დღესაც შერჩენიათ ამ უკანასკნელთ იგეთი რამ, რომელიც იზიდავს ჩვენი სამღვდელოების გულს და გონებას, მის ნატვრის საგანს შეადგენს... მართლაც, ნუ თუ ჩვენს სამღვდელოებას თავად-აზნაურობაში მხოლოთ ის განყენებული ტიტული იზიდავს, რომელსაც „კეთილ-შობილებას“ ეძახიან? არა გვგონია. ან, იქნება, მას (სახელდობრ, სასულიერო ახალგაზრდობას) „ტარიელ მკლავაძეების“ მხარ-ბეჭი ან „საქმენი საგმირონი“ იზიდავდეს? მის დღეშიაც არა. მაშ, შეიძლება, თავად-აზნაურობაში ამისთანა მიმზიდველი რამ მისი ქონება იყოს, მატერიალური კეთილ-დღეობა? მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამ მხრით ჩვენი თავად-აზნაურობა დღეს სახარბიელოს ველარას წარმოადგენს! მაშ რაღაა თავად-აზნაურობაში ისეთიო, იკითხავთ თქვენ, რაც იზიდავს ჩვენი სამღვდელოების გულს და ყურადღებას, რითაც საზრდოობს ძველთაგან დარჩენილი ტრადიციებიო? არსებობს ლა რამე კიდევ ამისი მზგავსი? დიაღ, არსებობს, და აი, რაში მდგომარეობს იგი.

რამდენათაც ნებას გვაძლევს ჩვენი არა დიდიხნის ცოდნა-გამოცდილება და როგორც ეს ჩვენ არა ერთი და ორი სამღვდელო პირისგან გაგვიგონია, ჩვენს სამღვდელოებას, სამღვდელო ოჯახებს თავად-აზნაურობისაკენ იზიდავს არა მხოლოთ ამ უკანასკნელის ქონება, არც მისნი აწინდელი „საქმენი საგმირონი“, არც მისი განყენებული ტიტული «კე-

---

იხ. „მწყემსი“ № 9, 1898 წ.

თილ-შობილებისა», არამედ ის ზრდილობიანი ქცევა, ის თავაზიანი და მჭევრ-მეტყველი სიტყვა-პასუხი, ის თამამი და გაბედული თავის დაჭერა საზოგადოებაში, საზოგადოებაში გამოსულობა, რომელიც ისე უხვათ გადმოუციათ ჩვენი დღევანდელ „კეთილ-შობილთათვის“ მათ ძველებს, ჩვენს წინაპრებს, და რომელშიაც დიდს ნაკლულოვანებას ჰგრძნობს ჩვენი თანამედროვე სამღვდელოება, რომელიც მომეტებულათ გლეხობიდანაა გამოსული. დიახ, ზრდილობა და საზოგადოებაში გამოსულობა, — აი ის ანდამანტი, რომელიც ისე ძლიერათ იზიდავს „კეთილ-შობილთაკენ“ ჩვენს სასულიერო ოჯახებს, აი სადაა დამარხული ის საიდუმლო ქვა-კუთხედი, რომელზედაცაა უმეტესად დამყარებული ჩვენი თანამედროვე სამღვდელოების დამოკიდებულება თავად-აზნაურობასთან! შეიძლება, ეს ზრდილობა-თავაზიანობა, ძველათ გულ-წრფელი, დღეს მარტო ფუყე მოვლენას, უშინაარსო ჩვეულებას წარმოადგენდეს, მაგრამ ამითი იგი მაინც არ ჰკარგავს მნიშვნელობას, მიმზიდველს ძალას. და რამდენათაც სამღვდელო ოჯახის მწევრი მეტს სისუსტეს და მოუმზადებლობას ჰგრძნობს საზოგადოებაში გამოსვლის დროს, იმდენათ იგი უფრო უკმაყოფილოა თავის თავისა, და მით უფრო გაცხარებით მიიწევს მისი გული თავად-აზნაურობისაკენ. ამ რიგათ, ჩვენ თან-და-თან მივდივართ იმ დასკვნაზე, რომ, ერთის მხრით, ჩვენი სამღვდელო ოჯახების მოუმზადებლობა საზოგადოებაში გამოსვლის მხრივ, და ამ გვარი სრული და თავისუფალი მომზადებულობა თავად-აზნაურობისა, მეორე მხრით, — აი რა ასაზრდოებს პირველის მიდრეკილებას მეორესადმი, პირველის მეორესკენ მისწრაფებას.

მაგრამ, იქნება, ჩვენს სამღვდელოებას ამ მხრით მოვაჭრეთა მდგომარეობა და მაგალითი დახმარებოდა? სამწუხაროთ, ჩვენი თანამედროვე „ბურჟუაზია“ ჯერ-ჯერობით იგეთს ვერაფერს წარმოადგენს, რომ გონებრივ-ზნეობრივის მხრით ვისთვისმე შესაშურებელი და წასაბაძი იქნეს, განსაკუთრებით ჩვენს სამღვდელოებას იგი ზნეობრივ-მაგალითობას ვერ გაუწევს, მით უმეტეს, რომ თვით ეს «ბურჟუაზიაც» ჩვენში თავის საყოფა-ქცევო იდეალს იმავე „კეთილ შობილთა“ ზნე-ჩვეულებაში და ქცევა-ყოფაში ჰხედავს, მისგან სესხულობს... და აი სწორეთ ამითი აიხსნება, რომ გლეხობას მოწყვეტილი, ჩვენი სამღვდელოება დღეს ველარც ვაჭარს დაახლოვებია, და თავის წასაბაძავ არსებათ ისევ ის უწინდელი «ფეოდალი» დაუსახავს, რომელიც დღე-დღეზე სულს ლაფავს ჩვენში (ვით „ფეოდალი“). რასაკვირველია, ჩვენი სასულიერო ოჯახები რომ «კეთილ-შობილთაგან» მარტო კეთილ-შობილურს სიტყვა-პასუხს და ზნე-ჩვეულებათ ითვისებდეს, ამის წინააღმდეგი ვის რა ეთქმის, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ „ტკბილ-მოუბარ ენასთან“ ერთათ ჩვენ ოჯახებში თავად-აზნაურთა უკეთური ზნეებიც იკიდებს ფეხს, როგორც, მაგალითათ, გულზვიადობა და დაბალი წოდების უკადრისობა, რისი მოწამეც სამღვდელო ოჯახებში არა ერთხელ და ორ ხელ გამხდარა ამ სტრიქონების დამწერი. თქმულება: „Скажи мнѣ, съ кѣмъ ты знакомъ, и я скажу тебѣ, какой ты человѣкъ» (მითხარი, ვისთან გაქვს ნაცნობობა და გეტყვი, რა კაციც ბრძანდებით), — ეს თქმულება დღეს ჩვენი სამღვდელოების მომეტებულს ნაწილს თავად-აზნაურობასთან ერთათ თავის მცნებათ გაუხდია და სცდილობს ამ უკანასკნელს კიდევაც გადააჭარბოს გლეხის (და განა გლეხის?) უკადრისობასა და სიძულვილში... დიახ, ასეა თუ ისე, ამ მხრით ჩვენი სამღვდელოება დღეს შემცდარ გზას ადგია და ამის ძირითადი მიზეზი კი, სხვათა შორის, მისი უცოდინარობაა საზოგადოებისა, საზოგადოებაში გამოუსვლელობაა. მართლაც, ნურას ვიტყვით სოფლის სამღვდელოებაზე; ქალაქის სამღვდელოება ავილოთ. აბა თუ გვიჩვენებთ გინდ ორ-სამს სასულიერო წოდების ოჯახობას, რომელთაც რამე საზოგადო საქმე, საზოგადო ინტერესი აერთებდეს, აახლოვებდეს? აბა თუ მიგვითითებთ სამღვდელო წოდების რომელიმე ახალ-გაზდა დედაზე ან დაზე, რომელნიც მათ შვილებთან და ძმებთან სასულიერო სასწავლებლებში მოზარდ ღარიბ და უსაშველო ახალ-გაზდობაზე ჰფიქრობდენ, მათი მატერიალური შეუძლებლობის მძიმე ტვირთის შემსუბუქებას სცდილობდენ, ამისთვის რაიმე საქველ-მოქმედო საღამოებს ან ხელის მოწერას მართავდენ, — აბა თუ დაგვისახელებთ იმისთანა მღვდელს, შვილის მამას*), რომელიც, რაკი საკუთარი შვილები სადმე სასწავლებელში მოუთავ-

*) აქ ჩვენ იმ ორ და სამ ბრწყინვალე სასულიერო პირზე არ მოგახსენებთ, რომელთ მზგავსი საქართველოს ჰყოლებია და რომელნიც, ჩვენდა სასახელოთ, დღესაც ჰყავს მას. ჩვენ სახეში გვაქ საზოგადო ტიპი ჩვენი თანამედროვე სამღვდელოებისა.

სებია, მერე სხვის გაჭირვებულ მდგომარეობაზე ცოტაც არის სწუხდეს, რაიმე სალხრის გამოძებნას სცდილობდეს! (ვიცით, აქ ბევრი, ეგრეთ წოდებულ საეპარქიო დეპუტატთა კრებებზე მიგვითითებს; მაგრამ ვინ არ იცის, თუ რაში მდგომარეობს და რითიც თავდება ხოლმე ეს კრებები: უმეტესად ორი ან სამი დეპუტატი თუ ამოიღებს ხმას, თორემ დანარჩენნი ისე ზიან კრებაზე, თითქო საქმე მათ არც კი შეეხებოდეს; ამ ორ უკანასკნელ წელს კი ჩვენი (განსაკუთრებით იმერეთის) სამღვდელოება თითქმის მარტო წმიდა სანთლის ქარხანაზე და ვაჭრობაზე ფიქრს და კამათს გადაჰყვა, თითქო ამას იქით ხსნა აღარსაით იყოს სასულიერო წოდებისათვის)... რაც შეეხება სასულიერო წოდების ქალთა, თქვენ შეგიძლიათ გვიბრძანოთ, რომ იგინი ჯერ ამისთანა საქმეებისთვის მომზადებულნი არ არიანო. დიახ, და ჩვენც სწორეთ ეს გვინდოდა გამოგვერკვია! სწორეთ, ჩვენი სასულიერო წოდების ოჯახობა საზოგადო საქმისთვის მომზადებული არ არის! და მერე რა არის ამისი ძირითადი მიზეზი?

ნუ თუ სასწავლებელში გამოუზდელობა! მაგრამ, თუ ეს შეგვიძლია ვთქვათ სოფლის სამღვდელო ოჯახებზე, ქალაქის სამღვდელოებაზე ხომ ველარ ვიტყვით ამასვე?.. ქალაქელ სამღვდელოების ოჯახში დღეს ხომ ორ წევრსაც ვერ ნახავთ, რომ გიმნაზიაში ან საეპარქიო საქალებო სასწავლებელში არ ესწავლოს, ან არ სწავლობდეს! და თუ ასეა, მაშ რაღას ნიშნავს სალათას ძილი, ეს მუდამი დუმილი, ხმის ამოუღებლობა, ხელის გაუნძრევლობა? იქნება, სათქმელი არაფერია, შეიძლება—გასაკეთებელი არა გვაქვს რა?! მაგრამ ვინ იტყვის, რომ ჩვენ სამღვდელოებას, საქართველოს სამღვდელოებას გასაკეთებელი არა ჰქონდეს რა, ვინ იტყვის, რომ, თუნდ, მისი შვილების მდგომარეობა სასწავლებლებში იმდენათ უზრუნველ ყოფილი იყოს, რომ ამისთვის ხელის განძრევაც აღარ ღირდეს! მოიგონეთ, თუნდ ნეტარ ხსენებული გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზე დასაარსებელი ფონდის საქმე: რას ნიშნავს ამ საქმის ამდენი ხნის ასე მიყრუება? ნუ თუ ეს საზოგადო ინტერესს მოკლებული საქმეა? არა, ბატონებო, «სიმკალი» ჯერ არ შემოგვლევია, და თუ როდისმე საჭირო იყვენ ჩვენთვის „მუშაკნი", მით უმეტეს საჭირონი არიან იგინი დღეს, როდესაც სწავლის წყურვილი ასე ძლიერია სასულიერო წოდების ახალგაზდობაში! მაგრამ სად არიან ეს მუშაკნი და თუ სადმე არიან, ხმას რათ არ იღებენ? მუშაკნი კი გვყვანან, მაგრამ ხმას არ იღებენ—ან უკეთ: ვერ იღებენ—რადგან მომზადება აკლიათ, საზოგადოებაში გამოსვლის რცხვენიათ, ცრუ საძრახისს ერიდებიან. და მართლაც, განა გასაკვირალია, თუ დღევანდელ სასულიერო წოდების ქალს ჩვენში საზოგადო საქმისთვის თამამათ ხმა ვერ ამოუღია! ამის მიზეზი ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ: ეს გახლავსთ ის ყოვლად გასაკიცხი ოჯახური „კარჩაკეტილობა", რომელიც ჩვენს სასულიერო წოდებას ნეტარ-ხსენებული ძველი დროიდან შერჩენია და რომლითაც, ჩვენდა სასირცხვოთ, არა ერთს და ორს სამღვდელო ოჯახს დღესაც მოსწონს თავი. შინ იჯექ: ქსოვე, ქარგე, ან მატყლი ართი, კარში ვაგლახათ ნურავის დაენახვები, გარეთ ნუ გამოხვალ, და თუ მაინც-და-მაინც აღარ მოგიშლია და საზოგადოებაში გამოსულხარ, ეცადე ხმა არ ამოიღო, სუფრაზე იჯექ გულ-ხელ დაკრეფილი, ერთი სიტყვით, ყოველთვის და ყოველგან გახსოვდეს, რომ ქალი მორცხვი უნდა იყოსო»,—აი, მოკლეთ, ის «ჭკუის სასწავლი» მარგალიტები, რომელნიც მუდამ დღე ესმის მშობელთაგან ჩვენი დროის სასულიერო წოდების ახალ-გაზდას, ქალი იქნება იგი, თუ ვაჟი... კი, ბატონო, მორცხვობა კარგი თვისებაა, ვინ იტყვის, რომ იგი ცუდი საქონელიაო? ურცხვი ოჯახობისაგან ღმერთმა დაგვიფაროს! მაგრამ სამწუხარო აქ ისაა, რომ მორცხვობა ჩვენი დროის სამღვდელოების უმეტესობას იმ აზრით ესმის, რომ ქალი საზოგადოებაში პირ-დაწკლუმული, ხმა-გაკმენდილი უნდა იჯდესო. ამისთანა ცრუ აზრზე დამდგარ დედ-მამებს ჩვენ შეგვიძლია მხოლოთ იმ წმიდა დედების მაგალითზე მიუთითოთ, რომელთაც ქალის მოვალეობა და მორცხობა უფრო ფართოთ ესმოდათ, რომელთაგან ერთი—ჩვენი წმ. ნინო იყო ქართველთ განმანათლებელი.

დროებით ჩრდილოელი ს. გ.

## ალექსანდრე სოლომონის ძის რონაშვილის დასაფლავება

15 მაისს მიაბარეს მიწას გვამი პატივცემულის ქართველის ალექსანდრე სოლომონის ძის რონაშვილისა. განსვენებულმა რაც ღვაწლი დასდო და რითიც განამშვენიერა თავისი ცხოვრება ამ ქვეყნად, ეგ ყველამ უწყის. დილის ცხრა საათიდგან დიდ-ძალმა ქართველმა საზოგადოებამ მოიყარა თავი ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლთან, სადაც ესვენა გვამი განსვენებულისა. უმრავლესობა ქართველი ინტელიგენცია იყო, ქალნი და კაცნი, წარმომადგენელნი თავად აზნაურისა, მწერლობისა და მრავალნი სხვანი. აქედგან სწორედ ათს საათზე მიცვალებულის გვამი გაასვენეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც მიცვალებულის წირვა გარდაიხადა ქართულად ეპისკოპოსმა ლეონიდმა არხიმანდრიტის კირიონისა და ქალაქის სხვა სამღვდელოების თანამწირველობით. წირვის დროს ჰგალობდა ორი ხორო ქართულად—ხორო ნ. ბერიშვილისა და ი. მონადირაშვილისა. აქვე შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა მ. ტყემალაძემ:

«ნეტარ იყვნენ მოწყალენი,
რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

«მგონი, ბევრს თქვენგანს მიუცია თავის თავისათვის კითხვა: კაცის შემამკობელ ღირსებათა შორის რომელს უკავია პირველი ადგილი. როგორც გამოცდილება, ცხოვრება, ისე საღმრთო წერილი გვიმტკიცებს, რომ ყველა სათნოებათა შორის უპირატესობა უნდა მიეცეს მოწყალებას, კეთილ მოწყალებას, გულ-მტკივნეულობას. თვით საღმრთო წერილში აღნიშნული მაცხოვრის სიტყვები:

„მოვედ კურთხეულნო მამისა ჩემისანო ჲ დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისა, რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და მასვით მე, შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე; ცოდვილთა ეტყვის: წარვედით ჩემგან წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკთათვის და ანგელოსთა მისთათვის, რამეთუ მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და არა მასვით მე, შიშველ ვიყავ და არა შემმოსეთ მე." როგორც სჩანს ამ სიტყვებიდგან, ყველა სათნოებათა შორის პირველი ადგილი მოწყალებას უჭირავს. იმ დროს, როდესაც კაცს უკანასკნელად ეძლევა დაჯილდოვება ან დასჯა საუკუნოდ, ამ დროს მაცხოვარი აქცევს ყურადღებას, აფასებს მხოლოდ მოწყალებას.

«განსვენებულ ალექსანდრეს, თუმცა განათლება არ მიუღია, მაგრამ ბუნებით იმდენად იყო დაჯილდოვებული, რომ კარგად იცოდა: «რასაც გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია.» ვის არ გაუგონია, ვინ არ იცის ჩვენთაგანმა, თუ რამოდენა ახალგაზდა ობოლს მისცა შემწეობა, საზრდო; რამდენ ნათესავისთვის გაჭირვების დროს გაუმართნია მას ხელი. უნდა ვსთქვათ, რომ მოწყალებას მაშინ აქვს ფასი, როდესაც იგი მხიარულად დაუზარებლად ეძლევა კაცს. „კაცად კაცადსა, ვითარცა გამოურჩევიეს გულითა, ნუ მწუხარებით, ნუცა უნებლებით, რამეთუ მხიარულებით მისაცემელი უყვარს უფალს:" (ბ. კორ. 9 7) ამბობს პავლე მოციქული. განსვენებული დაუზარებელი იყო, მზად იყო ყველასათვის შეძლებისადა გვარად შემწეობა აღმოეჩინა. იგივე მოციქული გვირჩევს: თუ გინდათ დაუზარლად შეეწიოთ ხოლმე ყველა გაჭირვებულს, თავის ნაშრომიდგან ერთი ნაწილი ამ აზრით გადასდევით ხოლმეო და ყოველთვის მზათ იქნებითო. ,, ყოველი მოწყალეობა, შემწეობა უნდა იყოს წინასწარ. განმზადებულ ვითარცა ევლოგია და არა ვითარცა ანგარება. მაშინ თქვენ შეგიძლიათ მოიღოთ წყალობა მხიარულებით." განსვენებულმაც იცოდა გაჭირვებისათვის ცოტაოდენი წვლილი თავის ნაშრომიდგან გადაედვა ხოლმე და კიდევაც ბლომად დასტოვა სიკვდილის დროს, დასტოვა საზოგადო, საქვეყნო საქმისათვის. განუსვენოს უფალმა იმისს სულსა"!!.

შემდეგ მიცვალებულის გვამი გაასვენეს დიდუბეში ხელით და აქ დაჰკრძალეს. თითქმის ყველა მისნი პატივისმცემელნი გაჰყვნენ განსვენებულის გვამს სასაფლაომდე. აქ, ვიდრე კუბოს სამარეში ჩაუშვებდნენ, სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა ი. რატიშვილმა შემდეგი მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა:

«მშვიდობით, ძმაო ალექსანდრე! მშვიდობით, პატიოსანო, მშვიდო, გულ-კეთილო მამულიშვილო! შენ წარხვედ ამიერიდგან, მაგრამ შენი კეთილი ნაღვაწევი, შენი სამაგალითო ნაანდერძევი ჩვენ დაგვშთა, და შენი სახელი ყოველთვის იქნება ჩვენში კეთილად ხსენებული, ხსენებული იქმნება და მადლობით· დღეს სირცხვილეული დარჩა შენგან

მრავალი, ვინც შენზედ მდიდარი ყოფილა, შენზედ უხვად ჰქონიათ მინიჭებული გონებითი ძალა, სწავლა-ცოდნა, ნივთიერი ქონება, მაგრამ შენზედ ნაკლები გამოულია ქვეყნისათვის. შენ შედარებით ცოტა მიიღე ბუნებისაგან, ცოტა მიიღე საზოგადოებისაგან, მაგრამ სამაგიეროდ, მრავალი მოეც შენს ერს. დღეს იგი ერი მგლოვარებს და აცილებს შენს უსულო გვამს სამარედ ლოცვითა და კურთხევითა. შენ არ გიკაფავდა ცხოვრების გზას არც ბრწყინვალე დიდგვაროვანობა, არც მაღალ-ხმოვანი მოწმობა დიდის სწავლა-განათლებისა, არც ის თვალთ-მაქცობა, რომლის წყალობითაც ბევრი მოხდენილი და ცქვიტი, ახალ-გაზრდა ვაჟბატონი მარდად ახტება ხოლმე საზოგადოებრივს უმაღლესს საფეხურზედ და იქიდგან გადმოგვცქერის თავ-მოწონებით. არა, შენ იყოვ დამყარებული მარტოდ-მარტო შენს საკუთარს ალალ მართალ ძალ-ღონეზედ; ამ ძალ-ღონის კვალობაზედ ჰშრომობდი მხნედ, ჰშრომობდი გულ-მხურვალედ და მიაღწიე იმას, რომ გვერდში ამოუდექ ჩვენს უკეთესს მამულიშვილებს, მოძმედ გაუხდი უწარჩინებულესს ქართველებს. შენი სადგური შესაკრებელი იყო ხოლმე ჩვენის საზოგადოების უკეთეს წარმომადგენლებისა და იმართებოდა საუბარი ჩვენის ქვეყნის ზრუნვისათვის, მისის ჭირ-ბოროტის საწინაალმდეგოდ გამკლავებისათვის; იგივე შენი სადგური სავანე იყო, სასწავლებელი იყო, სადაც იწვრთნებოდა მთელი დასი ახალ-გაზდობისა. შენ თითონ იყავ მათი მწვრთნელი, შენა ჰზრუნავდი გულითა მხურვალითა, რომ მოგემზადებინა იგინი ღირსეულად ცხოვრების სასახელო სარბიელისათვის და დაგეყენებინა ისინი პატიოსანის გამრჯელობის გზაზედ. ეხლა იგი ახალ გაზრდობა მწარედ დასტირის შენს კუბოს და არლა იცის, როგორ განაგრძოს შენგან დაწყებული, მაგრამ არ დათავებული დიდად ღირსეული საქმე.

„შენი გული სიყვარულით იყო აღსავსე და საგანი ამ სიყვარულისა იყო შენი მშობელი ქვეყანა. გიყვარდა მისი წარსული, სიყვარულითა ჰშრომობდი მისის აწმყოსა და მომავლისათვის. ჩვენის წარსულის ნაშთების მოხილვით და ფოტოგრაფიულად გადაღებით საპატიო ღვაწლი დასდე ჩვენი წარსულის შესწავლას. ჩვენის წინაპრების ნაღვაწევ, ნაჭირნახულევ ნივთების მოპოვება, მათი ერთგულად მოვლა-დაცვა შეადგენდა შენს მხურვალე გულის წადილს. არც ცუდად ჩაუვლია ამ შენს წადილსა და მეცადინეობას: «დღეს წერა-კიხვის საზოგადოებას» დარჩა შენგან დაარსებული მუზეუმი ძველის ნივთებისა და იგი «საზოგადოება» ერთგულად მოუვლის ამ შენს კეთილს სახსოვარს. შენი ანდერძი მეტად შესანიშნავია, სამაგალითო მთელის საქართველოსათვის: «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ერთად-ერთი ქართული საზოგადოებაა, რომელსაც შესცქერის ამიერი და იმიერი საქართველო, საგანი ამ საზოგადოებისა არის წერა-კითხვის მოფენა ქართველს ერში, მაგრამ ამ „საზოგადოებისათვის“ ჰშრომობს მეტად მცირე რაზმი. შენ სიცოცხლეშიაც იყავი ერთგული და გულ-მხურვალე წევრი „საზოგადოებისა“ და ეხლაც შენის ანდერძით მშვენივრად დააგვირგვინე შენი სამსახური ამ „საზოგადოების“ წინაშე. ამას ვერ დაივიწყებს იგი «საზოგადოება» და ყოველთვის იქნება მახსენებელი შენის სახელისა ღრმა პატივისცემით, წრფელის მადლობითა და ქებით.

„მშვიდობით, ჩვენო დაუვიწყარო მოძმევ! განისვენე, კეთილო მოღვაწევ! კურთხეულ იყოს შენი სახელი საუკუნოდ!..“

---

## „მწყემსის“ კორესპონდენცია

(ხევიდან).

ხსენება წმ. დ-დი მთავარ-მოწამე გიორგისა თუმცა აპრილის 23-ს არის, მაგრამ გარბანლები, ძველი დროიდგან დარჩენილი ჩვეულების ძალით, დანიშნული დღის მაგივრად წმ. გიორგის ხსენებას დღესასწაულობენ ქრისტეს აღდგომის დღიდან მეორე კვირა დღეს. ამიტომ აპრილის 16-სა, ს. გარბანში იყო წმ. გიორგის დღეობა, რომელმაც კარგად და მხიარულად ჩაიარა. მზის ამოსვლის დროს გამოასვენა მღვდელმა სამრევლო ეკკლესიიდგან «ძველი წმ. გიორგი» *). სალოცავად მოსული ხალხი მოგ-

*) ეს სახელი იმიტომ უწოდა ხალხმა, რომ თუმცა ეს ხატობა ყოველ წელიწადს იციან გარბანლებმა, მაგრამ „ძველი“ წმ. გიორგის სახელობაზე შეჭედილ ხატს კი 5 წელიწადში ერთხელ გამოასვენინებენ ხოლმე მღვდელსა, დანარჩენ წლებში კი სხვა ხატზე ლოცულობენ, რომელსაც ახალ წმ. გიორგი“-ს უწოდებს ხალხი.

როვდა ამ სოფლის შვენიერი თლილი ქვით ნაშენები ძველი ეკკლესიის მოედანზე; ეს ეკკლესია, როგორც ზეპირ გადმოცემა მოგვითხრობს, აშენებულია თამარ მეფისგან მე XII საუკუნეში. წირვის მოსმენის შემდეგ დაუკრეს ქალებმა გარმონი, ამას ააყოლეს ვაჟებმა ტაში, გაიმართა მხიარულება და გააწყვეს ცეკვა—თამაში. შუა დღის დროს ერთმა უცნაურმა გარემოებამ მიიქცია ხალხის ყურადღება: ერთმა თმა-ჭაღარა კაცმა ი. ქ—შვილმა მოიყვანა ერთი ჭედილა და ქუდ-მოხდილი ევედრებოდა თავის მეზობლებს: «ღმერთი იწამეთ, ამთენი ღვთის განრისხება მაკმარეთ და ჩემთვის ჩასმულ სამრისხეულო „სამანის“ [2]) ამოღებინების ნება მომეცით»-ო... აქ ადგილობრივი მღვდელიც ჩაერივა თავის ტკბილი მამა-შვილური ქადაგებ-დარიგებით, დაათანხმა სოფელი, მისცეს ნება „სამნის“ ამოღებინებისა, მაგრამ როგორც ერთ დროს რისხვითა და კრულვით ჩასმული სამანი, ამოსაღებლად ხელის მიტანას ვერავინ ბედავდა და ერთად ერთი ესღა იყო ამოღების შესახებ დამაბრკოლებელი მიზეზი. ბოლოს მლოცავთა შორის გამოჩნდა ერთი ახალ-გაზდა რუსი, რომელმაც ერთი-ორი ყანწი არყის გადაკვრის შემდეგ შემოუთხარა «სამნად» წოდებულ სიპ-ქვას ძირი, მიძრა-მოძრა ხელ-მაგრად «სამანი», ამოიღო და გარდააგდო შორს. ამის მნახველს საწყალ ი. ქ—შვილს, უცებ სიხარულის ფერმა გადაჰკრა სახეზე! აანთო სანთლები, მიიყვანა ხელში ნაჭერი ჭედილა და ზედ ამავე ჩაღრამებულის პირზე დაკლა, სადაც „სამნად“ წოდებული სიპი-ქვის ბოლო იყო ჩასმული მიწაში.

მკითხველი საზოგადოების საყურადღებოდ უნდა ავღნიშნო, თუ ხსენებულ «სამნის» ჩასმა რომელ წელს მოხდა და ან რა გარემოებამ აიძულა ხალხი ამ ძველი ჩვეულებისათვის მიემართნა: ეს, დაახლოვებით, მოხდა 1867 თუ 1868 წელში. მიზეზი ის იყო, რომ ხევის ხალხს თემობით პირობა ჰქონდა დადებული, ქალის ურვანი 50 მანეთს არ უნდა ალმატებიყო, ამ პირობაში არ იყვნენ მარტო სოფ. სნოში მცხოვრებნი ერთი გვარის ხალხი „ღუდუშაურები“, როგორც ადრიდანვე აზნაურობის ღირსების მაძიებელნი; ხალხის მიერ დადგენილ პირობაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო ისიც, რომ რაკი ღუდუშაურები თავს არ უყადრებენ დანარჩენ ხალხს, ამიტომ არც ღუღუშაურების ქალი შეირთონ ცოლად და არც თითონ ღუღუშაურებზე გაათხოვენ ქალი; ი. ქ—შვილი იყო იმ დროს კარგათ შეძლებული გლეხი კაცისშვილი, თავის შეძლების მიხედვით გატეხა ხევის ხალხის პირობა და დაინიშნა სოფელ სნოში ღუდუშაურის ქალზე, რასაკვირველია, მძიმე ურვანით და ურვათის გარდა ერთი ხარიც უძღვნა, რომელსაც საგვარ-მეტო ხარს ეძახოდნენ ღუდუშაურები! აი სწორეთ ეს იყო მიზეზი რომელმაც გამოიწვივა მაშინ ხალხის მხრით ის საგანი, რომ ძველი ჩვეულებისა თანახმად მოქცეულიყო.

ახლა მინდა დაუბრუნდე გარბნის წმ. გიორგის სახელობაზე აშენებულს ძველსავე ეკკლესიას. კედლები ეკკლესიისა ყველა მხრით ისევ შეურყეველია, სახურავი სრულებით აღარ აქვს. ბევრი რამე თქმულა ამ ეკკლესიაზე და ბევრს დღესაც ლაპარაკობს ხალხი. ხალხის გადმოცემით ეს ყოფილა ერთად ერთი ეკკლესია ხევის თემისა. ვინაიდგან ეს ადგილი შუა ადგილია ხევის მცხოვრებთათვის, ამიტომ ხალხი თავს იყრის აქ ყველა მძიმე სასისხლო დანაშაულობათა გადასაწყვეტად, ე. ი. სათემო საზოგადო საქმეებზე მოსალაპარაკებლად. ხალხისვე გადმოცემით ამ ეკკლესიას დიდ-ძალი ფული ჰქონდა, რომელიც ქამთა ვითარებისა გამო ინახებოდა ამავე ეკკლესიაში, განგებ ამ ფულების შესანახავად მომზადებულ ორმოში; ეს უწყოდენ მხოლოდ მაშინდელმა დეკანოზებმა და კიდევ ამავე ეკკლესიაში სამ ქვაზედაც იყო წარწერა, რომელიც ადგილობრივ უთითებდა: ერთი მეორის, მეორე მესამე ქვის წარწერის დახმარებით იმ ადგილზედ, სადაც იყო ხსენებული ეკკლესიის ფული შენახული; მაგრამ ხალხისვე გადმოცემით ჩაექცა ამ ეკკლესიას სახურავი და იმ დროს ის ქვებიც თან ჩაიტანა... რადგან თლის გადასაყვანი ალაგის მახლობლად იყვნენ დატანებულნ ხსენებული წარწერილი ქვები...

მართლა-და, აღმოსავლეთის მხარეს ამ ეკკლესიის ერთ ქვაზე დღესაც არის ხუცური ასოებით შემდეგი წარწერა: «წმ. გიორგის უარუა“, რომელიც უნდა ნიშნავდეს—თუ არა ვსცდები: «წმ. გიორგის ოქროს».

ვ. ბედოშვილი

[2]) „სამანი“ არის დიდი გრძელი სიპის ქვა, რომელსაც ჩვენში ადრევ ხალხი ჩაუსვამდა ხოლმე ვინმეს სადმე ეკკლესიის კარებში კაი კაცობის ან ცუდ-კაცობის ჩადენის სახსოვრად. ამ ქვას მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საზოგადოებისათვის კაი კაცობის ჩამდენს ხალხი ავედრებდა ღმერთს, ყოველ იმ ხატის დღესასწაულობას, სადაც სამანი იყო ჩასმული ანუ ჩაყუდებული მიწაში და ცუდ-კაცობის ჩამდენს კი რისხავდენ.

# ძვირფასი ხატები.

ბერძნული ამბავიდამ.

გაგრძელება *).

## პატიოსანი სიტყვა

დიდ-ხანს არ გაუვლია ამა დამეგობრების შემდეგ, რომ თავგოროხაც დაობლდა. ეხლა კი ის უფრო ხშირი სტუმარი შეიქნა ამ ობლებისა და რაც შეეძლო, მისი მცირე შემოსავლიდან, რასაც ის ღებულობდა თეატრში, ძმურად უწილადებდა ობლებს. ობლებიც, რა წამოიზარდენ, მათს უფროს დას, რომელსაც თავის შრომით აღეზარდა ისინი, შველოდენ რამდენიც შეეძლოთ. ამათი ხელობა იყო ქრა-კერვა და ქარგვა. ობლებს მამიდან მდიდარი ბიძანებიც ჰყავდათ, მხოლოდ იგინი სრულიად ყურადღებას არ აქცევდენ. ჯერ კიდევ სანამ დედა ობლებისა ცოცხალი იყო, ყველა მისი ძვირფასი მზითგევი ნელ-ნელა იყიდებოდა და ამით არჩენდა საწყალი ქვრივი თავის ობლებს. მაგრამ რადგან მან არაფერი ხელობა არ იცოდა, ეს მისი მზითევი სულ რამოდენიმე წელი ძლივს ეყო.

ბარბარე—ელენეს დედა—როგორც მდიდარი კაცის შვილი, კარგ ცხოვრებას იყო მიჩვეული და რა ასე უდროვოდ დაბერდა და გაღარიბდა, ვერ აიტანა ტანჯვა და მიიცვალა.

ამ უბედურებას საწყალი ბავშებისას, ისიც კიდევ ზედ დაერთო, რომ იმათი ბიძა, რომელიც ამერიკაში დიდი ვაჭარი იყო, ერთბაშათ გაღარიბდა, წააგო ყველაფერი და მშიერ შიშველი მოადგა საწყალი ბავშების კარს. ობლებმა არა თუ მიიღეს თავიანთი ბიძა, რომელიც სიმდიდრის დროს სრულებითაც არ ჰკითხულობდა მათ ამბავს, არამედ მამასავით შეითვისეს და ყოველ ღონის ძიებას ხმარობდენ რაც შეეძლოთ პატივი ეცათ. ეხლა, რა მოხუცი და საწყალი ბიძაც მიემატათ, კიდევ უფრო გასჭირდა ცხოვრება. ამ დროს კიდევ ერთათ ერთი თეატრი, რომელშიდაც ალეკო არტისტობდა—ცეცხლმა გადაბუგა და ეს, რასაკვირველია, კიდევ უფრო შეავიწროებდა ობლებს.

„ასეთ გაჭირვებაში ჩავარდენ საწყლები, რომ მოსდგნენ უკანასკნელი ავეჯოულების ყიდვას. ობლებს კიდევ შერჩენოდათ რამოდენიმე ძვირ-ფასი ძველი თუ ახალი დედიდან დარჩენილი ნივთები. ერთი ამ ნივთებთაგანი—ძველი საათი მისცეს ხელში პატარა გიორგის, რომელიც ამ დროს შვიდი თუ რვა წლისა იყო და გაგზავნეს ქალაქში მეფოდისთან. მეფოდიმ საათი ჩამოართვა და იმდენი საფასური მისცა, რომ ბავში არც კი მოელოდა. ამ შემთხვევით გახარებულმა გიორგიმ თავის უმანკო ენით- და უწყო ტიტინი მეფოდის, რომ ჩვენსას სხვაც ბევრი ძველი რამეებიც არის და ორი მშვენიერი ხატეც გვაქვს ბაბაიდან დარჩენილიო».

მეფოდი ძრიელ მოყვარული იყო ხატებისა. «ეგებ ეს ძველი მხატვრობა იყოს»-ო, თქვა მან გულში და მაშინვე გაყვა ბავშს. მივიდა თუ არა მეფოდი ობლებისას, იგი დიდის სიამოვნებით მიიღეს.

—თქვენ ძველი ხატები გქონიათ და თუ შეიძლება მაჩვენეთ,—უთხრა მეფოდიმ ბავშებს.

ობლებმა ის მაშინვე შეიყვანეს მოხუცი ბიძის ოთახში, საცა ხატები ესვენა.

ხატების შეხედვა და მეფოდის ოხ!..—შეძახება ერთი იყო, მეფოდიმ მაშინვე იცნო მისი ღვთიური ხატები, რომლებიც მას ჯერ კიდევ ახალ გაზდობაში ეჩუქებია პერეკლე ასპრიდისთვის, მხოლოდ მაინც არა უთქვამს რა ამის შესახებ—მარტო, ცოტა ხნის შემდეგ, როცა კარკად დაათვალიერა ხატები, თქვა:—აი, ამ ხატებს კი ვიყიდი და კაი ფასსაც მოგცემთო.

—ვერა, ბატონო, მიუგო ელენამ,—ყველაფერს გავბედავ, მაგრამ ამ ხატებს კი ვერ შეველევი—ეს დედი ჩემის ხატებია, რომელმაც ჩემგნით ფიცი და «პატიოსანი სიტყვა წაიღო.—ეს ხატები არც გაყიდო, არც გააჩუქო, საშვილიშვილოდ დარჩესო—ეს ხატები დაუფასებელიაო.

—ორას თუმანს (ლირა) მოგცემ და მომეცით, თქვენ რად გინდათ ეს ხატებიო,—უთხრა კიდევ მეფოდიმ.

ელენემ მაინც ვარი უთხრა. მეფოდი ათას ლირამდის ავიდა და თან არწმუნებდა ელენეს—დათახმებულიყო და ეს ფულები მისდა გასათხოვრად და ობლების გამოსაზდელად მოეხმარა.

—ოხ!.. ბატონო მაგას ვერ ვიქ „პატიოსანს სიტყვას» ვერ გავსტეხ—ვერა... ვერა...—მეშინია—კარგად მახსოვს, ბატონო მეფოდი, დედა ჩემის

---

*) იხილე „მწყემსი“ № 5—6, 1898 წ.

ნაამბობი, რომ „ფიცისა და პატიოსანის სიტყვის გატეხისთვის» რა უბედურება შემთხვევოდა მამა მისს —ჩვენს ცხონებულს ბაბუას.

„ფიცისა და პატიოსანი სიტყვის გატეხისთვის»... გაიმეორა გულში მეფოდიმ და თვალწინ წარმოუდგა პერეკლე ასარიდი. მიხვდა საქმე რაშიდაც იყო, მხოლოდ, როგორც წასულის მოგონების მოყვარული მოხუცი ცნობის მოყვარეობამ შეიპყრო. მას უნდოდა ელენეს პირიდან გაეგო—როგორ მოხდა ყველა ესენი, ან ეს ხატები კონსტანტინოპოლიდან ისევ ათინაში როგორ და გაჩდენ.

—კარგი, შვილო,—უთხრა მეფოდიმ,—აბა რა იცი შენ ამ ხატებისა, რა გიამბო დედა შენმა—მიამბე მე...

—ეხლავე, ჩემო ბატონოვო,—მიუგო ელენემ და დაიწყო.

## VII.

### ობლების ამბავი

„მამა ჩემი ცხონებული იანკო (ივანე) მავრიდი (მავიშვილი) ადვოკატი იყო. ბაბუა ჩვენის პერიკლე ასრიდისა (თეთრაძე). თურმე ბაბუა ჩვენი ერთხელ ახალ-გაზდობაში—როდის, ან რომელ წელში ეს არ უთქვამს დედას—სამოგზავროდ წასულა, როგორც ამბობენ—მთელი ქვეყანა მოევლო. როცა დაბრუნებულა უკან—სხვა მრავალ ძვირფას საქონლებთან ეს ორი ხატიც მოეტანა, ოქროს ჩარჩოებში ჩაესვა და თავის სამუშაო კაბინეტში დაესვენებია. «ეს ხატები ძვირფასია—დაუფასებელია, იტყოდა თურმე ხშირად. მთელი საცხოვრებელი რომ ვინმეს ეთხოვნა და ან ეს ხატებიო,—მითხრა დედამ—ბაბუაშენი არჩევდა ულუკმა-პუროდ დარჩენას და ამ ხატებს კი არ შეელეოდაო. ეს ხატები მისთვის ეჩუქებია ვილაც მეგობარსო. მაგრამ პატიოსანი სიტყვა ჩამოერთმია, რომ «ამ ხატების ფასი, რამდენსაც შენ დააფასებ—საწყლებს დაურიგე—ჩემის სახელითაო. შემდეგ-კი, რა სახლში მოსულა, რაღაც საუბედუროდ ბაბუას გული გადაბრუნებია და ეს მისი აღთქმა ველარ აუსრულებია. «ვაი ჩემს დღეს, შვილო,—ეტყოდა თურმე ბებია ჩემი დედა ჩემს—ამის მიზეზი ცოტათი მეც ვიყავი და მეტად კი შენი ქმარიო». ბაბამ თურმე გადაწყვეტით უთხრა ბაბუას, როცა ის დაეკითხა - ხომ არ გაგიჟებულხარო“. ამ დღის მოღმა, მხიარული ხასიათის მქონე ბაბუა ჩემი თურმე სრულიად გამოიცვალა,—დღითი დღე ჯავრიანდებოდა. სულ ცოტა ხანში კიდეც დაავადებულა. მივიდოდა თურმე ხატთან, გაჩერდებოდა და დაიწყებდა რაღაც გაუგებარ ბუტბუტს. ხანდისხან თურმე წარმოსთქვამდა კიდეც საცოდავი—«არა მოვალე ვარ, პირობა უნდა ავასრულო» ამ სიტყვების შემდევ ის ცოტათი დაწყნარდებოდა, მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ ისევ ისე მივიდოდა ხატებთან და ისევ ამ სიტყვებით დაიწყნარებდა ხოლმე გულს. ასე ამ რიგად წვალობდა იგი რამოდენიმე წელი—პირობის ასრულება კი მაინც ვერ მოეხერხებია. ამ დროს დედა ჩემი დანიშნული ყოფილა მამა ჩემზედ. საწყალ დედაჩემს ამ ამბავის მოთხრობა ძლიერ უყვარდა და ყოველთვის ტირილით გაათავებდა ხოლმე და ასე მეტყოდა—«არ შეელიო ამ ხატებს, ეს ხატები დაუფასებელიაო“.—ბაბუამ დააქორწილა მისი საყვარელი ქალიშვილი—დედა ჩემი და სულ მცირე ხნის შემდეგ გადაიცვალა. ყველა მისი ქონება დარჩა მამაჩემს ამ ხატებიანად. «ღმერთო, შეგცოდე და, ვგონებ ბაბაის ანდერძი მამა შენმა გააკეთაო», იტყოდა ხოლმე დედა ჩემი. როცა საწყალი ბაბაი კვდებოდა, მოუხმია დედა ჩემი და უთქვამს: „მე ვარ ყველაფერში დანაშაული, მე დავღუპე მამა შენისა და ჩემი ოჯახიც, ხატები მე არ დავაფასებიე, ფიცი და პატიოსანი სიტყვა—პირობა მე გავატეხიე, მე!..—მე ცოდვილმა და ეხლა გთხოვ პატივით მოეპყროთ ამ ძვირფასს ხატებს. არ გაყიდო—შენც არ გასტეხო ფიცი, იყავ მტკიცე, რომ ჩემსავით არ დაისაჯოვო. ბაბამ თურმე საწყალი ჩემი ბებია სრულებით უსახსროთ დასტოვა. ყველაფერი გაჰყიდა და წავიდა იტალიაში და საწყალობელი ბებია კი მათხოვრობაში მიცვლილა. დედამ ყველა ესენი იცოდა და საძაგელი ცხოვრება ჰქონდათ. ბაბაი ერთ გროშს არ აძლევდა დედას, რა არის ნათესავებს ან დედას არა გაუგზავნოს რამე. იტალიაში იმ დროს არეულობა იყო, ყაჩაღებით სავსე იყო იქაურობა. ერთ ღამეს სასტუმროში მდგომ დედ-მამაჩემს დაეცენ თავს პირატები—ზღვის ავაზაკები და რაც რამ ებადათ, წაართვეს. ამ შემთხვევას შემდეგ ბაბამ დაიწყო ისევ ადვაკატობა.—უკაცრავად დამავიწყდა—თურმე იმ უწყალო ავაზაკებმა, ამ ხატებს ოქროს ჩარჩო შემოაგლიჯეს და ხატები კი დააგდეს—ალბათ არ იცოდენ, თუ ეს ხატები

ძვირფასი იყო, ბაბამ იტალიაში ვერ იშოვა საკმაო საქმე და გადმოებარგა მის სამშობლოში—ათინაში. ბაბაი კარგად განათლებული კაცი იყო, მხოლოდ მცირედ კი ურწმუნო ყოფილა, როგორც დედაჩემი ამბობდა. აქ ცოტათი ბაბაის საქმე რიგში ჩავარდნილა. მხოლოდ, როცა ის იტალიაში გაცარცვეს, ბაბას ხელი გამოელო; გაძალადებოდა და ავაზაკებს დაეკოდა იგი. ეს ნელ ნელა გამოაჩნდა—გაუმიზეზდა და გადაიცვალა. მე მაშინ ხუთი ან ექვსი წლის ძლივს ვიყავი. დედასაც ბაბაის შემდეგ ბევრი აღარ უცოცხლია. მე დავრჩი ობლად—ჩემი და ტრიანდაფილათი და პაწაწინა გიორგითი. კიდევ კარგი, რომ მე ეს ჩემი ხელობა ქრა-კერვა—ქსოვა ვისწავლე, თორემ სიმშილით ამოვსწყდებოდით. აი, ბატონო მეფოდი, ეს გახლავს ამ ხატებისა და ჩვენი თავგადასავალიო, დასძინა ელენემ და დაიწყო ტირილი. მისი პატარა ძმა გიორგი და დაჲ ტრიანდაფილა იქვე იჯდენ და იცრემლებოდენ.

მოხუცს კეთილს მეფოდის საშინლად დაუწყლულდა გული, რა მოისმინა ეს საშინელი ცობლების ამბავი—და ცრემლიანის თვალებით უთხრა:

—ნუ გეშინიათ, შვილებო, რაკი თქვენ ასე მტკიცედ შეგინახავთ მშობლის ანდერძი, არ გაგიტეხიათ პირობა პატიოსნება—თქვენ ეგ თქვენი სიმართლე და შრომის მოყვარეობა დაგიხსნისთ—დალოცა, გამოემშვიდობა და წავიდა.

იასე რაჭველი

---

# საეჭვო კითხვების განმარტება.

## საბუთები ანუ ცნობები, რომელთა ზედა საჭიროა დაეკრას ოთხ-აბაზიანი მარკები.

1) მეტრიკული მოწმობები, რომელთაც იძლევა კანსისტორია, და აგრეთვე მოწმობები, ამოწერილნი მეტრიკის წიგნიდან ანუ მეტრიკული ამოწერილობანი და პირნი ამავე წიგნებიდან ამოწერილნი, რომელთაც იძლევიან მრევლის მღვდლები ანუ ეკკლესიის კრებულნი. (წესდ. გერ. გადასახად. ტომი V, გამოც. 1893 წ. მუხ. 8, პარ. 2 და განჩ. უწ. სინოდისა 14 მაისიდან—2 ივნისიდამ 1876 წ. და 23 – 30 სექტემბრიდამ 1877 წ. №№ 867 და 1413);

2) ცნობები აღსარების სიებიდამ იმ პირთა წლოვანების შესახებ, რომელნიც ჩაწერილნი არიან ამ სიებში და რომელნიც საჭირონი არიან დაქორწინების დროს, და აგრეთვე საზოგადოდ ყველა სხვა ცნობები საეკკლესიო მეტრიკის წიგნებიდამ, რომელნიც სიტყვა-სიტყვით ანუ შემოკლებით არიან ამოწერილნი ხსენებული წიგნებიდამ. (წეს. გერბის გადასახ. მუხ. 8, პარ. 2 და განჩ. უწმ. სინოდისა 23 - 30 სექტემბრიდამ 1877 წ. № 1413);

3) მეუფროსეთაგან მიცემული ნება-რთვა პირთადმი, რომელთაც სურთ დაგვირგვინება და რომელნიც იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში. (წეს. გერ. გადასახ. მუხლი 8, პარ. 2);

4) საზოგადოდ პირნი ისეთ საბუთებიდამ, რომელთა ზედა უსათუოდ უნდა ეკრას ოთხ-აბაზიანი მარკა. (წეს. გერ. გად მუხლი 8, პარ. 1. და განჩინება უწმ. სინოდისა 23—30 სექტემბრიდან 1877 წ. № 1413.

## საბუთები ანუ ცნობები, რომელნიც თავისუფალნი არიან ოთხ-აბაზიანი მარკისგან.

1) ნება-რთვა, მიცემული მშობელთაგან თავიანთ შვილთადმი, რომელიც (ნება-რთვა) ითხოვება ჯვრისწერის დროს. (განჩ. უწმ. სინოდისა 23 – 30 სექტემბრიდამ 1877 № 1413);

2]. მოწმობები, რომ აღსარება თქვეს და ეზიარენ, რომელიც ეძლევა ჯვრის წერის მსურველთ, როცა ისინი სხვა სამრევლოისანი არიან;

3] წარწერანი პასპორტებზე, რომ მათში აღნიშნულნი პირნი ჯვარდაწერილნი არიან, და აგრეთვე საზოგადოდ მიცემულ საბუთებზე შემდეგში მომხდარი სხვა-და-სხვა გვარი წარწერანი, რომელნიც თავის თავად არ შეადგენენ განსაკუთრებით საბუთს;

4] მიწერ-მოწერა ეკკლესიის ერთი კრებულისა მეორე კრებულთან, რომ მათ გამოაცხადონ ეკკლესიებში სასიძონი და სასძლონი;

5] ცნობები, რომელთაც ერთი ეკკლესიის კრებული აძლევს მეორეს, თუ რომელი სარწმუნოების არიან დაქორწინების მსურველნი და დამაბრკოლებელი მიზეზი არ იმექონება, რომ მათი სამრევლო პირი დაქორწინებულ იქნეს სხვა ეკკლესიებში;

ვ] აგრეთვე პირი ისეთი საბუთებისა, რომელნიც თავისუფალნი არიან გერბის გადასახადისგან.

გერბის გადასახადი ყველა ზემოთ აღნიშნულ საქორწინო საბუთებზე ანუ ცნობებზე უნდა გადახდილ იქნეს ძალისა გამო გერბ. გად სახ. წესდების მერვე მუხლისა, ოთხი აბაზი თითოეულ ფურცელზე, კიდეც რომ ფურცელი მთლად დაწერილი არ იყოს, ასე რომ საზოგადო ჯამი გერბის გადასახადისა უნდა განსაზღრულ იქნეს ფურცლების რაოდენობით, რომელთა ზედა დაწერილია საბუთი. ამასთანვე სახეში უნდა გვქონდეს, რომ გერ. გადასახადის წესდებაში აღკრძალული არ არის, რომ ის ცნობები, რომელთაც იძლევიან ერთი და იგივე დაწესებულებისაგან ანუ ერთი და იგივე სამსახურის პირი და რომელიც (ცნობები) შეეხებიან რომელიმე პირის პიროვნებას და მოქალაქობრივ მდგომარეობას, მოვათავსოთ ერთსა და იმავე საბუთში, და ამიტომ ყველა ეს ცნობები შეიძლება დაწერილ იქნეს არა სხვა-და სხვა ფურცლებზე, არამედ ერთ ფურცელზე და ამის მიხედვით უნდა გარდახდილ იქნეს გერბის გადასახადი და არა ცნობათა რაოდენობის მიხედვით ანუ საბუთებისა, [წეს. გერ. გად. განმარტება რეიმერისა, გამოც. 1884 წ. გვერ. 29 და განჩინება უწმ. სინოდისა 23—30 სექტემბრიდამ 1877, № 1413).

გერბის გადასახადის შესახებ დასახელებულ კანონმდებლობისაგან ცხადათ ჩანს, რომ ეკკლესიის კრებულთაგან მიცემული, ასე წოდებული დაქორწინების წინად საჭირო მოწმობებზე სასიძოსა და სასძლოს ვინაობის შესახებ (შენიშ. მე-26 მუხლისა ტ. X, ნაწ. პირველი, გამოც. 1887 წ), სხვა ეკკლესიების კრებულთადმი წარსადგენად, სადაც შესრულებულ უნდა იქნეს ჯვრის-წერა, შეიძლება გადახდილ იქნეს გერბის გადასახადი ან განთავისუფლებულ იქნენ ამ გადასახადისაგან იმის მიხედვით, თუ რა ცნობები იქნება მოქცეული ხსენებულ მოწმობებში. თუ ამ მოწმობებში მოქცეულ იქნებიან ისეთი ცნობები, რომელნიც დაწერილი უნდა ყოფილიყვნენ განსაკუთრებითი საბუთში, რომელიც თავისუფალი არის გერბის გადასახადისაგან (მაგალ. ცნობები სამგზითი გამოცხადების შესახებ (მაშინ, ასეთი მოწმობები თავისუფალნი არიან გერბის გადასახადისაგან, რამდენი ცნობებიც უნდა იქნეს ასეთ მოწმობაში. მაგრამ თუ ამ მოწმობაში, სხვათა შორის, იქნა მოხსენებული ისეთი ცნობები, რომელიც ითხოვს გერბ. მარკას, მაშინ ზემოთ ნაჩვენები მოწმობები თავისუფალი არ არიან გერბის გადასახადისაგან.

რაც არის ნათქვამი, იმას საჭიროა დაუმატოთ, რომ ყოველ გვარი ცნობები იმ საბუთებიდამ, თვით საბუთები, მათი პირნი, ამოწერილობანი და სპრავკები თავისუფალნი არიან გერბის გადასახადისაგან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ითხოვებიან რომელიმე მთავრობის დაწესებულებისაგან ანუ სამსახურის პირისაგან. არა იმ მიზნით, რომ ასეთი მოწმობები მიეცეს კერძო პირთ, არამედ იმიტომ, რომ ეს ცნობები ჩაკერებულ იქნეს იმ საქმეებში, რომელიც მათთან წარმოებს (წესდ. გერ. გად. მუხლი 57 და განჩინება უწმ. სინოდისა 12—26 ივლისიდან 1878 წ. № 1083).

---

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**ოფიციალური განყოფილება:** განჩინებანი უწმ. სინოდისა.— სია სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც უწმ. სინოდის მიერ დაჯილდოებულ იქმნენ სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის დაბადების დღეს.—სია ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელო მსახურთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ სკუფიებით და ნაბედრენიკებით მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ნამყოფის ექსარხოსის მიერ.—პროგრამმა საეკკლესიო და სამაზრო მეთვალყურეების მიერ საეკკლესიო სკოლების მდგომარეობის შესახებ წლიურის ანგარიშისა.—იმერეთის გაბრიელის ეპარქიალურ საქალო სასწავლ. საბჭოსაგან.

**სალიტერატურო განყოფილება:** არ იქნა და არა ამ ჩვენი ხალხის ძველი დამღუპველი ჩვეულების მოსპობა!.— მადლობის გამოცხადება.—ქ. ყაზანი და სასულიერო კონცერტის გამო.—ალექსანდრე ს. როინაშვილის დასაფლავება,— „მწყემსის“ კორრესპონდენცია ხევიდან.

**საეჭვო კითხვების განმარტება:** საბუთები ანუ ცნობები, რომელთა ზედა საჭიროა დაეკრას ოთხ-აბაზ. მარკები; საბუთები ანუ ცნობები, რომელნიც თავისუფალნი არიან ოთხ-აბაზიანი მარკისაგან.

---

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

*Дозволено цензурою, Тифлисъ, 23 мая 1898 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 18. 1883—1898 30 სეკტემბერი.


**გაზეთის ფასი:**

| „მწყემსი“ | | „მწყემსი“ რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 3 მან. | 12 თთვით | 5 მან. |
| 6 — | 2 — | 6 — | 3 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.



ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თთვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


P 38837

## სიტყვა

### სალმრთო სჯულის სწავლებაზე,

თქმული უწმიდეს სინოდთან არსებულ უმთავრეს სამოსწავლებლო რჩევის საგანგებო კრებაზე დეკანოზის პეტრე სმირნოვისაგან 7 აგვისტოს ამა მიმდინარე წლისა.

სიხარულით გეგებებით თქვენ, ჩვენი ძვირფასი საეკკლესიო-სამრევლო სკოლის მოღვაწენო და ხელმძღვანელნო.

როგორც ამ სკოლების სათავეში მდგომმა, მე კარგად ვუწყი ყველა ის ცვლილებანი, რომელნიც მოხდა საეკკლესიო-სამრევლო სკოლების არსებობაში: კარგად მახსოვს ის სასიხარულო დრო, როცა ამ სკოლამ გზა გაიკვლია ხალხში; ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მას არავითარი ნივთიერი საშუალება არ გააჩნდა არსებობისათვის, მხოლოდ დაიმედებული იყო ღვთის შემწეობაზე; კარგად მახსოვს, თუ რა დიდის სიხარულით მივეგებეთ სამრევლო სკოლის ხუთი წლის არსებობას, რომელმაც თვალსაჩინოდ დაგვიმტკიცა ის, რომ ამ სკოლამ არა თუ გაუძლო სხვა-და-სხვა მტერთა დევნას, ამასთან ერთად კე

ზედ-გავლენა იქონია სხვა, მის მსგავს სკოლებზე და წინ წამოაყენა საწყალი წერა-კითხვის სკოლები. ამ სკოლების ათი წლის არსებობის დღესასწაულმა ცხადათ დაამტკიცა მათი მტკიცე ნიადაგზე დაფუძნება და ხელმწიფის მოწყალე სიტყვები ამ სკოლების შესახებ და ამ სკოლების ხელმძღვანელის, აწ განსვენებულის ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის გერმანეს უმაღლესად დაჯილდოება ცხადათ გვიმტკიცებს, რომ ხელმწიფე იმპერატორი დიდ ყურადღებას აქცევს ამ სკოლებს. დღეს ეს სკოლა მტკიცე ნიადაგზე დგას. მან ერთი მხრით მოიპოვა მრავალი კერძო საშუალებანი და მასთან ღზრუნველ-ყოფილი შეიქნა სახელმწიფოს მხრითაც, რომელსაც ეს სკოლა ნამდვილს და უტყუარს სამსახურს უწევს და აწ ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ II ამთავრებს მშვიდობის მოყვარე მეფის მიერ დაწყებულ დიდ საქმეს. მათმა უდიდებულესობამ სამრევლო სკოლებს დაუნიშნა საჭირო საშუალებანი და შესაფერი წესრიგი დაუდგინა საწარმოებლად.

ამის შემდეგ ეს სკოლა გაბედვით და მხიარულად იწყებს მოქმედებას, სამასწავლებლო კურსები საჭირო ცოდნას სძენენ და ამხნევებენ სამრევლო სკოლების მასწავლებელთ და ამ სკოლების კეთილ მოღვაწეთ, რომ მათ მომეტებულად იღვაწონ ღვთის ყანაში, სადაც სათესი ვრცელია და სამკალი მრავალი. და ბოლოს, ეს საგანგებო კრება სამრევლო სკოლების უმახლობელეს მოღვაწეთა და ხელმძღვანელთა დიდათ დაეხმარება სამრევლო სკოლებში სწავლების საქმის ჯეროვანად მოწყობას. ეს საგანგებო კრება მოგვაგონებს მოსკოვის ძველ საერო კრებათა. და მართლაც, საეკკლესიო-სამრევლო სკოლა მოღვაწეობს არა მარტო სასარგებლოდ ეკკლესიისა, არამედ საერობო დიდ საქმესაც ასრულებს.

დღეს საეკკლესიო-სამრევლო სკოლა მტკიცე ნიადაგზეა დაყენებული. მაგრამ ამ სკოლის მოთხოვნილება დღეს უფრო მომეტებულია ვინემ ოცდა-ათ და ორმოცი წლის წინად.

დღეს უფრო მომეტებულად არის აღძრული ხალხში განათლების მიღების სურვილი. დღეს აღარ კმარა ანბანის წიგნი, რომელშიაც მოთავსებული იყო საჭირო ლოცვები, სარწმუნოების პირველ დაწყებითი სწავლა და მცირე ანგარიში. დღეს საეკკლესიო სკოლაში ასწავლიან სხვა-და-სხვა მეცნიერებათ, აქვე ასწავლიან სოფლის მეურნეობას, სხვა-და-სხვა საჭირო ხელობათა ადგილობრივ პირობათა მიხედვით. ჩემს დღევანდელ სიტყვას საგნად ექნება სამრევლო სკოლებში საღმრთო სჯულის სწავება. როგორც სხვა საგნების სწავლებას მოემატა ხსენებულ სასწავლებლებში, ისე საღმრთო სჯულის სწავლებაც უნდა გაძლიერდეს. სარწმუნოება და კეთილ-ცხოვრება, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად,—არის უმთავრესი დანიშნულება სამრევლო სკოლისა და ამით განსხვავდება ეს სკოლა სხვა ყველა სკოლებიდან გარდა უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებისა. სხვა სკოლებში, არა მარტო დასაწყის სკოლებში, არამედ საშუალო და უმაღლესებშიაც, დღეს განსაკუთრებით ძლიერ მცირე ყურადღება აქვს მიქცეული სარწმუნოებრივ განათლებას. თუმცა ამ სასწავლებლების მთავრობა სხვა-და-სხვა კერძო საშუალებათ ხმარობს, რომ სარწმუნოებრივი განათლება ჯეროვან სიმაღლეზე დააყენონ და მოსწავლეთა გულში დანერგონ ჭეშმარიტი სარწმუნოება და კეთილ-ზნეობა, მაგრამ ამ თავის მიზანს ვერ აღწევენ და ვერც მიაღწევენ. იმ წეს-წყობილებისა გამო, რომელიც მათ დასავლეთ ევროპიდან აქვსთ შემოტანილი. საეკკლესიო-სამრევლო სკოლას შეძლება აქვს, რომ ამ სარწმუნოებრივ განათლებას უპირატესი ადგილი დაუთმოს. ეს არი მისი განსაკუთრებული უფლება, ეს არის მისი ბედნიერება. ამ სახით საჭიროა, რომ სამრევლო სკოლების მოწაფეთა გულში სარწმუნოების ცოდნა უფრო მტკიცედ იქნეს დანერგული სხვა საგნების ცოდნაზე. საჭიროა, რომ თესლი სარწმუნოებისა და კეთილ-ცხოვრებისა ჯეროვანად, გონიერად, სიყვარულობით და მოთმინებით იქნეს დანერგული მოსწავლეთა ნორჩს და შთაბეჭდილების ადვილად მიმღებ გულსა და სულში, რომ სარწმუნოება თან-და-თან გაძლიერდეს მათში, მოწაფენი მიეჩვიონ მხურვალე ლოცვას და პირუთვნელ სიყვარულს. ამიტომ საღმრთო სჯულის სწავლება, მინდობილი აქვს მხოლოდ მღვდელს და არა სხვა რომელიმე მასწავლებელს, ერთი იმიტომ, რომ მღვდელს შესწავლული აქვს ღვთის-მეტყველება და მეორეც იმიტომ, რომ მღვდლად კურთხევის დროს იგი იღებს მადლს ღვთისას, რათა დამწყსოს ხალხი და აღასრულოს სხვა-და-სხვა საღმრთო მოქმედება; ამ მადლის მიხედვით მღვდელი ვალდებულია თავისი დიდი მოვალეობის შესაფერად ექიროს თავი მსახურების დროს. სწორეთ სასურველიცაა, რომ მღვდელი ყოველთვის ფრთხილად და

გამჭრიახედ იდგეს თვის ადგილზე. დღეს ხშირი მოვლენაა სალმრთო სჯულის მასწავლებელთა გამოცვლა, გაკვეთილების გაშვება სხვა-და-სხვა ვითომ და საპატიო მიზეზებისა გამო და სხვა უწესოებანი ამ უმთავრესი და ძირითადი საგნის სწავლების საქმეში და სასურველია, რომ ყველა ესეები მოისპოს და სამრევლო სკოლებში ადგილი არ ექნეს.

მართალია ჩვენი სახალხო სკოლების არსებობის საქმეში ბევრი რამ კარგი მოხდა, მაგრამ ბევრი ცუდიც შემოგვეპარა დასავლეთიდან, რომლის გარჩევა და თავიდან აცილება დღეს საძნელო ხდება. არ ვიცით, რა არის კარგი და გამოსადეგი, რომ დავსტოვოთ სკოლაში როგორც საკეთილო და რა არის ცუდი, რომელიც უნდა გავაძეოთ სკოლიდამ, რადგან იგი აღმოცენებულია სხვა ამღსარებელთა ნიადაგზე. დასავლეთში მართლ-მადიდებლობის და საზოგადოდ ქრისტეს სარწმუნოების წინააღმდეგი მიმართულების ზედ-გავლენით ცდილობდენ და დღესაც ცდილობენ, რომ სალმრთო სჯულის სწავლება შეამოკლონ და შეასუსტონ ეს უმთავრესი საგანი სკოლისა; სალმრთო სჯულის პროგრამიდამ ხან რას რიცხავენ და ხან რას და თავის ნებით ცვლიან საგნებს, ჩვენში კი ეს თავის ნებაზე პროგრამების შეცვლა და შემოკლება, გადაკეთება, სასწავლო საგნების ერთი ერთმანეთის ადგილზე გადატან-გადმოტანა, რომელიც წინააღმდეგია მართლ-მადიდებლობისა, სისრულით შემოიღეს ჩვენს სკოლებში როგორც საუკეთესო და გამოსადეგი სწავლების საქმეში. თითქო სალმრთო სჯულის პროგრამის შემოკლებით ჩვენს სკოლებს რამე შეეძინებოდათ. კიდევ ყველას კარგად გვახსოვს ის სამწუხარო ხანა დასაწყისი სკოლებისა, როცა მათგან ხან თავის ნებით და ან უფრო ძალით აძევებდენ მღვდლებს, როგორც სამღრთო სჯულის მასწავლებელთ და მათ მაგიერ მოზარდ თაობისათვის სალმრთო სჯულის სწავლებას ანდობდენ ერის კაცებს, რომელთაგან ძლიერ ცოტანი იყვნენ სემინარიაში კურს დამთავრებულნი და ბოლოს იქამდისაც კი მივიდა ზოგიერთების სითამამე, რომ სამუდამოთ უნდოდათ დაეკანონებიათ, რათა სალმრთო სჯულის მასწავლებლად მღვდლების ნაცვლად სკოლებში ერის კაცნი ყოფილიყვნენ. ერის კაცები, როგორც სალმრთო სჯულის მასწავლებელნი არა მარტო ასწავლიდნენ ყმაწვილებს სალმრთო სჯულს, ამასთან ერთად აღგენდენ სახელმძღვანელოებს და მეტოდიკებს ამ საგნის სწავლების შესახებ. ეს დრო იყო სამწუხარო ხანა ჩვენი დასაწყისი სკოლებისათვის—შავი ლაქი მის ისტორიაში. ამ დაუპატიჟებელ მასწავლებელთ სხვა-და-სხვა ახალი წესები შემოქონდათ სალმრთო სჯულის სწავლების საქმეში, მზგავსად დასავლეთის ევროპის სახალხო სკოლების სალმრთო სჯულის მასწავლებელთა. გარდა ამისა ესევე მასწავლებელნი ცდილობდენ სალმრთო სჯულის სწავლების საქმეში შემოეღოთ ისეთივე წესები, როგორც ისინი ხმარობდნენ გრამატიკის, არითმეტიკის და წერის დროს. თავიანთ მოსაზრებათა დასამტკიცებლად მოჰყავდათ სიტყვები ბარონ კორფისა, გრაფ ტოლსტოისა და სხვათა და არა ეკკლესიის წმ. მამათა. ამ მხრით ქადაგების საქმეს რომელიც ჩაბარებული აქვს მღვდლებს, ხელი მოჰკიდეს სულ სხვა პირებმა. მაგრამ აქ ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ ზოგიერთი მღვდლებიც და უმაღლესი სასულიერო განათლების მქონე პირნიც კი გაიტაცა სალმრთო სჯულის სწავლების საქმეში იმ ახლად შემოღებულმა წესებმა, რომელნიც დასავლეთიდან გვესტუმრა. ამ ოცი-ოცდა-ათი წლის განმავლობაში საერო სკოლამ მრავალი ათასი ყმაწვილი გამოზარდა. ამ ხნის განმავლობაში ზოგიერთმა სალმრთო სჯულის მასწავლებელთაგანმა დიდი გამოცდილება შეიძინეს. გამოცდილება კარგი თვისებაა, თუ იგი შეძენილია კეთილ საიმედო პირობათა შორის, მაგრამ თუ გამოცდილება მოპოებულია არა კეთილ საიმედო პირობათა შორის, მაშინ ეს გამოცდილება შეიძლება საწინააღმდეგო გამოდგეს სკოლის წეს-რიგისათვის, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია უმაღლესი მთავრობისაგან. საეკკლესიო-სამრევლო სკოლის განახლების დიდი საქმე მოითხოვს ერთობას ამ სკოლის მოღვაწეთა შორის, განსაზღრულ გეგმას, მრავალ ათას ყმაწვილთა სასწავლებლად და თუ არ ვიხელმძღვანელებთ სკოლისათვის დადგენილი კანონებით და წესებით, მაშინ თითოეული ჩვენგანი იმოქმედებს თავის ნებაზე. თავისი გამოცდილების მიხედვით, რის გამო ჩვენს მოქმედებაში არ იქნება ერთობა, და თითოეული სკოლა წავა თავის ნებაზე და ბოლოს, შეიძლება, სულ აცდეს ჭეშმარიტ გზას. იმის მიხედვარე, რომ ჩვენმა სახალხო სკოლამ ბევრი უკულმართობა გამოცადა, საჭიროა დღეს მტკიცედ დავადგეთ ნაჩვენებ კანონთა, რომელნიც გამოცემულია ამ საზოგადო ძვირფასი საქმის საწარმოებლად.

დასავლეთ-ევროპის სკოლიდან მართალია შემოვიღეთ სწავლების საქმეში ზოგიერთი ახალი წესრიგი, რომელიც ჩვენთვის სრულიად გამოუსადეგია, მაგრამ ამ ახალ წესებსაც კიდევ გაუძლებდით, რომ ამ ცვლილებასთან დასავლეთიდან არ შემოგვპაროდა სხვა-და-სხვა ტენდენციები, რომელნიც შეეხებიან მართლ-მადიდებლობას და სარწმუნოებას და მათი წინაალმდეგნი არიან. დასავლეთ-ევროპის ახალი სკოლა ითხოვს, ასწავლონ მოსწავლეთ მხოლოდ ის, რისიც გაგება შეუძლიანთ მათ თავისი აზრით. „სწავლება დოგმატებისა და სასწაულებისა უკუგდებულია დასავლეთ-ევროპის სკოლისაგან, იმის გამო, რომ ბავშების გონება ვერ მიხვდება ამ საგნების ახსნა-განმარტებასო. ამის გამო დასავლეთ-ევროპაში სკოლებიდან თან-და-თან აძევებენ ყოველივე მას, რასაც მოითხოვს ჩვენი მართლ-მადიდებელი სარწმუნოება. დღეს ზოგიერთ ქვეყნებში სკოლებიდან უკვე გამოაძევეს ხატები, და მასწავლებელთ სამსახურიდან დათხოვნას უქადიან, თუ მათ სასწავლებელში იესო ქრისტეს სახელი ახსენეს. ჩვენშიაც შემოიღეს ევრისტიული მეტოდით სწავლება და ზოგი მასწავლებლები ისე არიან გატაცებული ამ მეტოდით, რომ არაფერ დაბრკოლებას არ ერიდებიან. რომ შორს არ წავიდეთ მაგალითის საჩვენებლად, თვალი გადავავლოთ საღმრთო ისტორიის მოკლე სახელმძღვანელოს. საღმრთო სჯულის სწავლების მეტოდიკის ვიღაც შემადგენელი, ერის კაცი, კმაყოფილი არ არის, რომ საღმრთო სჯულის სახელმძღვანელოში მოკლედ არის ნათქვამი, რომ ღმერთი მარადის მყოფია და ყოველივე ღვთისაგან შეიქმნა“. საღმრთო სჯულის მასწავლებელმა, ითხოვს მეტოდიკის შემადგენელი, ბევრი უნდა იშრომოს, შეადგინოს რამდენიმე გაკვეთილი, რომ ღვთის თვისებანი აუხსნას მოწაფეთ, და აი იგი თვითონ იძლევა რამდენიმე საუკეთესო გაკვეთილს, რომ ყმაწვილებმა სინამდვილით შეიგნონ, თუ ვინ არის ღმერთი. იწყება ლაპარაკი სოფლის სახლზე, დურგლებზე, ბუხრის მკეთებელზე, მდინარეზე, მზეზე, მთვარეზე, ბალახებზე და ყვავილებზე, შემდეგ ავტორი იძლევა ამ გვარ კითხვებს: „შეეძლო თუ არა რომელიმე კაცს ე. ი. დურგალს ანუ ბუხრის მკეთებელს გაეჩინა ეს ქვეყანა, მზე და წყალი?» შემდეგ ისევ სახლზე, ტანთ-საცმელზე, სასმელ და საჭმელზე, პურის მცენარეებზე, ნაყოფებზე და ხეებზე იწყება ლაპარაკი. და ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ ღვთის თვისებანი აუხსნან მოწაფეთ. მაგრამ ზემოთ მოხსენებულ უმნიშვნელო და უაზრო ახსნა-განმარტებისაგან სრულებით არ ირკვევა ღვთის თვისებანი. მხოლოდ ბევრი უთავბოლო და უაზრო ბაასის შემდეგ, ე. ი. გაკვეთილის გათავებისას მოწაფეებს ეუბნებიან ცარიელ სიტყვებს: ღმერთი მარადის მყოფია, უხილავი, ყოვლად შემძლე, და სხვა». მესამე გაკვეთილზე მასწავლებელი უკვე ეკითხება მოსწავლეს: ვხედავთ თუ არა ჩვენ ღმერთს და ვიცით თუ არა, ვინ არის იგი?» როგორ მოგწონსთ თქვენ ეს კითხვა? მართლა ბევრი უნდა იხეტიალო დასავლეთ-ევროპის სკოლების წეს-წყობილებაში, რომ დაბოლოს ასეთი რეგვნული სიტყვა სთქვა: „როგორია ღმერთი?“ სიტყვა «როგორი» ძლიერ მოსწონს მეტოდიკის შემადგენელს და ამავე სიტყვას ხმარობს, როცა იწყებს ყოვლად წმიდა სამების ახსნას. «როგორიც არის მამა ღმერთი, ისეთივეა ძე ღმერთი და სული წმიდა. ამ სამ პირთ აქვსთ თანასწორი ძალა: არ არის მათში არც უფროსი, არც უმცროსი და სხვა“. რასაკვირველია, ყოველივე მას, რაც საჭიროა და შესაძლებელი, რომ მოწაფეებმა იცოდნენ ღვთის შესახებ, ისინი თავის დროზე გაიგებდენ საღმრთო სჯულის სხვა გვარი სწავლებითაც. მაგრამ, ზოგიერთების აზრით, როგორ შეიძლება ღვთის სახელი მოვიხსენოთ, თუ პირველადვე არ ვიცით, როგორია ღმერთი? ერთის სიტყვით ზოგიერთი მასწავლებლის აზრით ყმაწვილს არ შეიძლება ასწავლო ისეთი რამ, რისიც მიხვედრა მას არ შეუძლია თავისი გონებით. ღმერთი ისეთივე საგანია ცოდნისათვის როგორიც კაცი, ცხოველი და ყოველივე, რაიცა ქვექანაზე არსებობს.

მეორე ტენდენცია, რომელიც დასავლეთ-ევროპიდან შემოგვეპარა ჩვენს სკოლებში, იმაში მდგომარეობს, რომ შესაფერ პატივს არა ცემენ ძველი აღთქმის ისტორიას. შეუფერებელი და მავნებელია საღმრთო სჯულის გაკვეთილზე ყმაწვილების ნორჩი გონება ვასაზრდოვოთ ძველი ებრაელების გონების ნაწარმოებით“-ო, გაიძახის დასავლეთ-ევროპის პედაგოგიკა. და მართლაც ჩვენი სკოლიდან გაძევებულ იქმნა ჟამნი და დავითნი, რომელთაგან პირველში შეკრებილია მრავალი ძველ ებრაელთა გონების ნაწარმოები, ხოლო მეორე მთლად ამ გვარი ნაწარმოებით არის სავსე. შემდეგ იწყეს მთელი ძველი აღთქმის ისტორიის გაძევება. „ძველ ისტორიაში გა-

ტარებულია შიში, ხოლო ჩვენ უნდა დავნერგოთ ბავშვებში სიყვარული“-ო. ჰკუის დასარიგებელი დაბადების მოთხრობები, განსაკუთრებით ბავშვებისათვის: აბრამზე, ისაკზე, იაკობზე, იოსებზე, მოსეზე და დავითზე გამოტოვებულ იქნა· ადამ და ევას შეცოდებიდან პირ-და-პირ იწყებდენ ყოვლად წმიდა მარიამის დაბადებას. მართალია, პროგრამებში დანიშნული იყო მოთხრობები ძველი აღთქმის საღმრთო ისტორიიდანაც, მაგრამ ამ მოთხრობათ ასწავლიდენ მეორე და ხან მესამე წლებში და ამ დროსაც ასწავლიდენ ამ მოთხრობათ მოსწავლეთ არა მათი ჰკუის დასარიგებლად, არამედ როგორც უბრალო ისტორიულ ფაქტებს.

არას გზით არ შეიძლება ამ ახალ თავის-ნება ცვლილებათა შემოღება ისტორიული მოთხრობების ახსნის დროს, არ შეიძლება საღმრთო პირთა სიტყვების ჩვენებურად გადაკეთება, რაიმეს მიმატება, და მოკლება, არ შეიძლება მაცხოვრის სიტყვებ შუა ჩვენი სიტყვების ჩამატება და შემდეგ მთელი ამ სიტყვების ფრჩხილებში ჩასმა, თითქო ჩვენი სიტყვებიც მაცხოვრისგან იყოს ნათქვამი.

საჭიროა დავიცვათ არა მარტო გარეგანი სახე საეკკლესიო-სამრევლო სკოლებისა, არამედ მიმართულება ძველი მართლ-მადიდებელი საეკკლესიო სკოლისა. ამ სკოლის გამასხვავებელი ნიშნებია: გულწრფელი კეთილ-მოწიწება ღვთის სიტყვისადმი, ღრმა მორჩილება გონებისა სარწმუნოების საიდუმლოთა წინაშე და კეთილ მოწიწებითი დაცვა მათი, მორჩილება ეკკლესიისა და კრძალულებითი შიში უმაღლეს არსების წინაშე, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს შვილებრივი სიყვარულით.

თქვენ, ღირსად პატივცემულნო მამანო და ძმანო, წილად გხვდათ ემსახუროთ ეკკლესიას და რუსეთს: დაიფაროთ საეკკლესიო-სამრევლო სკოლა, რომ იგი ადგეს ჭეშმარიტ გზას. ამიტომ თქვენთვის საჭიროა ებრძოლოთ როგორც გარეშე მტერთ ისე შინაურთ.. შინაურ მტერთან უფრო ძნელია ბრძოლა, ვინემ გარეშესთან. შინაურ მტერთან საბრძოლველად უფრო სხვა-და-სხვა ხერხია საჭირო. თქვენი მოქმედება სწორეთ რომ კეთილ დროიანია, სწორეთ ეხლაა საჭირო გონიერი მოქმედება, როცა ჩვენს ქვეყანაში ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაშია განათლების საქმე და ამიტომაც თქვენი შრომა დიდად ძვირფასია. და შეგეწიოსღა თქვენ ღმერთი, რათა პატივით შეასრულოთ თქვენი მოვალეობა ღვთისა, მეფისა, ეკკლესიისა და სამშობლოის წინაშე და მოიპოვოთ კეთილ და ბრძენ მოღვაწეთა შესაფერი ჯილდო.

## მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს მოგზაურობა კახეთში.

13 სექტემბერს, ნაშუადღევს, ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, რომელსაც ახლდნენ თან თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. მაყაშვილი, მაზრის უფროსი ბ-ნი განსევიჩი, ბლაღოჩინი დეკანოზი მ. ხელაშვილი, სამრევლო-საეკკლესიო სკოლების ზედამხედველი მ. ნიკოლოოზ ჯაჯანიძე და სხვა სასულიერო და საერო წოდებისანი, გაემგზავრა ალავერდისაკენ. იპრველსავე სოფელში—ვარდისუბანში დაათვალიერა სამრევლო ეკკლესია და სკოლა, გამოსცადა მოსწავლენი, კმაყოფილი დარჩა საღრმთო სჯულის მასწავლებლისა მღ. ტაბლიევისა და სხვა საგნების მასწავლებელისა და მადლობა გარდაუხადა. აქედგან რუისპირის ეკკლესია დაათვალიერა და საღამოს, ლოცვის დროს მიბრძანდა ალავერდს. იქ, ტაძრის დათვალიერების შემდეგ, დაიწყო დაუჯდომლით ლოცვა. მლოცველი ბრძანდებოდა მათი ყოვლად უსამღვდელოესობა ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი. ჰგალობდა თელავის სასულიერო სასწავლებლის ქართულ-რუსული მგალობელთა გუნდი ბ-ნი ნიკოლოოზ სულხანიშვილის ლოტბარობით. ალავერდის ტაძრის ხმის მოცემა აორკეცებდა და აშვენებდა გალობასაც, მშვიდობიანის და ასამაღლებელის წარმოთქმასაც.

14 სექტემბერს მათმა მეუფებამ ფლაბიანემ და ეპისკოპოსმა კირიონმა სწირეს. წირვაცა და ლოცვაც დიდებული იყო. თითქოს განგებას ამ ტაძრის დასამშვენებლად შეუქმნია მთავარ-დიაკვანი კ. კარგარეთელი, ისე უხდებოდა მისი სასიამოვნო მაღალი ხმა ამ ტაძრის სიდიადეს. აგრეთვე მშვენიერად იგალობა ქართულადაც და რუსულადაც სასულიერო სასწავლებლის მგალობელთა გუნდმა. წირვაზედ წინა

დღეს მთავრად ნაკურთხი აკურთხეს მღვდლად და ერთს ახალ-გაზდა მღვდელს იროდიონ შავლისშვილს უკურთხეს სამღვდელო ენქერი.

ალავერდს მრავალი ხალხი იყო მოსული. მრავალი ყველი და თუშური ქუდი იყო გასასყიდად მოტანილი, აგრეთვე ერბო, შინაური პირუტყვი და სხვა სოფლის ნაწარმოები. მთიდამ ჩამოსულიყვნენ ფშავ ხევსურნი, თუშები და ქისტები, ინგილოდგან ინგილონი და კახელ-ქიზიყელნი. ყველას თავისის ნაწარმოების სხვაზედ გადაცვლა უნდოდა. აქავე იყვნენ უცხო ქვეყნის შვილები სამეცნიერო აზრით მოგზაურნი ბარონი დე ბაი და სხვ., რომელნიც სურათებს იღებდნენ მთიელებისას, სწერდნენ ჩაცმულობას და ყიდულობდნენ კიდეც მთიელ ქალების ზოგიერთ მოსართავს.

აქ განზრახ მოვიხსენიე მოკლედ ალავერდობას შეკრებილი ხალხის ვინაობა და მოსვლის საგანი. ხშირად სცდებიან ჩვენებიც და უცხონიც, როცა ალავერდობას შეკრებილ ხალხს სარწმუნოებრივ გრძნობის ნაკლებულობას უზრახავენ. უნდა იცოდნენ, რომ ალავერდობა ჯერ ბაზრობაა და არა შეკრება მლოცავებისა სატაძრო დღესასწაულ დღეს. ეს მნიშვნელობა ჰქონია წინადაც და ექნება იმ დრომდე, ვიდრე მთებში კარგი გზები არ იქნება გაყვანილი და იქაც არ გაიდგამს ვაჭრობა ფესვს. სწორედ ალავერდობა ის დროა, როცა ყველა ნაწარმოები ხელში აქვს სოფლელს ბარელსაც და მთიელსაც და როცა ამ ნაწარმოების გარდაცვლა შესაძლებელია. ბარელს უნდა: ერბო, ყველი, საკლავი, მატყლი, ქუდი და სხვ. მთიელს უნდა: ხახვი, ნიორი, ჭრელი წინდაპაჭიჭი, ჩახსაკრავი, ღვინო, არაყი, საფართლო, ჭურჭელი და სხვ. ყველა ამის გასაღებ-შეძენაშია ხალხი. ამისათვის ზრუნვა შიგ ტაძარშიაც შეაქვს, თუ-კი შევიდა. ამიტომ ის მოწიწება არ ეტყობა არც ტაძარში და არც ტაძრის გარეთ, როგორი მოწიწებითაც ის სხვა დროს არის. ვინც ამ მხრივ არ დაუკვირდება, იგი ბევრს ნაკლს შესწამებს აქ მოსულთ მთიელ-ბარელებს.

წირვის შემდეგ მათი მეუფების ალავერდის ეპისკოპოსის სადილზედ ბრძანდებოდა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, მათთან თელავიდგან წამოსულები და აქავე დაესწრო ბ-ნი აკაკი და თ. ბაგრატიონი. წირვის შემდეგ ზოგნი გამოეთხოვნენ, მიიღეს მღვდელ-მთავრული ლოცვა-კურთხევა და წავიდნენ. მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ძალიან კმაყოფილი დარჩა მგალობელთა გუნდისა, გამოსთქვა აზრი, რომ სასულიერო სასწავლებლის მგალობელთა გუნდი არაფრით არ ჩამორჩება ჩემს მგალობელს გუნდსაო. ლოტბარს ბ-ნ ნიკოლოზ სულხანიშვილს დიდი მადლობა უბრძანა.

საღამოს 5 საათზედ მათი ყოვლად-უსამღვდელოესობა გაემგზავრა სოფ. ქისტაურისაკენ, გზა და გზა ეკკლესიები დაათვალიერა და მიბრძანდა თავ. კიაზო ერისთავისას, რომელმაც წინათვე სთხოვა, მისას დარჩენილიყო ერთ ღამეს. აქ კნეინა ანნა ერისთავისა შეეგება მათ ყოვლად უსამღვდელოესობას დაახლოებით შემდეგი მოკლე სიტყვით ქართულს ენაზედ: «კახეთის თავად-აზნაურობა დიდი სიხარულით და სასოებით მოგელოდდით, თქვენო მეუფებავ, და ეს მოლოდინი იყო არა ჩვეულებრივი: ჩვენ მოგელოდდით, როგორც ვასილი დიდსა და იოანნე ოქროპირსა. დარწმუნებულნი ვართ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, რომ ისევე განაახლებთ და აღორძინებთ ჩვენს ქვეყანაში ქრისტეს სწავლას, როგორც ვასილ დიდი და იოანნე ოქროპირი, და ისევე განამტკიცებთ სარწმუნოებას, როგორც ანდრია პირველ-წოდებულმა დაამკვიდრა და განამტკიცა იგი საქართველოსა და რუსეთში».

15 სექტემბერს, დილით, დიდად ნასიამოვნები თავ. ერისთვის მასპინძლობით მისი მეუფება წამობრძანდა ქისტაურიდგან აწყურისაკენ. ხოდაშენში დაათვალიერა ეკკლესია, რომელშიაც მშვენიერის სიტყვით შეეგება მ. სპირიდონ მთვარელიშვილი. 9 საათზედ მობრძანდა ს. აწყურის სამრევლო ეკკლესიაში, სადაც მღ. ალადაშვილმა შესაგებებელი სიტყვა მოახსენა. აქ განიხილა დეკანოზის პეტრე კონჭოშვილისაგან შეწირული სახარება, რომლის მდიდარმა, მშვენიერმა შეჭედულობამ მათის მეუფების ყურადღება მიიქცია. აქედგან აბრძანდა თეთრ-გიორგში, სადაც დაჰხვდა წინამძღვარი ამ ეკკლესიისა, ეპისკოპოსი ალავერდისა კირიონი. ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე და ეპისკოპოსი ალავერდისა სხვა თანამგზავრებით წაბრძანდნენ აწყურის ორ-კლასიან სკოლის დასათვალიერებლად. გამოსცადეს მოსწავლენი ორივე განყოფილებისა სუყველა საგნებში და აღმოჩნდა, რომ საღმრთო სჯულის ცოდნით სუსტნი იყვნენ.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ, როგორც სხვა სასწავლებლებში, აქაც თავისის ხელით ჯვრები დაურიგა მოსწავლეთ. შემდეგ იგემოვნა ამ სკოლასთან არსებულ საბაღოსნო განყოფილების ნაყოფი: ნესვი, ვაშლი, მსხალი, ყურძენი და სხ. და წაბრძანდა ს. იყალთოს პირდაპირ ღვთაების ტაძრისაკენ, რომელიც დაარსებულია ზენონ იყალთოელისაგან და სადაც ერთს დროს არსებობდა აკადემია.

(დასასრული შემდეგ №-ში).

---

## ჩემი მოგზაურობა უწერაში (რაჭაში)

შვიდი-რვა წელიწადი იქნება, რაც მე უწერას არ ვყოფილვარ და იქაური მჟავე წყლები არ მიგემებია. წელს, 24 ივლისს გავემგზავრე უწერისკენ. მივედი უწერას. მაგრამ უწერათ ვეღარ ვიცანი. დღეს უწერა უდრის ერთ პატარა დაბას. აქ ჩინებული სახლები და ლამაზი სასტუმროებია აგებული. განსაკუთრებით შესანიშნავია ერთი სასტუმრო გორდეზიანისა. ამ სასტუმროში ოცი ნომერია, ნამეტურ მოსაწონია სიწმიდე, რომელიც ამ სასტუმროში სუფევს. ალბათ ამ სასტუმროს პატრონი სხვა ქალაქებში ნამგზავრია. აქაური ხალხი ზრდილობას მიჩვევია. მათი სიტყვა-პასუხი და მიხვრა-მოხვრა უწინდელს არა ჰგავს. უწინ აქაურ ქალებს ეცვათ ჩოხა, პაჭიჭები და ყელზედ ძიმები ეკიდათ. ეხლა იმათ ასეთი მორთულობა მიუტოვებიათ და ჩვენებურად არიან ჩაცმულ-დახურულნი. მიუბრუნდეთ ისევ სასტუმროებს: თითოეულ სასტუმროს ყოველ ნომერში არის ორ-ორი საწოლი, ორი-სამი მაგიდა და კედლის სარკეები. ერთ კუთხეში სდგას პატარა მაგიდა, რომელზედაც იმექონება ტაშტი და თუნგი პირის დასაბანად, ფანჯრებზე ფარდებია; ყოველ გვარი სასმელ-საჭმელი იშოვება სასტუმროებში. ქათამი, რძე, კარაქი, ყველი და მაწონი ყოველ დილა საღამოს მოაქვსთ გასასყიდლად სოფლის პატარა ბავშებს. წელს ბევრი ხალხი იყო უწერას. ვინ არ გნებავსთ, რომ აქ არ იყოს: გლეხი, აზნაური, თავადი, მასწავლებელი, ნოტარიუსი, სამღვდელო და სხვანი. მოსულ სტუმრებში უმეტესი ნაწილი მოსულა არა მჟავე წყლისათვის, არამედ საგრილებლად და დროების გასატარებლად. ჰავა მართლაც კარგია აქ. მაგრამ დილა საღამოს, ნამეტურ როცა მოღრუბლულია, ან წვიმაა, სიცივეა, სასტუმროებში კი არც ბუხარი და არც ფეჩი არ არის და რომ იყოს, კარგი იქნებოდა, ნამეტურ ავათმყოფებისათვის.

26 ივლის, კვირას წირვა მოვისმინეთ აქაურს ეკკლესიაში როგორც სტუმრებმა ისრე მასპინძლებმა, მაგრამ ერთიც და მეორენიც ცოტანი ვიყავით. ზემოთ მოგახსენეთ, რომ შვიდი-რვა წლის განმავლობაში უწერის სახლები და სასტუმროები, რომლებიც ეკკლესიის გალავნის გარშემო არიან, ისე გამშვენებულან, რომ უწერათ ვეღარ ვიცანი-მეთქი. ეკკლესიას კი არაფერი უმჯობესობა ეტყობა, ისრეთივე ძველი კედლები, ძველი სახურავი, ძველი ხატები და უვარგისი სამრეკლოა, როგორიც ძველ დროში იყო. ეკკლესია, როგორც ეტყობა, აღშენებულია თამარ დედოფლის დროს. ეკკლესია ქვიტკირისაა და კარგა მოზრდილი, კედლები აქვს მაგარი და მაღალი; საჭიროა, რომ ამ ეკკლესიაზე დასავლეთით და სამხრეთით მიშენებული უბრალო შენობები მოაშორონ, რადგან ეს შენობები ეკკლესიას აუშნოებენ, თვითონ ეკკლესიის კედლებს უნდა შელესვა; საჭიროა ტაძარს გაუკეთდეს გულბანი. საჭიროა კანკელი, ქვის იატაკი ხის მაგივრად, აგრეთვე ღსავლის და გვერდის კარები. სასირცხოდ უნდა მიაჩნდეს უწერლებს, რომ სახლებს ამრავლებენ, ამშვენიერებენ და ეკკლესია ისევ იმ მდგომარეობაშია, როგორშიაც იყო. ნუ თუ არ შეუძლიათ აქაურებს, რომ თავიანთი შემოსავლიდან ცოტა ეკკლესიას მოახმარონ? ეკლესიის ამ გვარი მდგომარეობა არც აქაური სტუმრებისთვის უნდა იყოს სასიქადულო; ნუ თუ მათში არავინ გამოჩნდა კეთილი საქმის მოყვარე, რომ ტაძარს რამე ნივთი შესწიროს. ნუ თუ მჟავე წყლის პატრონს არ შეუძლია, რომ ყოველ წელს ხუთიექვსი თუმანი ამ ეკკლესიას შესწიროს?

მჟავე წყალი დაშორებულია მიმსვლელების ბინიდგან ერთი ვერსით, შუაზედ რიონი ჩამოუდის. ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ სახლები და სასტუმროებია და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მჟავე წყალი; რიონზედ, რასაკვირველია, ხიდია. ამ ხიდამდი სასტუმრო სახლებიდამ ვაკე გზაა და ხიდს იქით აღმართი, ამ აღმართს გზაზე, ერთი მეორეზედ დაშორებით სამი გრძელი სკამია გაკეთებული გამყრელიძისაგან დაღლილების დასასვენებლად: შემდეგ

მიბრძანდებით მჟავე წყალზე. აქ არის გაკეთებული საჩრდილებელი მიმსვლელებისათვის, სადაც სამოც კაცამდე დაეტევა. ამ საჩდილებლის დაშორებით ერთ საჟენზე არის წყალი, რომლის თავზე აშენებულია პატარა ოთახივით ქვითკირი და შიგ წყალია. მას აქვს კარი დასაკეტი; ეს წყალი და მის ახლო-მახლო ადგილები ეკუთვნის რაჭაშივე მცხოვრებს ზემორე ხსენებულს აზნაურს გამყრელიძეს. აქ ჰყავს მას დაყენებული ყმაწვილი აზნაური, რომელსაც საჩრდილობელში წინ მაგიდა უდგია, მაგიდაზედ აქვს სხვა-და-სხვა ქართული წიგნები გასასყიდი და ერთი ყუთი, ყუთში აქვს ბილეთები, რომლებზედაც წყლის პატრონის სახელი და გვარი სწერია. ყმაწვილი ურიგებს ბილეთებს, ვისაც რამდენი სტაქნის დალევა სურს. ბილეთი კაპიკათ არის; შემდგომ მოსამსახურე ბიჭს მიაქვს სტუმრებთან მჟავე წყალი ჭიქებით. სტუმრები იღებენ ჭიქას და თითო ბილეთს პოდნოსზედ სდებენ. წყლის სმის დროა დილა და საღამო. ვისაც სურს, ბოთლით ბინაზე მოაქვს წყალი სასმელად. თითო ბოთლი სამ კაპეიკად ღირს. ხიდს გაღმა, სანამ აღმართს შეუდგებოდეთ, მეორე მჟავე წყალია რიონის პირად. ეს წყალი ბევრით არ ჩამოუვარდება უკან ზემოთ მოხსენებულ წყალს და ვისაც ფული არა აქვს, ამ წყალს ეტანება. უწინ არც ზემო მჟავე წყალზე ახდევინებენ ფულს, მაგრამ ამ წყლის პატრონმა გააჩინა ფასი. წინეთ თითო მიმსვლელი შაურს მისცემდა დღეში და რამდენი ჭიქაც უნდოდა, დალევდა, ან რამდენი ბოთლი წყალიც უნდოდა, წაიღებდა; აგრეთვე მეორე დღესაც მეორე შაურს მისცემდა თითოეული. ასე მიდიოდა მჟავე წყლის სმა. ასეთი წესი შემოიღეს დღეს, ვინაიდგან ზოგი ბევრს ხმარობდა მჟავე წყალს და ზოგი კი ერთ ჭიქას ვერ შოობდა. მჟავე წყლის სიახლოვეს არის ერთი ადგილი, რომელსაც სასუნებელს ეძახიან. მივლენ და გახვრეტილი მასრით დაეწაფებიან, პირველად ეს სასუნებელი ერთობ აწუხებს კაცს; ეს აღკრძალულია ექიმებისაგან, მაგრამ მაინც არ იშლიან ზოგიერთები მოწევას.

უწერა დაშორებულია დაბა ონზე ცამეტი ვერსით, მდებარეობა უწერისა მაინც და მაინც მოსაწონი არ არის, ყოველის მხრით მაღალი მთებით არის შემოზღუდული.

ჩემს იქ ყოფნის დროს უწერაში მობრძანდა რაჭის მაზრის უფროსი თ. დადეშკელიანი, მათი მოსვლა ძლიერ სასიამოვნოდ დაურჩა ნამეტურ სამეგრელოს თავად-აზნაურობას, სადაც ის ნამსახური ყოფილა, ჩვენი მაზრის საზოგადოებაც ერთობ კმაყოფილია ბატონი დადეშკელიანისა; მისი სიტყვა-პასუხი, მისი მოქმედება და მისი ყოფა-ქცევა ნამდვილ საყურადღებოა; ის არ დიდ-კაცობს როგორც სხვა თავადი და ან ამისი ხარისხის კაცი; გლეხთან გლეხურად იქცევა და თავადთან თავადურად. არის სიმართლის მოყვარე და ბოროტების მოძულე. ბოროტი კაცისთვის ცეცხლია და კეთილისათვის მალამო. ერთი წელი არ არის, რაც ეს სახელოვანი კაცი რაჭას ეღირსა. ბ. დადეშკელიანი ცდილობს, რომ დაბა ონში დაარსოს საქალებო სკოლა და თუ მართლა ეს განზრახვა შეასრულა, მაშინ ეს სკოლა მის საუკუნო სახსოვრად დარჩება რაჭაში.

მღ. ალ. შარაბიძე

---

## შეიარაღებული მშვიდობიანობა, საყოველთაო იარაღის აყრა.

ერთ უცხოეთ გაზეთში აწერილია დღევანდელი ჯარების რაოდენობა სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში. მშვიდობიანობის დროს რუსეთს შეიარაღებული ჰყავს ერთი მილიონი ჯარის კაცი. ყოველ წელს სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაჰყავთ 280 000 კაცი. ომიანობის დროს რუსეთს შეუძლია ფეხზე დააყენოს $2^1/_2$ მილიონი ჯარის კაცი, რომლებსაც უნდა მივუმატოთ კიდევ 6.947,000 სათადარიგო ჯარის კაცი და «აპალჩენიის რატნიკები».

მეორე ადგილი უჭირავს საფრანგეთს თავისი 589,000 მუდმივი ჯარით, რომლის რიცხვი ომიანობის დროს ადის 2,500,000-მდე; თუ მივუმატებთ სათადარიგო ჯარის კაცებს, მაშინ ომიანობის დროს საფრანგეთის ჯარის რიცხვი ავა 4, 370,000-მდე. ყოველ წლივ ეს უკანასკნელი რიცხვი 16,000-სით მატულობს.

ყველაზე უკეთესად მოწყობილი ჯარი ჰყავს გერმანეთს. მას მშვიდობიანობის დროს შეიარაღებული ჰყავს 585,000 ჯარის კაცი; ათი დღე

განმავლობაში შეიძლება ამ ჯარის ფეხზე დაყენება და ამ დროს მისი რიცხვი ავა 2,230,000-მდე. სათადარიგო ჯართან ერთად გერმანიის ჯარი შეიცავს 4,300,000 კაცს.

მუდმივი ჯარი ავსტრო-უნგრეთისა უდრის 365,000 კაცს; ომის დროს ეს ჯარი იმატებს 2.500 000-მდე, ხოლო სათადარიგო ჯართან ერთად შეიქმნება 4,000,000.

იტალია, რომელსაც ძალიან ხშირად მისდგომია გაჭირვება უფულობის გამო, იძულებული იყო შეემცირებია მუდმივი ჯარი, რომელიც არ აღემატება 174,000 კაცს. მაგრამ ომის დროს იტალიას შეუძლია გამოიყვანოს 1.473,000 ჯარის კაცი და გარდა ამისა მოიწვიოს კიდევ დროშის ქვეშ 727,000 სათადარიგო ჯარის კაცი.

ყველაზე უფრო ცოტა ჯარი ევროპის სახელმწიფოთა შორის ჰყავს ინგლისს: მას გაჭირვებით შეუძლია გამოიყვანოს 220,000 კაცი, ხოლო სათადარიგო ჯართან, მილიციასთან და თავისუფალ მეომრებთან ერთად—არა უმეტეს 720,000-ისა.

ამ ჟამად ევროპაში მუდამ შეიარაღებულია 4.250,000 კაცი. რომ უცებ მსოფლიო ომმა იფეთქოს, ლაშქრად წავა 16,410,000 მეომარი, ხოლო სათადრიგო ჯართან ერთად—34 მილიონი· ეს უზარ-მაზარი ჯარი რომ ერთ ზოლზე ოთხ-რიგად გავამწკრივოთ, დაგვჭირდება მადრიდსა და პეტერბურგს შუა არსებული მანძილი. 1.680 ოთხ-კუთხ მეტრზე მოუწევს 9 ჯარის კაცი და 79 უბრალო მცხოვრები. საზოგადოთ კი, ევროპაში ერთ ჯარის კაცზე მოუწევს 10 მცხოვრები, ანუ 50 მამაკაცი.

აზიაში მშვიდობიანობის დროს ირიცხება 500,000 ჯარი, წვრილ-წვრილ სახელმწიფოების ჩაუთვლელად· ჩინეთის ჯარი ვერც კი დაუთვლიათ; ზოგიერთები ამბობენ, ეს ჯარი 1,200,000 კაცს უდრისო, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზეა. აფრიკაში ადგილობრივი ჯარის რიცხვი არ აღემატება 250,000-ს.

ამერიკის ჯარი ევროპასთან შედარებით მეტად მცირეა. მაგალ. მექსიკას შეუძლია გამოიყვანოს 120,000 კაცი, ხოლო ბრაზილიას 28,000, რომლებსაც უნდა მივუმატოთ, 20,000 ჟანდარმი. შეერთებულ შტატებში მშვიდობიანობის დროს იარაღის ქვეშ იმყოფება მხოლოდ 25,000 კაცი, მაგრამ ომის დროს იწვევენ ჯარში ყველას, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია, წლოვანებით 18-დან 45 წლამდე; ასეთ პირობებში ამერიკას შეუძლია შეადგინოს 10 მილიონი ჯარი,

მთელ დედა-მიწის ზურგზე მუდამ შეიარაღებულია 5,250,000 ჯარის კაცი; მსოფლიო ომის დროს კი შეიძლება შეიარაღდეს 44,250,000 კაცი.

მთელი ეს ჯარი, გამწკრივებული ერთ ზოლად წარმოადგენს ერთ გაბმულ ჯაჭვს ქვეყნის გარშემო ისე, რომ თვითოეული ჯარის კაცის თოფი იდება წინ მდგომი კაცის ბეჭზე მარტო ერთი გასროლა ამ თოფებისა ეღირება $2^1/_2$ მილიონი ფრანკი. ამ რიგად რომ გამწკრივებული ჯარი დავათვალიეროთ, შეუჩერებლივ უნდა ვიაროთ მატარებლით 70 დღე და წუთში 2,000 კაცი დავათვალიეროთ.

ევროპის ჯარების შესანახი ხარჯი მათ რიცხვზეა დამოკიდებული, მაგალითად, რუსეთი ყოველ წლივ ხარჯავს 772,500,000 ფრანკს, გერმანეთი—676 მილიონს, ავსტრია—432,500,000-ს იტალია—26,250, ათასს, ინგლისი—450,000; ხოლო ყველა ექვსი სახემწიფო—4 მილიარდს და 230 მილიონ ფრანკს.

ყველაზე უფრო იაფად ჯდება რუსეთის ჯარის კაცი; ის ღირს წლიურად მხოლოდ 772 ფრ. და 50 სანტიმი; გერმანეთის ჯარის კაცი ჯდება ყოველ წლივ 1,162 ფრ. და 50 სანტ., ავსტრიისა—1,175 ფრ., იტალიისა—1545 ფრ., საფრანგეთისა—1,633 ფრ. და ინგლისისა—2,046 ფრანკი.

თითო მცხოვრებს რუსეთში მოუწევს ჯარის შესანახად 6 ფრანკი, გერმანეთში 13 ფრანკი, ავსტრიაში—10-მდე ფრ., იტალიაში—9-მდე, საფრანგეთში—18 ფრანკი და 25 სანტ. და ინგლისში—12 ფრანკი.

ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც არა ნაკლებ მძიმედ აწევს სამხედრო ხარჯები მაგალითად ოსმალეთის სამხედრო ხარჯები უდრის 172,500 ათასს ფრანკს. დანიის სამხედრო ხარჯი არ აღემატება 2,750,000 ფრანკს, მაგრამ ეს რიცხვიც დიდია ასეთი პატარა სახელმწიფოსათვის. საზოგადოთ ევროპის ყველა მეორე ხარისხოვანი სახელმწიფოები ხარჯავენ [illegible] ჯარებზე 614,500,000 ფრანკს.

ხვითეულ წუთში ევროპა ხარჯავს სამხედრო საქმეზე 137 ფრანკს და 50 სანტიმს.

ყოველივე ზემო აწერილიდან ადვილი მისახვედრია, თუ რად ეღირება მსოფლიო ომი. ჩინეთ იაპონეთის უკანასკნელმა ომმა შთანთქა 250 მილიონი ფრანკი. ხოლო ევროპის ომის დროს. დაიხარჯება მილიარდამდე ფრანკი, რომელსაც კიდევ უნდა მივუმატოთ აუარებელ ადამიანთა სიკვდილი და ქონების დაღუპვა. გერმანეთს საგანგებოდ ომისათვის შენახული აქვს 450 მილ. ფრან., მაგრამ ეს, რასაკვირველია, წვეთია ზღვაში, თუ სახეში მივიღებთ, რომ ომის დროს გერმანეთის ჯარი კვირაში 150 ფრანკი ეღირება.

ამერიკის რესპუბლიკები ყოველ წლივ ხარჯავენ სამხედრო საქმეზე 522 მილ. ფრ. თუ ამას მივუმატებთ ევროპისა, აზიისა და აფრიკის სამხედრო ხარჯებს, მაშინ 6 მილიარდი ფული ჭეშმარიტებასთან ახლო დაგვანახვებს, თუ რამდენს ხარჯავენ ყოველ წლივ ყველა სახელმწიფოები თავიანთი ჯარების შესანახად.

ასეთი აურაცხელი ხარჯი, რა თქმა უნდა, სრულიად უნაყოფოა; იგი, ასე ვთქვათ, აშრობს შემოსავლის წყაროს, ამრავლებს ისედაც მძიმე გადასახადებს, არ აძლევს საფინანსო მოქმედების წესიერად წარმოების ნებას, ასუსტებს მწარმოებელ ძალას სახელმწიფოსას და ძირს უთხრის საზოგადოების კეთილ-დღეობას. კაცობრიობა დიდი ხანია ცდილობს, რომ დაამყაროს მშვიდობიანობა არა ხიშტებისა და ზარბაზნების ძალ-მომრეობაზე, არამედ სამართლიანობის საფუძველზე. რომ საერთა-შორისო დავის გადაწყვეტა ეკუთვნოდეს სამედიატორო სასამართლოს. რომ მოისპოს «ბარბაროსობის ნაშთი» და სხვა.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ აკაკის კრებულის-ს მე·XII №-ი (აგვისტოს წიგნი), შემდეგი შინაარსით: I განყოფილება „ნატვრის თვალი“, «მომაკვდავის ჩვენება“ ლექსი, «წერილი თავ. ი. მაჩაბლის გამო», «მე და ჩემი პენცია», „უბრალო საუბარი“. მე-II განყ. ლექსები: «მიმკვლევია», «სტუმრები“, „განთიადი“, „ჭალარა», „თემურ-ლენგის ტყვე», «ახლანდელი სიმღერა», „შეცდომა“, «ყარიბი», „ქუთაისი“, „ხალხური“, «მცირე ლოცვა», «ალბომში», «გ...ს», «ავადმყოფი მგოსანი», „მწუხრი“, „ნეიტრალი», «ქრისტე აღსდგა», „მესტვირე რას ამბობს“, „სამი დრო“, „ხატის წინ» «რამ მომარჩინა?» „მღერალ ქალს», „პასუხი“, „პანორამა“, «სამძიმარი», „თვალებო!“ „მახვილი თუ ინდუსტრია?!“. III-მე განყ. «ციცების ლექსი», ჩაწ. ს. მერკვილაძისაგან. «ხათაგანი და შვათაგანი“ ზღაპარის, ჩაწ. თ. ძველაიასაგან, «ოქრუა», ზღაპ. ჩაწ. ს. მერკვილაძისაგან, „ხალხური ლექსები», კახეთში შეკრებილი ზ. ჩხიკვაძისაგან, „ვეზირის მამა“, ზღაპ. ჩაწ. ა. მაჩაბლისაგან, „მედიერე“, ზღ. ჩაწერილი მერაბიშვილისაგან, «ასთორმეტი წლის მოხუცი», ჩაწ. ს. მერკვილაძისაგან, «განცხადება».

წიგნის ბოლოში აკაკი აცხადებს, რომ ამ ნომრის შემდეგ იგი შეაჩერებს «კრებულის» გამოცემას მომავალი წლის პირველ იანვრამდე, საიდანაც დაიწყება წელიწადიცაო.

—

31 აგვისტოს გავისტუმრეთ ოჩამჩირედგან ქუთაისისაკენ ბლაღოჩინი მ. ი. კერესელიძე, რომელიც 16 წელიწადს ემსახურებოდა, როგორც ყველასათვის საყვარელი და კეთილი მოძღვარი, ოჩამჩირის საზოგადოებას, ხოლო აფხაზეთის ეპარქიას — 18 წ. მამა იოანნეს და იმის ძვირფასის ოჯახობის მოშორებამ დიდად დაუთუთქა გული ოჩემჩირელ მკვიდრთ. საზოგადოებამ გამოსათხოვარი სადილი გაუმართა 30 აგვისტოს და, უღრმესის პატივის ცემის ნიშნად, მაცხოვრის ხატი მიართვა საჩუქრად. სამღვდელოებას ცალკე ჰქონია გამოწერილი ჯვარი მამა იოანნესთვის მისართმევად, მაგრამ დროზე ვერ მოუსწრო. მეორე დღეს საზოგადოება გამოეთხოვა და მამა იოანნე ქუთაისისკენ გაისტუმრა...

მან თავის ახალგაზდობა აფხაზეთის ეპარქიას შესწირა და არც უნაყოფოდ ჩაუვლია იმისს შრომას. სადაც ყოფილა, ყველგან სიყვარული დაუმსახურებია. მამა კერესელიძე დიდხანს იყო მისიონერად აფხაზეთის მივარდნილს კუთხეებში, მხოლოდ 1882 წ. ოჩამჩირეში იქნა გადმოყვანილი ბლაღოჩინად. ვისურვებთ, რომ მამა იოანნეს ახალს სამწყ-

სოშიაც ისეთივე სიყვარული და თანაგრძნობა დაემსახურნოს, როგორიც დაბა ოჩამჩირეში დაიმსახურა.

—

მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა ფლაბიანე, 16 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, დაბრუნდა ტფილისს ქართლ-კახეთის ეპარქიიდან. ამ მოხლე ხანში ექსარხოსი კვლავ გაემგზავრება ტფილისიდან ეპარქიის დათვალიერების განსაგრძობად.

ექსარხოსთან ერთად ჩამოვიდა ალავერდის მონასტრიდან ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად-სამღვდელო კირიონი. «ც. ფ.»

—

ამას წინეთ დაიბეჭდა პეტერბურგის სითხიზლის საზოგადოების ანგარიში 1894 – 1897 წწ. ამ ანგარიშიდან ცხადათ ჩანს, თუ რა დიდი ვნება მოაქვს მთვრალობას. ამ საზოგადოების ერთი წევრის გ. ს. დერგიმონის გამოანგარიშებით 1895 წელს მთვრალობისაგან დაზარალებულა რუსეთში 35,000 კაცი. ამათგან მეტის მეტი მთვრალობისგან მომკვდარა 5,895 კაცი; მთვრალობის დროს დახრჩობილა 9,165 კაცი; დამლა დაცემია 3,287 კაცს, მთვრალობის დროს დახოცილან სახურავებიდან, კიბეებიდან, ფანჯრებიდან, ცხენებიდან დ ურმიდან ჩამოვარდნის დროს 8,754 კაცი. თავი გაუტეხიათ კედლებზე და ფარნის ბოძებზე მირტყმევით 2,896 კაცს; მთვრალობის დროს თავი ჩამოუხვრჩვიათ 834 კაცს, გულის დამლა მოსვლიათ მეტი-მეტი სმისაგან 1252 კაცს, ზემოდან ჩამოვარდნის დროს ტვინის შენძრევისა გამო დახოცილა 538 კაცი; დამწვარა მთვრალობის დროს 1530 კაცი, თავი მოუკლავთ 674 კაცს, ხოლო თავი მოუწამლავთ 376 კაცს. ყველა ზემოთ აღნიშნული შემთხვევები შემოწმებულია ექიმებისაგან. ამაებს გარდა რამდენ მიცვალებულის გვამს ნახულობენ მდინარეებში, რომელთა გვამი შეუმოწმებელი რჩება. მინდვრებში და ტყეებში რამდენ ძვლებს ნახულობენ ადამიანებისას, რომელნიც მტაცებელ მხეცთა ლუკმად შექმნილან. რამდენი დამწვარან სახლებში ცეცხლის გაჩენის დროს? ხსენებულ საზოგადოებას, როგორც ჩანს მისი ანგარიშისაგან, ხელთ აქვს მრავალი წერილები, რომელნიც ცხადათ მოწმობენ, თუ რა უბედურებას უქადის კაცობრიობას მთვრალობა. ერთ წერილში დედა ევედრება ყველას დაეხმარონ მის ერთად-ერთ შვილს, რომელიც სხვა-და-სხვა მაგარი სასმელების ხმარებით ისპობს სიცოცხლეს; მეორე წერილში ცოლი წერს თავის ავადმყოფ მეუღლეზე, რომელიც თუმცა კარგი მშრომელია, მაგრამ მეტი-მეტი სმისგან აღარ შეუძლია მუშაობა, მესამე წერილში ქმარი იწერება თავის მემთვრალე ცოლზე, რომელთანაც ქმარს ვეღარაფერი გაურიგებია, ბავშები ღვთის ანაბარად არიან გაშვებულიო, ოჯახს ყურის მგდებელი არა ჰყავს, და მეც აგერ-აგერ ჰკუიდამ შევიშლებიო. ასეთ წერილებზე, როგორც ანგარიშიდანა ჩანს, საზოგადოებას უძლევია შესაფერი პასუხები.

—

25 სექტემბერს მისი უმაღლესობის ნება-რთვით წარუდგა მის უმაღლესობას, დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს ბორჯომში ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა დეპუტაცია: მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის სასახლის კამერგერი გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. წერეთელი, სამაზრო წინამძღოლნი: ქუთაისისა — თავ. ნიჟარაძე, ოზურგეთისა — დავ. ერისთავი და შორაპნისა — აბაშიძე, სამი საპატიო აზნაურნი: გენერალ-ლეიტენანტი თავ. მიქელაძე, გვარდიის პოლკოვნიკი თავ. აგიაშვილი და სტ. სოვ. ლორთქიფანიძე. დეპუტაციამ სთხოვა ნამესტნიკად ნამყოფს, გვეწვიეთ ქუთაისში და გუბერნიის, თავად-აზნაურთაგან სადილი მიირთვითო. მისმა უმაღლესობამ გულითადი მადლობა გადაუხადა დეპუტაციას და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, მაგრამ ქუთაისში წვევაზე უარი სთქვა, დანიის დედოფლის სიკვდილის გამო. ამასთან მისმა უმაღლესობამ შემდეგი სიტყვებით მიმართა დეპუტაციას:

მე უკვე ვაცნობე თქვენს წინამძღოლს ის მიზეზები, რომლების გამო ვერ გეწვევით ქუთაისში, რის საუკეთესო დასამტკიცებელი საბუთი გახლავთ აი ეს. (ამასთან დიდმა მთავარმა უჩვენა სამგლოვიარო ძაძა მკლავზე).

გთხოვთ, ნუ მიიღებთ ამ უარს ჩემი გრძნობების თქვენდამი შეცვლად. მე სავსებით მჯერა, როგორც ყოველთვის, მთელი ქართველი ხალხის გულწრფელობა, და ჩემი სიყვარული თქვენდამი არავის არ უნდა ეეჭვებოდეს. გულ-ახდით გეუბნებით, ბატონებო, რომ უძლიერესად მესიამოვნა თქვენი ყურადღება ჩემდამი და ვწუხვარ, რომ ამ ჟამად ვერ წამოვალ თქვენთან.

თქვენ შორის არიან ისეთები, რომელნიც ჩემ დროს სულ ბავშვები იყვნენ და რომლებსაც, როგორც ვხედავ, ჩანერგვიათ ის გრძნობები, რომლებითაც მათი მამები იყვნენ ჩემდა მომართ. გთხოვთ გადასცეთ თავად-აზნაურთ ჩემი გულითადი მადლობა. მიგაჩნდეთ მე ყოველთვის თქვენს კეთილის მსურველად და მომმართავდეთ ხოლმე ყოველ ისეთ შემთხვევაში, როცა დაგჭირდებათ ჩემი შემწეობა უმაღლეს მთავრობის წინაშე!»

ამის შემდეგ მისმა უმაღლესობამ მიმართა დეპუტაციის თვითეულ წევრს და გამოჰკითხა მათ მათი ადგილობრივი საჭიროება.

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე

## ოჯახის კერა

### მამა კაცი და დედაკაცი.

### V.

### თავის თავის დაპყრობა ჭაბუკისა.

(რუსულიდამ)

მოზარდ თაობის ბედნიერებით ღრმად გამსჭვალული ვარ და ამიტომაც უძღვენი მას რამდენიმე წერილები: „ჭაბუკი ოჯახში“, „ჭაბუკი საქმეზე“, „ჭაბუკი ეკკლესიაში“, «ჭაბუკი და ქორწინება». ხოლო ეს წერილი კი, რომელსაც ახლა ვიწყებ, წინასიტყვაობაა ჩამოთვლილ წერილებისა, რომელიც შეეხება ახალ-გაზდისაგან თავის თავის დაცვას. ის მოზარდი, ვინც ვერ იმორჩილებს საკუთარ გულის თქმათა და ვნებათა, ვერც ერთ სფერაში ვერ მიაღწევს იდეალს. მისი ცხოვრება, თუნდ გარეგნობით ბრწყინვალე ჩნდეს, მაინც უბედური იქნება, თითქმის ყოველის მხრით. უბედური არ არის ადამიანი, როდესაც იგი შეუმჩნეველი და სიღარიბეში ჩავარდნილია, არამედ მაშინ, როდესაც უხმო მონაა თვისი ველური ბუნებისა. ბევრი მოწინავე პირნი კაცობრიობისა, წინასწარმეტყველნი ᲓᲐ წმიდანები დევნულნი და გაკიცხულნი იქმნენ. ცხვრისა და თხების ქურქით იმოსებოდენ. მათი ბინა კლდეები და გამოქვაბულები იყო. მარად ჟამ სიღარიბეში იყვნენ. სტანჯავდნენ და აყვედრიდენ. ბევრი აწამეს, სიცოცხლეს გამოასალმეს, თუ აქვნდათ სალსარი ხსნისა და სიცოცხლის დაბრუნებისა. მათ არასოდეს არ უგემებიათ სიტკბოება სიმდიდრისა, დიდებისა, ბრძანებლობისა. მარტო სარწმუნოების ქომაგთაც არ რგებიათ ასეთი ხვედრი. ბევრი წარჩინებული გვამნი იძულებული იყვენ „ეტარებიათ სიცოცხლეში ბორკილი და დაწაფებოდენ მწარე ხვედრის ვესლს“.

გამოჩენილი პოეტის სპენსერის თაყვანის მცემელი ფინეას ფლეტჩერი სწერს თვის თხზულებაში: «ფურფურის ფერი კუნძული“:

„მას იმედები არ აუსრულდენ, მისი განზრახვა
არ შეიწყნარეს,
ვერ მიხვდენ იმის აზრებსა; ნაღვლით აივსო ჰირვეული გულ-ჩათხრობილი,
სიღარიბეში ცხოვრობდა, სიღარიბეში საწყალმა,
დალია სულით“.

ვიცით კიდევ, რომ მილტონის ბრწყინვალე სულსაც მოიცავდა ზოგჯერ ნაღველი:

«მოვიდნენ მისთვის დღენი მწუხარებისა, დღენი
ცილის წამების,
გარემოიცვეს უკუნ-წყვდიადმა, განსაცდელმა და
სულით სიობლემ“.

ვისი კეთილ-შობილური გული არ ატოკდება, და დაწყნარებული გასძლებდა, როდესაც ბახუსისა და მისი თაყვანის-მცემლების განცხრომას ხედვიდა, სტიუარტების დინასტიის აღდგენის აუტანელ ხანებში?

ბნელი და მოკლე შეხედულებისაა ის კაცი, ვისაც არ სჯერა, რომ ზოგჯერ მოჩვენებული მარცხი სრული ბრწყინვალე ძლევა მოსილებაა, ხოლო ის, რაც გამარჯვებად ითვლება, სრული მარცხია.

ყოველი ახალგაზდა ჭეშმარიტებად უნდა სთვლიდეს, რომ «თავის-თავის პატივის ცემას, დამორჩილებას, და ცნობას, მხოლოდ ეს სამი თვისება მიაღწევინებს ჩინებულად“.

სამეფო სასახლის ერთ-ერთ ოთახის სარკმელზე დაცულია წარწერა, რომელიც მოწმობს, რომ იმ ოთახში სცხოვრობდა ოდესმე გმირი გენრიხ V, რომელიც კარგად ცნობილია «არა მარტო როგორც მძლეველი მტერთა, არამედ თავის თავისაც“.

მან სძლია მტერი აზინკურთან, მაგრამ უფრო ძვირად კი თავის თავის ძლევა დაუჯდა: ძნელი იყო წინანდელ უგუნურებასთან შებრძოლება, და ამ ბრძოლის მოგება ძლევა-მოსილება იქნებოდა. რამდენთ მოუხვეჭიათ დაფნის გვირგვინი გმირობისა და ბრძოლის ველიდან მტერთა განდევნისათვის, მაგრამ ამავე დროს საშინლად დამარცხებულან მათი არსებობის წინაშე, სულისა და გულის მტერთან. იმათ ამარცხებდათ საკუთარი ბუნების მდაბალი, სამარცხვინო ვნებანი.

«სულ-მოკლე, მლიქნელ ალერსით
მაყვარებს იგი მოსვენებასა, განცხრომას, ფუფუნებასა.
—თუ ვემორჩილე, მაშინ ვღალატობ თავსა,
ის ორგული მეგობარია ჩემი, მტერია განრისხებული,
საბრხე, შემაცდენელი, ეკლით მოფენილს ცხოვრების გზაზედო“.

ალექსანდრე მაკედონელმა სახელოვანად მოიგო ომები ისსისა, გრასიკისა და არბელის მახლობლად; მან შეჰქმნა უდიდესი სახელმწიფო მთელს დედამიწაზედ სიყმაწვილეშივე, სანამ კიდევ ოცდა ცამეტი წლის არ იყო. მაგრამ ეს სახელოვანი ახალგაზდა ბერძენი ბაბილონში მოკვდა თვისი ბუნების მდაბალი ლტოლვილებისაგან დამარცხებული, თითქმის იმ სახით, როგორც კვდებიან ლოთობისა და გარყვნილებისაგან გრძნობა დაკარგულნი. ნაპოლეონ I-მა ასი ომი მოიგო სახელოვანად. მაგრამ ატლანტიის ოკეანის ერთ-ერთ კლდოვან და უდაბურ კუნძულზედ გაგდებულმა ვერ ჰპოვა ნუგეში და მარად ჯამ გედზონ ლოეს ეჩხუბებოდა სამარცხვინო თამაშობისა და ლოტოს თამაშობის დროს.

წინააღმდეგ ამისა შეხვედებით გარეგან მტრების მიერ დამარცხებულთ, რომლებსაც მთელ სიცოცხლეში ერთხელაც ვერ მიუღწევიათ მიზანს — მტრებზე გამარჯვებას. მათი გულ-კეთილობისათვის ჯვარზედ აკრავდენ. მწუხარებაში და გაჭირვებაში ლევდენ სიცოცხლეს, საპყრობილეში თუ სახრჩობელაზე კვდებოდენ. მაგრამ დარწმუნდით, რომ სწორედ ამ გვარი ადამიანები მოიხვეჭენ უკვდავ გვირგვინს. განა მაცხოვრის ქვეყნიური ცხოვრება ერთი ამ ბრწყინვალე მარცხთაგანი არ არის? განა ქრისტიანობის მქადაგებელნი ამ დიდებული იდეალით არ იყვნენ გამსჭვალულნი? ვის არ გაუგონია ქრისტეანული ანდაზა: «გზა ჯვარისაკენ — გზა სინათლისაკენო“. «არ არის ჯვარი (სატანჯველი), არ არის გვირგვინი»-ო. დანტე ამბობს: «ზეციურ სასუფეველს ვერ დაიმსახურებთ ყვავილებით მორთულ ტახტზე საჩრდილობელს ქვეშო».

ნუ გგონიათ, რომ იდეალი ჯვარისა მძიმე, მწუხარებითა და სევდით მოცული იდეალი იყვეს. პირიქით ის იდეალია მუდმივი ნეტარებისა და უპირატესობისა, თითქმის აღტაცებისა, რომლის არც მონიჭება და არც წართმევა არ შეუძლია სოფელს.

სიმართლისათვის წამებულნი თვით უსაშინელეს სატანჯველის დროსაც დიდ სიხარულს გრძნობდენ. ისინი თვით ცეცხლშიაც ბედნიერნი იყვნენ. ხშირად მოწამეთა პირის სახეზედ, რომლებიც ცეცხლის ალშიაც აპყრობდენ აკანკალებულს ხელებს, სინათლეს დაინახავდით, რაც არასოდეს არ ღირსებიათ ქვეყნიური ბედნიერებით შემკულთ. ხოლო უფრო დაბალი წოდების ადამიანები, რომლებსაც ციური ტახტი მოუხვეჭიათ, სოლომონ ბრძენივით ღაღადებდენ ქვეყნიური დიდების ამაოებას. მეფე ტიბერისავით სჩიოდენ: «ყველა ღმერთები და ღმერთაები ჩემი წინააღმდეგნი არიანო“, და სეპტიმი სევერისავით: «მე ყველაფერი ვიყავ, მაგრამ არც ეს გამომადგა რამედო». რისათვის? იმიტომ რომ ის ერთად ერთი საიდუმლოება ცოტად თუ ბევრად ბედნიერება არ არის დამოკიდებული გარეგან პირობებზე. წყარო ბედნიერებისა და სიცოცხლისა დამარხულია თითონ ჩვენს არსებაში. როდესაც ადიმიანის გული მოუსვენარია, უკმაყოფილოა, თუ მას არ ათბობს დამშვიდებული სინიდისის სინათლე — მაშინ არაფერს არ შეუძლია მისი გაბედნიერება. რითაც და რა სახითაც იყო, მას უღალატნია თვისი დიდებული გრძნობებისათვის, და პატიოსანი ლტოლვილებისათვის; დიდი უბედურებაა, როდესაც ბუნება, რომელიც შექმნილია კეთილ-შობილური მოქმედებისათვის, სიყმაწვილიდანვე ეტანება წუთიერს სიხარულს და ჰაერს მოწყურებული ჰყლაპავს სიცოცხლეს წვლილ-წვლილი ყლუპით.

ამ მდგომარეობასაც საღვთო წერილით დავასურათებთ: მაცხოვარი ბრძანებს: «ადამიანის ცხოვრება არ არის დამოკიდებული ნივთიერ სიმდიდრეზეო? წმ. მოც. პავლე სწერს ქრისტეანებს: «არა რაჲ გვაქვს და ყოველივე გვაქვსო“.

ამ რიგად ყოველი ბედნიერება, ყველა კეთილშობილური გრძნობები, ყოველი ჭეშმარიტი ნაყოფიერება წარმოსდგება თავის-თავის დამორჩილებისაგან. იქნება კიდევაც ეუცხოვოს ვისმეს, რომ ჩვენი «მე» — საძირკველი ჩვენი არსებობისა, — მთელი, რაც კი გვანიჭებს ნამდვილ უკვდავებას, თანშობილი არ არის, შობიდანვე არ დაგვყვება, ის ჩვენ უნდა შევიძინოთ. ჩვენ უნდა ვსწვრთნათ თავის თავი, რომ მივაღწიოთ მას. ჩვეულებრივი მიხვრა-მოხვრაც იმის გამომეტყველია, თუ რა წარმოდგენა გვაქვს თავის თავის დაპყრობაზე. საზოგადოდ თავის თავის დამორჩილება იმას ნიშნავს, რომ ადამიანი არ აჩენს გარეგან ნიშნებს მღელვარებისას ან შიშისას რაიმე უბედურების დროს, ის იმორჩილებს კუნთებს პირის სახისას. მას შეუძლია ჩააქროს მღელვარება, გრძნობები, რაც სხვებს მაშინვე შეემჩნევათ. როდესაც იტყვიან რომელიმე ახალგაზდაზე «ის თავის თავის უფროსიაო», ეს იმას ნიშნავს, რომ იმ კაცს აქვს შეძლება რაც სურს, ის მოიქმედოს. მაგრამ ნამდვი-

ლი მნიშვნელობა «თავის თავის დაპყრობისა და უფროსობისა“ სრულიადაც არ ეხება გარეგნობას, ის ღრმად არის ჩამწყვდეული ადამიანის ბუნებაში.

ადამიანის ბუნება მარტივი კი არ არის, რთულია. მისი სიმშვენე და ბედნიერება დამოკიდებულია სურვილებისა, მიზიდულებისა და ძალ-ღონის ურთიერთ შორის გარმონიულ კავშირზე. ჩვენ ვიმორჩილებთ თავის თავს მაშინ, როდესაც ისე გაწვრთნილი ვართ, რომ უპირატესობას ჩვენი ბუნების საუმჯობესო და უკვდავ თვისებას უთმობთ, და სამუდამოთ ვსპობთ მდაბალს, ბუნების გამხრწნელს ელემენტებს.

ამ ჭეშმარიტებას არა ქრისტიანეთა ზნეობის მოძღვარნიც გრძნობდენ. ყველაზე მომეტებულად პლატონი ასრულებდა მას. ის წარმოგვიდგენს ადამიანის სამ სახოვან არსებათ, რომელშიაც შეერთებულია: ლომი, მრავალ თავებიანი ვეშაპი, და ადამიანი. ლომი ნიშნავს სულის სურვილებს, რომლებიც ხშირად უპატიოსნონი არიან, მორჩილების წრეს გარდასცდებიან და ამ რიგად შეიქნებიან გამხრწნელად ადამიანის ბუნებისა. ვეშაპი, რომელსაც ყველა პირუტყვების – შინაურისა და გარეულის—თავები აბია, სხეულის სურვილებს ნიშნავს. ადამიანი ჭკუის წარმომადგენელია. «არა არის რა უსაშიშრესიო, ამბობს სოკრატი, იმისა, როდესაც პატივს ვსცემთ მრავალ თავიანს ვეშაპს, ვაღონიერებთ ლომს, ვასუსტებთ და სიმშილით ვკლავთ ადამიანსაო».

მღ. ჩხაიძე.

შემდეგი იქნება.

---

## საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა შეიძლება თუ არა მიეცეს მოწმობა ერთსა და იმავე პირს რამდენჯერმე?

მიგება. შობასა და მონათვლაზე, გვირგვინის კურთხევაზე და გარდაცვალებაზე კანსტორიდან ან კანსისტორიებიდან მხოლოდ ერთ გზის ეძლევათ მოწმობა მთხოვნელთ. თუ ეს მოწმობა დაეკარგა ვისმეს, მაშინ მეორეჯერ ამგვარი მოწმობის მიღების თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინოს მოწმობა პოლიციიდან, რომ მას პირველად მიცემული მოწმობა დაეკარგა და მხოლოდ მაშინ მიეცემა მოწმობა მეორეჯერ. რაიცა შეეხება მეტრიკული წიგნიდან ამოწერილობას მიცემას კრებულის მიერ, ესეთი მოწმობა კი შეუძლია მიეცეს ერთსა და იმავე პირს რამდენჯერმე, მაგრამ მეტრიკაში უნდა ნიშნავდეს კრებული მას, თუ რამდენჯერ აქვს გატანილი ამგვარი ამოწერილობა მთხოვნელს და ყოველთვის უნდა მოითხოვდეს ოთხ აბაზიან მარკას მოწმობაზე დასაკრავად.

კითხვა. როცა ვინმე მეტრიკის მოწმობას თხოვილობს კანტორიდან ან კანსისტორიიდან, სამი ოთხ-აბაზიანი მარკა უნდა წარადგინოს თუ ორი?

მიგება. ჩვენის აზრით, მეტრიკის მოწმობის მთხოვნელმა უნდა წარადგინოს ორი ოთხ-აბაზიანი მარკა: ერთი თხოვნისათვის და მეორეც მოწმობისათვის როგორც თხოვნის პასუხისათვის. თუ მესამე მარკას თხოვილობენ იმ წერილისათვის, რომელიც ადგილობითი პოლიციას ეგზავნება მეტრიკული მოწმობის მთხოვნელზე გარდასაცემათ, ეს უკანონო იქნება, რადგან პოლიციაზე მაწერილი ქაღალდი პასუხი კი

არ არის მთხოვნელისათვის, არამედ ნათხოვნი ქალიშვილის გადაცემაა.

კითხვა. რა სასჯელს მიეცემა ის პირი, რომელიც შემოსილ მღვდელს შეურაცხყოფას მიაყენებს დღესასწაულებში სამრევლოში პარაკლისების გარდასახდელად სიარულის დროს?

მიგება. თუ მღვდელს შეურაცხყოფა მიაყენეს პარაკლისის შესრულების დროს, მაშინ დამნაშავეს ორი თვიდან რვა თვემდის დააჯენენ სატუსაღოში და თუ სხვა დროს, მაშინ ერთი თვის სატუსაღოში დაპატიმრება გადაუწყდება ან 8 მან. გარდახდება საზრიელო.

კითხვა. კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენს აღსარებითი სიაში არის ერთი ხაზი, რომელშიაც ინიშნებიან სამხედრონი. ვინ უნდა იყოს აღსარებითი სიაში ნაჩვენები სამხედრო პირად: ისინი, რომელნიც მართლა სამხ. წოდებაში მსახურებენ, თუ ისინიც, რომელნიც დათხოვნილნი არიან «ზაპასათ», და ან რომელთაც სამხედრო უწყებაში უმსახურნიათ და შემდეგ გამოსულან შტატ-გარეთ და სამრევლოში მსახურებენ? ამასთან ვისი შვილები უნდა ინიშნებოდნენ აღსარებითი სიაში სამხედრო წოდების შვილებად?

მიგება. ეს კითხვა სწორედ დროის შესაფერი კითხვაა და ძლიერ საჭიროა, რომ ჩვენმა სინოდალნი კანტორამ ამ კითხვის შესახებ თავისი აზრი გამოუცხადოს მღვდლებს და განუმარტოს, თუ აღსარებითი სიაში ვინ აჩვენონ სამხედრო წოდების პირებად. დღემდის, თუმცა სამხედრო წოდების პირებად, ჩვეულებისამებრ, აჩვენებენ ყველა თავად-აზნაურთა, მაგრამ ეს, ჩვენის აზრით, წესიერი არ უნდა იყოს. ჩვენის აზრით სამხედრო წოდების პირებად უნდა იწერებოდნენ ისინი, ვინც მართლა სამხედრო წოდებაში მსახურებს. ეს აზრი კარგად არის განმარტებული უწმ. სინოდის უკაზში 28 თებერვლიდან 1889 წ. № 2. ის პირები, რომელთაც უმსახურნიათ და გამოსულან შტატ გარეთ, ისევე თავის უწინდელს ცხოვრებას უბრუნდებიან და ამიტომ ისინი სამხედრო წოდების პირებად აღარ ირიცხებიან.

---

## რედაქციის პასუხი.

**სოფლის მღდელს.** ერთ ემბაზში ორი და სამი ბავშვის მონათვლა შეიძლება. ბავშვი ტრაპეზზე სამთხვევად ალსავლის კარით უნდა შეიყვანოს.

**მღ. ი. ქავთარაძეს.** უმჯობესია თქვენ მონახოთ კერძო პირი, რომ მიიღოს საწყობიდან საეკლესიო სანთელი და თქვენ მოგიტანოს.

მიიღება ხელის-მოწერა 1898 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

# „მწყემს"-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2 მ. |
| — „ რუსული „ 3 მ. | — „ რუსული „ 2 » |
| — „ ორივე გამოცემა 5 » | — „ ორივე გამოცემა 3 » |

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ქვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაკაროვთან; საჩხერეში — ყარამან ჩხეიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალსენაკში — სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირიდონ ან. მაჭარაძესთან.
სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ქვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты, журнала „МЦКЕМСИ" и «ПАСТЫРЬ».

მომავალი წლის ხელის მომწერთათვის დანიშნულია საჩუქრად წიგნი საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი, ლექსად დაბეჭდილი უცნობი ავტორისა, რომელსაც ხელის მომწერნი მიიღებენ 1898 წ. დეკემბრის თვეში.

კერძო საავადმყოფო ამბულატორიითურთ

## ს. გ. თოფურიასი.

ქ. ქუთაისში.

საავადმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ქირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავადმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავადმყოფებს მიიღებს
ექ. ს. ბ. თოფურია.

ქირურგიულ, შარდით და სიფილისით
ექ. ფ. კ. გერრატი.

დედაკაცურ ავადმყოფთა და საბებიოს ქალი-
ექ. მ. ფ. კოგანი.

თვალების ავადმყოფისათვის
ექ. ი. კ. ვარშავსკი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავადმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

შინაარსი:

**სალიტერატურო განყოფილება:** სიტყვა სარწმუნოების სჯულის სწავლებაზე, თქმული უწმ. სინოდთან არსებული უმთავრესი სამასწავლებლო რჩევის საგანგებო კრებაზე დეკან. პეტრე სმირნოვის მიერ. — მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს მოგზაურობა კახეთში. — მოგზაურობა უწერაში. — შეიარაღებული მშვიდობიანობა, საყოველთაოდ იარაღის აყრა. — ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე:** ოჯახის კერა, მამაკაცი და დედაკაცი. თავის თავის დაპყრობა ქაბუკისა.
— საეჭვო კითხვების განმარტება.
— რედაქციის პასუხი. — განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

*Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 сентяб. 1898 г. ✦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.*

"Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 23—24 1883—1898 31 დეკემბერი.

P 38837

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტერატურო განყოფილება:** ძველი წლის უკანასკნელი სიტყვა ჩვენ ძვირფას მკითხველისადმი.—შესაძლოა თუ არა სამღვთო-წერილის წიგნები მხედრული ასოებით დაიბეჭდოს.—მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი პალლადი მიტრაპოლიტი პეტერბურგისა და ლადოგისა. (ნეკროლოგი).—ქართული გალობის საქმე.—მცხეთის ტაძრის შესახებ.—თანამედროვე სკოლის და სახელმძღვანელოების ნაკლი.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა** და **კეთილ-ზნეობაზე:** ნუ სცნობს მარცხენე შენი, რას იქმს მარჯვენე შენი (ნამდვილი ამბავი).—გაეცი მოწყალება ფარულად (რუსულიდან).—მღვდელთა საყურადღებოდ. —ოჯახის კერა. მამაკაცი და დედაკაცი. ქალიშვილები.

**საჭირო** და **სასარგებლო** ცნობათა განყოფილება: საეჭვო კითხვების განმარტება.

რედაქციის პასუხი.— შეწირულებანი.—განცხადებანი.

## ძველი წლის უკანასკნელი სიტყვა ჩვენ ძვირფას მკითხველისადმი.

როდესაც ჩვენ საზოგადოებას გონებითი თვალით გადავხედავთ და მის ცხოვრების მიმდინარეობას დავაკვირდებით, ყოველთვის განსვენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვები გაგვახსენდება, რომელიც მან წარმოსთქვა იმერეთის ერთ-ერთ ეპარქიის სამღვდელოების კრებაზე. «როდესაც მოვდიოდი—ბრძანა მან—პირველად იმერეთის ეპისკოპოსად, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმედი მქონდა, რომ ჩემის სამსახურით ჩემს სამწყსოს დავეხმარები მის გონებით, ზნეობით და ნივთიერად დაწინაურების საქმეში. აი სწორედ 25 წელიწადი გადის, რაც შეძლებისადაგვარად ვემსახურები ჩემს სამწყსოს. პირველ ხანებში ჩემს სამწყსოში, განსაკუთრებით რაჭის მაზრაში ისეთი ადამიანები ვნახე, რომ სწორედ პირველი საუკუნის ჭეშმარიტ ქრისტიანებს

შესადარებელი იყვნენ: აქ იყო ქრისტიანული ძმათმოყვარება, და ამისთვის ძლიერ იშვიათი იყო, რომ სადმე ისეთი ცუდი საქმე მომხდარიყო, როგორიც დღეს ასე გავრცელებულია ჩვენს საზოგადოებაში. პირველ ხანებში ათას მანეთობით ნასესხ ფულში თითო ულვაშის ღერს იძლეოდენ და, რაც უნდა დამართოდათ, ამ ულვაშის ღერს დაიბრუნებდნენ თავისი ვალის გასტუმრებით. სად იყო თამასუქების წერა ანუ ნოტარიუსები?! საკმაო იყო ვასხობითი ბარათის ბოლოს თავის ხელით კაცს ჯვარი დაეხატა. არასოდეს ამ თავის ხელით დახატულს ჯვარს ის არ უარჰყოფდა. 25—30 წლის შემდეგ მე ჩემს სამწყსოს ველარა ვცნობ. როგორ წარმოიდგენს კაცი, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ქრისტიანები არიან, იმდენი კაცის კვლა, ცარცვა-გლეჯა და თავიანთ მოძმეთა გაუტანლობა იყოს, რამდენიც ჩვენშია!. ამას წინად, რევიზიის დროს, ერთი საცოდავი გლეხი მოვიდა ჩემთან და ფულის მოუცემლობას უჩიოდა თავის მეზობელს; თუმცა ჩემი საქმე არ იყო, მაგრამ მე მაინც დავიბარე მისი მოვალე და, სხვათა შორის, ვუთხარი, რომ, თუ ფულს არ მისცემდა, მაშინ მას ნამუსი არ ჰქონებია და უმჯობესია ულვაშები მოიპარსოს. იგი ცოლს დაეკითხა და შემდეგ ჩემთან მოსულმა განმიცხადა, რა გაეწყობა, ბატონო, მოვიპარსავ ულვაშებს და ფულის მიცემა არ შემიძლიაო. ეს კაცი თურმე დაარწმუნეს უფრო მით, რომ ქალაქის ადგილას, ზოგიერთ ღენარლებსაც კი ულვაშები მოპარსული აქვსთო... რას მივაწეროთ ეს სამწუხარო მოვლენა? წინ მივდივართ, თუ უკან ვიწევით...

ამ სიტყვების თქმაზე თითქმის ტირილი მოუვიდა განსვენებულ მღვდელ-მთავარს. და მართლაც ვინ არ შესწუხდება და არ დამწუხრდება, როდესაც ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას გაითვალისწინებს კარგად და გულდასმით! რომელი კუთხიდან არ გაიგებთ, რომ თითოსა და ოროლ კვირას მშვიდობიანად ჩაევლოს და ადამიანის დაშავება და ყაჩაღობა არ იყოს! მართალია, ჩვენი ხალხი წინადაც ბევრი დახოცილა, მაგრამ მტერთან ბრძოლის დროს, მამულისა და სარწმუნოების დაცვისათვის და არა ღვინის ჭარბად მიღების დროს თავისიანებში და ახლობლებში, მხოლოდ თავის ჭირვეულობისა და უსაქციელობის დასაცველად!.. სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე რომ გული აცრუებულია—ამას ხომ ბევრი დამტკიცებაც აღარ უნდა. ნივთიერი სილატაკე თანდათან ფეხს იდგამს და ხომ სულს უხშობს ყველას. თუ ვინმეს რაიმე გააჩნია, ან მამაპაპეული, ან კეთილ-შეძენილი, მზად არიან ბანკში დააგირაონ და იქიდან გამოტანილ ფულს, რაც შეიძლება, მალე ბოლო მოუღონ. უმეტესობა ყოველ შრომაზე ხელაღებული და გაღატაკებული მხოლოდ ლხინისა და სადღესასწაულო სუფრის ძებნაშია. და ღვინით შეხურებული ხშირად მზად არის მცირეოდენ კინკლაობაში რამოდენიმე კაციც კი იმსხვერპლოს დაუზოგველად და შეუბრალებლად. ამგვარ შემთხვევებს, რომელსაც წინად შეიძლება ათასში ერთხელ შეხვდებოდით, ეხლა უფრო და უფრო სიხშირე დაეტყო. მოზარდი შთამომავლობა მოასაკებულებისაგან იღებს მაგალითს და ამნაირად ის, რაც წინად შეიძლება ძალიან იშვიათი იყო, ეხლა საყოველთაო მოვლენად არის გამხდარი... ვინ ჰყავს ხალხს გულშემატკივარი და რიგიან გზაზე დამყენებელი თავის მოძღვრებს გარდა? და ან ვინ უნდა ზრუნავდეს თავის სამწყსოზე ისე ერთგულად, როგორც მოძღვრები?..

აი, ამ წლის გამთავეს უნდა დაფიქრდეს კაცი და მოსთხოვოს თავის თავს ანგარიში? რა მოუმოქმედნია მას თავის სამწყსოთა სასარგებლოდ და რით აღნიშნა მან ცხოვრებაში თვისი ნაშრომის კვალი ამ საზოგადო სარბიელზე. თუ შენ, ძმაო, დაო და შვილო, არავითარი კვალი არ დაგიჩენია განვლილი დროის განმავლობაში, ფუჭე ყოფილა შენი ცხოვრება და უსარგებლო ცხოვართა არსებობაზე. თუ შენ შენის ცხოვრებით შენს მოძმეს მოეხმარე, შენი სამწყსო რიგიანად დამწყსე და კეთილ გზაზე დააყენე, ნეტავი შენ, რადგან შენ აღასრულე შენი მოვალე-

ოზა, მაგრამ ის არ იფიქრო, შენთვის საკმარისი იყოს მარტო წირვა-ლოცვა და საიდუმლოების აღსრულება. ერთ უმთავრესს შენს მოვალეობას შეადგენს ქადაგება და დამწყსვა შენი სამწყსოისა...

ყოველივე ... ონისძიებას ვიხმართ, მომავალ წელიწადში ხელი შეუწყოთ ჩვენ თანამოძმეთა, რომელნიც საჭიროებენ დახმარებას ამ საჭირო და სასარგებლო საქმეში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბევრისათვის საკმაო იქნება ისიც, რასაც იგინი ამოიკითხავენ «მწყემსი»-ს იმ განყოფილებაში, რომელშიაც მოთავსებულია ხოლმე სარ მუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის სიტყვა-მოძღვრებანი.

მივულოცავთ ყველა ჩვენ ხელისმომწერთა მომავალს ახალს წელიწადს და ვისურვებთ, რომ მათთან ძმური კავშირი, 1883 წლიდან დაწყებული, მრავალს წელს გაგრძელებულიყოს, ჩვენი ეკკლესიის სასარგებლოდ და ჩვენი საზოგადოების სანუგეშოდ.

დ. კ. დ. ღამბაშიძე.

---

P. S. კარგა ხანია, რაც ჩვენ ვიწყეთ სასულიერო და საერო კალენდრის გამოცემა. ამ კალენდრების გამოცემის დროს ჩვენ სახეში გვქონდა დახმარება გაგვეწია ჩვენი სამღვდელოებისათვის. ამისათვის ფასიც მცირე ჰქონდა დადებული კალენდრებს და უნდა მართალი ვთქვათ, რომ ეს კალენდრები ხალხში კარგა ბლომად ვრცელდებოდა. მაგრამ სამწუხაროდ იძულებული შევიქენით, რომ ამ კალენდრების გამოცემისათვის თავი დაგვენებებია და აი რა მიზეზისათვის: ყოველ ქვეყანაში და ყოველ საზოგადოებაში, ჩვენს საქართველოს გარდა, კალენდრების და დრო-გამოშვებით გამოცემათა შესახებ შემდეგი წესი არსებობს: ყოველი პირი, რომელსაც სურს რაიმე გამოცემის მოპოება, ახალი წლის დამდეგს გზავნის ხვედრ ფულს, სადაც რიგია, და იბარებს ჟურნალ-გაზეთებს და კალენდრებს. ჩვენში კი ჟურნალ-გაზეთების და კალენდრების ხელმოსაწერი ფულების გასაგზავნ დროდ ზოგიერთებს მიაჩნიათ შემდეგი წლის დასაწყისი და ისიც კარგია, თუ მაშინაც სრულად გაგზავნეს. ასეთი წესი კარგა ხანია სუფევს ჩვენი გამოცემის „მწყემსი“-ს შესახებ და, საუბედუროდ, ეს წესი ჩვენ მიერ გამოცემულ კალენდრებზედაც გადმოიტანეს. საჭიროა შეიტყოს ჩვენმა მკითხველებმა, თუ რა ოსტატობით მოქმედობენ ამას ზოგიერთი, ესრედ წოდებული, აგენტები. ეს აგენტები ფულებს თავის დროზედ იღებენ, მაგრამ შენ კი გწერენ, რომ ფულები ჯერ არ აგვიღიაო. წლის გამთავეს, თუ ცოცხალი დარჩა ან აგენტი და ან გამომცემელი, ახალი წლის დამდეგს გამოგიგზავნის წარსული წლის ფულებს და მასთან იბარებს ახალი წლისათვის ჟურნალ-გაზეთებს და კალენდრებს და ამისათვის ხვედრ ფულებსაც იღებს, მაგრამ შენ არ გიგზავნის, იგი შემთხვევას უყურებს წლის დამლევამდე, რომ ეს ფულები შეირჩინოს...

ჩვენ მადლობელი ვართ ზოგიერთი ჩვენი აგენტებისა, მაგრამ ზოგიერთებზე რომ გული არ გვტკიოდეს, არ შეიძლება. ამ წელში ჩვენ ვეცდებით, რომ ყოველ გვარი კალენდარული ცნობები, რომელნიც საჭირონი არიან ჩვენი სამღვდელოებისათვის, ჩვენს გამოცემაში მოვაქციოთ ხოლმე და ამით გაუადვილოთ სამღვდელოებას სასულიერო კალენდრების უმექონებლობა.

დ.

---

# შესაძლოა თუ არა სადვთო წერილის წიგნები მხედრულის ასოებით დაიბეჭდოს.

«მწყემსი»-ს მე-22 №-ში მოთავსებული იყო „ღია წერილი“ თელავიდან, რომლითაც დამწერი რამოდენიმე კითხვას უძღვნიდა საზოგადოებას საგულისხმოდ და პასუხის გასაცემად. როგორც წინა №-ში ვპირდებოდით ავტორს, ვაპირებთ რამოდენიმე სიტყვის თქმას ამ საგნის შესახებ. თვითეულ კითხვაზე პასუხის გაცემას არ ვაპირებთ და საჭიროდაც არ ვრაცხთ. ჩვენ შევეხებით მარტო საზოგადო მოსაზრებას.

წერილის ავტორი სურვობს ამ საკითხის გარდაწყვეტას: «თუ რომელის ანბანით უმჯობესია საეკკლესიო წიგნებისა და აგრეთვე ძველისა და ახალის აღთქმის დაბეჭდვა“. მართალია, ძალიან კარგი არის ჟურნალ-გაზეთობის საშუალებით, ბეჭდური სიტყვის საერთო შეკითხებით, ყოველგვარი ახალი განზრახვის აწონ-დაწონვა; ამგვარი წესი მეტისმეტად სასარგებლოა და ყველასაგან მოწონებული, მაგრამ სხვაგან და არა ჩვენში. ჩვენ კიდევ საკმაოდ ვართ დაშორებული ამგვარ დაწინაურებას; რომ ამნაირ ღონისძიებას მართლაც სასურველი შედეგის მოტანა შეეძლოს. ჯერ ერთი რომ ჩვენ საზოგადოებაში მეტად მცირე რიცხვია ბეჭდური ნაწარმოების მკითხველი, და რომ ბეჭდური რამის შესახებ კალმის აღება და მოსმა სურდეს და ეხერხებოდეს—ამისთანეების რიცხვი ხომ მცირეზე უმცირესია; და ან კი

რანაირად გაიგოს კაცმა „საზოგადოების“ აზრი, როდესაც ეგრეთ წოდებული „საზოგადოება“ თავისის საკუთარის სახის მქონი, რაიმე საერთო შეხედულების აღმსარებელი - არც კი არსებობს... თუ თვითეული, კერძო პირი იღებს ხმას ხანდახან, ამას ხომ საერთოს სახელი ვერ ეწოდება. დიახ, ძნელი არის ამნაირი შეკითხებით რაიმეს გარდაწყვეტა, იმნაირ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერზედ გულაგრილობა არის გავრცელებული. ჯერ უბრალო საკითხი რა არის, თორემ ასეთი რთული და სავალალო საკითხი, რომელიც «ღია წერილის» დამწერს აქვს აღებული, ხომ ყოვლად შეუძლებელიც არის. რომ კიდევაც ვინმემ გაიღოს საპასუხოდ ხმა, განა დაიჯერება მას, ვინც უნდა იყოს იგი და რანაირი ცოდნითაც იყოს აღჭურვილი ქართულ ენაში და საერთოდ ჩვენ ისტორიული ცხოვრების წარმოდგენაში?! აბა რა უნდა გვირჩიოს ისეთმა ადამიანმა, რომელმაც მხოლოდ გარეგნობით იცის ხუცურისა და მხედრულის გარჩევა, თორემ არავითარი წარმოდგენაც არ აქვს, თუ რა მნიშვნელობა მიუძღვის ორივეს ჩვენ წარსულის ნაკვალევში, რანაირად და რა სახით მიუღწევია ჩვენ დრომდე ჩვენი წარსულის გონებრივ და ცხადად მეტყველ საგანძურს?!. კი, მართალია, ბევრს კიდეც გაუკვირდება, ან კი რად უნდა მიგვაჩნდეს ჩვენი საზოგადოება ასეთ უვიცად, მაგრამ რად უნდა მივაწეროთ მას ცოდნა იმისი, რითაც იგი არ არის სრულებით აღჭურვილი. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, თუ რამდენი თვალის შემვლები ჰყავს იმ ჩვენ ძველ საგანძურს, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებაში ინახება და სიონის სიძველეთ-საცავში — და აქედან შეიტყობს ადამიანი ჩვენი საზოგადოების გულგრილობას. აბა შეეკითხეთ მათ, ვინც ამ დაწესებულებაში არის მუდმივ მეთვალყურეებათ, თუ ცნობისმოყვარეობით აღტყინებული რამდენი შედის იქ რაიმეს გადასათვალიერებლად!—მათგან შეიტყობთ, ჩვენდა სამარცხვინოდ და სამწუხაროდ, რომ ამგვართა რიცხვი თითო ოროლას არ გასცილებია ჯერ-ჯერობით... ამნაირი სარწმუნო დახასიათების შემდეგ რა საჭიროა, რომ კიდევ ჩვენ საზოგადოებას ვითომ და ისე უყუროთ, თითქო მას ძალიან ეპრიანებოდეს საზოგადო საკითხი და შეეძლოს კიდეც ამნაირი რამის გარდაწყვეტა. მას არ აქვს არც ზნეობრივი უფლება ამგვარი საშვილიშვილო რამის გარდაწყვეტის და არც შეუძლია. ასე რომ ჩვენი აზრით ამ ღია წერილით შეიძლება ავტორმა მიმართოს მხოლოდ რამოდენიმე სპეციალისტს, ვისაც მართლა შეუძლია ამნაირ კითხვაზე პასუხის მოგება და ვის პასუხსაც შეიძლება ადამიანმა პატივისცეს და მნიშვნელობაც რაიმე დაუმისოს. ამნაირების რიცხვი კი ერთ ათეულსაც არ გადააჭარბებს, და ნუ თუ ამ ერთი ათეულით გარდაწყდება ამგვარი სავალალო საქმე: ესე იგი უარყოფილ იქმნას ის ანბანი, რომელსაც ქრისტიანობის შემოღებიდანვე უმსახურნია ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის, რომლის სახითაც მოღწეულა ჩვენამდე წვასა და დავვას გადარჩენილი ჩვენი წარსულის მეტყველი და თვალნაცხადები სალარო, და მხოლოდ ეხლა, 16 საუკუნის შემდეგ იქნეს შეცვლილი იგი, ისიც რისთვის, მისთვის, რომ ზარმაც შთამამავლობას ანბანის შესწავლა ეძნელებოდეს!.. ეს ხომ მეტის მეტი უადგილო გულკეთილობა იქნება!..

ვინ არ იცის, რომ ხუცურის და მხედრულის სხვა და სხვაობა, და დაშორებულობა არც კი არავის მოსვლია აზრად, და ყველა ნამდვილ მცოდნეთაგან ეს ორივე ანბანი მონათესავე, მგვან, და ერთი მეორეზე დაახლოებულ ანბანებად არის აღიარებული. ამას ხომ არავინ არც კი ეჭვობს მათ გარდა, ვინაც სომეხთა ისტორიკოსის მიერ ჭორად დაგდებულ ხმას აჰყოლია, ვითომც ხუცური უცხო კაცის, სახელდობრ, მესროფის შედგენილიაო. მაგრამ როგორც ყოველ ჭორს, ამასაც ან კი ვინ აჰყვება ისტორიული სინამდვილის მოყვარე!.. პირიქით ყოველი ნამდვილი მცოდნესაგან ხუცურისა და მხედრულის მგვანეობა და ერთის სათავიდან მომდინარეობა ეჭვს გარეისად არის დასახული. ამას ყველა თავისთავადაც მიხვდება, ვინც კი ყურადღებით შეადარებს ორივე ანბანს. აქ მაგალითების მოყვანას არ გამოვუდგებით, რადგანაც ყველასათვის ეს ცხადი უნდა იყოს. მხოლოდ ზედმეტ სარწმუნო მაგალითად ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხუცურს ანბანს მხედრულის მცოდნე რამოდენიმე საათში სწავლობს ხოლმე და მართლადაც ყველას, ვისაც კი ხუცურის შესწავლა სურს, ერთ დღეს თავისუფლად შეუძლია შეისწავლოს ხუცურის კითხვა. მაშასადამე აქ სიძნელე არაფერს შუაში არ არის, თუ ახლანდელ ქართველობაში სამღვდელო წოდების პირთ გარდა ხუცურის მცოდნე ძალიან იშვიათად მოიძებნება.

ამისი მიზეზი სულ სხვა არის და აქ ხუცურის სიძნელეზე ბაასი სულ ზედმეტი არის.

სიძნელეს გარდა ეგებო ავტორს სხვა რამეც აქვს ნაგულისხმევი? ალბად მხედრული ნაბეჭდით ავტორი ელის უფრო მეტ გავრცელებას საღმრთო წერილის წიგნებისას ჩვენს საზოგადოებაში. მაგრამ ჩვენ ამაშიდაც ვერ დავეთანხმებით მას. თუ სხვა წიგნების კითხვას ვერ ახერხებს საზოგადოება, რომელნიც ხუცურად არიან დაბეჭდილნი, ბრიტანიის საზოგადოების მიერ გამოცემულ სახარებასა და „წმ. მოციქულთა საქმე“-ს და აგრეთვე სინოდალური კანტორის მიერ გამოცემულ «დაბადება»-ს რატომ არა ჰყავს ბევრი მკითხველი? ქართული «დაბადება» მხედრულად 1845 წ. დაისტამბა და რაც ეკკლესიებმა არ გამოიწერეს, ისე არც კი გაყიდულა რამოდენიმე ათეულზე მეტი. რამ დაუშალა საზოგადოებას ამ მხედრულად დაბეჭდილი წიგნების შეძენა და წაკითხვა? აქაც ხომ ანბანის სიძნელეს ვერ გადაბრალდება ასეთი უყურადღებობა? ვისაც ცნობისმოყვარეობა არ აქვს, და ვისაც წიგნის კითხვა არ უყვარს, მისთვის ყველაფერი ძნელი და მოუხერხებელი იქნება!.. განა ცოტა არის ჩვენში მხედრულის ანბანით ნაბეჭდი წიგნები საჭიროც და საყურადღებოც, რომ იშვიათად არის ამის მკითხველიც კი?! თუ საზოგადოებაში საღმრთო წიგნების კითხვის სურვილია, საამისო მასალა მხედრულადვე გამოცემული ძალიან საკმაოდ მოგვეპოვება, და ხუცურსაც რომ არ მიმართონ, ისედაც ეყოფათ ეს მასალად: და თუ სასულიერო წოდებას ვიგულისხმებთ, მას ხომ სრულებითაც არ უჭირს ხუცურის კითხვა, და «მხედრულად» მათი წიგნების შეცვლა უფრო თუ გაუძნელებს კითხვას,—რადგანაც იგი ხუცურივით მკაფიო მოყვანილობის არ არის და ბევრი ასოც გამორიცხულია ამაში—თორემ სრულებით არ გააადვილებს. ავიღოთ აბა რიცხვი ჟურნალ-გაზეთობის მკითხველების: ორ მილიონზე მეტი ვართ ქართველობა და ძლივს ერთ ათასზე შედის ბეჭდური სიტყვის მკითხველთა რიცხვი. ნუ თუ ეს ანბანის სიძნელე არის? აბა რომელ ერს მოეძებნება ისეთი ადვილი, მარტივი და ადვილად სასწავლო ანბანი, როგორიც ქართულია და კითხვაში კი არავინ არ უნდა იყოს ისეთი ზანტი და გულაგორებული, როგორიც ჩვენა ვართ...

ასოების შესწავლის სიძნელე რა შუაშია, როდესაც თვით დაუდევნელობა არის წიგნის ხელში აუღებლობის მიზეზი! ძველ დროში ვებერთელა „გულანებს“ და მეტაფრასებს, არამც თუ სამღვდელო წოდება, არამედ თვით საერონიც მრავლად ჰკითხულობდნენ, ისიც ხელთნაწერს და დღეს კი ლამაზად დაბეჭდილ წიგნსაც შორს უდგებიან და არავინ ხელს არა ჰკიდებს. ყველა ზემო ნათქვამი ცხადად ამტკიცებს, რომ ხუცური ასოების მაგივრად საღმრთო წერილის მხედრულად დაბეჭდვა არავითარ სარგებლობას არ მოგვივლენს და საქმეს ვერას დაეხმარება. პირიქით ვნება კი ბევრი მოჰყვება: ყველას არ დავასახელებთ და მხოლოდ ერთად-ერთ მხარეს შევეხებით: ნუ თუ ყველა შესანიშნავი ხელთნაწერები, რომელთაც ეხლაც ხმარობენ სხვა და სხვა მონასტრებში, ღვთის-მსახურების დროს, რადგანაც ჯერაც ვერ მოხერხებულა მათი სამაგიერო წიგნების დასტამბვა, მხოლოდ მივიწყებულ წიგნთ-საცავების კუთვნილებად უნდა დარჩეს და შთამამავლობამაც მთელ თავის წარსულ საგანძურზე სულ ხელი უნდა აიღოს, ისე რომ მხოლოდ ორიოდ-სამიოდე პირს შეეძლოს წარსულის ნაშთების გარჩევა და სხვას კი არავის?! ეხლა სამღვდელო წოდებას მაინც მიმართავს კაცი ძველი ხელთნაწერის გასარჩევად, და მაშინ ხომ სულ გაუგებარ რამედ უნდა გადიქცეს ეს ჩვენი შესანიშნავი ძველი ხელთნაწერები, რომელნიც თითქმის ცხრა საუკუნის განმავლობაში სულ ხუცურად იწერებოდენ?! ვთქვათ, წიგნები ყველა დაისტამბა ხელახლა (თუმცა ესეც კარგად უნდა ვიცოდეთ, რამდენად შესაძლებელია ეს ჩვენ დროში) საეკკლესიო წარწერებს ხატებზე, კედლებზე და ყოველგვარ ძველ ნაშთებზე რაღას ვუზამთ. ესეც ხომ მხედრული ასოებით შესაცვლელი ვერ გახდება! მაშინ მღვდელი მარტო მხედრული ასოების მცოდნე ძველ შესანიშნავ მონასტრებში, ხომ ისე უნდა მიაჩერდეს ამ ნაშთთ წარწერას, როგორც ეგვიპტის ჰიეროგლიფებს მივჩერებივართ დღეს ჩვენ?! მაშინ ხომ სულ მოვწყდებით ჩვენს წარსულს და ჩვენსა და საგულისხმო სიძველეს შორის უფსკრული უნდა იქნეს. და რას მოგვანიჭებს ამის ფასს მხედრული ასოებით საღმრთო წერილის დაბეჭდვა, ჩვენ ეს ვერ გაგვიგია და ვერც წარმოგვიდგენია. არამც თუ სასარგებლოდ არ მიგვაჩნია ეს, არამედ მეტად სავნებლად. რაღა ჩვენ გამოვდივართ ყოველთვის ცვლილების მოყვარული და ყოველთვის გარდაქმნის მსურველი!.. სხვები ძალიან დასძიგძიგობენ თავის წარსულს და ჩვენ რაღა ამნაირი გმირები გამოვედით, რომ ყველაფრის ადვილად მოშლა გვეადვილება! დიახ, ბევრი რამე მეტის-მეტად საჭირო გვავიწყდება და ბევრი ისეთი რამე მოგვდის აზრად, რაც არც საჭირო არის და არც სახეირო...

დეკ. დ. ღამბაშიძე.

## ✝ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პალლადი მიტრაპოლიტი პეტერბურგისა და ლადოგისა.

პირველად ტელეგრაფმა და შემდეგ გაზეთებმა გვაუწყეს ფრიად სამწუხარო ამბავი უწმიდესი სინოდის პირველი წევრის მიტრაპოლიტის პალლადის გარდაცვალების შესახებ. სიკვდილმა მოიტაცა რუსეთის იმპერიის ერთი უპირველესი მწყემს-მთავარი. ამ ამბავმა შეაწუხა ყველანი საზოგადოდ, მაგრამ განსაკუთრებით საქართველოს სამწყსო, ვინაიდგან საქართველოს სამწყსო უცქეროდა განსვენებულს არა მარტო ისე როგორც ეგზარხოსს, არამედ როგორც მოსიყვარულე მამას.

აქ ჩვენ არ გამოუდგებით განსვენებულის ცხოვრების და სამსახურის სიტყვა-სიტყვით აღწერას, რომელიც ჩვენ ვრცლად მოხსენებული გვქონდა ჩვენი გამოცემის ნომრებში 1888 და 1892 წლებში. ვისაც სურს შეიტყოს განსვენებულის ცხოვრების სრული აღწერა, მათ ურჩევთ ხსენებული ნომრები გადაათვალიერონ. ხელმეორედ არ ჩამოვთვლით არც იმას, თუ რა სამსახური გაუწია განსვენებულმა რუსეთის ეკკლესიას, ვინაიდან ეს ვრცლად აწერილი იქნება სხვა გაზეთებშიაც. ჩვენ მხოლოდ გვსურს მკითხველების ყურადღება მივაქციოთ განსვენებულის მწყემსთ-მთავრის იმ სამსახურს, რომელიც მათ გაუწიეს საქართველოს სამწყსოს და რითაც მათმა მეუფებამ მოიპოვა ჩვენში საზოგადო სიყვარული და სახელი. მათი მეუფების საქართველოდამ წაბრძანების შემდეგაც კი არ შეწყვეტილა ქართველების სიყვარული მათი მეუფებისადმი. ეს სიყვარული აღბეჭდილია არა მარტო ქაღალდზე, არამედ საქართველოს სამწყსოის გულსა და გონებაში.

ეგზარხოსების დანიშვნა ყოველთვის დიდ ცნობის მოყვარეობას და მითქმა-მოთქმას ჰბადებდა და დღესაც ჰბადავს საქართველოს საეგზარხოსოში და საზოგადოდ მთელს საზოგადოებაში. ვინაიდგან საქართველოს ეგზარხოსების სამოღვაწეო ასპარეზი ძლიერ ვრცელი და მრავალ ფეროვანია. საქართველოში ეგზარხოსებს უცქერიან არა როგორც ეგზარხოსებს, არამედ როგორც კათალიკოსებს. საქართველოს სამწყსოის წარმოდგენით ეგზარხოსი არის პირველი ადმინისტრატორი სასულიერო უწყებაში, იგია პირველი წარმომადგენელი და ხელმძღვანელი, მზრუნველი, დარაჯი, მამა და მფარველი მთელი საქართველოს საეგზარხოსოის სამღვდელოებისა; მას რწმუნებული აქვს ხალხის ზნეობითი და გონებითი აღზრდა; იგი, ასე ვთქვათ, არის უმთავრესი მცველი და მზრუნველი ქრისტეს სარწმუნოებისა. ერთი სიტყვით იგი არის უმთავრესი მარღვი და ძალა, რომელმაც უნდა ამოძრაოს ჩვენი სამღვდელოება მისდამი რწმუნებული სამწყსოის საკეთილდღეოდ. ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ ეს ცნობის მოყვარეობა, ზოგიერთ განსაკუთრებით პირობათა გამო, უფრო კიდევ ძლიერი იყო, როცა საქართველოს წინა ეგზარხოსის ყაზანის კათედრაზე გადაყვანის შემდეგ განსვენებული მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი პალლადი იქნა დანიშნული საქართველოს ეგზარხოსად. მათი მეუფების საქართველოში მობრძანებამდე ჩვენ მრავალი საპატიო პირებისაგან მივიღეთ მილოცვის წერილები. რომლებშიაც განსვენებულის ეგზარხოსად დანიშვნას შემდეგი სიტყვებით გვილოცავდენ: «მომილოცავს თქვენთვის ახალი მწყემსთ-მთავარი

იგი კეთილი და სწორეთ სანატრელი მწყემსთ-მთავარია. მისი სული აღვსილია ქრისტეს სიყვარულით და მშვიდობით. გიხაროდენ ეკალთა და კუროსთავთა შორის, მოწამებრივის სისხლით და ცეცხლით ქრისტეს მადლით აღმოშობილო და აღზრდილო, მრავალ ტანჯულო საქართველოვ! გიხაროდენ თვით სატანჯველთა შინა შენთა ყოვლად დიდებულო და ღირსეულად მიეგებე შენს ახალს მწყემსთ-მთავარს—მამას!»..

1882 წლიდან შემოიღეს განსაკუთრებული წესი, რომლის ძალით ახალ ექსარხოსებს ჩვენში პირველად მობრძანების დროს დიდის ცერემონიით ეგებებოდენ. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პალლადის მობრძანების დროს გამოცხადებული იყო მათი მეუფების მიღების განსაკუთრებული წეს-რიგი, რომ რაც შეიძლებოდა დიდის დღესასწაულობით მიეღოთ ახალი ექსარხოსი თბილისში. მაგრამ განსვენებულმა მწყემსთ-მთავარმა უარ-ჰყო წინდაწინვე გამოცხადებული ცერემონიალი და უბრალოდ მიბრძანდა სიონის ტაძარში და აქედამ, სავედრებელი ლოცვის შემდეგ, წაბრძანდა თავის სასახლეში. სიონის ტაძარში მათმა მეუფებამ წარმოსთქვა ბრძნობით სავსე სიტყვა, რომელშიაც ცხადათ დაუხატა სამწყსოს თავისი მიმართულება. მათი მეუფების სიტყვებში ყველამ ცხადათ დაინახა, თუ რა მწყემსთ-მთავარი მოუვლინა საქართველოს ღვთის განგებამ.

«ღვთის კურთხევა, მშვიდობა ქრისტესი, სულიერი სიყვარული მომაქვს მე, მორჩილ ახალ თქვენ მწყემსთ-მთავარს, თქვენთან, საყვარელნო ძმანო და შვილნო ჩემნო.. მომაქვს კურთხევა ამა მხარისათვის, მაგრამ ამა მხარეს ძველი დროიდან, მეოთხე საუკუნიდამ, იფარავს განსაკუთრებული ხილული ლოცვა-კურთხევა თვით უფლისა, ზეციური მწყემსთ-მთავრისა და იმყოფება ზეციური დედოფლის უმახლობელეს მფარველობასა ქვეშე. ეხლა თვით ჩემთვის საჭიროა მორჩილად თავი მოვიხარო და ლოცვა-კურთხევა გამოვითხოვო საქართველოს ეკლესიის დიდებულ წმიდანებისაგან»...

ამ სიტყვებით იწყებოდა მათი მეუფების მიერ წარმოთქმული პირველი სიტყვა სიონის ტაძარში, ეს სიტყვები ღრმად ჩაიჭედა მსმენელთა გულსა და გონებაში და ამ სიტყვებისაგან მოხდენილი შთაბეჭდილება აღუხოცელად დარჩა ქართველი ერის გონებაში. მათი მეუფების შემდეგმა მოღვაწეობამ ცხადათ დაგვანახვა, რომ მათი მეუფების სიტყვასა და საქმეს შორის განსხვავება არ იყო.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პალლადი მუდამ ნამდვილი მფარველი და მცველი იყო თავისი სამწყსოისა, ყველგან ამაღლებული ჰქონდა ხმა, რომელიც აღჭურვილი იყო თანაგრძნობით და მამობრივი მზრუნველობით თვის სამწყსოის წარმატების შესახებ და ეს მზრუნველობა მომდინარეობდა ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულისაგან. მათი მეუფება ყველას ერთნაირად უცქეროდა. ყოველი ქართველისათვის დაუვიწყარია მათი მეუფების სიტყვები, რომელნიც განსვენებულმა მოახსენა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ, როცა მათი უდიდებულესობანი მობრძანდენ სიონის ტაძარში 1888 წ. «საქართველო ნაქებია სიქველით და ძლევა მოსილობით, იგი ძვირფასი მარგალიტია შენს საძვირფასო გვირგვინში და ერთი

უკეთესი სამფლობელოთაგანია შენს ვრცელს სამეფოში»...

რომ თვალსაჩინოდ დავასურათოთ მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის პალლადის კეთილ ქრისტიანული დამოკიდებულება თავის სამწყსოსთან, მოვიყვანთ რამდენიმე სიტყვას ადრესიდგან, რომელიც სამწყსომ მიართვა მათ მეუფებას 1889 წელს საქართველოს სამწყსოში მათი მწყემსთ-მთავრული მოღვაწეობის მესამე წლის თავზე:

„თქვენმა მოკლე ჟამიერმა, მაგრამ ფრიად კეთილ ნაყოფიერმა სამსახურმა თქვენდამი ღვთის მიერ რწმუნებულს საქართველოს სამწყსოში, ისეთი ღრმა კვალი დაამჩნია ჭეშმარიტად თქვენ მოსიყვარულე სამწყსოს გულში, რომ ყველა ესები დაუვიწყარი დარჩება, სანამ ცოცხლებს ქართველი ერი. თქვენი ხსენება ქართველებში ისე დაუვიწყარი იქნება, როგორც სამუდამოა სიყვარული, რომლითაც თქვენ იწყეთ მწყემსთ-მთავრული სამსახური, ეს სიყვარული დღესაც შეუწყვეტელია, და იმედი გვაქვს, რომ შემდეგშიაც ეს სიყვარული გაგრძობილი იქნება საცხონებლად და საკეთილ-დღეოდ თქვენი სამწყსოისა. სიყვარულით, მშვიდობით და ლოცვა-კურთხევით შემობრძანდით თქვენ თქვენს სამწყსოში, როგორც ჭეშმარიტი მწყემსი — და ამავე სიყვარულობით, ამავე მშვიდობით, და ლოცვა-კურთხევით მოგეგებენ შენ მოსიყვარულე ქართველებიც. გრძნობას გამოიწვევს გრძნობა და თქვენ საქმით დაამტკიცეთ ამ ჭეშმარიტების სისრულით შეგნება. თქვენ შეიყვარეთ ხალხი — და მანაც, თქვენგან კურთხეულმა, შეგიყვარათ თქვენ. თქვენ დაუღალავად ზრუნავთ მათ ზნეობრივ-გონებრივ გაუმჯობესობაზე და ისიც მუდამ მზათ არის აღავლინოს უზენაესისადმი მხურვალე ლოცვა, რათა უფალმა მრავალჟამიერ ჰყოს თქვენი სიცოცხლე საკეთილ-დღეოდ ეკლესიისა და მამულისა. ხალხს უყვარს ის, ვინც მასაც შეიყვარებს. სიყვარული არის გვირგვინი სისრულისა. თქვენმა მოსიყვარულე გულმა გასწავლათ თქვენ ნამდვილი საჭიროებანი და ნამდვილი ნაკლულევანებანი სულიერად თქვენ მიერ დასამწყსავი ხალხისა, და მრავალ გამოცდილი, გამჭრიახე გონება თქვენი გიჩვენებსთ თქვენ ნამდვილ საშუალებათა, დასაკმაყოფილებლად პირველთა და განსაკურნებლად უკანასკნელთა»...

1892 წელში მფარველი და მცველი საქართველოისა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი მიტრაპოლიტი ისიდორე ღვთის მიერ გარდაიცვალა. ღვთის განგებით მის ადგილზე დაინიშნა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი პალლადი. საქართველოს სამწყსო დიდად შეაწუხა მიტრაპოლიტის ისიდორეს სიკვდილმა, მაგრამ ვინაიდგან ამ ადგილზე უმაღლესად მიწოდებულ იქმნა ქართველების საყვარელი მწყემსთ-მთავარი, ქართველი ერი იმითი ნუგეშობდა, რომ ეს ახალი მწყემსთ-მთავარიც, მსგავსად პირველისა, იქნებოდა მფარველი და მცველი საქართველოს ეკლესიისა და საზოგადოებისა და მართლაც, განსვენებულ მიტრაპოლიტს ახსოვდა საქართველო და მამობრივი სიყვარულობით ეკიდებოდა ყოველივე საქმეს, რომელიც კი ჩვენს საქართველოს შეეხებოდა.

აი, ამისათვის არის, რომ განსაკუთრებით მწუხარებს საქართველოს სამწყსო მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის პალლადის გარდაცვალებას და აღავლენს მხურვალე ვედრებას, რათა უფალმა განუსვენოს მის ანგელოზებრივ, კეთილსა და სიყვარულით აღსავსე სულს სასუფეველსა შინა ზეცათასა,

დეკ. დ. ღამბაშიძე

## ქართული გალობის საქმე.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქართული გალობა (იმერული კილო) ნოტებზე გადაღებულ იქმნა ბ. ფ. ქორიძის მიერ და პირველი ნაწილი, ლიტურღია იოანე ოქროპირისა, უკვე დაიბეჭდა. უსაფუძვლო არ იქნება მოვიყვანოთ აქ ჩვენი მცირე შენიშვნა. როგორც უკვე ვიცით, ქართული გალობა (იმერული კილო) არის ორგვარი: კილო ანუ უბრალო, მარტივი გალობა და ვარჯიში, ანუ გამშვენებული გალობა. ძველ მგალობლების გადმოცემით და, როგორც ჩანს, მეორე გვარი გალობა წარმომდგარა პირველიდან და არის მისი შემდგომი განვითარება. როგორც პირველი, ისე მეორე საჭირო იყო, რათა გადაღებულიყო ნოტებზედ და დაბეჭდილიყო; მაგრამ საუბედუროდ ჩვენდა ეს ასე არ მოხდა. მიაქციეს ყურადღება მხოლოდ გამშვენებულ გალობას და საფუძველი კი ამ გალობისა კილო დასტოვეს, როგორც ვითომ და უმნიშვნელო, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი არა ნაკლებ საჭირო იყო პირველზედ. იყვნენ ძველი მგალობლები, რომელნიც, როგორც ვიცით, მსურველთ ასწავლიდნენ პირველად კილოს და მერე ვარჯიშზე გადადიოდნენ, რაც საფუძვლიანია მეთოდიურის მხრივ. ადვილიდან ძნელზე გადასვლა. ვარჯიში გალობის შეთვისება ბავშებს საზოგადოდ ძლიერ უძნელდებათ, კილოს კი უფრო ადვილად ითვისებენ. კარგი იქნებოდა, რომ ვარჯიშის გადაღების დროს თვითეულ საგალობელთან იქვე მოეწერათ მისი კილოც... როცა ვარჯიშ გალობასთან კილოც გვექნება გადაღებული, მაშინ ჩვენი გალობის ისტორიული განვითარება გათვალისწინებული გვექნება და ეს მის მომავალს წინმსვლელობასაც ხელს შეუწყობს.

მასწავლებელი დავით ფოცხვერაშვილი.

## მცხეთის ტაძრის შესახებ.

უველა ჩვენს თანამოძმეთ მოეხსენება, რომ მისმა მაღალ უოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ, მიმართა მოწოდებით უოველ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეს, რათა წვლილი გამოეღოთ დიდებულის მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის განსაახლებლათ. რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დღესაც ამ შესანიშნავ ძეგლს ქრისტიანობისას ქართველობისათვის და მართლ-მადიდებლობისათვის, ნათლად არის დახატული ზემოხსენებულ მოწოდებაში. ეს ისედაც უნდა გვესმოდეს და ვიცოდეთ ჩვენ, მღვდელ-მოსამსახურეებმა. ჩვენდა სასიხარულოდ საქართველოს ეკკლესიის მწყემსმთავრის მოწოდებამ უკვე გამოიღო ნაყოფი. შემოწირულება გროვდება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ განზრახული საქმე სისრულეში მოვა.

ნუ გაურბუნდებით ამ საქმეს ჩვენ, სოფლის თუ ქალაქის სამღვდელოება. ნუ ვივიწყებთ იმას, რომ ჩვენი აკვანი ქრისტიანობისა არის მცხეთა, საიდამაც მოციქულთა სწორმა წმიდა ნინომ მოჰფინა ქრისტეს სწავლა მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში. მუდამ თვალ წინ უნდა გვიდგას ის დრო, როცა სუსტი ქალი მხოლოდ ჯვარის ძალით ჰმუსრავს სიბნელეს და მის ნაცვლად ჰფენს ქვეყანაში ნათელს. ამ ამბის მოწამე არის ეხლანდელი მცხეთა, ოდესმე დიდებული სატახტო ქალაქი. ამისათვის ეს ადგილი და მით უმეტეს ის ტაძარი, რომლის საძირკველი ქრისტიანობის საძირკველთან ერთად ჩაიყარა, უნდა იყოს უოველ ქართველისათვის მიჩნეული წმიდა-წმიდათად.

ჩვენ, საქართველოს სამღვდელოება, მოვალე ვართ ჩვენი ექსარხოსის მოწოდებას სრული ყურადღება მივაქციოთ. მართალია, ჩვენ ღარიბები ვართ, მაგრამ საქმე ისე დიდმნიშვნელოვანია, ჩვენის ფიქრით, რომ უნდა ჩვენი სიღარიბე დავივიწყოთ. თუ ჩვენ ამ საქმეს ყურადღებით არ მოვეკიდებით, სხვას-ც გულს გაუგრილებთ იმაზე.

იმედია ამ ჩვენ აზრს გულცივად არ მიიღებს სამღვდელოება და ამით სამსახურს გაუწევს სამშობლო ეკკლესიას და ქვეყანას.

მღ. ქრისტეფორე ციცქიშვილი.

## თანამედროვე სკოლის და სახელმძღვანელოების ნაკლი.

თანამედროვე სკოლა მთელ ჯაფას სწავლებისას თავზე ახვევს მასწავლებელს და მოწაფეები კი, უმეტეს შემთხვევაში სრულიად თავისუფალნი არიან. ეს ასე არ უნდა იყოს. საჭიროა, რომ შრომა სათანადოდ იყოს განაწილებული მასწავლებლებსა და და მოწაფეებს შორის. მარტო პირველი წლის შეგირდები უნდა იყვნენ განთავისუფლებულნი საშინაო სამუშაოებისაგან მათის სუსტობისა გამო და შემდეგში კი უსათუოდ უნდა ეძლეოდეთ მათ ამგვარი სამუშაოები, რომ თავიდანვე მიეჩვიენ იგინი ბეჯითობასა და თვით-მოქმედებასა. თუ არა, რასა ჰგავს, რომ არამც თუ მოსამზადებელი კლასების მოწაფეებს, არამედ, როგორც ჩვილი ისმის, შტატის კლასების მოწაფეებსაც კი სრულიად არ უნდათ წიგნში ჩახედვა და ცოტათი ტვინის გარჯა. ფრიად სასარგებლო იქნება, ჩვენის აზრით, რომ ჩვენი სახელმძღვანელოების ავტორნი ჩაურთავდნენ ხოლმე თავიანთ სამოსწავლებლო წიგნებში სიებს რჩეული წიგნებისას, რომელნიც შინ უნდა იკითხონ მოწაფეებმა და თავის დროზე ვრცელი ანგარიში ჩააბარონ წანაკითხისა თავიანთ კლასების მასწავლებელთ, გინა აღმზრდელთ.

ე. ელგონდაშვილი

## ახალი ამბები და შენიშვნები.

სწორედ პირველი შემთხვევა არის, რომ პეტერბურგის მიტრაპოლიტი ისე დიდებულად გაესვენებიოსთ, როგორი პატივისცემითაც დაასაფლავეს განსვენებული მიტრაპოლიტი პალლადი. განსვენებულის ორი შვილი - ერთი ქალების უმაღლესის კურსების დირექტორი ნ. პ. და მეორე ჯვართ-ამაღლების მოწყალე დათა საზოგადოების სავანის უმთავრესი ექიმი ვ. პ. რაევი თავაანთი განსვენებულის მამის ავადმყოფობის დროს განუშორებლად განსვენებულთან იყვნენ და ყოველივე საშუალებას ხმარობდნენ, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა თავისი ჰქნა. სამწუხაროდ, უადგილობისა გამო, დაწვრილებითი ცნობას ვერ ვბეჭდავთ განსვენებულის მიტრაპოლიტის დასაფლავების შესახებ. მომავალი წლის ნომერში, იმედი გვაქვს, ზოგიერთი ცნობები ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს განსვენებულის დასაფლავების შესახებ და მასთან დავბეჭდოთ ის სიტყვები, რომელნიც წარმოითქვა მათი მეუფების დასაფლავების დღეს.

აგვისტოს თვეში ჩვენ, სასიხარულოდ ჩვენდა, შემთხვევა მოგვეცა პეტერბურგში გვენახა განსვენებული მიტრაპოლიტი პალლადი. იგი ძლიერ ემდუროდა პეტერბურგის ჰავას და სწუხდა, რომ ეს ჰავა ჩემს ჯანმრთელობას მალე ბოლოს მოუღებსო. ვერ წარმოიდგენს მკითხველი, თუ რა სიყვარულით იგონებდა განსვენებული ჩვენს საქართველოს და მათი მეუფების დროს ჩვენში მომხდარ შემთხვევათა. მათ მეუფებას ძლიერ სასიამოვნოდ მიაჩნდა სირო-ქალდეველთა მართლ-მადიდებელ ეკკლესიასთან შემოერთება. ტკბილი საუბრის ბოლოს მათმა მეუფებამ დაგვავალა, რომ მათი ლოცვა-კურთხევა გარდაგვეცა ყველასთვის და განსაკუთრებით მათთვის, რომელნიც მათ მეუფებასთან ერთად ემსახურებოდნენ საქართველოს ეკკლესიას.

* * *

29 ნოემბერს სემინარიის ტაძარში ტაძრის დღესასწაულის გამო მწუხრი ცისკრითურთ შეასრულა ყოვლად სამღვდელომ ლეონიდემ, გორის ეპისკოპოსმა. მეორე დღეს, 30 ნოემბერს, წირვა შეასრულა მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესმა ფლაბიანემ, საქარ-

თველოს ექსარხოსმა, ყოვლად სამღვდელო კირიონის და სამღვდელო პირთა თანამწირველობით. წირვაზე სიტყა წარმოსთქვა სემინარიის რექტორმა არხიმანდრიტმა გერმოგენმა. ამ სიტყვაში მამა რექტორმა უჩვენა მოწაფეებს დიდებული სამწყემსოს თვისებანი წმ. მოციქულის ანდრია პირველ წოდებულისა და მისცა მოწაფეთა დარიგება, თუ როგორ უნდა მოიქცენ იგინი ცხოვრებაში. პარაკლისის შემდეგ მთელი სამღვდელოება და მასწავლებლები სემინარიისა მამა რექტორმა ჩაიზე მიიწვია. ყოვლად უსამღვდელოესმა ექსარხოსმა დაათვალიერა სემინარიის მოწაფეთა სასადილო ოთახები.

საღამოს სემინარიაში გამართული იქმნა სასულიერო სალიტერატურო საღამო. წაკითხულ იქმნენ სასულიერო შინაარსის ლექსები რუსულსა და ქართულს ენებზედ,— მოწაფეთა ქართულმა და რუსულმა გუნდებმა იგალობეს საეკკლესიო საგალობლები. სხვათა შორის ქართულს ენაზედ წაკითხულ იქმნენ შემდეგი ლექსები: ა) „ლოცვა“ ილ. ჭავჭავაძისა, ბ) „ოპლები“ ილ. ფერაძისა, გ) „გელათი“ ვახტ. ორბელიანისა, დ) „ქრისტე აღსდგა“ აკაკისა, ე) „ყოვლად სამღვდელო გაბრიელის სახსოვრად“ ილ. ფერაძისა, ვ) „ჯვარი ვაზისა“ ვახტ. ორბელიანისა, ზ) „იუდა“ ნადსონისა, ნათარგმნი ლექსად ილ. ფერაძისა და სხვანი... ქართულად ლექსები წაიკითხეს შემდეგმა მოწაფეებმა: ბერიშვილმა, ქიმერიძემ, გიგიტაშვილმა; მაჭარაშვილმა სერგიმ, მალაქია თოროშელიძემ, ილია ახმეტელაშვილმა და მჭედლიშვილმა ალექსანდრემ... რუსულს ენაზედ ამდენივე ლექსი იქმნა წაკითხული სემინარიის მოწაფეთა მიერ... სხვათა შორის წაკითხულ იქმნა «Іуда» ნადსონისა და «Моленіе о чашѣ»— მოწაფის ქსიმიდოვის მიერ. საღამო ათის ნახევარზედ გათავდა.

—

«ივერიაში» ვკითხულობთ შემდეგ საყურადღებო და გასაოცებელ ამბავს:

«სამკურნალო გამგეობამ მიჰმართა მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს და სთხოვა მიანდეთ ქალაქის მღვდლებს, განუმარტონ და აუხსნან ხოლმე თავიანთ მრევლებს ყვავილის წინააღმდეგ საბრძოლველად ზომების მიღების საჭიროებაო“.

ამ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მეთვრამეტე საუკუნიდან დაწყებული და სწავლა-მეცნიერებისაგან უებარ საშუალებად ცნობილი ყვავილის აცრა თფილისის მცხოვრებთ დღემდე ვერ შეუგნიათ და საჭირო ხდება, რომ მღვდლებმა შეაგონონ მრევლთ, რომ იგინი წინააღმდეგობას ნუ გაუწევენ, როცა ექიმები ყვავილის წინააღმდეგ ზომებს სმარობენ და აუხსნან ხალხს ამ ზომების მიღების საჭიროება! რაღაცა დასაჯერი არ არის აქ. როცა ექიმები ცოტა კოჭლობას დაიწყებენ თავიანთ საქმეში და ეს კოჭლობა საქვეყნოდ გამოაშკარავდება, მაშინვე თავის დამნაშაობას სხვას გადააბრალებენ. თფილისში ყვავილი მძვინვარებს სასირცხოდ ექიმთა. მიზეზად ხანდისხან იმას ასახელებენ, რომ საზოგადოებაში არიან ისეთი პირები, რომელნიც „ვაკცრინას“ არ იცრიანო. აცრით იცრიან, მაგრამ ასაცრელი მასალა ხშირად არ ვარგა და მრავალი აცრილები მოტყუებულნი რჩებიან. ვისი ბრალია ეს? ამას ყველა მიხვდება...

—

«ცნობის ფურცელში» ვკითხულობთ ერთ ახირებულ ამბავს ჟურნალი „მოამბის“ გაგრძელების შესახებ. აი ეს ამბავი:

„ტფილისში შესდგა წრე ახალ-გაზრდებისა, რომელთაც იკისრეს მუდმივი თანამშრომლობა ხსენებულ ჟურნალისა. სხვათა შორის, ამ წრეში თავ-და-თავ მონაწილეობას მიიღებენ გ. ლასხიშვილი, ალ. ფრონელი, ივ. ზურაბიშვილი და კონ. ბაქრაძე. ამ წლის ქრისტეშობისთვის ნომერი ჟურნალისა ამ წრის თანამშრომლობით გამოვა».

პირველად, როცა ამ ჟურნალის გამოცემა განიზრახეს, რედაქცია აცხადებდა, რომ ყველა ჩვენმა შესანიშნავმა სწავლულებმა და პუბლიცისტებმა აღგვითქვეს თანამშრომლობაო. ყველა ამ ნასწავლ პირთა დახმარებამაც არ იკმარა დღემდე. ეხლა ოთხი პირი აპირებს დახმარებასო და იმედი აქვსთ ჩვენი საზოგადოების გალვიძებისა! ღმერთმა კარგი ჰქნას, მაგრამ ჩვენ იმედი არა გვაქვს, რომ ოთხმა კაცმა შესძლოს ჩვენი საზოგადოების გამოღვიძება!.

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე

„ნუ სცნობს მარცხენე შენი, რას იქმს მარჯვენე შენი“.

—

ნამდვილი ამბავი.

I

ამ უკანასკნელ ბერძენ-ოსმალთა ომის დროს მაკედონიაში მოჰკლეს მოხუცი, არისტიდ ფსომადიადი. ეს კაცი ერთ დროს ძლიერ მდიდარი და გულ-მოწყალე ყოფილა. მაკედონიაში და თვით საბერძნეთშიდაც არა ერთი და ორი საწყლის შვილი გამოზრდილა, უსწავლია და კაცი გამხდარა არისტიდის შემწეობით.

განურჩევლად გვარ-ტომობისა და რჯულისა ის ყველას მამობას უწევდა, შემწეობას აძლევდა, ვისაც გასწვდებოდა. ან ვინც მისამდე მიაღწევდა.

ამ რიგ პატიოსანს და კეთილ კაცს, მის ნაცვლად, რომ მშვიდი და წყნარი მიცვალება ღირსებოდა, ის ისეთის წვალებით მოჰკლეს, რომ ენით არ გამოითქმის და კალმით არ აღიწერება.

უსვინიდისო და ურჯულო ხელებმა მას ჯერ ენა ამოსჭრეს პირიდან, ის ენა, რომელსაც ერთი ურიგო სიტყვა არ წარმოეთქვა მისი 70 წლის სიცოცხლეში, შემდეგ თვალები და ბოლოს კი დაახრჩვეს და თავდალმა დაჰკიდეს.

საცოდავი მოხუცი სანამ დაიხრჩობოდა, სულ ამას გაიძახოდა: „ღმერთო, შეუნდე, რადგან არ იციან, რას სჩადიან“.

II

„მოკვდა არისტიდი და მისი ქონება, რაც რამ ებადა, ყოველიფერი მკვლელებს დარჩაო“, გავარდა ხმა მთელს მაკედონიაში.

ვინ იყვნენ ეს მკვლელები?.. მისივე მეზობლები, რომლებსაც არა ერთხელ და ორჯერ უსარგებლნიათ არისტიდის ხელგაშლილობით.

რისთვის მოჰკლეს იგი?.. ეს ხომ თვითონ მკვლელებმაც არ იცოდნენ.

თურმე მათ ჰგონებიათ, რომ არისტიდი მდიდარი კაცი იყო და საშავდღეოდ ფულები ექნება შენახულიო, ამისათვის ასე ტანჯვა-წვალებით ამოჰგლიჯეს ღვთისნიერ მოხუცს პატიოსანი გვამიდან უმანკო სული.

როგორ გაბედეს?.. ამისათვის იმათ ერთის მხრით, მაკედონიის მდგომარეობა, მუდმივი ამბოხება, აყალ-მაყალი და მთავრობის უთავბოლობა უწყობდა ხელს და მეორეს მხრით კი ბერძენ-ოსმალთა ომი.

შერჩათ პატიოსანი მოხუცის მოკვლა ღვთის პირიდან გადავარდნილებს.

ეს მხეცობა, როგორც ბევრ სხვა შემთხვევებშიდაც, ფანატიკ ოსმალოს ჯარის კაცებს დააბრალეს.

ომი გაცხარებული იყო. გამოძიებისა და დანაშაულის გამოკვლევ-გასამართლების დრო არ იყო.

III

არისტიდის დარჩა ერთად ერთი ვაჟი, რომელიც იზრდებოდა ათინის ერთ სასწავლებელში.

ეს სასწავლებელი სრულიად თუ არა,- ნახევარზე მეტი არისტიდის მეცადინეობითა და ხარჯით იყო დაარსებული.

ეს ყველამ იცოდა, რადგან დღესაც არსებობს ორი სტიპენდია არისტიდის სახელზე; ერთ სტიპენდიატორად იყო შვილი არისტიდისა დიონისი, ყმაწვილი მშვიდი, წყნარი, ჰკვიანი, ღვთის-მოსავი მამამისივით და ძრიელ ნიჭიერი. მხოლოდ ყველა ამ სიკეთესთან მას ერთი დიდი ნაკლიც ჰქონდა. ის იყო ძლიერ ამპარტავანი. შიმშილით რომ მომკვდარიყო, არვის შეატყობინებდა.

სანამ დიონისის მამა ცოცხალი ჰყავდა, თუმცა კი მამა მისი უკვე გალატაკებული იყო, მაგრამ გასაჭირს მაინც არაში გრძნობდა. საყოფი სახარჯო მუდამ ჰქონდა,

სწორედ მაშინ მოუკლეს დიონისის მამა, როცა მან ადგილობრივი სასწავლებელი დაასრულა და ევროპაში უნდა წასულიყო უმაღლეს სკოლაში შესასვლელად.

## IV

დარჩენილი სრულიად უსახსროდ დიონისი ჩავარდა საგონებელში და აღარ იცოდა, რა ექნა. მიატოვა ათინა და წავიდა მახლობელ ქალაქში.

ათინის მახლობლად ქ. პატრაში მას ნათესავები ჰყავდა, რომლებსაც შეეძლოთ შემწეობის აღმოჩენა და უნდოდათ კიდეც, მხოლოდ დიონისი მიუკარებელი შეიქნა. „სხვისი ფულით და სხვისი ლუკმით თავის რჩენა და სწავლა არ მინდა, რადგან ეს მონა-მორჩილებას მოითხოვს და ჩემს ბუნებას ამის ატანა არ შეუძლია“ — ამბობდა იგი.

ქალაქ პატრაშივე, საცა ამ ჟამად დიონისი იყო, ცხოვრობდა ერთი მდიდარი ბერძენი. ოდესმე ამ ბერძენს და დიონისის მამას დიდი განწყობილება ჰქონიათ. ერთხან თურმე ერთადაც ფიქრობდენ. ხოტირი კრისტიდიმ, გაიგო თუ არა, რომ მისი ძველი მეგობარის შვილი მოსულა ჩვენს ქალაქშიო, დაპატიჟა და დიდი პატივისცა. გამოჰკითხა რა ყოველივე გარემოება და გაიგო რა, რომ ეხლა ეს ბავშვი გაჭირვებულიც იყო, უთხრა: „საკვირველია ღვთის განჩინება, შვილო, მე ცხონებულის მამის შენის ვალი დამრჩა ოცი ათასი დრახმი და მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, რაკი ის გადაცვლილა, შენ მოგიზღოვო.

— სწორე უნდა გითხრა, — მიუგო დიონისემ, ჩემთვის მოულოდნელი ამბავია ეს, როგორც ამბავი, და საკვირველი კაცობაა თქვენგნით, რომ მაშინ, როცა თქვენ შეგეძლოთ სრულიად არა მოგეკათ რა, რაკი არავითარი ხელწერილი და არც საბუთი არა მქონდა. დიდი მადლობელი ვარ და დიდი პატივისმცემელიც ვიქნები თქვენი სამუდამოდ. არ იფიქროთ, თუ ფულისთვის, არა მარტო მისთვის, რომ თქვენ ნამდვილი ადამიანური გრძნობა გამოიჩინეთ, რაც დღეს ძლიერ იშვიათია. შენ მამა და მე შვილი.

რამოდენიმე დღის შემდეგ დიონისი დამშვიდებულის გულით, მომავალისთვის იმედით სავსე გაემგზავრა შორეულ ევროპაში.

## V.

— სოტირი, ეს რა ჰქენი. შენ და არისტიდი ხომ სრულიად გასწორებული იყავით, უთხრა ცოლმა.

— დიახ, ჩემო მარინე, მართალია დღევანდელის კანონისა და დროის მიხედვით მისი არა მემართა-რა, მაგრამ ნუ თუ დაგვავიწყდა ის დრო, რომ მე მისი ფულით ვსარგებლობდი იმდენი წელი და ამოდენა ქონება შევიძინე?..

— აკი გადუხადე?..

— მართალია, მისი ფული კი მიუბრუნე, მხოლოდ მისი სიკეთე კი ჩემზედ ვალად დარჩა.

— აკი დიდი ხანია გეუბნები, რომ შენ გასულელდი, შე კაი კაცო, თუ სიკეთის სამაგიერო ჰქენი, გეთქვა მაინც, ის ხომ ეხლა ამას სიკეთედ არ ჩაგითვლის, მართებდა და გადამიხადაო, იტყვის.

— ეს სულ ერთია, ჩემო მარინე. მე ამ რიგად ისიც დავაკმაყოფილე, ჩემი თავიც და ღვთის წინაშეც მადლი ვქენი. შენებურად რომ მოვქცეულიყავი, ღმერთს ვაწყენინებდი.

— მაშ, შენის აზრით ვინც სიკეთეს აშკარად შვრება, სიავეს სჩადის?..

— არა. მაგრამ «ნუ სცნობს მარცხენა შენი, რასა იქმს მარჯვენე შენი»-ო, ბრძანებს უფალი.

იასე რაპველი

## ჭეშმარიტი მოწყალება ფარულად.

(რუსულიდან)

ჩვენ, ძმანო, ჩვენს თავს ვუწოდებთ ქრისტიანებს იმიტომ, რომ გვრწამს იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მივდევთ ქრისტეს და სავალდებულოთ გავიხადეთ ყოველი მისი მცნების აღსრულება. მაგრამ განა ჭეშმარიტი მიმდევარნი ვართ ჩვენ ქრისტესი, როდესაც ურთიერთ შორის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება მტრობა, უთანხმოება, შური, სიძულილი, ჩხუბი და შეურაცხყოფა ერთი მეორესი. არა, ძმანო! ჭეშმარიტნი მიმდევარნი ქრისტესნი არიან ისინი, რომელთაც აქვთ გულწრფელი სიყვარული ურთიერთ შორის. ეს ნიშანი ნათლად უჩვენა თავის მიმდევართ თვით უფალმა იესო ქრისტემ, როდესაც უბრძანა თავის მოწაფეებს: «უკეთუ თქვენ ხართ ჩემი მოციქულები, იყვარებოდეთ ურთიერთარს». და, წინააღმდეგ, უკეთუ არა გაქვან სიყვარული ურთიერთ შორის, მაშ თქვენ ჩემი მოწაფენი არა ხართ, არა ხართ ჩემი მიმდევარნი. აქედან ცხადია, რომ უმთავრესი ხელმძღვანელი და დასაწყისი ჩვენს ცხოვრებასა და მოქმედებაში უნდა იყვეს სიყვარული.

ქრისტიანული სიყვარული, სხვათა შორის, ით-

ხოვს ჩვენგან, ძმანო, მოწყალება ვუყოთ მოყვასთა ჩვენთა. ამგვარ ქრისტიანულ სიყვარულზე თვით მაცხოვარი თავის ქვეყნიურ ცხოვრების დროს ლაპარაკობდა არა ერთჯერ და ამ კეთილის ქმნისთვის აღგვითქვა დიდი ჯილდო, როდესაც რქვა: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“ (მათ. 5, 7). დიახ, საყვარელნო ძმანო, დიდ ჯილდოს გვპირდება უფალი ჩვენი მოწყალებისათვის, მაგრამ ამასთანავე ნუ დავივიწყებთ მაცხოვრის სხვა სიტყვებსაც შესახებ მოწყალებისა: «ეკრძალენით ქველის საქმესა თქვენსა, რათა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათდა, უკეთუ არა, სასყიდელი არ გაქვს მამისა თქვენისა ზეცათასა» (მათ. 6, 1). აი მაცხოვრის მცნება მოწყალებაზე. ყოველივე მოწყალება ამაოა და ფასი არა აქვს, თუ იგი სრულდება ხალხთა შესახედველად, რომელიც სრულდება იმ მიზნით, რომ გამცემი მისი აქონ, ადიდონ და აღამაღლონ, როგორც კეთილი, კარგი კაცი. ასეთი მოწყალება არაა სასიამოვნო მრავალ მოწყალე ღვთისათვის. მხოლოდ ის მოწყალებაა სასიამოვნო უფლისა ღვთისათვის, რომელიც სრულდება, (გაიცემა) საიდუმლოდ, ფარულად. ამის მსგავსს მოწყალების გამცემს გვიხატავს ჩვენ წმ. ნიკოლოოზ საკვირველთ-მომქმედი.

როდესაც წმ. ნიკოლოოზი ჯერ კიდევ მღვდლად იყო ქ. პატარაში, ერთი იმ ქალაქის ცნობილი და მდიდარი მცხოვრებთაგანი იმ ზომამდე გაღატაკდა, რომ, თითქმის, ლუკმა პურიც კი არა მოეპოებოდა საჭმელად. უწინდელი სიმდიდრიდან მას სრულიად არაფერი დარჩენია, გარდა სამი შვენიერი ქალიშვილებისა, მაგრამ ისინი კიდევ უფრო უმატებდენ მამას გაჭირვებასა და მწუხარებას, რადგან მათ ესაჭიროებოდათ გათხოვება. მოწყალების თხოვისა მას რცხვენოდა. ამნაირ გაჭირვებაში მყოფი ეს კაცი, მზად იყო, რომ თვისი საყვარელი ქალიშვილების პატიოსნება, სინიდისი, ღირსება და სახელი გაეყიდნა და მათით ევაჭრნა, ოღონდ შიმშილით კი არ მომკვდარიყო, მაგრამ უფალმა ღმერთმა დაიფარა ეს სახლობა ბოროტებასა და ცოდვაში შთავარდნისაგან; ამ ოჯახს მოუვლინა ღმერთმა მხსნელად წმ. ნიკოლოოზი.—ერთ ღამეს წმ. ნიკოლოოზმა ღია ფანჯრიდან შეუგდო ამ უბედურ-საწყალ კაცს ოქროთი სავსე ქისა და თვითონ კი ფიცხლავ შეუმჩნევლად წავიდა. ძნელად წარმოსადგენია, თუ რამდენათ გაეხარდა მამას, როცა ნახა სავსე ქისა ფულებითა და საჩქაროდ გაათხოვა უფროსი ქალიშვილი. როდესაც მოვიდა მეორე ქალიშვილის გათხოვების დრო, მაშინ წმ. ნიკოლოოზმა ხელმეორედ შეუმჩნევლად ისროლა იმავე სახლში ქისა ოქროებით სავსე. შესწირა რა მადლობა უფალსა ღმერთსა ასეთი მოწყალებისათვის, - ამ კაცმა გაუჭირველად გაათხოვა მეორე ქალიშვილიც. ასევე მოიქცა წმ. ნიკოლოზი მესამე ჯერაც, როცა მოახლოვდა მესამე ქალიშვილის გათხოვების დრო, მაგრამ ეხლა კი შეუმჩნეველი ველარ დარჩა. კეთილ-ყოფილმა (облагодѣтельствованный), გახარებულმა მამამ თვალი მოჰკრა თავისს კეთილის-მყოფელს, როდესაც ის ოქროს ისროდა ფანჯარაში, მიეწია ღვთის სათნო-მყოფელსა, დავარდა მის ფეხთ-ქვეშ თვალცრემლიანი და მადლობდა ესეთი დიდი მოწყალებისათვის. და რა ჰქმნა წმიდანმა? მან ეს კაცი დააფიცა, რომ მას ამის შესახებ არავისთვის არაფერი არ ეთქვა.

აი, მაგალითი, ძმანო ჩემნო, ნამდვილი ჰეშმარიტი ქრისტიანული მოწყალებისა, რომლის ქმნაც გვამცნო ჩვენ თვით უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ. მაგრამ ასე ვსცემთ ხოლმე ჩვენ მოწყალებას? სამწუხაროდ, უმეტეს ნაწილად, არა.

ჩვენ ჩვეულებრივად მოწყალებას ვაძლევთ ხოლმე მას, ვინც ქრისტეს გულისთვის გვთხოვს! და თუ არ გვთხოვა, ჩვენ ისე არავის ვაძლევთ. წმიდა ნიკოლოოზისთვის უბედურ მამას არავითარი მოწყალება არ უთხოვია, მაგრამ იგი (წმ. ნიკოლოოზი) თვითონ მივიდა მასთან და უყო ეგეთი დიდი მოწყალება, რათა მისი საჩუქარი ყოფილიყო საიდუმლო, შეუმჩნეველი, სასიამოვნო და იმდენად არა შემავიწროებელი კაცისათვის, რომელიც არ შეჩვევია უცხო პირისგან დახმარების აღმოჩენას. დიახ, არა მხოლოდ მაშინ უნდა უნდა მივსცემდეთ მოწყალებას, როდესაც მას გვთხოვენ ჩვენ, არამედ თვითონ უნდა ვეძებდეთ გაჭირვებულთ და ვაძლევდეთ მათ შემწეობას. რამდენი ავადმყოფნი არიან, რომელთაც არ შეუძლიათ სიარული და მოწყალების თხოვა, და ამავე დროს კი მათ საჭმელი არა აქვსთ? რამდენია ისეთები, რომელთაც რცხვენიათ თავიანთი სისაწყლისა და სიღარიბისა, რცხვენიათ გაუშვირონ ხელი საშველად მეორეს, და ამავე დროს კი მათ არაფერი აქვთ საკვები, არაფერი აქვთ თავიანთი შვილებისა და მოხუცებული მშობლებისათვის საზრდო.

ჩვენ არა თუ ვეძებთ გაჭირვებულთ, არამედ მხოლოდ მათ ვაძლევთ, ვინც ხშირად ცრემლებით თხოვილობს შემწეობას-ზოგიერთი ჩვენგანი, ჩაიდენს თუ არა რაიმე კეთილ საქმეს, ცდილობს, რათა ეს მოუთხრან სხვათ. მათ ძლიერ ჰსურთ, რათა ყველამ დაასახელოს მისი ჩადენილი კეთილი საქმეები, რომ მათზე ყველგან ლაპარაკობდენ, და აქებდენ, როგორც კეთილის მყოფელთ.

ჩვენი თავმოყვარეობა იქამდის მიდის, რომ გულით და სულით გვსურს ჩვენ შეწირულებაზე და ქველ საქმეებზე გაზეთებში სწერონ და ბუკით დასძახონ, რომ ამ კაცმა ესა და ეს კეთილი საქმე შეასრულაო! გვავიწყდება სახარების სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ მარცხენა ხელმა არ შეიტყოს, რასაც გასცემს მარჯვენე შენიო. დიახ, ასე გადაბრუნდა ყველაფერი და ასე უკუღმართად ესმის ზოგიერთებს სახარების ბრძანება.

და რისგან მოგვდის ეს? ჩვენივე ამპარტავნებისა და თავმოყვარეობისაგან. არა, ძმანო, გავიხსენოთ მაგალითი წმ. ნიკოლოოზისა და ისე ვიქმოდეთ მოწყალებასა, რომ არავინ ტყობილობდეს ჩვენს ქველ საქმეთა და მაშინ ღმერთი, რომელიც ხედავს ყოველსა დაფარულსა, მოგვაგებს ჩვენ გამოცხადებულად.

---

## მღვდელთა საყურადღებოდ.

### Св. Тихона Задонскаго.

აღსრულებ რა საიდუმლო ნათლის ღებას, გესმის უარისყოფა ეშმაკისა და ყოველთა მისთა საქმეთა; გახსოვდეს ამავე დროს, რათა შენცა უარ ჰყოფდე ეშმაკთა და ყოველთა მისთა საქმეთა.

აღასრულებ რა საიდუმლო აღსარებას, შენ გსურს დაწვრილებით განიხილო სინიდისი თითეული შენი მოწაფისა; ამავე დროს განიცადე და გაზომე შენი საკუთარი სინიდისიც: არ გამხილებსა იგი. შენც იმ ცოდვებისათვის, რომლისთვისაც შენ აღმსარებელს სჯი და კანონს ადებ? ამისათვის ყოველთვის ეცადე, რათა შემუსრვილი და დამდაბლებული გულით ილოცვიდე და ცხარის ცრემლით ევედრე ღმერთსა, რათა შენცა განიწმიდო ცოდვებისაგან.

ასაფლავებ რა მიცვალებულთა, დაფიქრდი, თუ რა უბედურ მდგომარეობაში გვაგდებს ცოდვა ჩვენ, ხატად და მსგავსად ღვთისა დაბადებულთა; გახსოვდეს იმავე დროს, რომ შენც მიწა ხარ და ადრე, თუ გვიან—მიწადვე იქცევი. მიეახლო რა საკურთხეველს ღვთის სამსახურებლად, წარმოიდგინე, რომ შენ ხარ შუამდგომელი ღვთისა და კაცთა შორის; მლოცველი ხალხისთვის და წარმდგენელი ღმერთთან.— ამისათვის გაფრთხილდი და დაფიქრდი: ღირსი ხარ, თუ არა მსახურებად მიახლებისა?

მოიგონებ რა შენს წოდებას, მოიგონე ისიც, თუ რა ფიცი მიეცი შენ გულთა მხილავ უფალს ყოვლის მოწიწებით და ერთგულებით დამწყსო ღვთისა მიერ შენდამი რწმუნებული სამწყსო; აგრეთვე ყოველთვის გახსოვდეს, რომ შენ ღვთის მოსამსახურე ხარ და ყოველი ღონე იხმარე შენი წოდება არ შეარცხვინო. ღმერთი მოწყალე და შემწყნარებელი ყოველთა შეხედავს რა შენს კრძალვა-მოწიწებით ვედრებას, შეგეწევა ყოველს შენ კეთილ საქმეში თვისითა მოწყალებითა და კაცთ მოყვარეობითა.—

---

## ოჯახის კერა

### მამა კაცი და დედაკაცი.

I.

(რუსულიდან)

### ქალი-შვილები.

გაგრძელება *.

ისტორიის მატიანეში იმდენად არაფერი არ გვაკვირვებს, როგორც მოთხრობა უმადურ ქალი-შვილებზე. საბედნიეროდ ამის მაგალითები ძრიელ ცოტაა. მათ შორის ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ორს, ყველაზედ უფრო უსიამოვნო მაგალითს: მილტონის ორი უფროსი ქალების, მარიამისა და ანნას დამოკიდებულებას მამასთან. მესამე ქალი, დეფორი კი ბევრად სჯობნიდა იმ ორ გულ ფუჭ დებს. მამის

*) იხილე „მწყემსი“ № 22, 1898 წ.

სიკვდილის შემდეგაც პოჰიდებით ახსენებდა მის სახელს.

ეჭვი არ არის, რომ თავი მიზეზი იმ უბედურ მოვლენათა, რომლებითაც სავსე იყო ამ ოჯახის ცხოვრება, მემკვიდრეობა იქნებოდა·

ისტორია გვეუბნება, რომ პირველი ცოლი მილტონისა, მისს პაუელი, გაუნათლებელი და გაკოტრებული კაცის ქალი იყო. ამაზედ უფრო შემცდარი გარდაწყვეტილება, ე. ი. მის პაუელის არჩევა მკაცრი პერიტანის ოჯახის დიასახლისად — ძნელადღა მოხდება. შენახულან იმის დასამტკიცებელი საბუთები, რომ ამ ქალის ყოფა-ქცევა უსაზიზღრესი ყოფილა იმაზედ, რასაც ადამიანის გონება წარმოიდგენს. თუმცა ქმარმა თვისი უსაზღვრო დიდ სულოვნების წყალობით აპატივა მას, ისევ მიიღო ოჯახში, მოუპოვა თავშესაფარი მის დევნულსა და განადგურებულს ნათესავებს, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ კაცისათვის მასთან კავშირს რაიმე ბედნიერება და სიამოვნება მოეტანოს. როგორც სჩანს, მისი ქალიშვილებიც დედას ჰგვანებიან. მილტონი იმაშია შემცდარი, რომ არ ცდილობდა იმ ორი ქალის გონებრივად განვითარებაზე. მისი იდეალი ქალებისა, რომლის მაგალითად ევა მოყავს («დაკარგული სამოთხე»), შეუდარებელია.

«იმათ თვალებშიო“, სწერს ის, ბრწყინავდენ ღვთაებრივი სახე მათი შემოქმედისა, სიმართლე, სიბრძნე, სიწმიდე (რომელიც სუფევდა მათ მამაშვილურ დამოკიდებულებაში), რომლებიც შეადგენენ ჭეშმარიტ დიდებას ადამიანისათვის. მაგრამ ისინი ორივე ერთნაირი მაინც არ ყოფილან, როგორც გარეგნობით, ისე სულიერადაც. ერთის არსებაში იხატებოდა სიმხნე და ღრმა აზროვნება, მეორესაში —სინაზე და ტკბილი სიყვარული. ასე გეგონებოდათ, მარტო ეს (ქმარი) არის ღვთის მსგავსებაო. მაგრამ ამავე დროს ქალიც ხედავდა მასში თავის სახეს. მაღალი შუბლი და ამაყური გამომეტყველება ქმრისა ნიშანი იყო მისი ბრძანებელი ძალისა. ხუჭუჭა თმები, ჭავლებად დაყოფილნი, მხრებზედ სცემდენ. ქალს კი ოქროსფერი თმები თეძოზედ სცემდენ. მთელი მისი არსება გამომეტყველი იყო მორჩილებისა, მაგრამ ისეთისა, რომელიც რამდენად თითონ მშვიდი და წყნარია, იმდენად სხვისგანაც თხოულობს სიყვარულსა და სულგრძელებას.

მილტონი აღმერთებდა მის მეორე ცოლს, ამიტომაც «Сонета»-ში, რომელიც მას უძღვნა უდროოდ სიკვდილს შემდეგ გულწრფელი და სევდიანი კვნესა ისმის. ღრმად მოხუცებულობის დროს, როდესაც დაბრმავდა კიდევაც და აღარ შეეძლო დამოუკიდებლად ეცხოვრა, მისმა მეგობარმა ექიმმა პომერმა ურჩია მესამე ცოლის შერთვა.

ეს უკანასკნელი, ელიზავეტა მიშლიე, მეტისმეტი წყნარი, მშვიდი ხასიათის და ქმარზედ ბევრად უმცროსი იყო. იმ მიწერ-მოწერაში, რომლებიც უკანასკნელად თვის ძმასთან, ქრისტეფორესთან ჰქონდა, მილტონი იხსენიებს მას, როგორც უსაყვარლეს ცოლს. მაგრამ ქალი მაინც ვერ იტანდა ქმრის პირველ ცოლთანა და ქალიშვილებთან ცხოვრებას. წმიდა გულით ურჩევდა მილტონს სამივე ქალების რომელიმე ხელობის შესასწავლად მიბარებას, მაგალითად ქარგვისა, მოვარაყებისა. მილტონის გამდელი ბევრ სხვა ცნობათა შორის მილტონის შესახებ მოგვითხრობს, რომ როდესაც მის მეორე ქალს შეატყობინეს მამის დაქორწინება, არ შეიკდიმა, ეს არ ახალიაო, ხოლო როდესაც მის სიკვდილს მაცნობებთ, ეს კი ახალი ამბავი იქნებაო. ძნელი მოსათმენი და საპატიებელია მათი საზიზღარი სიძულვილი მამისადმი, რომელიც, ასეთ გარემოებაში ჩავარდნილი, ძალიან იტანჯებოდა. უფრო მეტად გულსაწვავი ის იყო, რომ ეს ქალები ქურდ-ბაცაცებიც იყვენ, ატყუებდნენ მამას, ყიდდენ მის წიგნებს და ამით უფრო მეტად უშხამავდნენ სიცოცხლეს მამას, ვინემ მისი სიბრმავე. მათი უმადურობისა და უპატივცემულობისათვის მამამ მხოლოდ ის უანდერძა მათ, რაც მზითევად მოჰყვა მის ცოლს. მილტონი ხშირად ეტყოდა ძმას: «ჩემი ქალები მკაცრი, ბოროტი გულის და ჩემი ურჩნი იყვნენ, მაგრამ სამაგიეროდ მესამე ცოლი მეტის მეტი გულკეთილი და ჩემი მოყვარული შეიქნაო. მართალია მთლად არ ეპატიებათ ეს ბრალი ჩემ ქალებს, მაგრამ რამდენიმედ კი უნდა შეუმჩატდეს, ვინაიდგან რვა ენაზედ უნდა წაეკითხნათ ჩემთვის თხზულება, რომელთაგან არც ერთს არა გაეგებოდათ რაო, მე იმ აზრის ვიყავი, რომ ქალისათვის საკმარისია ერთი-ერთი ენის ცოდნა. ვინაიდან ქალები ბუნებით მიდრეკილნი არიან უბედობისადმიო». ეჭვი არ არის, რომ ისინი ვერ პოვებდენ სიტკბოებასა და საზრდოს იმ გვარ ცხოვრებაში, რომელსაც ატარებდენ. უაზროდ წიგნების კითხვა ერს სიძულვილს უღვიძებდა გულში.

ის მწარე ნაღველი, რომელიც ცხოვრებამ არგუნა მილტონს, გამოხატული აქვს „დაკარგულ სამოთხეში». მაგრამ ახლა უნდა გაჩვენოთ მაგალითი

იმ ქალიშვილისა, რომლის სახელი ბრწყინავს ისტორიის ფურცლებზედ. იმ ერთგულებისა და გულწრფელობის მხრით მისაბაძავი მაგალითია; მისი სახელი მარგარიტა როპერია, საყვარელი ქალი თომა მარუსისა.

ზოგი მწერლები ამტკიცებენ, ვითომც გონებისა და ნიჭიერების განვითარება ბავშებს უმცირებდეს და უგრილებდეს მშობლებისადმი ერთგულებას. მაგრამ ისტორია ვერ ამტკიცებს ამას ფაქტებით. თითონ მარგარიტა როპერი თვალ-საჩინო დამამტკიცებელი საბუთია ამ აზრის სიყალბე-სიცრუისა. ეს მამის ყველაზედ უსაყვარლესი ქალი მაშინდელს დროში ერთი დიდ სწავლულთაგანი იყო. ისე ჩინებულად სწერდა ლათინურად, რომ აღტაცებაში მოჰყავდა ისეთი დიდი მცოდნე ადამიანები, როგორც კარდინალი პოლი იყო. ლათინურ ენაზედ დასწერა შესამჩნევი თხზულება „ოთხი უმთავრესი მიზეზი». მამა თვის თხზულებას, რომელიც მან ინგლისურ ენაზედ დასწერა ამ სათაურით, ძალიან დაბლად აყენებდა შვილისაზე. ზედ-მეტად ქალს თავისუფლად და საფუძვლიანად შეეძლო მსჯელობა მამასთან სარწმუნოებო... ღვთის მეტყველო და საპოლიტიკო სერიოზულ კითხვებზედ.

მეორე თვალსაჩინო საბუთი იმისა, რომ სწავლა სრულიადაც არ უგრილებს ადამიანს გულს მშობლებზედ, ქ-ნი დჟენ გრეი არის.

ეს ქალი იმ ზომამდე გატაცებელი იყო სწავლის სიყვარულით სიყმაწვილეშივე, რომ მისი მასწავლებელი როჯემ აშეშის სიტყვით, თამაშობასა და თავის შექცევას პლატონის თხზულების კითხვა ერჩია. მაგრამ ის მაინც მაგალითი იყო მშობლებისადმი ერთგულებისა და ქმრის სიყვარულისა, თუმცა მშობლები მაშინდელი სწავლა-აღზრდის სისტემის მიხედვით მკაცრად ეპყრობოდენ მას.

ისტორიკოსი ფულლერი ამბობს, რომ მშობლები ამ საყვარელ ბავშს მეტის-მეტ მკაცრად ეპყრობოდენ, რასაც ვერ იტანდა მისი ნაზი ხასიათიო. ცამეტი წლის ბერძნულად სწერდა თხზულებას, ხოლო როდესაც ხუთმეტი წლას შეიქმნა, მშვენივრად იცოდა ებრაული, ლათინური, იტალიანური და ფრანგული ენებიო. ამ ხანაში მიწერ-მოწერა ჰქონდა მეცნიერ ბიულინგთან, და თან ხელთსაქნარიც ჩინებულად იცოდა და ხელოვნებაშიაც დიდი ნიჭი გამოიჩინაო.

ყოველი ამის დასასაბუთებლად ჩვენ მოვიყვანთ ერთ-ერთ მუხლს როჟეს აშერის ნაწერიდან «სკოლის მასწავლებელი», რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ეპყრობოდენ ამ ქალს მშობლები: „როდესაც შეკრებილებაში თან მახლავს მამა ან დედა, რასაც უნდა ვშვრებოდე ან ვაკეთებდე,—ვლაპარაკობ, თუ ჩუმად ვარ, ვჯდივარ თუ ვდგევარ, დაკდივარ თუ ვსჭამ, ვსვამ თუ მხიარულობ, მოწყენილი ვარ, თუ ვკერავ, ვთამაშობ თუ ვცეკვავ, ერთის სიცყვით ყველაფერში ზომიერება და წონა უნდა დავიცვა თითქმის იმნაირი სისრულით, რომლითაც ქვეყანა შექმნა უფალმა. თუ ასე არ მოვიქეცი, მაშინ მაყვედრიან, უჯეროდ მეპყრობიან, იქვე გამაკვრენ სილას, მუშტსა და სხვა ფიზიკურ სასჯელს, რომელსაც არ ვასახელებ მშობლების პატივის ცემის გამო. ისეთი მძიმე და აუტანელია ეს გარემოება, რომ თითქოს ჯოჯოხეთში ვიყვე».

დაუბრუნდეთ ისევ მარგარიტა როპერსა და აღვნიშნოთ ორიოდე ნაწყვეტები, რომლებიც ასურათებენ მის დამოკიდებულებას მამასთან: ერთ თვეზე მეტი იყო, რაც თომა მარუსი საპყრობილეში დაამწყვდიეს, მის ქალს, მარგარიტას, ძალიან ენატრებოდა მამის ნახვა, და დიდი ვაი ვაგლახის შემდეგ ძლივს მიაღწია ამ მიზანს— მამის ნახვას. პირველად ორივემ ღმერთი ახსენეს, და შემდეგ კი ასე უთხრა მამამ: „უთულოდ მარგარიტა, ვინც მე საპყრობილეში ჩამაგდო, იმას ეგონა, რომ დიდი უსიამოვნება მომაყენეს, მაგრამ მე გარწმუნებ შენ, ჩემო ძვირფასო ქალო, რომ თუ სამღვთო მოვალეობად არ მიმეღო ცოლ-შვილზე ზრუნვა და უმთავრეს მიზნად არ დამედვა ეს, თითონ, ჩემის სურვილით შევიდოდი ასეთ საპყრობილეში, თითქმის კიდევ უფრო ბნელსა და ვიწროში“.

ამასთან მოგვყავს მისი შვილი-შვილის—კრესაკრი მარის წერილი «მამის გამოთხოვება ქალი-შვილთან».

«როდესაც თომა მარუსი მოიყვანეს ნავთ-სადგურში ლონდონის ერთ-ერთ საპყრობილიდან, მისი საყვარელი ქალი, მამიდა ჩემი, რომელსაც სულითა და გულით ენატრებოდა მისი ნახვა, გაგიჟებით მივარდა მას. პირველად მუხლი მოიხარა მის წინ და ლოცვა-კურთხევა სთხოვა, შემდეგ წამოდგა და ყელზედ მოეხვია. თავდავიწყებით აკოცა ბრბოსა

და დარაჯებს, რომლებიც გარს ეხვივნენ მამას თოფებითა და შუბებით, ეხვეოდა, კოცნიდა და მღელვარებისაგან სულ შეგუბებული მხოლოდ ამას, იმეორებდა: „ოხ ჩემო მამავ, ოხ, ჩემო მამილოო“.

მამას გული აუჩუყა ქალის ასეთმა უსაზღვრო სიყვარულმა, დალოცა და უთხრა, რომ ყველა, რაც გადამხდა და განვლე, თუმცა დამნაშავე არც ერთში არ ვყოფილვარ, მაგრამ ულვთოდ მაინც არ იყოო. შემდეგ ურჩია ღვთის მორჩილება, და მამის დაკარგვის გულ-გრილად ატანა. შემდეგ გამოეთხოვა მაშას, მაგრამ გამოსცილდა თუ არა რამდენიმეზე, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ისევ შეტრიალდა და გაექანა მამისაკენ მიუხედავად იმ ურიცხვი ბრბოისა, რომელიც კედელივით გარს ერტყა მამას და არ ეშვებოდა მასთან ღრმად საყვარელ ქალს, მაინც შივარდა, მოეხვია დ კოცნა დაუწყო. მამას სიტყვა არ უთქვამს, გამომეტყველება ისეთი ჰქონდა, გეგონებოდათ წყნარი დ გულ დამშვიდებულიაო, მაგრამ თვალებიდან მომდინარე ცრემლები გამომეტყველი იყვნენ მისი შინაგანი მდგომარეობისა. ბევრმა ვერ მოიკავა ქვითინი ამის დანახვაზე... დაბოლოს ძალად მოაგლიჯეს მამას გულიდან და მოაშორეს.

დასჯის წინა დღეს თომა მარუსმა ნახშირით დაწერილი (მელნისა და კალმის ხმარება აკრძალული ჰქონდა) წერილი მისწერა მარგარიტას. ამ გამოთხოვების წერილში მადლობასა, ღრმა და მხურვალე გრძნობას უძღვნიდა სახლობასა და განსაკუთრებით მარგარიტას მისი უსაზღვრო სიყვარულისათვის, რისგამო უანდერძა მას თავისი ძაძა.

ვინ გამოსთქვამს სავსებით ბედნიერი და ქრისტეანული ოჯახის ღრმასა და მხურვალე მადლს და სიტკბოებას. ვისაც ეს სამოთხე უგემებია, იმას გულს დასწყვეტს ის გარემოება, რომ «эманципація женщинъ», რომელმაც მრავალი ხანა გამოიარა, ახლა სულ ახალ ხანაში შესდგა ფეხი; ბეჭდვითი სიტყვა მას უწოდებს: «ქალების აჯანყებას მშობლების ბრძანებლობის წინააღმდეგ“.

ბევრ შეცდომებს ვხედავ მშობელთაგან როგორც ვაჟების, ისე ქალების სწავლა აღზრდის საქმეში. მე ვხედავ, რომ ქალები ისეთი დედებისა, რომლებიც მთელს სიცოცხლეს თავის ქცევითა და განცხრომით ატარებენ, და ამისგამო დედობრივი ვალი მივიწყებული აქვთ, ურჩობასა და უპატივცემულობას იჩენენ მათდამი, მაგრამ ერთნაირად ამ ჯურის დედების მიმართულება უფრო კეთილშობილურია და მაღალი იმათ მიდრეკილებაზედ, რომლებიც თავიანთ ქალებს მოხუცებულებს მიათხოვებენ იმ მიზნით რომ გაამდიდრონ, ან მაღალი შთამომავლობის ოჯახში მოათავსონ და ამ გვარად ვაჭრობენ თავიანთი ქალების ბედნიერებით. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი დედები იმ გვარადვე სცდებიან თავიანთი ქალების აღზრდის საქმეში, როგორც მამაკაცები ვაჟების შესახებ, რომლებიც ცდილობენ, რომ ისეთივე შეხედულება, გემოვნება და მოთხოვნილება ჩაუნერგონ შვილებსაც, როგორიც მათ აქვთ. თითოეული ადამიანის სული კუნძულს წარმოადგენს, რომელიც გარემოცულია მიუვალი ზღვით. არასოდეს არ უნდა ვსცდილობდეთ, რომ ჩვენ შვილებს ჩვენი ხასიათი და შეხედულება დავამყვნათ უთუოდ. მემკვიდრეობის კანონის ძალით შეიძლება ბავშს შორეული ნათესავის სახე გამოაჩნდეს, და ყოველს შემთხვევაში ჩვენი შვილები, როგორც სხვა არსებანი, ერთის მეცნიერის სიტყვით, წარმოადგენენ ადამისა და ევისაგან მომდინარე მამრისა და მდედრის სქესთა ძაფის ერთ ერთ საერთო წერტილს.

რომის იმპერატორი კომოდი, ყოვლად გარყვნილი და უზნეო მარკ ავრელის შვილი იყო, რომელიც წარმართთა ზნეობრივი სიმტკიცის ყვავილად ითვლებოდა.

აგრიპპა უმცროსი, რომლის ცხოვრება მხოლოდ უზნეობის სურათს წარმოადგენს, ქველ-მომქმედი გერმანიკის ქალი იყო, რომელიც (გერმანიკა) მაშინდელს გახრწნილ დროში ზნეობრივი სიფაქიზის მაგალითად ითვლებოდა.

თუ ჩვენს დროში შემჩნეულია ქალების ურჩობა მშობლებისადმი, რაც მე არ მჯერა, ამის მიზეზი. თანამედროვე გახრწნილი ცივილიზაციის ნაყოფია. ამ ურჩობას ადგილი არ აქვს იქ, სადაც მშობლები გონიერნი, მოსიყვარულენი არიან და როდესაც ისინი ნაცვლად აუტანელი და შემავიწროებელი ზომებისა, უფრო მტკიცე და გონიერ მეთვალყურეობას გამოიჩენენ შვილების აღზრდაში, და სიყვარულზე და თანაგრძნობაზე დამყარებულს საშუალებას იხმარებენ.

# სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

## საეჭვო კითხვების განმარტება.

**კითხვა.** რა დროიდან და ვისგან არის შემოღებული ჩვეულება ლანგრის ჩამოტარებისა ეკკლესიაში ფულების შესაკრებად და არის თუ არა რიგი, რომ წირვა-ლოცვის დროს ლანგარი ჩამოატარონ ეკკლესიაში და ისიც მღვდელმა ოლარით?

**მიგება.** დანამდვილებით ძნელი შესატყობია, თუ როდეს შემოიღეს ლანგრის ჩამოტარება ფულების შესაკრებად ეკკლესიაში, მაგრამ შეიძლება ვთქვათ, რომ დიდი ხნიდან არ უნდა იყოს ეს ჩვეულება შემოღებული. საქართველოს ეკკლესიაში, ამ საუკუნის წინ, არ ყოფილა ეს წესი. ჩვენს საქართველოში დიდი ხნიდან ყოფილა ჩვეულება ფულის შეწირვისა ეკკლესიის სასარგებლოდ, მაგრამ არა ლანგრის ჩამოტარებით, არამედ შემომწირველს პირ და პირ მიქონდა ფული მღვდელთან და მღვდელი სახალხოდ აცხადებდა ამ შეწირულებას და ხალხიც შემომწირველისთვის ისურვებდა ხოლმე კეთილ-დღეობას და ბედნიერ ცხოვრებას. ლანგრების და ყულაბების ჩამოტარება ეკკლესიაში, მართალია, მწირველ მღვდელს არაფერს უშლის, მაგრამ მლოცველებისათვის კი ყოველთვის სასიამოვნო არ არის. ამას წინეთ მლოცველების დრტვინვამ ამ საგნის შესახებ სინოდამდის მიაღწია და უწ. სინოდმა გამოსცა ბრძანება, რომ ყულაბები და ლანგრები არ ჩამოეტარებიათ ისეთ დროს, როცა მლოცველების ყურადღება განსაკუთრებით მიქცეული უნდა იყოს წაკითხულს ან წარმოთქმულ სიტყვებზე. აღნიშნული იყო დრო, თუ როდის უნდა ჩამოატარონ ლანგრები ფულების შესაკრებად. მაგრამ, სამწუხაროდ, თვითონ სატახტო ქალაქებშიაც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ, რომ მტკიცედ აღასრულონ ეს ბრძანება და რა იქნება სოფლის ეკკლესიებში, ეს ვინ იცის. რაიცა შეეხება ლანგრის ჩამოტარებას მღვდლისაგან და ისიც ოლარით, რასაკვირველია, მღვდლეს, თუ იგი თავისუფალია, შეუძლია ჩამოატაროს ყულაბი ან ლანგარი, მაგრამ ოლარით სიარული კი, ჩვენის აზრით, წინააღმდეგი უნდა იყოს.

**კითხვა.** შეუძლია თუ არა პოლიციის ბოქაულს, რომ მან მტირალი ბავში გააყვანინოს ეკკლესიიდან ან ამბიონის სიახლოვეს თავმოყრილი მლოცველები წაიყვანოს სხვა ადგილზე ეკკლესიაში?

**მიგება.** ყოველ გვარ წესიერებას ეკკლესიაში უნდა უყურებდეს სტაროსტა,—ეს მისი ვალია. პოლიციის ბოქაული შემწეობას უნდა აძლევდეს სტაროსტას, როცა იგი სთხოვს ამას, მაგრამ თავისით პოლიციის ბოქაულს არა ვითარი უფლება არა აქვს ეკკლესიაში განკარგულების მოხდენისა.

**კითხვა.** შეუძლია თუ არა სხვა საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებულმა ეგზამენი დაიჭიროს სემინარიის ყველა საგნებში და სემინარიის კურსის დამთავრების ატესტატი აიღოს?

**მიგება.** არ შეიძლება. შეუძლია ეგზამენი დაიჭიროს მეხუთე კლასში შესასვლელად, რადგან ღვთის მეტყველების საგნები მას არ ექნება გავლილი სხვა სასწავლებელში, აგრეთვე ეგზამენი უნდა დაიკავოს კლასიკურ ენების ცოდნაში, თუ ეს ენები არ იყო იმ სასწავლებელში, რომელშიაც სწავლობდა იგი.

**კითხვა.** შეიძლება თუ არა ეკკლესიამ ამოიგოს თავისი ნაეკკლესიარი მიწა, რომელიც სხვას დაუსაკუთრებია დიდი ხნიდან და ან შეიძლება გაცვლა საეკკლესიო მიწისა კერძო პირთან?

**მიგება.** ნაეკკლესიარი მიწა, რომელიც სხვას დაუსაკუთრებია, რამდენი დროის მფლობელიც უნდა იყოს, ეკკლესიას ეკუთვნება და შეუძლია ამოიგოს მიუხედავად მისა, რომ ეკკლესია დღეს გადატანილია სხვა ადგილზე. ყველა საეკკლესიო ადგილები, რომელიც კერძო პირებს დაუსაკუთრებიათ, რამდენი ხანიც უნდა ყოფილიყოს სხვის მფლობელობის ქვეშ, თანახმად უმართებულესის სენატის განჩინებისა, 20 იანვრიდან 1893 წლისა (იხილე საეკკლესიო უწყებანი 1893 წლისა № 24 გვერდი 208—217] საეკკლესიო ადგილებზე ხნოვანება არ ითვლება,

## რედაქციის პასუხი.

გ. თ—ძეს. ვინც დამსახურებისათვის განსხვავებული ნიშნებით არის დაჯილდოებული, ბერ-მონაზონია იგი თუ მღვდელი, წირვის დროს იგი ყოველთვის წინ უნდა იდგეს სხვა თანამწირველ დაუმსახურებელ პირთან.

მ ა ს გ ე. მღვდელ-მონაზონის სიკვდილის შემდეგ ყოველი მისი ქონება რჩება იმ მონასტერს, რომელშიაც მსახურებდა გარდაცვალებული.

მ ა ს გ ე. თქვენი სტატია ცილის წამების შესახებ არ იბეჭდება, რადგან ამ საგნის შესახებ ვრცელი ქადაგება დაბეჭდილა ხოლმე სხვა-და-სხვა დროს ჩვენს გამოცემაში.

მღ. გ—ს. პირველი კრებულიც უკანონოდ მოქცეულა და მეორეც, რადგან არ მოუკითხავსთ ბავშის დაბადების ჩაწერა მეტრიკაში. ეს ახალი წესი ჩვენში კანონის წინააღმდეგ არის შემოღებული და ბევრ მაგისთანა უწესობას გამოიწვევს შემდეგშიაც. ახლა რა გაეწყობა, მეორედ ჩაწერილი უნდა დარჩეს და პირველად შეცდომით ჩაწერილი მოიშალოს.

მღ. ბ. თო—ძეს. მადლობის გამოცხადების დროს კარგს ინებებდით, რომ დაგესახელებიათ, რა და რა წიგნები შესწირეს სკოლას. თქვენ იწერებით: «თ. ი. ჭავჭავაძის წიგნაკები შემოსწირა ორმოცი ეკზემპლიარიო". რომელი წიგნაკები და ნუ თუ ორმოცი მანეთის საღირალია?

მღ ი. ჯა—ძეს ტიბიკონი ცხადათ უჩვენებს, თუ როდის შეიძლება ზიარება დაურდომილთა და სნეულთა და იმ წესით ზიარებას არ უჩვენებს, როგორც თქვენ ფიქრობთ. რასაკვირველია, არავითარი სასყიდელი არ ერგება, თუ თვითონ არ მოაქვს სანთელი. არავითარი უფლება არა აქვს ბლაღოჩინს სამღვდელოების დაუკითხავად თვითონ დანიშნოს დეპუტატი სამღვდელოების კრებაზე დასასწრებლად. გაზეთი ამ წელში ძველი ადრესით გამოგეგზავნებათ და შემდეგში ახალი ადრესით.

მღ. ს. თო—ძეს. არაფერი გზით არ შეუძლიათ გვირგვინი იკურთხონ თქვენგან დასახელებულ პირებმა, როგორც სულიერმა მონათესავეებმა ურთიერთ შორის.

მღ. ს. შა—ძეს. წარსული წლის «მწყემსი»-ს ფასს ვინ გვაძლევს? ნუ თუ სამი მანეთი ვერ გადაარჩინეთ კუჭის მოთხოვნილებას? ძლიერ სამწუხაროა!..

მთავ. დიაკ. ბ. ღ—ძეს. თქვენ კითხვებზე იანვრის თვის პირველ ნომერში, იქნება პასუხი. მართლაც არავის აღუძრავს კითხვები, რომელსაც თქვენ იწერებით. შეგვატყობინეთ, რომელ მღვდელთან მსახურებთ.

---

## შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილები:

I.

მ. რედაქტორო! გთხოვთ ნება მოგვცეთ, რომ თქვენი პატივცემული ჟურნალის «მწყემსის» საშუალებით დიდი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე აგრეთვე ტელეფის მრევლთაგან სოფ. ტელეფაში მცხოვრებს თ. გ. ს. აბაშიძეს და მეუღლეს მისას ეკატერინა ყიფიანის ასულს, რომელთაც შემოსწირეს ტელეფის ეკლესიას ორი შანდალი ბრონძისა, ღირებული 100 მანეთად.; და მოვაჭრე იოსებ გ.

სოფრომაძეს, რომელმაც შემოსწირა ამავე ეკლესიას გვირგვინი, ღირებული 5 მ.

რუჯუთის წმ. გ. ეკლ. მღ. იოანე სალაძე.

II.

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი ჟურნალის „მწყემსის“ საშუალებით მადლობა უძღვნა იმ პირთ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულის სოფ. მუხურის საკვირაო შტატის წმ. და ზედმიწერილის ეკკლესიების გასამშვენებლად შემოწირეს სხვა და სხვა საეკლესიო ნივთები. აი შემომწირველთა სია: პავლე ნ. ქურციკიძემ ერთი წყვილი ბაირაღი, ღირებული 20 მ., გიგო მ. ბოჭორიშვილმა გუმბათში ჩამოსაკიდებელი კანდელი, ღირებული 10 მ., მათე ბოჭორიშვილმა და მისმა შვილებმა: გაბრიელა, ალექსი და სილიბისტრომ — კანდელის ფასის შესაკრებლად 6 მანეთი, სილიბისტრო მ. ბოჭორიშვილმა მაცხოვრის ხატი, ღირებული 4 მან.

ხოლო ზედმიწერილ ეკლესიას შემოწირეს: ან. არჩვაძის ქალმა ტრაპეზზე დასადგმელი ბრონძის დიდი სანაწილე, ღირებული 10 მ., ანუსია გურჯის ქალმა კონდაკი, ღირებული 3 მ. და 30 კ., ლევანა ბ. ქურციკიძემ კურთხევანი, ღირებული 3 მან. და 30 კაპ. ყველა ამ პირთ მუდამ ჩემგან მოხსენება ექნებათ.

მღვ. სპ. ყიფშიძე.

III.

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო როგორც მე, აგრეთვე რწმუნებულის ჩემდამო ხონის მაცხოვრის ეკლ. სამრევლოთაგანს ხონშივე მცხოვრებს ბ. დიმიტრი ი. ჩხიკვიშვილს, რომელმაც შემოწირა 150 მან. ხონის მაცხოვრის საეკკლესიო-სამრევლო სკოლის სახლის ასაგებად და 9 ცალი ტანთსაცმელი ღარიბ მოსწავლეთათვის საჩუქრად, ღირებული 100 მანეთად და მომავლისთვისაც აღგვითქვა შემწეობის აღმოჩენა.

მმართველი ხონის საეკკლესიო-სამრევლო სკოლისა მღვდელი ნესტორ ლეჟავა.

# განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

## „მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით | «მწყემსი» 2 მ. |
| — | „ რუსული „ 3 მ. | — | „ რუსული „ 2 » |
| — | „ ორივე გამოცემა 5 » | — | „ ორივე გამოცემა 3 » |

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭარაძეთან; საჩხერეში — ყარამან ჩხეიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალსენაკში — ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

მომავალი წლის ხელის მომწერთათვის დანიშნულია საჩუქრად **ხახულის ღვთის-მშობლის** ფოტოგრაფიული **ნახატი.** და ჩვენი მოღვაწის ბატონის

## აკაკის სურათი,

ბრისტოლის ქაღალდზე დაბეჭდილი.

ზემოაღნიშნულ საჩუქრებს ხელის მომწერნი მიიღებენ ფულის შემოტანისათანავე.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახატებიანი გაზეთი

# „კვალი“

გამოვა 1898 წელში ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის.

იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წ.

გაზეთი წლიურად ღირება გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაური, გაგზავნით ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან., გაგზავნით 2 მან. 50 კ. თითო ნომერი ათ შაურათ. ხელისმომწერლებს წლის ფული შეუძლიათ გამოგზავნონ ნაწილ ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში» (სასახლის ქ., სათავად-აზნ. ქრვ.) და თვით «კვალის» რედაქციაში — არტილერიის ქ., № 5, კადეტთა კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Квали“

---

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

წელიწადი მეათე

გამოვა 1899 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ღირება—4 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1. თბილისში – «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (არტილერიის ქ. № 5. კადეტთა კორპუსის ახლო).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала «Джеджили».

---

იმერეთის საეპარქიო საეკლესიო ნივთების საწყობში იმყოფება 1) ახლად გამოგონილი საცეცხლურის მშვენიერი სახმარი ნახშირი იაფი ფასის და მთელი წლის განმავლობაში გაუქრობლად გამძლე, უსაბერველოთ და კაცის უშრომლად.

2, ახლად გამოცემული მენდლები და მშვენიერი ფერ-გადუვალი მკერდის ჯვრები ძლიერ მცირე ფასად.

3, მშვენიერი შესამოსლები ყოველ ნაირი ფასისა.

4, სამღვდელო ყოველ-გვარი საეკლესიო ნივთები,

5, საღმრთო და საეკლესიო წიგნები.

6, მეტრიკული გამოწერილობანი და სხვა მღვდელთათვის საჭირო ბლანკები და მოწმობები.

7, პატარა გულსაკიდი ჯვრები ბავშთათვის, ძლიერ იაფ-ფასად.

აქვე შეუძლია ყველას, მოიპოვოს საღმრთო სჯულის და სხვა საგნების ზოგიერთი სახელმძღვანელოები.

---

იმერეთის საეპარქიო წმინდა სანთლის ქარხნის კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იგი (კომიტეტი) ყიდულობს ცვილ-სანთელს პირველ ხარისხისას ოცდაორ მანეთად (22 მან.), ცოტა უფრო მდარეს —ცოტა ჭუჭყიანს—ნაკლებ ფასათ. გამსყიდველთ შეუძლიათ მოიტანონ თვისი საქონელი ქალაქ ქუთაისში, წმინდა სანთლის საწყობში, მთავარ-ანგელოზის სობოროს გვერდით, მიღება საქონლისა წარმოებს ყოველ დღე დილის 9 საათიდან—12 საათამდის. 3—3

## სახელმძღვანელონი და სხვა საკითხავი წიგნები,

### დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მე-11-ტე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუწდებათ ყიდვა არც სახატავებისა და არც დედანისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად, ყდით 33 კაპ.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეორე გამოცემა შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხ-აბაზ უხალთუნი (90—კაპ.)—უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა— თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა» და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეორე, ფასი ორი შაური ნარდით 8 კაპეიკი.

კონა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მეოთხე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა-ორ აბაზად: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდის კანა.

ხომლი, ანუ რჩეულ ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის. მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

ჭუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, მეორე სურათებიანი გამოცემა ფ. 10 კ.

ხატის მიზეზი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შაური.

ასპინძის ომი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ქარტით. მეორე გამოც. ფასი 10 კ.

ძირითადი უკუღმართობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო-ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

თავდადებულნი ქართველნი, ისტორიულნი მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

---

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 копѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподованію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русскаго Слова" одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для ущащихъ" одобрено для библіотекъ низшихъ и среднич учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго охруга, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствуюшам. (смотри „Сборникъ" распоряженій по управленіюо Кавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967

Равнымъ образомъ одобрено и рекомедовано. „Русское Слово" духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

ყველა ეს წიგნები უმთავრესად იყიდება: თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ქუთაისში: ბუქნიკაშვილთან, ჭილაძესთან და ხეთერელთან, ბათუმში თავართქილაძესთან და კალანდაძესთან, ფოთში—ლულუშიან, ოზურგეთში და სენაკში თავართქილაძესთან, ლანჩხუთში ცინცაძესთან, სოხუმში ჭავჭანიძესთან, ყვირილაში —არაბიძესთან, აჩხერში ყარამან ჩხეიძესთან, სურამში და ხაშურში შურღაიასთან, გორში—კალანდაძესთან, თელავში—მიხეილ ცისკარაშვილთან, სიღნაღში ამხანაგობის მაღაზიაში, ვლადიკავკაზში მასწავლებელ ბოცვაძესთან. 15—11.

ჩვენი

# „კრებული“

მეორე წელიწადში გადადგა.

ამ მეორე წლის პირველი ნომერი ენკენისთვეში უნდა გამოსულიყო, მაგრამ ჩვენის ჟურნალისვე სასიკეთოდ განზრახ შევაჩერეთ გამოცემა რამდენიმე თვით და მხოლოდ იანვრიდან განვაგრძებთ გამოცემას და წელიწადიც მომავალი 1899 წ. იანვრიდან დაიწყება. დღემდი ჩვენ უფლება არა გვქონდა, რომ გარდა ყოველგვარ ჩვენი ნაწერისა, სხვების რამე დაგვებეჭდა ჩვენს «კრებულში», დღეს-კი ნება გვაქვს, რომ სხვებისაც ვბეჭდოთ ხოლმე და უკეთესმა ჩვენმა მწერლებთაგანმა კიდეც აღგვითქვეს დახმარება. ფასი იგივე დარჩება: გაგზავნით ფოსტით **7**—მან., ადგილობრივ გაუგზავნელად—**6** მ., ნახევარის წლით **4** მან., თვიურად და კერძო №-რი—60 კაპ.

რედაქცია უკვე გადატანილ იქნა დ. ზესტაფონში (ყვირილაში) ღამბაშიძის სახლებში.

კერძო განცხადება ყოველ საგანზე მიიღება ჩვეულებრივზე იაფად და განცხადების ფულის გარდახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ.

დასასრულ მადლობას ვუძღვნი მათ, ვინც წარსულ წელში გვეხმარებოდა და, იმედია, რომ არც მომავალში მოგვაკლებენ თანაგრძნობას.

მომავალი წლის **ხელისმოწერა უკვე დაწყებულია.**

ადრესი გამომწერლებისათვის: **М. Квирилы. Редакція «Кребули»** და თბილისში წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებაში.

«კრებულის» რედაქტორი და გამომცემელი

აკაკი.

---

დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა

გაზეთ

## „ცნობის ფურცელზე“

ფასი წლიურათ 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

ვინც ამ თავითვე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთათ დაეთმობა გაზეთი

---

## „ივერია“

გამოვა 1899 წელსაც

იმავე პროგრამით როგორც წინად

ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 » | 6 მ. » კ. |
| 11 » | 9 » 50 » | 5 » | 5 » 50 |
| 10 » | 8 » 75 » | 4 » | 4 » 75 |
| 9 » | 8 » — » | 3 » | 3 » 50 |
| 8 » | 7 » 25 » | 2 » | 2 » 75 |
| 7 » | 6 » 50 » | 1 » | 1 » 50 |

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ტფილისი «ივერიის» რედაქცია,**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» კანცელარიას სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და ბაქოში, ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

**ტელეფონი № 227.**

საფოსტო ადრესი:

*Тифлисъ. Въ Редакцію газеты „ИВЕРІЯ“*

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

*Дозволено цензурою, Тифлисъ, 26 декабря 1898 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ.*

Типогр. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хапановыхъ, на Нѣмецкой ул.